ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემლობა „მომავალი"

324
190

თ. ჭუმბურიძე

ქუთაისის ვაჟთა პირველი გიმნაზიის მასწავლებელი.

Iq. 1-209+

# ახალი

# ისტორია

უმაღლესდაწყებით და საშუალო სასწავლებელთათვის.

ისტორიული ქარტებით ტექსტში.

ფასი 150 მან

ქუთაისი.
სტამბა ი. მ. ხელაძისა.
1920 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემლობა „მომავალი"

თ. ჭუმბურიძე

ქუთაისის ვაჟთა პირველი გიმნაზიის მასწავლებელი.

# ახალი ისტორია

უმაღლესდაწყებით და საშუალო სასწავლებელთათვის.

ისტორიული ქარტებით ტექსტში.

ფასი 150 მან.

საჯ. წიგნის პალატა
29/XI 1940
2 ცალი
№ 198

ქუთაისი.
სტამბა ი. მ. ხელაძისა.
1920 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# წინასიტყვაობა.

ეს სახელმძღვანელო შედგენილია სამინისტროს პროგრამის მიხედვით, უმთავრესათ, უმაღლესდაწყებით სასწავლებელთა მეოთხე კლასებისთვის. მაგრამ ჩვენ ამ სახელმძღვანელოში შევიტანეთ უფრო ვრცელი მასალა, ვიდრე ამას, შეიძლება, მეოთხე კლასის პროგრამა მოითხოვდა; ეს იმ მოსაზრებით, რომ ეს სახელმძღვანელო აგრეთვე საშუალო სასწავლებელთა უფროს კლასებისთვისაც გამომდგარიყო. ამიტომ ის თავები, რომლის გავლაც მეოთხე კლასში შეიძლება ზედმეტი იქნეს, ან ვარსკვლავისებური ნიშნებით (*) გვაქვს აღნიშნული და ან წვრილი შრიფტითაა დაბეჭდილი. დანარჩენი მასალიდანაც, მასწავლებელს კურსის გავლის დროს, შეუძლია გამოსტოვოს ის, რის გავლაც, მისი აზრით, მეოთხე კლასში ზედმეტი იქნება.

უფრო ვრცელი მასალა ამ სახელმძღვანელოს პირველ და მეორე ნაწილშია შეტანილი; ხოლო მესამე და, განსაკუთრებით, მეოთხე ნაწილი (მე-XIX საუკ.), სხვადასხვა ტეხნიკური დაბრკოლების გამო, უფრო შემოკლებულია. მიუხედავათ ამისა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს სახელმძღვანელო, მთელი აქ მოთავსებული მასალით, საშუალო სასწავლებელთა უფროს კლასებისთვისაც გამოდგება.

ამ სახელმძღვანელოში აგრეთვე რუსეთის ახალი ისტორიაცაა შეტანილი (თუმცა შემოკლებით).

ჩვენ ვცდილობდით ფაქტებისა და მოვლენებისთვის მეცნიერული ახსნა მიგვეცა, რომ ისტორიულ მოვლენებზე მოსწავლეს მეოთხე კლასშიც მეცნიერული წარმოდგენა ქონდეს და არა — ზღაპრული, ეპიზოდიური.

მასალის დალაგებისა და სახელმძღვანელოს საერთო პლანის შედგენის დროს, ჩვენ უმთავრესათ ვიპერისა და კარეევის ახალი ისტორიის ცნობილი სახელმძღვანელოებით ვსარგებლობდით. ამ სახელმძღვანელოს ისტორიული ქარტებიც დავურთეთ ტექსტში; ეს ქარტები ვიპერის სახელმძღვანელოდან გადმოვაკეთეთ.

თ. ჭუმბურიძე.

1920 წლის 5 სეკტემბერი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# I.

## დასავლეთი ევროპა საშუალო საუკუნეთა გასულს და ახალი დროის დასაწყისს.

**ახალი ისტორიის განსაზღვრა.** ახალ ისტორიას მე-XV საუკუნის გასულიდან იწყებენ. **წელი** ამერიკის აღმოჩენისა (1492) ბევრს იმ მომენტათ მიაჩნია, საიდანაც კაცობრიობის ცხოვრების ისტორიაში ახალი ხანა იწყება. ასე რომ, ამ განსაზღვრით, **ახალი ისტორია შეიცავს ოთხ უკანასკნელ საუკუნეს, მეოცე საუკუნის მიმატებით.**

მართლაც, ამერიკის აღმოჩენა და საერთოთ დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები—ღრმა მნიშვნელობის მოვლენაა.

ამ აღმოჩენებს დიდი ეკონომიური მნიშვნელობა ქონდა, მან დაასრულა ის სამეურნეო განვითარების პროცესი, რომელიც ევროპის ქვეყნებში ორი საუკუნით ადრე დაიწყო და სრული სამეურნეო გადატრიალება მოახდინა, რასაც ცხოვრების სხვადასხვა მხრის შეცვლა მოყვა.

ახალი ქვეყნების აღმოჩენამ სავსებით შესცვალა ევროპიელთა წარმოდგენა მსოფლიოზე

ასე რომ, ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენიდან ახალი ისტორიის დაწყება არ არის მოკლებული ერთგვარ საფუძველს. **მაგრამ** ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ მე-XV საუკუნის გასულს ისპობა ყველაფერი ის, რითაც საშვალო საუკუნეების ევროპა ცხოვრობდა. **ამ** მხრით, რასაკვირველია, შეუძლებელია, რომ მე-XV საუკუნის გასული, ე. ი. დრო დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებისა, გაუვალ საზღვრათ დავდვათ საშვალო საუკუნეებსა და ახალ ისტორიას შორის. პირიქით, ის მოვლენები, რომლებიც თავისი წარმოშობით საშვალო საუკუნეებს ეკუთნიან, განაგრძობდენ თავის არსებობას ახალ ისტორიაშიც. ფეოდალური წესწყობილების ნაშთებმა **საფრანგეთში** დიდ რევოლიუციამდი მოატანეს, ხოლო ევროპის დანარჩენ კუთხეებში კიდევ უფრო გვიან მოისპენ.

პირიქით, ის მოვლენები, რომლებიც ახალი ისტორიის დამახასიათებელ მოვლენებათ ითვლებიან, მაგ., ფულის მეურნეობა, ქალაქური

ცხოვრების განვითარება, ახალი, ჰუმანისტური მსოფლმხედველობა მე-XV საუკუნეზე უფრო ადრე წარმოიშვენ ევროპის ცხოვრებაში.

თვით ახალ ისტორიას, რომელიც ოთხ საუკუნეზე მეტს შეიცავს, ორ ნაწილათ ყოფენ და **ახალი ისტორიის** იმ **პერიოდს, რომელიც საფრანგეთის დიდი რევოლიუციიდან იწყება, უახლეს ისტორიას უწოდებენ.**

---

## სამეურნეო გადატრიალება დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები და მისი შედეგები.

1 **ნატურალური მეურნეობის დარღვევა.** საშუალო საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში ნატურალური მეურნეობა არსებობდა. ყოველგვარი საჭირო საქონელი, ნივთი შინ მზადდებოდა — შინაური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ. ბაზარზე გასატანათ, გასაყიდათ საქონელს იშვიათათ ამზადებდენ; არც არსებობდა ფართო ბაზარი საქონლის გასაღებლათ. ვაჭრობას, ალებ-მიცემობის საქმეს ნაკლები ყურადღება ჰქონდა მიქცეული. უპირატესობა იმ დროს სოფლის მეურნეობას ჰქონდა მინიჭებული. მაშინდელი საზოგადოებრივი მეურნეობის და წესწყობილების საფუძველი სხვილი მიწისმფლობელობა იყო. ამიტომ მთელი ყურადღება მიწისმფლობელობისა და მიწის დამუშავებისაკენ იყო მიპყრობილი

მიწა და მასთან ერთად სოციალური და პოლიტიკური ძალა-უფლება კი ეკლესიისა და ფეოდალური თავად-აზნაურობის ხელში იყო.

იმ დროს მთელი დასავლეთი ევროპა მრავალ პატარ პატარა კუთხეთ იყო დაყოფილი და ყოველი ასეთი კუთხე კარჩაკეტილათ ცხოვრობდა. ერთ კუთხეს მეორე კუთხესთან, ან სხვა რომელიმე უცხო ქვეყანასთან ხშირი მიმოსვლა ვაჭრობა, ალებ-მიცემობის მიზნით არ ჰქონდა.

სწორეთ ასეთი სამეურნეო ცხოვრების ფორმაზე აშენდა ის წესწყობილება, რომელსაც ფეოდალური წესწყობილება ეწოდება.

მაგრამ **საშუალო საუკუნეთა გასულს ნატურალური მეურნეობა დაირღვა.** ევროპა გამოვიდა იმ სამეურნეო კარჩაკეტილობიდან, რომლითაც ის საშუალო საუკუნეებში იყო შეზღუდული ამ დროს ფეხი მოიდგა ვაჭრობამ; მისი ასპარეზი მალე გაფართოვდა, გაიხსნა ახალი სავაჭრო გზები და გახშირდა მიმოსვლა სხვადასხვა ქვეყანასთან სავაჭრო მიზნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* 2 **ქალაქები და ქალაქური ცხოვრება.** მე-XIII და მე-XIV საუკუნეებში სოფლის სამეურნეო ცხოვრების გვერდით თანდათან გაიზარდა ქალაქური ცხოვრება, რომელსაც ახალი სამეურნეო მოთხოვნილებანი დაებადა. საშვალო საუკუნეთა პირველ ნახევარში ქალაქები იშვიათი მოვლენა იყო.

ქალაქები იქმნებიან ხოლმე ვაჭრობისა და წარმოების აღორძინებით, ხოლო საშვალო საუკუნეების პირველი ნახევარი არ იცნობდა არც ერთსა და არც მეორეს. აღორძინებულმა ვაჭრობამ გაამდიდრა უპირველეს ყოვლისა მოქალაქენი, რომელთა ყველაზე უფრო გავლენიან ნაწილსაც ვაჭრები შეადგენდენ. ამ ხანებში ქალაქმა მრავალი მცხოვრები მიიზიდა, იგი სავაჭრო მოღვაწეობის ცენტრათ გახდა.

პირველ ხანებში ქალაქი მცირედი რითმე თუ განსხვავდებოდა სოფლისაგან. სოფლის გლეხებივით მოქალაქენიც, ზოგიერთ შემთხვევაში, მიწის დამუშავებას მისდევდენ. როგორც სოფლის, ისე ქალაქის მცხოვრებნიც ფეოდალს, სენიორს ექვემდებარებოდენ და მის სასარგებლოთ სხვადასხვაგვარ გადასახადს იხდიდენ. მაგრამ ქალაქის მცხოვრებთა ქონებრივი ძლიერება გამუდმებით იზდება და ამასთან ერთად სუსტდება ქალაქის დამოკიდებულება იმ სენიორისაგან, რომლის მიწაზედაც ის იყო გაშენებული. ზოგან ფულით გამოყიდვის შემწეობით, ზოგან პირდაპირი ბრძოლით, მოქალაქეები უფროდაუფრო მეტ დამოუკიდებლობას იძენდენ თავის შინაურ საქმეებში და აფართოებდენ სავაჭრო მოღვაწეობას.

შუა და სამხრეთ ევროპაში დიდი სისწრაფით გაიზარდენ და ვაჭრობა-მრეწველობის ცენტრებათ გადაიქცენ შემდეგი ქალაქები: ვენეცია, გენუა, მილანი, ლიონი, ტულუზა, ბორდო, პარიზი, კიოლნი, სტრასბურგი და სხვ.

განსაკუთრებული ბრწყინვალე ხანა დაუდგათ ქალაქებს ჯვაროსნული ომების შემდეგ, როდესაც დასავლეთი და აღმოსავლეთი ერთმანეთს შეხვდენ, როდესაც დასავლეთი ევროპა აღმოსავლეთის ქვეყნებს დაუახლოვდა და მათთან სავაჭრო კავშირი გააბა. დასავლეთი ევროპის აღმოსავლეთ ქვეყნებთან დაახლოვებამ წარმოშვა გაცხოველებული მსოფლიო ვაჭრობა, აღებ-მიცემობა, დ ამან კი საგრძნობლათ გაარღვია ნატურალური მეურნეობის კედელი, მას უკვე საფუძველი გამოუთხარა და დასაბამი მისცა ფულის მეურნეობას.

იტალიის, საფრანგეთისა და ზედა გერმანიის ქალაქებში, რომლებიც

დიდის ინტერესით ჩაებენ ამ მსოფლიო ვაჭრობის საქმეში, ვაჭართა და მრეწველთა რიცხვი საგრძნობლათ გაიზარდა

ვაჭრისთვის აღარ არსებობდა არავითარი დაბრკოლება, რაკი საქმე გამდიდრებასა და ფულის შეძენას შეეხებოდა. ის უშიშრათ მიისწრაფოდა შორეულ ქვეყნებში სამოგზაუროთ, სავაჭრო მიზნით. ვაჭრობა იმ დროს ყველაზე უფრო მოგებიან ხელობათ ითვლებოდა და ამ საქმეში დახელოვნებული ვაჭრებიც დიდ ფულსა და სიმდიდრეს იძენდენ.

მაგრამ უდიდესი მნიშვნელობა იმ მსოფლიო ვაჭრობის განვითარებაში, რომელიც აღმოსავლეთის ქვეყნებთან გაცხოველებული ვაჭრობის ნაყოფი იყო, იტალიის ქალაქებს ქონდათ.

* 3. **იტალიის ქალაქების მნიშვნელობა მსოფლიო ვაჭრობის განვითარებაში.** ჩრდილო და შუა იტალიის ქალაქებში მსოფლიო ვაჭრობის აღორძინება-აყვავებას ხელს უწყობდა ამ ქალაქების განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობა. ინდოეთისაკენ საზღვაო გზის და ამერიკის აღმოჩენამდი უმთავრესი გზები, რომლებითაც ევროპიელები აღმოსავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობას აწარმოებდენ, ხმელთაშუა ზღვაზე იდვა. სწორეთ ამ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე იყო ის უმთავრესი სავაჭრო ადგილები, რომელთა შორისაც გაბმული იყო მსოფლიო ვაჭრობის ძაფები. ეჭვს გარეშეა, რომ იტალიის ქალაქები, რომელთა ვაჭრებიც უფრო ადვილათ გავიდოდენ ხმელთაშუა ზღვაში, უფრო დიდ როლს შეასრულებდენ მსოფლიო ვაჭრობის განვითარების საქმეში, ვიდრე ზედა გერმანიის ქალაქები. ეს უკანასკნელნი უფრო შორს იყვენ ხმელთაშუა ზღვიდან, რომელსაც მაშინ მსოფლიო ვაჭრობის გზები სერავდა.

ვენეციელი ანუ გენუელი სავაჭრო გემი გადასცურდებოდა ხმელთაშუა ზღვაზე და პირდაპირ მიადგებოდა აზიის დასავლეთ სანაპიროებს, ესტუმრებოდა იმ სავაჭრო ადგილებს, სადაც მოქონდათ აღმოსავლეთის და განსაკუთრებით ინდოეთის საქონელი. ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ სანაპიროზე სავაჭრო გემი მიადგებოდა ალექსანდრიას; აქ მას დახვდებოდა ინდოეთიდან შემოტანილი საქონელი, რომელსაც იტალიელი ვაჭარი დიდი სიხარბით ეტანებოდა და ევროპის ბაზარზე გადმოქონდა.

იტალიის ქალაქები: ვენეცია, გენუა, ფლორენცია, მილანი დ სხვ. ერთგვარი შუამავლები იყვენ იმ მსოფლიო ვაჭრობის საქმეში, რომელიც გაჩაღდა მას შემდეგ, რაკი ევროპა და აღმოსავლეთის ქვეყნები ერთმანეთს დაუახლოვდენ. განსაკუთრებით ვენეციამ ჩაიგდო ხელში აღმოსავლეთისა და უმეტეს ნაწილათ ინდოეთის საქონლის შემოტანა ევროპაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვენეცია დიდ დახმარებას უწევდა ჯვაროსანთა ლაშქარს. მას კარგათ ესმოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნებოდა წინა აზიაში ევროპიელების გაბატონებას. ის თვით ცდილობდა ამ დროს წინა აზიაში მაგრათ ფეხის მოკიდებას; კიდეც დიდი უპირატესობა მიენიჭა მას სირიის ქალაქებში, სადაც ვაჭრობის საქმე ვენეციელებმა ჩაიგდეს ხელში დ იქიდან აღმოსავლეთის საქონლის გამოზიდვა დაიწყეს.

ასეთი იყო ვენეციისა და საერთოთ იტალიის ქალაქების მნიშვნელობა ახალი სავაჭრო გზების აღმოჩენამდი.

**4. ახალი სავაჭრო გზების ძებნა და დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები.** მე-XV საუკუნეში დაბეჯითებით დაიწყეს ახალი სავაჭრო გზების ძებნა. განსაკუთრებით, პირდაპირ აუცილებელი შეიქნა ინდოეთისაკენ საზღვაო გზის მოძებნა — აღმოჩენა.

ქალაქური ცხოვრების წარმოშობამ, ქალაქებში მდიდრულის, ფუფუნებითი ცხოვრების განვითარებამ თანდათან გააფართოვა მოთხოვნილება, გემოვნება დასავლეთ ევროპის ადამიანისა. აუარებელი იხარჯებოდა იმ დროს შაქარი, ჯაოზი; მიხაკი, პილპილი და სხვა სურნელი სანელებელი. ყველაფერი ეს კი ინდოეთიდან შემოქონდათ ევროპაში: ამ საქონელს ვენეციელები იძენდენ ქ. ალექსანდრიაში, სადაც ის ინდოეთის ან არაბეთის ვაჭრებს ჯერ გემებით ადენში და შემდეგ კი ხმელეთის გზით მოქონდათ ხოლმე ინდოეთის მთავარი ცენტრიდან, კალკუტიდან.

ბიზანტიის იმპერიის დაცემისა და წინა აზიაში თურქების გაბატონების შემდეგ, ევროპაში დაიბადა ერთგვარი შიში იმ სავაჭრო გზის დაკარგვისა, რომელიც აღმოსავლეთიდან და კერძოთ ინდოეთიდან აზიაზე გადმოდიოდა და ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ და სამხრეთ სანაპიროებს მოაწყდებოდა. ამ სავაჭრო გზის დაკარგვა კი აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ევროპის ჩამოშორებას და ევროპასა და აღმოსავლეთს შორის სავაჭრო კავშირის გაწყვეტას ნიშნავდა.

საჭირო იყო აღმოსავლეთისაკენ, ინდოეთისაკენ, ახალი, — საზღვაო გზის აღმოჩენა. ასეთი გზა კი, ევროპიელების წარმოდგენით, მივიდოდა ინდოეთში ატლანტის ოკეანით და აფრიკის სამხრეთ სანაპიროებზე შემოვლით. იმ საოკეანო მოგზაურობას, რომელიც მე-XV საუკუნის გასულს ინდოეთისაკენ საზღვაო გზის და ამერიკის აღმოჩენით დაგვირგვინდა, სათავეში ჩაუდგენ პირინეის სახელმწიფოები პორტუგალია და ისპანია.

ამ ხანებში ზღვაოსნობა წინა დროსთან შედარებით [illegible] განვითარდა. კომპასის გამოგონებამ და მისმა გაუმჯობესებამ მეზღვაურებს საშვალება მისცა ღამე და ნისლიან ამინდებშიც ადვილათ გაეკვლიათ გზა თვალუწვდენელ ოკეანის სივრცეზე.

**კომპასის გამოგონება.** ძველათ და საშვალო საუკუნეებში მეზღვაურები ვერ ბედავდენ შუაგულ ზღვაში შესვლას და ხმელეთის ნაპირების მოშორებას, რადგან გაშლილ ზღვაში გზის დაკარგვისა ეშინოდათ. ამიტომ ძველათ ზღვაოსნობა იმ ქვეყნებში ვითარდებოდა, რომლებიც ხშირი კუნძულებით მოფენილი ზღვის ნაპირას მდებარეობდენ, რადგან ასეთ ზღვაში ერთი კუნძულიდან მეორე კუნძულთან მისცურდებოდენ და გზას ადვილათ იკვლევდენ. (ასეთი იყვნენ, მაგ. ეგეოსის ზღვის სანაპიროებზე მდებარე ქვეყნები). მე-XIV საუკუნეში იტალიელმა ფლავიო-ჯიოვიომ პირველათ ისარგებლა ანდამატის ისრის იმ თვისებით, რომ ის მუდამ ჩრდილოეთისაკენ მისჩერებია და მოაწყო კომპასი, რომლის საშვალებითაც შესაძლებელი იყო გზის გაკვლევა შუაგულ ზღვაში.

ჯერ კიდევ მე-XV საუკუნის პირველ ნახევარში პრინცის ჰენრიხ პორტუგალიელის თაოსნობით, რომელმაც ისტორიაში „მეზღვაურის" სახელწოდება მიიღო, პორტუგალიელი მეზღვაურები აფრიკის დასავლეთ სანაპიროებისაკენ მოგზაურობდენ. მთელი ოცი წლის განმავლობაში პრინცის ჰენრიხ მეზღვაურის ხელმძღვანელობით პორტუგალიელმა მეზღვაურებმა აფრიკის დასავლეთ სანაპიროებზე შემდეგი კუნძულები აღმოაჩინეს: მადეირა, აზორის და კანარის კუნძულები მწვანე კონცხი — და გვინეის ჩრდილო სანაპიროებს მიაწიეს.

პორტუგალიელთა უმახლობელეს მიზანს შეადგენდა აფრიკის სამხრეთ სანაპიროების მოძებნა და ამ სანაპიროების შემოვლით ინდოეთს მისვლა.

მე-XV საუკუნის გასულს ევროპიელთა ეს დიდი ხნის სურვილი შესრულდა. პირველათ 1486 წელს **ბართლომე დიასმა** მიაწია აფრიკის სამხრეთ სანაპიროებს, რომელსაც „კეთილი იმედის კონცხი" უწოდა; **ხოლო 1498 წ. ვასკო-დე-გამამ შემოუარა აფრიკის სამხრეთ სანაპიროებს, გადასცურა ინდოეთის ოკეანე, და პორტუგალიის პატარა ფლოტი მიადგა კალკუტას — ინდოეთის უმთავრეს სავაჭრო ცენტრს.**

თითქმის იმავე დროს, როდესაც პორტუგალიელნი გაფაციცებით ეძებდენ საზღვაო გზას ინდოეთისკენ, და ექვსი წლით უფრო ადრე ვასკო-დე-გამას აღმოჩენამდი, ისპანელებმა აღმოაჩინეს ახალი, ევროპიელთათვის იმ დრომდი სრულიად უცნობი ქვეყანა — ამერიკა. ის ადამიანი,

რომელმაც ეს ახალი ქვეყანა აღმოაჩინა 1492 წელს, შთამომავლობით იტალიელი იყო, ქ. გენუის მცხოვრები, ქრისტეფორე კოლუმბი. ამ გაბედულმა მეზღვაურმა შესცურა ოკეანეში ევროპიელთა დიდი ხნის სურვილის შესასრულებლათ - ინდოეთისაკენ საზღვაო გზის აღმოსაჩენათ. მან წინდაწინვე გამოიანგარიშა, რომ ინდოეთისა და აღმოსავლეთი აზიის სანაპიროებს მიადგებოდა იმ შემთხვევაში, თუ ატლანტის ოკეანის დასავლეთის მიმართულებით წავიდოდა. მაგრამ ამ მიმართულებით ის მიადგა არა ინდოეთის სანაპიროებს, არამედ ახალი ქვეყნის-ამერიკის აღმოსავლეთ სანაპიროებს, თუმცა კოლუმბი სიკვდილამდი (1506 წ.) დარწმუნებული იყო, რომ მან აღმოაჩინა არა ის ქვეყანა, რომელიც დღეს ამერიკის სახელით არის ცნობილი, არამედ აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთის სანაპიროები. ამერიკისა და ინდოეთისაკენ საზღვაო გზის აღმოჩენის შემდეგ ევროპიელებმა თანდათან მსოფლიოს დანარჩენი ნაწილებიც აღმოაჩინეს. მეზღვაურობისა და ახალი ქვეყნების ძიების წყურვილი დიდათ გაიზარდა ამ დროს ბ 1519 წ. ისპანელმა მეზღვაურმა მაგელანმა პირველათ შეასრულა ქვეყნის გარშემო მოგზაურობა.

**ნ. მექსიკისა და პერუს დაპყრობა.** მე-XVI. საუკუნ. პირველი მეოთხედის განმავლობაში ისპანელები მოგზაურობდენ კოლუმბის მიერ აღმოჩენილ ქვეყანაში და ეცნობოდენ ჩრდილო და სამხრეთი ამერიკის ჯერ კიდევ უცნობ, აღმოუჩენელ ადგილებს. ახლათ აღმოჩენილ ადგილებში ისპანელებმა გადასახლებაც ადრე დაიწყეს, ასე რომ მე-XVI საუკ. მეორე ნახევარში ახალ ქვეყნებში უკვე 150000-დი ისპანელი ცხოვრობდა. ისპანელთა პირველი მოსახლეობა კუნძულ ჰაიტზე (ისპანიოლა) გაჩნდა და აქედან ისინი თანდათან მეზობელ კუნძულებზე, უმთავრესათ კი პორტო-რიკოზე და კუბაზე გადადიოდენ.

ამ ხანებში ისპანელთ ყველაზე უფრო აინტერესებდათ ახალი ადგილების ხელში ჩაგდება - დაპყრობა, და მართლაც დაიპყრეს მალე ისპანელებმა კორტეცმა და პიზარომ ამერიკის შესანიშნავი კუთხეები: პირველმა 1519 წ. დაიპყრო მექსიკა, ხოლო მეორემ 1535 წ.—პერუ.

მექსიკა წარმოადგენდა ჩრდილო ამერიკის დიდ სამეფოს, სადაც რიგიანი სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობა არსებობდა. სახელმწიფოს სათავეში აცტეკების ტომი უდგა, რომელმაც ორასი წლით უფრო ადრე, კორტეცის მიერ ამ ქვეყნის დაპყრობამდი, მექსიკის მკვიდრი მცხოვრებნი იარაღით დაიმორჩილა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მექსიკა მეტათ მდიდარი ქვეყანა იყო სხვადასხვა მცენარეულობით: იქმოყავდათ სიმიდი, ბამბა დ სხვ. თვით მცხოვრებნი დახელოვნებული იყვენ ბამბეულის ქსოვაში.

კორტეცმა სულ 400 მეომარი ისპანელით დაიპყრო ეს დიდი სახელმწიფო, რომელშიც 200000 მცხოვრებზე მეტი ითვლებოდა. ახლათ დაპყრობილი მიწა-წყალი ისპანიის სამფლობელოთ გამოაცხადეს.

1535 წ. მეორე ისპანელმა, პიზარომ, მცირე რიცხოვანი ჯარით, დაიპყრო სამხრეთი ამერიკის სახელმწიფო — პერუ, რომელიც თავისი სივრცით, მცხოვრებთა სიმრავლით და თავისებური კულტურით, კორტეცის მიერ დაპყრობილ სახელმწიფოზე გაცილებით უფრო მაღლა იდგა.

ამ ქვეყნის კულტურა მხოლოდ უახლოეს ხანებში შეისწავლეს.

პერუს სოფლებში კერძო საკუთრებას მარტო სამკაულები თუ შეადგენდა, ყველაფერი დანარჩენი კი საზოგადო საკუთრებათ ითვლებოდა. მიწა საზოგადოების საკუთრებ ს წარმოადგენდა და თემური მიწისმფლობელობის ფორმები სავსებით დაცული იყო.

ხუროთმოძღვრების ხელოვნება განვითარებული იყო.

დიდი ტაძრები, მთავართა სასახლეები მოწმობდენ რომ ამ ქვეყნის მცხოვრებნი ტეხნიკური განვითარების მაღალ საფეხურზე იდგენ.

რკინის მაგიერ მცხოვრებნი ბრინჯაოს ხმარობდენ.

მთელი ძალა უფლება და სიმდიდრე ქვეყნისა მოსულის, დამპყრობელი ტომის — ინკების ხელში იყო.

დიდძალი სიმდიდრე, ოქრო ვერცხლი იშოვა პიზარომ პერუს დაპყრობის დროს.

დამპყრობელი ისპანელნი მ ვიდრ მცხოვრებლებს ათასგვარი მოთხოვნილებით, გადასახადით საშინლათ ავიწროებდენ.

ამგვარათ დაიპყრეს ისპანელებმა ორი უდიდესი კუთხე ჩრდილო და სამხრეთი ამერიკისა, რასაც მე-XVI საუკუნის განმავლობაში ამერიკის დანარჩენი კუთხეების დაპყრობა მოყვა.

**6 დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შედეგები.** ამ ახალ სამეურნეო ცხოვრებისთვის, რომელმაც ფეხი მოიდგა დასავლეთ ევროპაში მე-XIII XIV საუკუნეებში და რომელმაც საფუძველი გამოუთხარა ფეოდალური დროის ნატურალურ მეურნეობას, დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს პირდაპირ გადამწყვეტი მნიშვნელობა ქონდა. ამერიკასა და ინდოეთთან დაიწყო დიდი საახალშენო ვაჭრობა, რომელმაც მსოფლიო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჭრობის ფარგლები საგრძნობლათ გაფართოვა და თანდათან ევროპიელებს მსოფლიო ბატონობა მიანიჭა. ამ გაძლიერებული საზღვაო ვაჭრობის, **მსოფლიო ალებ-მიცემობის ასპარეზათ გადაიქცა ევროპის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი და უმთავრესათ ის ადგილები, რომლებიც ატლანტის ოკეანეზე იყო მიკრული.** სწორედ ამ ოკეანეზე გადადიოდა ახალი სავაჭრო გზები და მსოფლიო ვაჭრობის სადავეები ხელში უნდა დაეჭირათ იმ სავაჭრო ადგილებს, რომლებიც ატლანტის ოკეანის აღმოსავლეთ სანაპიროებზე იყო გაშენებული.

იტალიის ქალაქების – ვენეცია- გენუის წინანდელი მნიშვნელობა ლისაბონსა და ანტვერპენს მიენიჭა; რადგან ხმელთაშუა ზღვამ დაკარგა თავისი მნიშვნელობა, როგორც მსოფლიო ვაჭრობის ასპარეზმა და ასეთ ასპარეზათ ატლანტის ოკეანე გადაიქცა.

ახალი ქვეყნებიდან, ახალი სავაჭრო გზებით, ევროპაში შემოვიდა ახალი საქონელი შაქარი და თამბაქო მასიური მოთხოვნილების და აუცილებელი საჭიროების საგნებათ გადაიქცა; ამ საქონლის შემოზიდვამ კი გააძლიერა საოკეანო ვაჭრობა.

ისპანიას ამერიკიდან მრავალი ძვირფასი ლითონი – ოქრო დ ვერცხლი შემოქონდა. განსაკუთრებით იმატა ოქრო ვერცხლის შემოტანამ ამერიკიდან მას შემდეგ, რაც 1545 წ მექსიკაში და პერუში ოქრო-ვერცხლის მადნეულობა აღმოაჩინეს და ამ მადნეულობის დასამუშავებლათ იქ გერმანელები მიიწვიეს, რომლებიც მადნეულობის დამუშავების საქმეში გაწვრთნილი იყვნენ.

ძვირფასი ლითონის მრავლათ შემოტანამ ევროპაში დიდათ შეუწყო ხელი ფულის მეურნეობის განვითარებას, რომელმაც ჯერ კიდევ უფრო ადრე დასცა საშუალო საუკუნეთა ნატურალური მეურნეობა. ასე რომ **ამერიკის ოქრომ მთელი სამეურნეო გადატრიალება მოახდინა ევროპაში.**

ოქრო-ვერცხლის რაოდენობის ასეთ სწრაფ ზრდას თუ დიდი დამტკიცებითი მნიშვნელობა ქონდა სამეურნეო განვითარებისთვის, მას უარყოფითი მხარეც დიდი ქონდა. ფულის ღირებულებამ საგრძნობლათ დაეცა; ფულის ღირებულების დაცემამ კი საქონელზე ფასების აწევა გამოიწვია და ეს საზარალო და პირდაპირ გამანადგურებელი იყო საზოგადოების მრავალი წრისთვის. ფულის ღირებულების დაცემა და სხვადასხვა საქონელზე ფასების აწევა ისეთი სისწრაფით ხდებოდა იმ დროს, რომ ზოგიერთები ამ მოვლენას „ფასების რევოლიუციას“ უწოდებენ.

საზღვაო გზა ინდოეთისაკენ და ამერიკა პორტუგალიელებმა და ისპანიელებმა აღმოაჩინეს, ამიტომ მე-XVI საუკუნეში ისინი შეიქნენ უმთავრეს მეახალშენე და მოვაჭრე ქვეყნებათ. მაგრამ ისპანიელები ნაკლები მეახალშენეები გამოდგენ და არა თუ ახალ ქვეყნებში ვერ ჩაუყარეს მტკიცე საფუძველი მიწისმოქმედების კულტურას და მრეწველობას, არამედ საკუთარ ქვეყანაშიც საგრძნობლათ დასცეს მეურნეობა, მრეწველობა. ისპანიელებმა თავისი იმ დროინდელი საზოგადოებრივი წესწყობილება, მთელი მისი ნაკლულევანებით, ამერიკაში გადაიტანეს და, ერთი მკვლევარის არ იყოს, ის წესწყობილება, რომელიც ისპანიელების გავლენით ახალ ქვეყანაში აღორძინდა იყო ძველი წესწყობილება მსოფლიოს ახალ ნაწილში.

არც პორტუგალიელნი გამოდგენ კარგი მეახალშენენი. მათ მალე დაიმორჩილეს იარაღით ინდოეთის უმთავრესი სავაჭრო ადგილები: კალკუტა, გოა, ორმუზი, დიუ და სხვ. მთელი მე-XVI საუკუნის განმავლობაში აღმოსავლეთის ვაჭრობა მათ ხელში იყო. ამ ხნის განმავლობაში მათ შემოქონდათ ევროპაში ინდოეთის საქონელი (სპილოს ძვალი, ძვირფასი ლითონები, აბრეშუმი და სხვ.), მაგრამ მხოლოდ შემოქონდათ, და მის გასაღებაზე ევროპის სხვადასხვა ადგილას ნაკლებათ ზრუნავდენ — არც შესწევდათ ამის უნარი. ინდოეთის საქონლით დატვირთული გემები მიადგებოდენ ლისაბონს, აქ კი ამ საქონელს გერმანიის, ჰოლანდიის, ინგლისის ვაჭრები იტაცებდენ და გასასაღებლათ ევროპის ბაზარზე გაქონდათ. ამიტომ **თანდათანობით საახალშენო ვაჭრობა ჰოლანდიისა და ინგლისის ხელში გადავიდა**

ასეთი მნიშვნელობა ქონდა ახალი სავაჭრო გზების გახსნას და დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს ევროპისთვის. **ამან სავსებით შესცვალა წინანდელი მეურნეობა და** ახალ სამეურნეო ცხოვრებას, **ფულის მეურნეობას გაუხსნა გზა.** ამ ახალი სამეურნეო ცხოვრების წიაღიდან წარმოიშვა ახალი კულტურა, ახალი განათლება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა




დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები.

ისპანელთა და პორტუგალელთა ახალშენები XVI საუკუნეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალი კულტურა და ახალი განათლება.

* **1, ახალი მსოფლმხედველობის წარმოშობა. ჰუმანიზმი.** საშუალო საუკუნეთა მსოფლმხედველობას ახასიათებს ამქვეყნიურ ცხოვრებაზე ის შეხედულება, რომელიც ქრისტიანული სარწმუნოების შეგნებიდან გამომდინარეობს.

საშუალო საუკუნეთა ადამიანების აზრით ამქვეყნიურ ცხოვრებას ცოდვის ბეჭედი აზის; ეს ქვეყანა ბუდეა მაცთურებისა და ბოროტების; ეს ქვეყანა ეშმაკის სამფლობელოა. ამიტომ ადამიანი უნდა ისწრაფოდეს იმიერი ქვეყნისაკენ, ღვთის სახელმწიფოსაკენ. მან ამქვეყნიური ცხოვრება უნდა შესწიროს საიქიოსათვის მომზადების საქმეს. ამქვეყნიური ცხოვრება დროებითია, იმქვეყნიური კი — მარადიული. ამქვეყნიურ ცხოვრებაში ადამიანი ბოროტების მეტს ვერას შეხვდება; საიქიოს კი იგი ნეტარ ცხოვრებას დაიმკვიდრებს.

ქრისტიანული სარწმუნოების ასეთ შეგნებაზე აღმოცენდა ასკეტიური იდეალი, რომელიც საშუალო საუკუნეთა ადამიანს ამქვეყნიურ ცხოვრებიდან გაქცევაზე, ბერობა-განდეგილობაზე და საიქიო ცხოვრებისთვის მომზადებაზე მიუთითებდა.

ადამიანს იმქვეყნიური ცხოვრებისთვის კათოლიკური ეკლესია ამზადებს, — აქედან დაიბადა საშუალო საუკუნეთა საზოგადოებაში აზრი მთელ მსოფლიოზე კათოლიკური ეკლესიის ბატონობის შესახებ — აზრი თეოკრატიისა. თეოკრატიული იდეის მიხედვით მთელი მსოფლიო კათოლიკურ ეკლესიას უნდა დამორჩილებოდა. ამ ეკლესიას კი სათავეში პაპი უნდა დგომოდა, რომელიც ამ ქვეყნათ ქრისტეს მოადგილეთ ითვლებოდა.

ეკლესია არ ემორჩილება არავითარ საერო ძალა-უფლებას, პირიქით: „როგორც სული ბატონობს ხორცზე..., ისე ეკლესია — სამეფო ძალა-უფლებაზე“, — ასეთი იყო საშუალო საუკუნეთა თეოკრატიული შეგნება.

თეოკრატიულ-ასკეტიურმა იდეალმა, რომელიც კათოლიკურმა ეკლესიამ წამოაყენა, სავსებით შებოჭა საშუალო საუკუნეთა ადამიანი; მისი გრძნობის თავისუფლათ გაშლას იგი წინ ეღობებოდა.

ადამიანის აზროვნებას რკინის სალტეებივით შემოერტყა კათოლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციზმის დოგმატები. კათოლიკურმა სარწმუნოებამ რამდენიმე საუკუნით შეაჩერა კაცობრიობის აზროვნების განვითარება.

ასეთი იყო საშვალო საუკუნეთა მსოფლმხედველობა-აზროვნება, რომელიც მე-XIV—XV საუკუნეებში დაირღვა.

ამ მსოფლმხედველობის საფუძვლები შეირყა ცხოვრების იმ ძირითადი ცვლილებით, რომელიც იმ სამეურნეო გადატრიალებამ და დიდმა აღმოჩენებმა გამოიწვიეს, რომლის შესახებაც ჩვენ ზევით ვლაპარაკობდით.

ახალი ცხოვრება და ახალი საზოგადოება პირველად ქალაქებში გაჩნდა. ქალაქი და ქალაქური ცხოვრება იყო ის გარემო, სადაც თავისი სამარე ჰპოვა საშვალო საუკუნეთა მსოფლმხედველობამ; მაგრამ იგივე ქალაქი შეიქნა იმ აკვნათ, სადაც აღიზარდა ახალი მსოფლმხედველობა, ახალი კულტურა.

ადამიანის გონებრივი განვითარება იმდენათ გაფართოვდა, რამდენათაც, სავაჭრო მიმოსვლის გაჩაღების გამო, მჭიდროთ და მტკიცეთ დაუკავშირდნენ ერთი მეორეს სხვადასხვა, ერთმანეთზე დაშორებული ოლქები და მთელი მხარეები. ცოდნათა განვითარების საჭიროება უფრო საგრძნობელი გახდა; ამაში კი დანარჩენ საზოგადოებაზე წინ მიდიოდა სავაჭრო კლასი.

ახლათ წარმოშობილი ქალაქის ბურჟუაზიის მისწრაფება-სურვილები სულ სხვა იყო, ვიდრე საშვალო საუკუნეთა ადამიანების ასკეტიური მისწრაფებანი. ვაჭარი სავსებით მიჯაჭვული იყო ამქვეყნიურ ინტერესებზე. ამქვეყნიური ინტერესები უფრო მაღლა იდგენ ვაჭრისთვის, ვიდრე იმქვეყნიური; მას ამქვეყნიური მოვლენები უფრო აინტერესებდენ და ის ამქვეყნათ ფიქრობდა ბედნიერების მოპოვებას.

ერთის სიტყვით შეიქმნა ახალი საზოგადოება, ახალი ადამიანი, რომელიც გათავისუფლებული იყო ეკლესიის ავტორიტეტისაგან.

ის ახალი მსოფლმხედველობა, რომელიც დასავლეთი ევროპის ქვეყნებში საშვალო საუკუნეთა გასულს წარმოიშვა, **აღორძინების ანუ ჰუმანიზმის** სახელით არის ცნობილი ისტორიაში.

**აღორძინება, როგორც განსაზღვრული ისტორიული მოვლენა, არის ის კულტურული მიმდინარეობა, რომელმაც დაასამარა საშვალო საუკუნეთა მსოფლმხედველობა და გაათავისუფლა ადამიანის პიროვნება და კულტურა საშვალო საუკუნეთა ბორკი-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ლებისაგან - კათოლიკური ეკლესიის ავტორიტეტისაგან და საფუძველი ჩაუყარა ახალ მეცნიერებას, საერო ფილოსოფიას, ლიტერატურას, შკოლას, ხელოვნებას.**

ცხადია, რომ ის კულტურული მოძრაობა, რომელიც აღორძინების სახელით არის ცნობილი, უფრო ადრე უნდა დაწყებულიყო, ახალი მსოფლმხედველობა უფრო ადრე უნდა წარმოშობილიყო იმ ქვეყანაში, სადაც უფრო ადრე გამოისახა ახალი სამეურნეო ცხოვრების პირობები. ასეთი ქვეყანა კი მაშინ იტალია იყო და სწორედ იტალია ითვლება აღორძინების, ახალი კულტურის, პირველ სამშობლოთ.

**2. ჰუმანიზმი იტალიაში.** იტალიაში უფრო ადრე, ვიდრე ევროპის დანარჩენ კუთხეებში, შეირყა საშუალო საუკუნეთა კულტურის საფუძვლები და ნიადაგი მომზადდა ახალი კულტურის განვითარებისათვის. ამის მიზეზები საკმაო იყო მაშინდელ იტალიაში.

ნატურალური მეურნეობის საზღვრები, რომელიც მთავარი საფუძველი იყო საშუალო საუკუნეთა საზოგადოებრივი ცხოვრებისა, ძალიან ადრე გადალახეს იტალიის დაწინაურებულმა კუთხეებმა. იტალიის ქალაქები—ვენეცია, გენუა, პიზა და სხვ., ჯერ კიდევ მე-XII—XIII საუკუნეებში, გამოვიდენ მსოფლიო ვაჭრობა, აღებ-მიცემობის ასპარეზზე. ეს ქალაქები უკვე ჯვაროსნული ომების დროს დაუახლოვდენ აღმოსავლეთის, აზიის ქვეყნებს და ამ ქვეყნებიდან ევროპის ქვეყნებისთვის სხვადასხვა საჭირო საქონლის გამოზიდვა იკისრეს.

ამ ფართო სავაჭრო განვითარების სოციალური და კულტურული შედეგებიც ადრე გამოისახა იტალიაში. იტალიის განთქმულ სავაჭრო ცენტრებში პირველათ გაჩნდა ახალი საზოგადოება. ეს ახალი საზოგადოება არ იყო კარჩაკეტილი, მსგავსათ ფეოდალური საზოგადოებისა, რომელიც თავის ვიწრო წრეს არ ცილდებოდა; მას არა თუ მახლობელ კუთხეებთან არამედ ევროპის შორეულ კუთხეებთანაც კი ქონდა სხვადასხვაგვარი ხასიათის კავშირი. ახალი ინტერესით გამსჭვალულ საზოგადოებრივ წრეებში თანდათანობით წარმოიშვა ახალი შეხედულება ცხოვრებაზე, ახალი იდეალები, ახალი აზროვნება. მათი აზრი გათავისუფლდა სხოლასტიური აზროვნებისაგან და მათში ჩაისახა ის საერო ხასიათის მსოფლმხედველობა, რომელიც სავსებით განსხვავდებოდა საშუალო საუკუნეთა სასულიერო მსოფლმხედველობისგან. ამ მსოფლმხედველობის გამომხატველნი იტალიაში ჰუმანისტები შეიქნენ.

იტალიის ჰუმანისტებმა ახალი მსოფლმხედველობა [illegible]ული ფორმებით გამოხატეს და ადამიანის აზროვნებას საერო ხასიათი, საერო მიმართულება მისცეს ამ ახალი მსოფლმხედველობის განმტკიცების დროს ჰუმანისტებს უხდებოდათ ბრძოლა ძველის, საშვალო საუკუნეთა მსოფლმხედველობის წინააღმდეგ. აქ კი საჭირო იყო მათ ერთგვარი დასაყრდნობი ეპოვათ, რაიმე იარაღი გამოენახათ ძველი აზროვნების წინააღმდეგ საბრძოლათ და ასეთი დასაყრდნობი მათ კლასიკურ კულტურაში პოვეს. ძველი საბერძნეთისა და რომის კულტურას საერო ხასიათი ქონდა და ამ მხრით იგი ეწინააღმდეგებოდა საშვალო საუკუნეთა კულტურას. ამგვარათ, იტალიელმა ჰუმანისტებმა ახალი მსოფლმხედველობა კლასიკური კულტურის საფუძვლებზე გაამაგრეს. ამ კულტურის სიახლოვე მათთვის უფრო ძლიერი და უფრო ცხოველი იყო, რადგან იტალიელს მუდამ თვალწინ უდგა ძველი რომის კულტურული ნაშთები. ქანდაკებანი, შენობათა ნანგრევები ათასი წლის სიშორიდან მეტყველებდენ ძველი რომის ყოფილი სიძლიერის შესახებ და მე-XIV – XV საუკუნის იტალიელს ვირგილიუსისა და ციცერონის სამშობლოს კულტურულ სიდიადეზე მოუთხრობდენ. ახალი კულტურის, ჰუმანისტური განათლების ცენტრებს მე-XIV – XV საუკ. იტალიაში წარმოადგენდენ ვენეცია, რომი, ლორენცია. განსაკუთრებით ფლორენცია გახდა ჰუმანიზმის ნამდვილ ცენტრათ. იგი შეიქნა გამოჩენილი ჰუმანისტების სამშობლოთ. შესანიშნავი ჰუმანისტები პეტრარკა, ბოკაჩიო, მაკიაველი და სხვ. ფლორენციელები იყვენ.

3. პეტრარკა. ნაადრევი ჰუმანიზმი მე-XIV საუკუნეში ჩაისახა იტალიაში. ამ ნაადრევი იტალიური ჰუმანიზმის საუკეთესო წარმომადგენელია ფრანჩესკო პეტრარკა (1304 – 1374 წ.) პეტრარკას პირველ ჰუმანისტს, „ახალი დროის პირველ ადამიანს" უწოდებენ და სწორეთ ამაშია პეტრარკას პიროვნების ისტორიული მნიშვნელობა. პეტრარკამ დიდის გამჭრიახობით შეკრიბა ის აზრები და გრძნობები, რომელიც ჩასახული იყო მაშინდელ საზოგადოებაში, მაგრამ ჯერ კიდევ გარკვეული ფორმებით არ იყო გამოხატული; მან ნათლათ გამოსახა „ახალი ადამიანის" გრძნობები და სულისკვეთება.

პეტრარკა ფლორენციელი იყო. თანახმათ მამის სურვილისა, ის სწავლობდა სამართლის მეცნიერებას მონპელიეში და ბოლონიაში. მაგრამ თავიდანვე მას უფრო პოეზია და კლასიკური ლიტერატურა იზი-

დავდა, რომელსაც ის მთელ თავის სიცოცხლეში განსაკუთრებული ინტერესით სწავლობდა. უმთავრესი ნაწილი თავისი სიცოცხლისა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის წლები, მან ავინიონში გაატარა, სადაც მაშინ პაპის რეზიდენცია იყო. 1353 წ. სამუდამოთ დასტოვა საფრანგეთი და იტალიაში გადასახლდა. პეტრარკას სალიტერატურო მოღვაწეობას დიდი ნაციონალური მნიშვნელობა აქვს; მან დაამკვიდრა იტალიურ ლიტერატურაში ნაკიონალური იტალიური ენა; მისი წვრილი ლირიკული ლექსები, რომლებითაც უმთავრესათ დღეს ცნობილია პეტრარკა, იტალიურ ენაზეა დაწერილი. პეტრარკა დიდის ინტერესით სწავლობდა კლასიკურ კულტურასა და მდიდარ ლიტერატურას. ის აგროვებდა რომაული კულტურის სხვადასხვა ნაშთს, — განსაკუთრებით კი ლიტერატურულ ხელნაწერებს. გარდა იტალიურ ენაზე დაწერილის ლირიკული ლექსებისა, სონეტებისა, კანცონებისა, პეტრარკას დაუწერია ლათინურ ენაზე მრავალი სამეცნიერო თხზულება და სწორეთ ამ ლათინურათ დაწერილ თხზლებებზე აშენდა ის სახელი და დიდება, რომლითაც პეტრარკა სარგებლობდა თავის თანამედროვეთა შორის. დღეს პეტრარკას ამ ლათინურმა თხუზულებებმა დაკარგეს სამეცნიერო ღირებულება და მათ უკვე აღარავინ კითხულობს. იტალიურ ენაზე დაწერილ წვრილ სალირიკო ლექსებს კი, სადაც ის უმღერის თავის სატრფოს — ლაურას, ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს დღესაც, რადგან უმთავრესათ აქ არის გადაშლილი „ახალი დროის ადამიანის“ სულიერი ქვეყანა, მისი გრძნობათა მოძრაობის სამყარო.

პეტრარკას მნიშვნელობა, როგორც ჰუმანიზმის მამათმთავრისა, დიდია; მის თხზულებებზე აღიზარდა მისი მომდევნო მეცნიერ-ლიტერატორ ჰუმანისტთა თაობა. თვით თანამედროვეებს ძალიან კარგათ ესმოდათ პეტრარკას მნიშვნელობა და ქედს იხრიდენ მისი პიროვნების წინაშე. მაშინდელი გვირგვინოსნებიც კი ცთილობდენ პეტრარკას დამეგობრებას. თანამემამულეებმა ის 1341 წ. რომში — კაპიტოლიაში დაფნის გვირგვინით დააგვირგვინეს; ფლორენციელებმა კი პეტრარკას სახელზე კლასიკური ლიტერატურის კათედრა დაარსეს, რომელზედაც თვით იგი მიიწვიეს.

* 4. **ბოკაჩიო.** პეტრარკას თაობას ეკუთნოდა აგრეთვე მეორე შესანიშნავი წარმომადგენელი ნაადრევი ჰუმანიზმისა იტალიაში — ბოკაჩიო (1313 — 1375). ბოკაჩიო დიდის ინტერესით სწავლობდა კლასიკურ ლიტერატურას და კარგათაც იცნობდა მას. მიზანი სიცოცხლისა — ბედნიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებაა; ადამიანის ბუნება — კეთილშობილურია; პიროვნების სრულყოფა გამოიხატება მის ყოველმხრივ განვითარებაში — მისი სულიერი ძალების ამოქმედებაში და გრძნობათა სამყაროს განვითარება-გადმოშლაში. ასეთია ბოკაჩიოს საცხოვრებო ფილოსოფია. ამ შეხედულებამ თავისი გამოხატულება პოვა ბოკაჩიოს შესანიშნავ ნაწარმოებში „დეკამერონში", რომელიც პატარა მოთხრობათა კრებულს წარმოადგენს.

* 5. **ჰუმანიზმი XV საუკუნეში.** მე-XV საუკუნეში იტალიაში უკვე მოღვაწეობდა მთელი რიგი ფლორენციელი ჰუმანისტებისა, რომელთაც მფარველობას უწევდენ ფლორენციის მართველები — **მედიჩები:** **კოზიმო** და **ლორენცო**. კოზიმო მედიჩის (1389—1464) დროს მოღვაწეობდენ შემდეგი გამოჩენილი ჰუმანისტები: **ლეონარდო ბრუნი**, **პოჯიო**, **ფილელფო**. ამ დროის ჰუმანისტები ძლიერ გატაცებული იყვენ კლასიკური ენების შესწავლით და ძველი ლათინური ხელნაწერების მოძებნა-აღმოჩენით. მაგ., პოჯიომ აღმოაჩინა ამ დროს კვინტილიანის და ციცერონის სიტყვანი-ქადაგებანი. მაგრამ ჰუმანისტური აზროვნება უფრო მე-XV საუკ. მეორე ნახევარში მომწიფდა. ეს ის დრო იყო, როდესაც ჰუმანისტებს მფარველობდა მეორე გამოჩენილი მეცენატი **ლორენცო მედიჩი** (1448—1492). ამ დროს მოღვაწეობდენ: **მარსილიო ფიჩინო** — გამოჩენილი პლატონისტი (ფილოსოფოსის პლატონის მიმდევარი), რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე პლატონის შესწავლას შესწირა და ამ ფილოსოფოსის შესახებ მრავალი თხზულება დასწერა; **პიკო-დე-ლამირანდოლა** - ფილოსოფიისა და ებრაული ენის შესანიშნავი მცოდნე და სხვ. ამავე დროს ფლორენციაში დაარსეს პლატონის აკადემია, რომლის წევრებმაც მიზნათ დაისახეს არა თუ მარტო შესწავლა სახელოვანი ფილოსოფოსისა, არამედ მისი ზნეობრივი ნორმების ცხოვრებისთვის შეფარდებაც.

ნაადრევი ჰუმანისტებისგან პეტრარკა — ბოკაჩიოსაგან, მე-XV საუკუნის ჰუმანისტები იმით განსხვავდებოდენ, რომ მათში უკვე ადგილი აღარ ქონდა იმ სულიერ გაორებას, რყევას, რომელიც გარდამავალი ხანის ჰუმანისტებს ახასიათებდა. ის, რაც სწამდათ, რითაც ცხოვრობდენ საშვალო საუკუნეთა ადამიანები, თანდათან დავიწყებას ეძლეოდა, თანდათან გაუგებარი ხდებოდა.

6. **მაკიაველი.** მე-XV და XVI საუკუნეებში შეიცვალა აგრეთვე შეხედულება სახელმწიფოზე, წარმოიშვა ახალი პოლიტიკური მოძღვრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა. სახელმწიფოს შესახებ ამ ახალი შეხედულების გამომხატველი იყო იტა-ლიელი პოლიტიკური მოაზრე ნიკოლო მაკიაველი (1469—1527). ნიკოლო მაკიაველმა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია და სახელი გაითქვა თავისი შესანიშნავი თხზულებით, რომელსაც ეწოდება ტრაქტატი „მეფის შესახებ“ („il principe“) ამ ტრაქტატში წითელი ძაფივით არის გატარებული აბსოლიუტური მონარქიის აუცილებლობის აზრი, რომელიც მაშინ გავრცელებული იყო ევროპის სახელმწიფოებში. ეს ის დრო იყო, როდესაც სახელმწიფოების ფეოდალური დანაწილება ისპობოდა და მათი ტერიტორიალური გაერთიანება წარმოებდა; სამეფო ძალა-უფლება თანდათან ძლიერდებოდა, უზენაესობის სახეს ღებულობდა და განუსაზღვრელობისაკენ მიილტოდა. ამ მხრით მაკიაველის ტრაქტატი ერთგვარ სახელმძღვანელოთ შეიქნა მაშინდელი მეფეებისა და პოლიტიკური მოღვაწეებისათვის: ქარლოს V-ის, რიშელიეს, ლუდოვიკო XIV-ისა და სხვებისათვის, რომელნიც განუსაზღვრელი სამეფო ძალა-უფლების შექმნისაკენ მიისწრაფოდენ. მაკიაველის პოლიტიკური მოძღვრება ანტიურ სახელმწიფოებრივ შეგნებაზეა აგებული (თავის თხზულებას მან საფუძვლათ არისტოტელის პოლიტიკური თეორია დაუდვა); მასში ანტიური სახელმწიფოს სული სუფევს, რომელიც არ სცნობდა თავის გარეშე სხვა უზენაეს ძალას და სავსებით იმორჩილებდა პიროვნებას.

მაკიაველის შეხედულებით ყოველგვარი პიროვნული თავისუფლება უარყოფილია სახელმწიფოში. სახელმწიფო, მისი შეხედულებით, ის დაწესებულებაა, რომლის წინაშე ქრებიან კერძო პიროვნების სურვილები და მისწრაფებანი: ეს ის დაწესებულებაა, რომელსაც ყველა უნდა ემორჩილებოდეს. მაკიაველს სახელმწიფოზე გადააქვს ამ ქვეყნათ ის დიდი ავტორიტეტი, რომელსაც საშუალო საუკუნეთა მსოფლმხედველობა ეკლესიას აკუთნებდა. ყველაფერი, რაც ხელს უწყობს სახელმწიფო პოლიტიკის მიზნების განხორციელებას, კარგია; ყველაფერი, რაც რომ მას ეწინააღმდეგება, ცუდია. დასახული მიზნების მისაწევათ მთავრობას შეუძლია მიმართოს სიცრუეს, მოტყუებას, ვერაგობას, სისასტიკეს, ღალატს ზრუნვა იმისათვის, რომ ქვეშევრდომთა სიყვარული და ერთგულება მოიპოვოს, ზედმეტია მართველისათვის. ქვეშევრდომებს უნდა ეშინოდესთ მართველისა, ისინი ბრმათ უნდა ემორჩილებოდენ მას, საჭირო ფულსა და ჯარის კაცებს უნდა აძლევდენ მას.

ბედნიერი იქნება თუ არა ხალხი ასეთ მდგომარეობაში — მართველისათვის სულ ერთი უნდა იყოს. ასეთია ის შეხედულება, რომელიც გამოთქმულია მაკიაველის ტრაქტატში. ბევრი მაკიაველს თვლიდა ალმაშფოთებელის სახელმწიფო პოლიტიკის, უზნეობის მქადაგებლათ. მაგრამ უპირველეს ყოვლისა მაკიაველი თავისი დროის შეხედულებათა გამომხატველია, ცივსა და სასტიკ დებულებებში ის ხატავს თავისი საუკუნის სახელმწიფო სიბრძნეს. ამას გარდა, როდესაც მიკიაველი თავის ტრაქტატს სწერდა, მას მხედველობაში ქონდა უმთავრესათ თავისი სამშობლო, იტალიის მდგომარეობა; მას ამოქმედებდა იტალიის გაერთიანების სურვილი. რომელიც იმ დროს დანაწილებული იყო და სადაც მაშინ უცხოელები ბატონობდენ. ამგვარათ, მთავარი პოლიტიკური მიზანი მაკიაველისა იყო „იტალიის გათავისუფლება ბარბაროსებისგან“. ამ მიზნის განსახორციელებლათ კი მაკიაველი აუცილებლათ სცნობდა იტალიისათვის ისეთ დესპოტს, რომელიც მის ტრაქტატში გატარებული პრინციპების მიხედვით იმოქმედებდა.

* 7. **ხელოვნების აღორძინება იტალიაში.** აღორძინების ხანაში უმაღლეს წერტილამდი მიაღწია იტალიაში აგრეთვე ხელოვნების განვითარებამ. მე-XV საუკუნის გასულს დ მე-XVI საუკუნის დასაწყისს იტალიაში შესანიშნავი ხელოვანნი-ხუროთმოძღვარნი, მექანდაკენი, მხატვარნი — მოღვაწეობდენ. ამ დროს ხელოვნურ ნაწარმოებთა დიდი მოთხოვნილება არსებობდა და ხელოვანნი არა თუ მარტო ტეხნიკას აუმჯობესებდენ და ყურადღებას აქცევდენ ფერადების სიცხოველესა და გამოხატულებათა სინამდვილესთან დაახლოვებას, არამედ უმაღლეს იდეალურ მიზნებსაც კი ისახავდენ. როგორც აღორძინების ხანის ლიტერატორნი და მეცნიერნი, კლასიკურ ლიტერატურას, ისე ხელოვანნიც იდეალათ კლასიკურ ხელოვნებას თვლიდენ. თავისი გენიოსური ხელოვნური ქმნილებებით განსაკუთრებით სახელი გაითქვეს: ლეონარდო-და-ვინჩემ, მიქელ-ანჯელო ბუონაროტმა დ რაფაელ სანციომ.

**ლეონარდო-და-ვინჩე** (1452—1519) არა თუ მარტო გენიოსი მხატვარი და მოქანდაკე, არამედ შესანიშნავი მუსიკოსიც, პოეტიც, ბუნებისმეტყველიც, მექანიკოსიც და ინჟინერიც იყო. მას განცვიფრებაში მოყავდა თანამედროვენი თავისი მრავალმხრივი ცოდნით. როგორც ბრძენი ხელოვანი ლეონარდო დიდ მნიშვნელობას აძლევდა ცდასა და დაკვირვებას ხელოვნებაში. იგი დიდის ინტერესით სწავლობდა ადამიანის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხეულის ანატომიურ შენობას. **ლეონარდო-და-ვინჩის** ქმნილებებში განსაკუთრებით შესანიშნავია **„ჯიოკონდა“** და **„საიდუმლო სერობა“**. ორივე სურათს გენიოსი ხელოვანის შემოქმედების ბეჭედი აზის.

დიდი ნიჭით დაჯილდოებული და ყოველგვარის ცოდნით აღჭურვილი იყო აგრეთვე ლეონარდო-და-ვინჩის თანამედროვე, ფლორენციელი **მიქელ-ანჯელო ბუონაროტი** (1475—1564). ადამიანის ტიტველი ტანის ძლიერებისა და სილამაზის გამოხატვაში **მიქელ-ანჯელო** ყველაზე უფრო მიუახლოვდა ანტიურ ხელოვნებას. **მას** ეკუთვნის **მოსე** წინასწარმეტყველის შესანიშნავი ქანდაკება, სადაც ებრაელთა მრისხანე კანონმდებელი გამოხატულია რკინისებური დაჭიმული კუნთებით და მრისხანე გამომეტყველებით. **ასეთივეა მისი ქრისტე**, რომელიც გამოხატულია საშინელი სამსჯავროს სურათში **ვატიკანის სიქსტის** კაპელაში. აქ ქრისტე უფრო განრისხებულ **იუპიტერს** მოგვაგონებს.

მესამე შესანიშნავი იტალიელი ხელოვანი — მხატვარი **რაფაელ სანციო** (1483—1520) იყო. იგი თავის სურათებში ცხოველი ფერადებით, ნაზი მშვენიერებისა და ზეციური სათნოების გამომხატველია. მის ქმნილებათა შორის განსაკუთრებით ცნობილია **სიქსტის მადონა**.

8. **იტალიური ჰუმანიზმის საერთო დახასიათება.** ჰუმანისტური მსოფლმხედველობა უპირველეს ყოვლისა ხასიათდება ადამიანის პიროვნებისადმი და მისი შინაგანი ქვეყნისადმი განსაკუთრებული ინტერესით. ჰუმანისტებს სწამდათ ადამიანის ბუნების მაღალი ღირსებანი, — სწამდათ ისა, რომ ადამიანს აქვს უფლება თავისი ნიჭის თავისუფალი განვითარებისა და ბუნებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა. ადამიანის პიროვნებაზე ასეთი შეხედულება, რომელიც ჰუმანისტური მსოფლმხედველობის ქვაკუთხედს შეადგენს, სავსებით ეწინააღმდეგება საშვალო საუკუნეთა ასკეტიურ შეხედულებებს. როგორც ზევით აღვნიშნეთ, საშვალო საუკუნეებში ადამიანის ბუნებას ცოდვისა და მაცთურების წყაროთ სთვლიდენ; ადამიანის ბუნებისა და მის კანონიერ მოთხოვნილებათა წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლა იყო გამოცხადებული. როდესაც ჰუმანისტებმა ასეთ მოძღვრებასთან კავშირი გასწყვიტეს, მათ უნდა გამოენახათ ამ მოძღვრების წინააღმდეგ ბრძოლის დროს მტკიცე დასაყრდნობი საფუძველი, და ასეთი დასაყრდნობი მათ კლასიკურ ლიტერატურაში პოვეს. ღრმა ინტერესი და აღფრთოვანებული სიყვარული, კლასიკური კულტურისადმი ჰუმანისტური მოძრაობის დამახასიათებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვისებაა. ჰუმანისტები არა თუ მხოლოდ სწავლობდენ ბერძნულ და ლათინურ ენებს, ანტიურ ლიტერატურასა და ისტორიას, არამედ ეძებდენ კიდეც იქ იარაღს საშვალო საუკუნეთა კულტურის წინააღმდეგ საბრძოლათ.

როდესაც იტალიაში ახალი კულტურა უკვე თავისი განსაკურებული თვისებებით ჩამოყალიბდა, საჭირო შეიქნა განსაზღვრული ჯგუფი; განათლებულ ადამიანთა წრე, რომელიც მაშინდელ საზოგადოებაში ამ ახალ კულტურას გაავრცელებდა. ჰუმანისტების სახით ევროპას პირველათ მოევლინა მოწინავე აზრების მატარებელ ადამიანთა ასეთი ჯგუფი, ანუ ინტელიგენცია. ამ ახალ ძალას — ინტელიგენციას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცა ევროპის ცხოვრებაში. იგი მისდევდა საზოგადოებრივ აზრს: ამა თუ იმ მოვლენაზე განსაზღვრულ შეხედულებას ამყარებდა. ეს ძალა ახალი მოვლენა იყო ევროპის ცხოვრებაში, იგი ახალ კულტურასთან ერთად გაჩნდა, საშვალო საუკუნეები კი ასეთ ძალას არ იცნობდა. მაგრამ ერთი თვისება თავიდანვე თან დაყვა ამ ახლად გაჩენილ ინტელიგენციას და კერძოთ იტალიელ ინტელიგენციას — ჰუმანისტებს. ეს თვისება გამოიხატა მდაბიო ხალხისადმი, მასისადმი განწყობილებაში. ისინი საჭიროთ არა სთვლიდენ ხალხთან რაიმე კავშირის დაჭერას, პირიქით — მათ სძულდათ კიდეც ხალხი. მაგ., პეტრარკას ეზიზღებოდა ხალხი და მასთან ერთად სხვებიც აშკარათ გამოსთქვამდენ ასეთ ზიზღს. ჰუმანისტებს ადამიანათ არ მიაჩნდათ ის ადამიანი, რომელმაც ლათინური ენა არ იცოდა, რომელსაც ციცერონის ენაზე წერა არ შეეძლო, და აქედან ცხადია, თუ როგორი იქნებოდა მათი განწყობილება ხალხისადმი. ამგვარათ, ჰუმანისტებსა და ხალხს შორის გაუვალი უფსკრული იყო. ეს მე-XV საუკუნეში უკვე იგრძნეს, და იმის მაგიერ, რომ ხალხისათვის გაუგებარ ლათინურ ენაზე ეწერათ, იტალიურ ენაზე დაიწყეს წერა. საერთოთ ლიტერატურის დემოკრატიზაციით ახალი კულტურა ხალხს დაუახლოვეს და ამით ახალი კულტურა დაღუპვისაგან იხსნეს.

ამას გარდა კიდევ იტალიურ ჰუმანიზმს სხვა უარყოფითი მხარეები ქონდა. აქ უნდა მივუთითოთ იმ მოვლენაზე, რომელიც იმ დროს საერთოთ გავრცელებული იყო იტალიაში, — ეს **მეცენატობა** იყო. ჰუმანისტები თავისი მფარველის — მეცენატების, მთავრებისა და მეფეების წინაშე თავს იმცირებდენ, მათ ფეხთ ქვეშ ეგებოდენ და ქება-დიდებას ასხამდენ, რომ მათი ყურადღება დაემსახურებიათ და მათგან ჯილდო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფული მიეღოთ. ამიტომ იმდროინდელ ლიტერატურას მოსყიდვის ბეჭედი აზის. თუმცა ჰუმანისტების სასარგებლოთ უნდა ითქვას, რომ იმ დროს მხოლოდ ძალა-უფლების მქონე ადამიანებთან დაახლოებითა და დაკავშირებით შეეძლო არსებობა იმდროინდელ ლიტერატორებს.

**9. ჰუმანისტური განათლება იტალიის გარეთ.** ჰუმანისტურ მოძრაობას ყველაზე უკეთესი ნიადაგი იტალიაში ქონდა. იგი თავდაპირველად იტალიაში წარმოიშვა და სწორეთ ეს ქვეყანა ითვლება ახალი კულტურის სამშობლოთ. მაგრამ მე-XV საუკუნის მეორე ნახევარში და მე-XVI საუკუნის დასაწყისს ახალი გონებრივი მოძრაობის ტალღები იტალიის საზღვრებს გადაცილდა და ახალი განათლება ევროპის დანარჩენ კუთხეებშიც გავრცელდა. ევროპის სხვადასხვა კუთხეში და განსაკუთრებით კი გერმანულ ქვეყნებში ამ დროს ქალაქური ცხოვრება ვითარდებოდა, და ეს კი საუკეთესო ნიადაგი იყო ახალი განათლების გავრცელებისათვის. ამერიკის აღმოჩენამდი დიდ როლს ასრულებდა ხმელთაშუა ზღვა და უპირველეს ყოვლისა ქალაქური ცხოვრება გაჩაღდა ამ ზღვის პირზე გაშენებულ იტალიის ქალაქებში. გერმანია ამ სავაჭრო ცენტრებთან დაახლოვებული იყო, და სანამ ახალ სავაჭრო გზებს აღმოაჩენდენ, იგი, იტალიის ქალაქებთან ერთად, მსოფლიო ვაჭრობის ფერხულში იყო ჩაბმული — და აქ საქონლისა და ფულის ტრიალი ვითარდებოდა. ამგვარათ, გერმანიას იტალიასთან მჭიდრო კავშირი ქონდა და ამიტომ იტალიაში წარმოშობილი გონებრივი მოძრაობა ყველაზე უფრო გავრცელდა და შესაფერი ნიადაგი პოვა გერმანიაში და საერთოთ გერმანულ ქვეყნებში.

**10. ერაზმ როტერდამელი და ტომას მორუსი.** ჰუმანისტური განათლების მთავარ წარმომადგენლათ იტალიის გარეთ, მე-XVI საუკუნის დასაწყისს, ერაზმ როტერდამელი (1467—1536) ითვლება. ერაზმი შთამომავლობით ჰოლანდიელი იყო; იგი სწავლობდა ქიოლნსა და პარიზში, ერთხანს ლონდონსა და ოქსფორდში ცხოვრობდა და აგრეთვე იტალიაშიც მოგზაურობდა. ერაზმი მრავალმხრივი ცოდნით აღჭურვილი სწავლული იყო. ის უმთავრესათ ძველი ენებისა და ლიტერატურის მცოდნე იყო. ის აგრეთვე დიდის ინტერესით სწავლობდა წმ. მამათა ცხოვრებას და განსაკუთრებით კი ახალ აღთქმას. ერაზმის აზრით, სახარება ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს. მაგრამ ამისთვის საუკეთესო გზა მისი თავისუფლათ შესწავლაა. ამიტომ ერაზმი სახარე-

ბასაც იმგვარივე კრიტიკით ეპყრობა, როგორც კლასიკური მწერლების ნაწარმოებთა დედნებს. თავის შესანიშნავ სატირულ ნაწარმოებში, რომელსაც „სისულელის შესხმა“ ეწოდება, ერაზმი თავისი დროის ცხოვრების უარყოფით მხარეებს დასცინის. ერაზმმა არაჩვეულებრივი სახელი მოიხვეჭა, ის მთელ ევროპაში დიდის პოპულიარობით სარგებლობდა. მას მეფეებიც აფასებდენ და დიდ პატივსა სცემდენ. მისი ხელმძღვანელობით ახალგაზდა სწავლულთა მთელი ჯგუფი მუშაობდა. იგი იმ დროის ნამდვილ „მეცნიერების მეფეთ“ იყო მიღებული. მაგრამ ერაზმი კაბინეტის მეცნიერი იყო. იგი არ იყო მოწოდებული საზოგადოებრივ ცხოვრებაში რაიმე ძირითადი ცვლილების მოსახდენათ - რეფორმატორათ. ერაზმს უახლოვდება თავისი შეხედულებებით, მისი მეგობარი ინგლისელი ტომას მორუსი.

ტომას მორუსიც ძველი ენების კარგი მცოდნე იყო. მორუსმა დასწერა შესანიშნავი თხზულება, რომელსაც „უტოპია“ ეწოდება. „უტოპია“ სავსებით ახალი დროის ნაწარმოებია. ტომას მორუსი თავის შესანიშნავ თხზულებას ინგლისის მაშინდელ წესწყობილების გმობით იწყებს. თავისი სურვილები და იდეალები კი ახალი საზოგადოებრივი წესწყობილების დამყარების შესახებ მან გამოხატა იმ ფანტასტიურ საზოგადოების სახით, რომლის ცხოვრებაც მან აღწერა თავის თხზულებაში. მოთხრობის შინაარსი ასეთია: ერთს განმარტოებულ კუნძულზე ცხოვრობს თავისუფალი ხალხი. იგი არ აწარმოებს არავითარ ომებს. იმ ხალხში არ არის არც ფუფუნებითი ცხოვრება და არც სიღარიბე. ყოველგვარი ქონება საზოგადოების საკუთრებათ არის გამოცხადებული. (აქ არ არსებობს ის კერძო საკუთრება, რომელიც მორუსს ყოველგვარი უბედურების მიზეზათ მიაჩნია). ყველას აქვს ცხოვრების საშუალება. ამასთანავე ყველას შეუძლია „სულით ამაღლება, მეცნიერებითა და ხელოვნებით განვითარება“. არავინ არ მუშაობს დღე დ ღამეში ექვს საათზე მეტს; დანარჩენ დროს კი გონებრივ განვითარებას ანდომებენ. სარწმუნოების საქმეში არავითარი შევიწროება არ არსებობს; რელიგია — პირადი რწმენის საქმეა. ასეთი იყო ის არარსებული, იდეალური საზოგადოება, რომელიც ტომას მორუსმა თავის „უტოპიაში“ დახატა. ეს იდეალი იმდროინდელ წესწყობილების სრული წინააღმდეგობაა, მისი სრული უარყოფაა.

11. **რეიხლინი და ულრიხ-ფონ-ჰუტენი.** ერაზმისა და მორუსის

მოღვაწეობით ჩრდილო ევროპის ქვეყნებში გავრცელდა ის იდეები, რომელიც იტალიელმა მეცნიერებმა და ლიტერატორებმა ჯერ კიდევ მე-XIV საუკუნეში წამოაყენეს. გერმანიაში ამ დროს გავრცელდა კლასიკური მწერალთა თაყვანისმცემელ ჰუმანისტთა წრეები. ახალ განათლებას დიდათ შეუწყო ამ დროს ხელი—როგორც გერმანიაში, ისე ევროპის სხვა ქვეყნებშიც—სტამბის გამოგონებამ და ბეჭდვითი ნაწარმოების გავრცელებამ.

**სტამბის გამოგონება.** მე-XV საუკუნის ნახევარში მაინცის მცხოვრებმა იოანე ჰუტენბერგმა ლითონის მოძრავი ასოებით ბეჭდვა გამოიგონა. მან პირველათ მოაწყო სტამბა ერთი მდიდარი ფირმის მონაწილეობითა და დახმარებით 1455 წ. ამ სტამბაში დაიბეჭდა პირველი წიგნი —ბიბლია (დაბადება). ეს დიდი გამოგონება თანდათანობით გავრცელდა მთელ ევროპაში და უპირველეს ყოვლისა იმ დროს ხელი შეუწყო ჰუმანისტური ლიტერატურის გავრცელებას. პირველი მესტამბეები ზოგჯერ გამოჩენილი მეცნიერ-ჰუმანისტებიც იყვენ და ზოგიერთმა მათგანმა დიდათაც გაითქვა სახელი კლასიკური მწერლების საგანგებო გამოცემით.

ჰუმანისტური წრეები, რომელიც გატაცებული იყვენ ამ დროს კლასიკური ლიტერატურის იდეალებით, ვერ ურიგდებოდენ და სასტიკათ ილაშქრებდენ გერმანიის უნივერსიტეტებში გავრცელებული ძველი სქოლასტიური მეცნიერების წინააღმდეგ, რომლის სწავლებაც იმ დროს ფანატიკოსი ბერების ხელში იყო. იმ ბრძოლაში, რომელსაც ეს ჰუმანისტური წრეები უნივერსიტეტებში გაბატონებული ბერებისა და მათი მეცნიერების წინააღმდეგ აწარმოებდენ, საყურადღებოა ერთი ეპიზოდი, რომელიც დაკავშირებულია შესანიშნავი გერმანელი ჰუმანისტის რეიხლინის (1455—1522) სახელთან და რომელმაც იმ დროს მთელი გერმანელი საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. ერთმა ახლათ მონათლულმა ებრაელმა (ფეფერკორნმა), ახალი სარწმუნოების ერთგულება რომ დაემტკიცებია, დაიწყო იმის მტკიცება, რომ ებრაულ აპოკრითულ წიგნებში - ტალმუდში და კაბალაში— ბევრი რამ ისეთი მოიპოვება, რაც ქრისტიანობის უარყოფას და ლანძღვას შეიცავსო. ამიტომ ის წინადადებას იძლეოდა ყველა ისეთი ებრაული წიგნი შეეკრიბათ და დაეწვათ. დომინიკანელმა ინკვიზიტორებმა ამის ნებართვა თვით იმპერატორ მაქსიმილიანეს გამოსთხოვეს, რომელიც ჰუმანისტური განათლების გავლენაში იმყოფებოდა.

მაქსიმილიანემ ამ საკითხის გადასაწყვეტათ რეიხლინს მიმართა, რომელიც იმ დროს არა თუ მარტო კლასიკური ენების, არამედ ებრაული ენისა და საღვთო ლიტერატურის საუკეთესო მცოდნეთ ითვლებოდა. რეიხლინმა იმპერატორს შეკითხვაზე შემდეგი უპასუხა: ებრაული აპოკრითული წიგნების დაწვა ბარბაროსული მოქმედება იქნება, რადგან მეცნიერებისთვის ის დიდ განძს წარმოადგენს, და თუ ქრისტიანობის რაიმე საწინააღმდეგოა იქ, მისი უარყოფა შესაძლებელია მეცნიერული გზით. იმპერატორი რეიხლინს დაეთანხმა. მაგრამ გაბრაზებულმა დომინიკანელმა ბერებმა რეიხლინის საინკვიზიციო სასამართლოში მიცემა გადასწყვიტეს და ამ მიზნით საქმე რომის პაპთან ლეონ X-თან გადაიტანეს. მთელი გერმანელი საზოგადოება ორ ბანაკათ იყო გაყოფილი. მოწინავე საზოგადოება რეიხლინის მხარეზე იყო, სასულიერო წრეები კი მის წინააღმდეგ იყვენ ამხედრებული. სწორეთ ამ დროს გამოვიდა გერმანიაში უცნობი ავტორის სატირა, რომელსაც „ბნელი ადამიანების წერილები" ეწოდება. აქ ჰუმანისტები ძველი სქოლასტიური შკოლის წარმომადგენელი ბერების წინააღმდეგ ილაშქრებენ. მათ ერთმანეთს შორის მიწერ-მოწერა აქვთ გამართული, სწერენ დამახინჯებული ლათინური ენით, უამბობენ ერთმანეთს თავისი წვრილმანი საქმეების, ინტრიგების შესახებ. ეს „წერილები" ისე ხელოვნურათ იყო შედგენილი, რომ პირველათ ვერც კი შეიტყვეს ძველი შკოლის წარმომადგენლებმა, რომ ეს წერილები მათი მოწინააღმდეგების მიერ იყო შედგენილი და აქ მათი დაცინვა იყო.

ამ „წერილების" შედგენაში მონაწილეობას იღებდა და რეიხლინის ჯგუფში მუშაობდა ახალგაზდა პოეტი, შესანიშნავი ჰუმანისტი ულრიხ-ფონ-ჰუტენი (1488—1523). ჰუტენი რაინდთა წოდებას ეკუთნოდა. იგი მოუსვენარი ბუნების ადამიანი იყო. ახალგაზდობისას მონასტრიდან გაიქცა და ამას შემდეგ ის ერთ ადგილას აღარ ცხოვრობდა, არამედ ევროპის სხვადასხვა კუთხეში დახეტიალობდა. ჰუტენი ძლიერ გატაცებული იყო კლასიკური ლიტერატურით და დიდის ინტერესით სწავლობდა მას გერმანიისა და იტალიის უნივერსიტეტებში. ჰუტენი აღფრთოვანებული პატრიოტი იყო; იგი ხედავდა დანაწილებულსა და დამცირებულ სამშობლოს და თავისი ქვეყნის მტრების წინააღმდეგ საბრძოლათ იყო ანთებული. სამშობლოს დამცირებას ჰუტენი რომის პაპისა და ეკლესიის ბატონობაში ხედავდა. ამიტომ ჰუმანისტთა შორის

ის ყველაზე უფრო შეურიგებელი მტერი იყო ეკლესიისა და სამღვდელოებისა. თავის ეპიგრამებსა და ლექსებში ჰუტენი მკაცრი ირონიით ილაშქრებს რომის ეკლესიის წინააღმდეგ, რომელიც ათასგვარი გადასახადებით სულსა სწვდიდა გერმანიას. როგორც აღფრთოვანებული პატრიოტი, ჰუტენი გერმანიის სახელმწიფოებრივ გაერთიანებაზე ოცნებობდა, ისე როგორც მისი თანამედროვე იტალიელი პატრიოტი მაკიაველი — იტალიის გაერთიანებაზე. მაგრამ ამ ქვეყნების გაერთიანებაზე ფიქრი იმ დროს ნაადრევი იყო და ეს ქვეყნები მხოლოდ მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარში გაერთიანდენ.

ამგვარათ, მე-XVI საუკუნის პირველ მეოთხედში გერმანულ ქვეყნებში ჰუმანისტური განათლება ვრცელდებოდა. ჰუმანისტურ წრეებს ამ ქვეყნებში განსაკუთრებული ენერგიით ეკლესიისა და სამღვდელოების წინააღმდეგ უხდებოდათ ბრძოლა, და ამნაირათ მზადდებოდა გერმანულ ქვეყნებში ნიადაგი იმ რელიგიურ მოძრაობისა, რომელიც მე-XVI საუკუნის მე-20 წლებში დაიწყო და რომელიც რეფორმაციის სახელით არის ცნობილი.

# II

# რეფორმაციის ეპოქა.

## რევოლიუცია და რეფორმაცია გერმანიაში.

*1. **გერმანიის მდგომარეობა რეფორმაციის წინ.** მე-XV საუკუნის გასულს და მე XVI საუკუნის დასაწყისს გერმანიის ცხოვრება დიდ ცვლილებას განიცდიდა; გერმანია იმყოფებოდა ძველისა და ახალი ცხოვრების უღელტეხილზე. საზოგადოებისა და სახელმწიფოს ცხოვრებაში უკვე ახალი ძალები იკაფავდენ გზას და ამ ახალ ძალებს თან მოქონდა თავის სამოქმედო ასპარეზზე ახალი ინტერესები და მისწრაფებანი. სამეურნეო დარგში უკვე დიდ როლს ასრულებდა არა სოფლის მიწისმფლობელთა კლასი, არამედ ქალაქის ვაჭართა კლასი. ქალაქში თავი იჩინა და მწვავე ხასიათი მიიღო ქონებრივმა უთანასწორობამ. ქალაქის მცხოვრებთა ქონებას მოკლებული ნაწილი დაუპირდაპირდა ქალაქის შეძლებულ ვაჭართა კლასს. არც სოფელში იყო უკეთესი მდგომარეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ მებატონეებსა და გლეხებს შორის მდგომარეობა გამწვავდა. მებატონეები ბაძავდენ მოქალაქეთა მდიდრულ ცხოვრებას და გლეხებისადმი თავის მოთხოვნილებებს თანდათან ადიდებდენ, მათ ახალ გადასახადებს აწერდენ. ამგვარათ, როგორც სოფელში ისე ქალაქში უმაღლესსა და დაბალ წრეებს შორის დამოკიდებულება ძლიერ გამწვავებული იყო; რაც შეეხება გერმანიის პოლიტიკურ მდგომარეობას, აქ სავსებით გაიმარჯვა სეპარატისტულმა პოლიტიკამ. მთელი სახელმწიფო ძალა-უფლება მთავრებმა ჩაიგდეს ხელში. მთავრები მთელი ქვეყნის ბატონპატრონნი შეიქნენ. მთავრებმა ამ დროს უკვე გაიჩინეს თავისი ძალა-უფლების მთავარი იარაღი—ბიუროკრატია და მუდმივი ჯარი. ამათ შენახვა მთავრებს ფული ეჭირვებოდათ და ფულისთვის კი ისინი ხშირათ მიმართავდენ ქალაქის მდიდარ ვაჭრებსა და მწარმოებლებს. ვაჭრებიც ხელს უმართავდენ მთავრებს, რადგან მათთვის სასურველი იყო ძლიერი ძალა-უფლება, რომელიც ვაჭრობის განვითარების საქმეს ხელს შეუწყობდა. ძლიერი მთავრობა დაიცავდა მათ გაცარცვისგან, უზრუნველყოფდა პირადათ მათ და მათ ქონებასაც. ამას გარდა კიდევ ძლიერი მართველი შექმნიდა ვაჭარ-მრეწველთათვის ხელსაყრელ პირობებს უცხო სახელმწიფოსთან სავაჭრო დამოკიდებულებისა და საქონლის გაცვლა-გამოცვლის დროს. ეს მით უფრო საჭირო იყო, რომ იმ დროს ვაჭრობა ადგილობრივ, კარჩაკეტილ ხასიათს კარგავდა, ნაციონალურ საზღვრებს ცილდებოდა და საერთაშორისო ხასიათს ღებულობდა. ამგვარათ, მდიდარ ვაჭარ-მრეწველთა და მთავრებს შორის ერთგვარი კავშირი დამყარდა. ასეთმა კავშირმა კი მთავრებს საშვალება მისცა დაემორჩილებიათ ისეთი ძალები, რომელიც მათი ძალა-უფლების გამტკიცება-გაძლიერებას ხელს უშლიდენ. ასეთ ძალას კი იმ დროს რაინდობა და ქალაქები წარმოადგენდენ. რაინდებთან გამკლავება მთავრებისთვის არც ისე საძნელო იყო, რადგან თავისუფალმა რაინდობამ ამ დროს თავისი მნიშვნელობა დაკარგა და მის ხელში უკვე აღარც ფინანსიური და არც სამხედრო ძალა იყო. უფრო საძნელო იყო იმ დროს ქალაქების წინააღმდეგ ბრძოლა. ქალაქები მთავრებს ებრძოდენ და ცდილობდენ ყოველ სამთავროში დამოუკიდებელი ცხოვრება მოეპოვებიათ და ამასთან ერთად საიმპერიო პოლიტიკაშიც ერთგვარი ძალა-უფლება ქონოდათ. მაგრამ ბრძოლა მთავრების წინააღმდეგ ქალაქებს ძლიერ ძვირათ უჯდებოდათ და ზოგიერთ შემთხვევაში საქმე მათი გაკოტრებით თავდებოდა,

რადგან მთავრებს ქალაქთა წინააღმდეგ კარგათ შეიარაღებული და წვრთნილი ჯარი შეეძლოთ გამოეყვანათ. ამის გამო მე-XV საუკუნის გასულს მხოლოდ რამდენიმე დიდმა ქალაქმა შეინარჩუნა კიდევ დამოუკიდებლობა. მთავრები აგრეთვე თვით ცენტრალური ძალა-უფლების წარმომადგენელს-იმპერატორს ებრძოდენ. საშვალო საუკუნეთა გასულს გერმანიაში იმპერატორის ძალა-უფლება სავსებით დაეცა და მთელი ქვეყანა სამთავროებისა და თავისუფალ ქალაქების კავშირათ გადაიქცა. საშვალო საუკუნეთა პირველ ნახევარში გერმანიის იმპერატორებმა მთელი თავისი ძალ ღონე შეალიეს მსოფლიო ბატონობის მოპოვებას და ამ დროს მათ საკუთარი ქვეყანა თითქოს დაავიწყდათ. ამ მსოფლიო ბატონობისთვის ბრძოლაში დაიღუპა გოგენშტაუფენების დინასტია. გერმანიის იმპერატორებმა უარყვეს შემდეგ ეს პოლიტიკა, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო, რადგან მთავრები გერმანიაში საკმაოთ გაძლიერებულიყვენ. ბრძოლა იმპერატორებს მთავრების წინააღმდეგ არ შეეძლოთ, მით უფრო, რომ იმპერატორის არჩევის უფლება იმ დროს უშესანიშნავესი მთავრების-კურფიურსტების ხელში იყო. იმპერატორებსა დ მთავრებს შორის ხანგრძლივმა ბრძოლამ გამოააშკარავა, რომ მაშინდელ გერმანიაში არ იყო ის ნიადაგი, რომელზედაც შესაძლებელი იქნებოდა გამაერთიანებელი ძალის წარმოშობა. მთავრებიც და იმპერატორებიც მარტო იმპერიის ცალცალკე ნაწილზე ზრუნავდენ: პირველნი—თავის სამთავროებზე, მეორენი კი—თავის სამემკვიდრეო სამფლობელოებზე. ამგვარათ, რეფორმაციის წინ საზოგადოების სხვადასხვა კლასი და პოლიტიკური ძალა მზათ იყვენ ერთი მეორის საწინააღმდეგოთ ბრძოლისთვის. მდგომარეობა ისეთი მერყევი იყო, რომ მცირემნ შვენლოვანი საბაბიც კი საკმარისი იყო გერმანიაში საყოველთაო რევოლიუცია დაწყებულიყო.

ასეთ მდგომარეობას კიდევ უფრო ამწვავებდა ის გარემოება, რომ გერმანიის ყველა სოციალური და პოლიტიკური ძალა ერთნაირათ იყო აღშფოთებული რომის პაპის წინააღმდეგ. არც ერთი ქვეყანა არ გრძნობდა კათოლიკური ეკლესიის ბატონობას და საეკლესიო გადასახადების სიმძიმეს ისეთი სიმწვავით, როგორც გერმანია. სხვა ქვეყნებში, მაგ., საფრანგეთში, ინგლისში, სადაც ეკონომიური ცხოვრება წინ წავიდა და ეკონომიურ განვითარებას კი პოლიტიკური გაძლიერებაც თან მოყვა, სადაც მტკიცე ცენტრალური ძალა-უფლება გაძლიერდა,—სახელმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიფო ნაყოფიერ ბრძოლას აწარმოებდა ეკლესიის მოთხოვნილებათა წინააღმდეგ. საფრანგეთსა და ინგლისში მეფეების დადგენილებათა მთელმა წყებამ შეზღუდა პაპისა და ადგილობრივი სამღვდელოების უფლება ქვეშევრდომებზე და რომის კურიის მიერ ხალხის ექსპლოატაცია შეკვეცა. გერმანიაში, რომელიც საფრანგეთსა და ინგლისზე ეკონომიურად და პოლიტიკურად ჩამორჩენილი იყო, სადაც არ არსებობდა ძლიერი ცენტრალური ძალა-უფლება, რომელსაც შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია ეკლესიისთვის, რომის კურია სრული ბატონ-პატრონი იყო. იმპერატორებმა დაკარგეს ყოველგვარი მნიშვნელობა, მთავრები კი იმდენად ძლიერი არ იყვენ, რომ მათ ნაყოფიერი ბრძოლის წარმოება შესძლებოდათ რომის პაპის წინააღმდეგ. ქვეყნის სიმდიდრისა და შემოსავლის უმთავრესი ნაწილი რომის სალაროში მიდიოდა. საუკეთესო მიწები გერმანიაში იმ დროს სასულიერო მართველებს-ეპისკოპოსებს და არქიეპისკოპოსებს ეკუთნოდით. ამას კი შურის თვალით შეყურებდენ საერო მთავრები და ისინი კიდევ უფრო აძლიერებდენ იმ ოპოზიციას, რომელიც რომის პაპის წინააღმდეგ არსებობდა. გარდა მთავრებისა, ხალხის მთელი მასაც — წვრილი აზნაურობა, ქალაქის მცხოვრებნი, ათასგვარ საეკლესიო გადასახადებით შევიწროებული გლეხობა, აღშფოთებული იყო ელესიის წინააღმდეგ. დასასრულ, ყველა ზევით ნათქვამს გარდა, რომის ეკლესიის წინააღმდეგ არა ნაკლებ აშფოთებდა ხალხს ის ზნეობრივი გახრწნა, რომელშიც მაშინდელი პაპის სასახლე ჩაეფლო. ასე რომ კათოლიკური ეკლესიით გამოწვეული უკმაყოფილება დიდი იყო გერმანიაში. ასეთი უკმაყოფილება არა თუ მარტო გერმანიაში, არამედ გერმანიის გარეთაც არსებობდა. ამიტომ ლიუტერის ხმამ, რომელიც მე-XVI საუკ. მე-20 წლებში გაისმა გერმანიაში რომის წინააღმდეგ, მხურვალე გამოძახილი ჰპოვა გერმანიის გარეთაც, ევროპის დანარჩენ კუთხეებში.

2. **ლიუტერი.** ის გამწვავებული მდგომარეობა, რომელსაც გერმანია რომის ეკლესიის ბატონობისაგან განიცდიდა, ნიადაგს ქმნიდა ამ ქვეყანაში რომის საწინააღმდეგო მოძრაობისათვის. ევროპის კონტინენტზე არ იყო არც ერთი ხალხი, რომ გერმანელებსავით მრავალჯერ და მრავალმხრივ გამოეთქვას უკმაყოფილება რომის ეკლესიის თეოკრატიულ მისწრაფებათა და საერთოთ ეკლესიის წინააღმდეგ. ნაყოფი ასეთი დიდი ხნით შექმნილი განწყობილებისა იყო ის მოძრაობა, რომელსაც რეფორმაცია ეწოდება. რეფორმაცია სწორედ გერმანიის საერთო მდგომარეო-

ბის ნიადაგზე წარმოიშვა, მაგრამ ის არ დარჩენილა მარტო გერმანულ ნაციონალურ მოვლენათ, მალე ის გერმანიის საზღვრებს გადასცილდა, მთელ ევროპას მოედვა და რომის ეკლესიიდან თითქმის ნახევარი ევროპის ჩამოცილებით დასრულდა. ის ადამიანი რომელიც ამ მოძრაობას სათავეში მოექცა, არ იყო მაინცადამაინც განსაკუთრებული ნიჭის პატრონი, არც მოწინავე იდეების მატარებელი პიროვნება, მაგრამ მისი გამარჯვების მიზეზები უმთავრესათ მაშინდელი გერმანიის საერთო მდგომარეობაში ჩამარხული. ეს ადამიანი მარტინ ლიუტერი იყო.

მარტინ ლიუტერი (1484 1546) ღარიბი საქსონელი გლეხის ოჯახში დაიბადა. მომავალი რეფორმატორის მშობლები პირველათ ძლიერ ღარიბათ ცხოვრობდენ, მაგრამ ლიუტერის ოჯახის მდგომარეობა თანდათან შემობრუნდა და გაუმჯობესდა. ლიუტერი მშობლებმა თავდაპირველათ მაგდებურგის სასწავლებელში მისცეს; ხოლო შემდეგ ის ეიზენახში სწავლობდა. მამის სურვილი იყო, რომ ლიუტერი იურისტი გამოსულიყო, მაგრამ ლიუტერმა, მამის სურვილის წინააღმდეგ, სულ სხვა გზა აირჩია. 18 წლის ლიუტერი ერფურტის უნივერსიტეტში შევიდა და აქ ის დიდის გატაცებით დაეწაფა სქოლასტიური მეცნიერების შესწავლას, რომლის წინააღმდეგაც ის შემდეგ ენერგიულ ბრძოლას აწარმოებდა. 1505 წელს მან დაასრულა უნივერსიტეტის კურსი და ავგუსტინელთა ორდენის მონასტერში ბერათ შედგა. თავისი სულიერი განწყობილებით ლიუტერი ამ დროს სავსებით კიდევ საშვალო საუკუნეების ადამიანი იყო. ღვთის რისხვისა და საშინელი სამსჯავროს აზრი სტანჯავდა ამ დროს ლიუტერს. ის რამდენიმე დღით მარხულობდა და უძილო ღამეებს ლოცვა-ვედრებაში ატარებდა. ძველი კათოლიციზმის ყოველგვარ საშვალებას მიმართა ლიუტერმა თავისი გადარჩენისათვის. ხსნა მაცხოვრის ხელშია; მაცხოვარი კი იხსნის ადამიანს ყოველგვარი კეთილი საქმისა და პირადი დამსახურების გარეშე; ადამიანს იხსნის მხოლოდ რწმენა. აი, ამ აზრმა — აზრმა „რწმენით გამართლების“ შესახებ — დააწყნარა ლიუტერის სინიდისი. მალე საქსონიის კურფიურსტმა, ფრიდრიხ ბრძენმა, ლიუტერი პროფესორათ მიიწვია ახლათ დაარსებულს ვიტენბერგის უნივერსიტეტში. 1517 წელს გერმანიაში პეტრე მოციქულის ტაძრის ასაშენებლათ ინდულგენციების გაყიდვა დაიწყეს. ლიუტერი ამ მოვლენამ ააშფოთა, და რადგან ის პაპს ამ დიდ ბოროტმოქმედებაში სრულიად უდანაშაულოთ სთვლიდა, გამოიწვია კამათში ინდულგენციე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბის გამავრცელებელი დომინიკანელი ბერი ტეცელი და ვიტენბერგის ეკლესიის კარებზე ჩვეულებისამებრ 95 დებულება (თეზისი) გამოკიდა. ამ დებულებებში, სხვათა შორის, ნათქვამი იყო: „პაპმა რომ ინდულგენციების გამავრცელებელთა ბოროტმოქმედებისა და მცარცველობის შესახებ გაიგოს, ის უფრო ჩქარა დასწვავდა პეტრე მოციქულის ტაძარს, ვიდრე მას თავისი სამწყსოს სისხლით, ხორცით და ძვლებით ააშენებდაო“. ლიუტერის თეზისებმა არა ჩვეულებრივათ იმოქმედა; თითქმის 14 დღის განმავლობაში იგი მთელ გერმანიას მოედვა და მრავლათ გავრცელდა. ლიუტერის მოწინააღმდეგენი ამოძრავდენ. ისინი მიხვდენ, რომ ლიუტერის მიერ წამოყენებული დებულებანი კათოლიციზმის საფუძველს არღვევდა და თვით პაპის ტახტსაც ემუქრებოდა. ინდულგენციების გაყიდვის მთავარმა ხელმძღვანელმა გერმანიაში, მაინცის არქიეპისკოპოსმა, ლიუტერს პაპთან უჩივლა. მაგრამ ლიუტერს საქსონიის კურფიურსტი ფრიდრიხ ბრძენი გამოექომაგა და არ დათანხმდა, რომ ლიუტერი რომის სასამართლოში გაეწვიათ. აქ პირველათ ლიუტერი თავის მფარველობაში მიიღო იმ ძალამ, რომელმაც შემდეგში მისი საქმის განხორციელებას ხელი შეუწყო. პაპის კარდინალთან პარადათ მოლაპარაკების დროს ლიუტერი დათანხმდა, რომ დავჩუმდები, თუ ჩემი მოწინააღმდეგენიც დაცხრებიან და აღარაფერს იტყვიანო. მაგრამ 1519 წ. მოხდა ერთი შემთხვევა, რომელმაც ხელი შეუწყო ლიუტერის რომიდან საბოლოოთ ჩამოცილებას. იმ დროის ცნობილმა მეცნიერმა იოანე ეკმა, რომელიც დახელოვნებულ მოკამათეთ ითვლებოდა, გამოიწვია დისპუტში ლიუტერის მიმდევარი პროფ. კარლშტადტი. ეკის მიერ გამოქვეყნებული თეზისები, როგორც აშკარათ ჩანდა, არა კარლშტადტის, არამედ ლიუტერის ინდულგენციებზე შეხედულების წინააღმდეგ იყო მიმართული. ამიტომ დისპუტში, რომელიც ლეიპციგში იყო დანიშნული, თვით ლიუტერი ჩაერია. ხელოვნურათ დასმული კითხვებით ეკმა აიძულა ლიუტერი გაეცხადებია, რომ ცხონებისთვის სავალდებულო არ არის რომის ეკლესიის პირველობის აღიარება და ეკლესია მეთაურს არ საჭიროებსო. ლიუტერი უფრო შორს წავიდა და აღიარა, რომ ვიკლეფი და ჰუსი ნამდვილ ქრისტიანულ ნიადაგზე იდგენ და არა თუ პაპები, არამედ საეკლესიო კრებებიც შეიძლება შესცდენო. ეს უკვე კათოლიკური ეკლესიიდან საბოლოო ჩამოშორებას ნიშნავდა. პაპმა ლეიპციგის დისპუტის შემდეგ მალე ბულა გამოსცა, რომლითაც ლიუ-

ტერი ეკლესიიდან განდევნილათ გამოაცხადა. მაგრამ ლიუტერმა ის საჯაროთ დასწვა. ლიუტერი უკვე ბრძოლის ასპარეზზე გამოვიდა. იგი მოუწოდებს თავის თანამემამულეებს „იარაღით ხელში თავს დაესხან კარდინალებსა და პაპს, რომის, ამ გარყვნილ სოდომის გამხრწნელებს, და მათ სისხლში ხელი გაიბანონ“. მთელ გერმანიაში ლიუტერის ხმამ მხურვალე გამოძახილი პოვა, რადგან გერმანიაში არ იყო არც ერთი წოდება, არც ერთი საზოგადოებრივი ჯგუფი, რომ უკმაყოფილო არ ყოფილიყო რომის ეკლესიის ბატონობისა. თავის თხზულებაში („მის იმპერატორობით უდიდებულესობას და გერმანიის ერის თავად-აზნაურობას, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს ქრისტიანობის მდგომარეობა“) ის მიმართავს გერმანიის ყველა პოლიტიკურ ძალას, ე. ი. იმპერატორს, მთავრებს, თავად აზნაურობას და ქალაქებს. მთელი თხზულება რომის ეკლესიისა და სამღვდელოების სიძულვილით არის გაჟღენთილი. აქ ლაპარაკია აგრეთვე საეკლესიო და საზოგადოებრივი წესწყობილების ძირითადი გარდაქმნის შესახებ. ასეთივე შინაარსის არის ლიუტერის ორი შემდეგი წერილი: „ეკლესიის ბაბილონის ტყვეობის შესახებ“ და „ქრისტიანი ადამიანის თავისუფლების შესახებ“. ეს თხზულებები მიმართულია კათოლიციზმის საფუძვლების წინააღმდეგ. კათოლიკური ეკლესიის შვიდი საიდუმლოებიდან ის თანახმაა დასტოვოს ორი: ნათლისღება და ზიარება, რის შესახებაც ნათქვამია სახარებაში. ლიუტერის მიერ პაპის წინააღმდეგ გაბედულმა გალაშქრებამ და რელიგიური თავისუფლების კატეგორიულმა აღიარებამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია მაშინდელ ჰუმანისტურ წრეებში. ულრიხ-ფონ-ჰუტენი აშკარათ მიემხრო ლიუტერს და თავის ნაწერებში იმპერატორს, მთავრებს, რაინდებს რომის წინააღმდეგ მოუწოდებდა. ლიუტერი ამ დროს ნამდვილი სახალხო გმირი იყო.

3. **იმპერატორი რეფორმაციის წინააღმდეგია. ვორმსის რეიხსტაგი.** მარტო ჰუმანისტების თანაგრძნობა და დახმარება საკმარისი არ იყო რეფორმაციის გამარჯვებისათვის. საჭირო იყო ამ საქმისთვის მთელი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ძალების გამოყენება. აქ უპირველეს ყოვლისა ლიუტერი დარწმუნდა, რომ მას იმედი არ უნდა ქონოდა მომავალში უზენაესი უფლების მატარებლის—იმპერატორის თანაგრძნობისა და დახმარებისა. ახლათ გამეფებულმა (1519 წელს) გერმანიის იმპერატორმა კარლოს V, რომელიც კარლოს დიდის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო მონარქიის აღდგენაზე ოცნებობდა, ვერ შეიგნო და ყურადღება არ მიაქცია გერმანელთა ნაციონალურ უკმაყოფილებას, რომელიც პაპის ბატონობის ნიადაგზე იყო წარმოშობილი. ის ფიქრობდა, რომ კათოლიციზმი, როგორც მსოფლიო, უნივერსალური რელიგია, შესძლებს შეაერთოს მთელი დასავლეთის ქრისტიანობა იმპერატორის უზენაესი უფლების ქვეშ. ასეთი პლანებით გამსჭვალული იმპერატორი უკმაყოფილოთ შეხვდა რეფორმაციას, როგორც ნაციონალურ მოვლენას, და მოითხოვა, რომ **ლიუტერი** გამოცხადებულიყო საიმპერიო რეიხსტაგზე ვორმსში, რომელიც დანიშნული იყო 1521 წლის 17 აპრილისთვის. (ხალხი დიდის აღფრთოვანებით ხვდებოდა რეიხსტაგზე მიმავალ **ლიუტერს** და ამის გამო პაპის ლეგატი ამბობდა, ათი გერმანელიდან ცხრა უსათუოთ **ლიუტერის** მომხრეაო), **ლიუტერი** აქ წარსდგა ბრწყინვალე და მრავალრიცხოვანი კრების წინაშე, რომელსაც თვით იმპერატორი თავმჯდომარეობდა და რომელშიც მრავალი კურფიურსტი და მთავარი იღებდა მონაწილეობას. იმპერატორისა და მთავრების წინაშე **ლიუტერს** უნდა გადაეშალა თავისი შეხედულებანი. იმპერატორმა მალე შეაწყვეტია მას სიტყვა, კამათის ნება არ მისცა და მოსთხოვა უარი ეთქვა თავის შეხედულებებზე. ამაზე **ლიუტერმა** შემდეგი პასუხი გასცა: „მე ჩემს რწმენაში არ შემიძლია დავემორჩილო არც პაპს და არც საეკლესიო კრებას, რადგან დღესავით ნათელია, რომ ისინი ხშირათ ცთებოდენ. თუ საღვთო წერილის მიხედვით არ დამიმტკიცებენ ჩემი აზრების სიყალბეს, მე არაფერზე უარს არ ვიტყვი, რადგან ქრისტიანს არ შეფერის თავისი საკუთარი სინიდისის წინააღმდეგ წასვლაო“. ვორმსიდან **ლიუტერი** უვნებლათ გაუშვეს. მაგრამ იმპერატორმა **ლიუტერის** მოძღვრების საწინააღმდეგო ბრძანება (ვორმსის ედიკტი) გამოსცა. **ლიუტერის** თხზულებებს ამ ბრძანებით დაწვა მიუსაჯა, ხოლო საერთოთ ბეჭდვითი სიტყვა სამღვდელოების სასტიკ ცენზურას დაუმორჩილა. ასე მოეპყრა **ლიუტერს** მსოფლიო პლანებით გატაცებული იმპერატორი. სამაგიეროთ გერმანიის მთავრების თანაგრძნობა **ლიუტერის** მხარეზე იყო, რადგან მათ გათვალისწინებული ქონდათ ის, თუ რა სარგებლობას მოუტანდა მათ პაპის საერო უფლების გაუქმება, საეკლესიო მიწისმფლობელობის მოსპობა და ქვეშევრდომების რომის ეკლესიის მცარცველობისგან გათავისუფლება. ბევრი მათგანი **ლიუტერის** კატეგორიულ განცხადებას რეიხსტაგზე აშკარა თანაგრძნობით შეხვდა. ფრიდრიხ ბრძენმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორეჯერ მიიღო ლიუტერი თავის მფარველობაში, რეიხსტაგიდან დაბრუნებული უცნობ პირებს გაატაცებია და დამალა თავის ვარტბურგის კოშკში, სადაც ლიუტერმა 18 თვეს დაყო. ვარტბურგში ლიუტერმა დაიწყო ბიბლიის გერმანულ ენაზე თარგმნა, რითაც მან გერმანელი ხალხის სარწმუნოებრივ შეგნებაში მთელი ეპოქა შექმნა.

4. **დემოკრატიული კლასების ამოძრავება.** მაგრამ კარჩაკეტილი კაბინეტური მუშაობისათვის დრო სრულიად შეუფერებელი იყო. გერმანიაში საერთო აღრევისა და მოძრაობის მომენტი დადგა. მოძრაობის ცეცხლი მთელ გერმანიას ედებოდა. განსაკუთრებით სოციალური უკმაყოფილების ნიადაგზე ამ დროს ამოძრავდენ საზოგადოების დემოკრატიული კლასები. დემოკრატიული მოძრაობა თავდაპირველათ საქსონიაში დაიწყო, სადაც სამთამადნო მრეწველობის განვითარებამ გაამრავლა ამ კუთხეში მუშა-პროლეტარების რიცხვი. ისინი იმ დროს ენერგიულათ იბრძოდენ მაღაროების პატრონების წინააღმდეგ და ხელფასის მომატებას მოითხოვდენ, რის აუცილებლობასაც იმ დროს „ფასების რევოლიუცია“ (იხ. 9 გვ.) იწვევდა. მახლობელ პატარა ქალაქ ცვიკაუში, სადაც მადნის სამრეწველო არსებობდა, სამრეწველოში მომუშავენი შეკავშირდენ და შეადგინეს კომუნისტური საზოგადოება 1520 წ.; ამ საზოგადოებას მალე აღნიშნული მაღაროების მუშების დიდი ნაწილი შეუერთდა; ამ შეკავშირებულ მუშებს ხელმძღვანელობას უწევდა რამოდენიმე განათლებული პიროვნება (მათ შორის განსაკუთრებით თომა მიუნცერმა გაითქვა სახელი). ცვიკაუს „წინასწარმეტყველნი“ (ასე უწოდებდენ იმ პირებს, რომელნიც ცვიკაუში მუშათა საზოგადოებას ხელმძღვანელობდენ) სათავეში ჩაუდგენ განსაკუთრებულ რელიგიურ მიმართულებას, რომელმაც **ანაბაპტიზმის** სახელწოდება მიიღო (ეს სახელწოდება იქიდგან წარმოსდგა, რომ ანაბაპტისტები მოითხოვდენ ნათვლას მოზრდილ ასაკში, როდესაც ადამიანს შეგნებულათ შეუძლია აირჩიოს ესა თუ ის სარწმუნოება). ანაბაპტისტები რელიგიური მხრით თავიდანვე გამოეყვენ ლიუტერანებს. ანაბაპტისტები აღიარებდენ პიროვნების, რწმენის, სინიდისის სრულ თავისუფლებას. ისინი დიდ მნიშვნელობას აძლევდენ შინაგან რწმენას, შინაგან შთაგონებას, და სახარებას, რომელზედაც უმთავრესათ ეყრდნებოდა ლიუტერი და რომელსაც იგი უდავო ჭეშმარიტებათა კრებულათ სთვლიდა, ანაბაპტისტები რწმენის გარეგან გამოხატულებათ სთვლიდენ. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ანაბაპტისტები

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულ თანასწორობას მოითხოვდენ. Ისინი მიისწრაფოდენ კომუნიზმის განხორციელებისაკენ, ე. ი. კერძო საკუთრების მოსპობას და ქონების საზოგადო საკუთრებათ გამოცხადებას აღიარებდენ. Ამით აიხსნება, რომ ანაბაპტისტების მხარეზე იმთავითვე საზოგადოების დაბალი კლასები გლეხები, ქალაქის მუშები და წვრილი ხელოსნები გადავიდენ. რაც შეეხება ანაბაპტისტების პოლიტიკურ შეხედულებას, ისინი უარყოფით უყურებდენ სახელმწიფოს და უარს აცხადებდენ მთავრობისა და კანონების დამორჩილებაზე. Ანაბაპტისტები მომხრე იყვენ საზოგადოებრივ ცხოვრების ძალდატანებით გარდაქმნისა, მომხრე იყვენ რევოლიუციონური მოქმედებისა. Ანაბაპტისტები მალე განდევნეს Ცვიკაუდან და ზოგიერთი მათგანი Ვიტენბერგს გაიქცა, სადაც მათი თაოსნობით დემოკრატიული მოძრაობა დაიწყო, რომელმაც თანდათანობით უკიდურესი ხასიათი მიიღო. Ამგვარათ ამოძრავდენ დემოკრატიული კლასები და სოციალური ხასიათის მოთხოვნილება წამოაყენეს. Ისინი დარწმუნებული იყვენ, რომ Ლიუტერის მიერ დაწყებულ საქმეს განაგრძობდენ და ავითარებდენ. Ლიუტერის ზოგიერთმა თანამოაზრემ თანაგრძნობა გამოუცხადა ანაბაპტისტებს, და Კარლშტადტი კი - Ლიუტერის ახლო მეგობარი — პირდაპირ მათ მხარეზე გადავიდა.

5. **Ლიუტერი დემოკრატიული მოძრაობის და სოციალური რეფორმების წინაალმდეგია.** მაგრამ დემოკრატიული კლასები და მათი მეთაურები სასტიკათ მოსტყუვდენ. Ლიუტერის თანაგრძნობა მათ მხარეზე არ აღმოჩნდა. Ლიუტერს აზრათ ქონდა მარტო საეკლესიო წესწყობილების სფეროში მოეხდინა რეფორმა, მას შეეშინდა დემოკრატიულისა და რევოლიუციონური მოძრაობისა და სოციალური რეფორმების წინაალმდეგ წავიდა. Ის კონსერვატიული ბუნების ადამიანი იყო და მოწინავე იდეების მატარებელი არ ყოფილა. Ამას გარდა, თავის წმინდა საეკლესიო რეფორმების გატარებას ის ფიქრობდა მთავრების, და არა შეუკავშირებელი დემოკრატიული კლასების, დახმარებით. Მას მე-20 წლებში კარგი განწყობილება ქონდა მთავრებთან — და ამ ძლიერი მოკავშირეების გაცვლა ქალაქის მასაზე და გლეხებზე მისთვის სასურველი არ იყო. Ამიტომ, როგორც კი შეიტყო Ვიტენბერგის მოძრაობის შესახებ, Ლიუტერი იქით გაეშურა დ თავისი ქადაგებით მცხოვრებლები დააწყნარა; Კარლშტადტი და სხვები კი ქალაქიდან გაადევნია. Ამას შემდეგ Ლიუტერი თანდათან კონსერვატიულ გზას დაადგა; თავისი პირველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვლის რევოლიუციონური განწყობილება დასტოვა და [illegible] დროს ამას შემდეგ იმას ანდომებდა, რომ სოციალურ-პოლიტიკურ მოძრაობას წინ გადეღობებოდა და შეეჩერებია. ვიტენბერგის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ლიუტერი იმ წესების შემუშავებას შეუდგა, რომელზედაც ახალი საეკლესიო წესწყობილება და ღვთისმსახურება უნდა აშენებულიყო. ახალი ღვდლები (პასტორები) ზებუნებრივსა და საიდუმლო უფლებებს მოკლებული იყვნენ. მათ მხოლოდ მასწავლებელთა და საღვთო წერილის ამხსნელთა მოვალეობა დაეკისრათ. 7 საიდუმლოებიდან — 5 გააუქმეს; გაუქმებულ იქნა აგრეთვე მარხვა და ხატების თაყვანისცემა; ღვთისმსახურების დროს შემოიღეს გერმანული ბიბლიის კითხვა. განდევნეს ღვთისმსახურებიდან ხალხისთვის გაუგებარ საიდუმლოებებთან დაკავშირებული ჩვეულებები. მთავარი მნიშვნელობა ქადაგებასა და გალობას მიენიჭა. კათოლიკური ეკლესიის წესწყობილებიდან ლიუტერმა ის წესები დასტოვა, რომელიც საღვთო წერილს პირდაპირ არ ეწინააღმდეგებოდა. ასე მოაწყო ლიუტერმა ვიტენბერგში პირველი ლიუტერანული საზოგადოება.

* 6. **ლიუტერი და თომა მიუნცერი.** რეფორმაცია თანდათან ერთი მთლიანი მოძრაობის ხასიათს კარგავდა; ის ერთმანეთის მოწინააღმდეგე ორ მიმართულებად იყოფოდა. ერთ მხარეზე იყვნენ მთავრები და დიდი ქალაქების (განსაკუთრებით სამხრეთ-გერმანიის) ბიურგერები. მთავრებსა და დიდ ქალაქთა შეძლებულ წრეებს სურდათ გერმანიის დამოუკიდებელი ეკლესიის შექმნა, საეკლესიო ქონების ხელში ჩაგდება და სამღვდელოების დამორჩილება. მათ უერთდებოდნენ ისინი, ვინც ამ ცვლილებიდან მეცნიერებისა და ხელოვნების განთავისუფლებას, თვით სარწმუნოების გაწმენდასა და ამაღლებას მოელოდნენ. ეს ნაწილი სოციალური რეფორმების წინააღმდეგი იყო. 1522 წ. მთავრებმა და ბიურგერთა წარმომადგენლებმა ნიურენბერგში გაილაშქრეს ძველი ეკლესიის წესწყობილების წინააღმდეგ. აქ სურვილი გამოსთქვეს მთელი გერმანელი ერის კრება მოეხდინათ და ეკლესიის რეფორმას შესდგომოდნენ. რეფორმაციის მომხრეთა ამ ნაწილმა თავისი ინტერესებისა და სურვილების გამომხატველი ლიუტერში პოვა. მეორე მხარეზე იდგნენ: ქალაქის მცხოვრებთა უღარიბესი ნაწილი — მუშები და წვრილი ხელოსნები, გლეხები და აგრეთვე გაღატაკებული რაინდობა. ეს ნაწილი სრულ სოციალურ ცვლილებას და საკუთრების სხვაგვარათ განაწილებას მოითხოვდა. ამ ნაწილის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთაური და მისი ინტერესების გამომხატველი თომა მიუნცერი იყო. ცვიკაუდან მიუნცერი ალტშტედტში გაიქცა, მაგრამ ეს ქალაქიც მალე მიატოვა, რადგან მას აქ საშიშროება მოელოდა, და სამხრეთ გერმანიაში გადავიდა, სადაც ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადადიოდა და ხალხს აჯანყებისაკენ მოუწოდებდა. მალე ჩვენ მას გლეხთა მოძრაობის სათავეში ვხედავთ, სადაც ის დაიღუპა. მომავალ რევოლიუციას, მიუნცერის აზრით, გამარჯვება დემოკრატიული წრეებისთვის უნდა მიენიჭებია და მდიდრებისა და მთავრებისთვის უფლება უნდა ჩამოერთმია. მიუნცერი ლიუტერის სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენს, რომელთანაც მან კავშირი სავსებით გასწყვიტა. ისე აშკარათ რევოლიუციისთვის ხელის გაწვდა შეეძლო მხოლოდ იმ ადამიანს, რომელიც მის აუცილებლობაში სავსებით დარწმუნებული იყო. ასეთი იყო რევოლიუციონური იდეების მატარებელი, სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი თომა მიუნცერი.

7. **რევოლიუცია გერმანიაში.** ვიტენბერგის მოძრაობის დასრულების შემდეგ მალე რაინდთა აჯანყებამ იფეთქა (1522—23). გაღარიბებული და ყოველგვარ სამხედრო და პოლიტიკურ მნიშვნელობას მოკლებული რაინდები ძალა-უფლებით აღჭურვილ მთავრებს და მდიდარ მოქალაქეებს მტრულათ უყურებდენ. რაინდებს სათავეში ჰუტენის ახლო მეგობარი ფრანც-ფონ-ზიკინგენი ჩაუდგა. თვით ჰუტენი ამ აჯანყებაზე დიდ იმედებს ამყარებდა; მას სურდა ლიუტერთან ახლო კავშირი დაეჭირა და მისი სახით რევოლიუციონერი წინამძღოლი ეპოვა. მაგრამ ლიუტერი აჯანყების წინააღმდეგ წავიდა. ყველაზე უფრო ლიუტერს იმისი ეშინოდა, რომ რაინდთა მოძრაობას დემოკრატიული ხასიათი არ მიეღო და რაინდები სხვა უკმაყოფილო საზოგადოებრივ კლასებს არ შეერთებოდენ. რაინდები პირველათ თავს დაესხენ ტრირის არქიეპისკოპოსს, რომლის სამფლობელოების ხელში ჩაგდებაზედაც ისინი ოცნებობდენ. მაგრამ ამ უკანასკნელს მეზობელი მთავრები მიეშველენ და მათმა არტილერიამ რაინდთა სამხედრო ძალები გაანადგურა. რაინდთა აჯანყებას თავად-აზნაურულ ფეოდალური რეაქციის ხასიათი ქონდა: იგი მიმართული იყო მთავართა აბსოლიუტიზმის წინააღმდეგ. რაინდები აჯანყების დროს ვიწრო წოდებრივ ფარგლებში დარჩენ, და ამით აიხსნება უმთავრესათ მათი ისე ჩქარა დამარცხება.

ერთი წლის შემდეგ თითქმის მთელ სამხრეთ გერმანიაში და შუა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიის ზოგიერთ ადგილას გლეხთა დიდი მოძრაობა დაიწყო (1524—25). გერმანელი გლეხობის მდგომარეობა მე XV საუკუნის გასულს და მე-XVI საუკუნის დასაწყისს ძალზე გაუარესდა. ამის მთავარი მიზეზი სამეურნეო ცხოვრების ცვლილება იყო, რომელსაც, როგორც ზევით იყო აღნიშნული, საშვალო საუკუნეთა გასულს ქონდა ადგილი. ამ ხანებში ქალაქში ფულის მეურნეობა განვითარდა, ვაჭრები გამდიდრდენ, მიწისმფლობელი თავად-აზნაურობა კი გაღარიბდა. ამერიკიდან შემოტანილმა ოქრო-ვერცხლმა ფასების რევოლიუცია მოახდინა, ე. ი. ფულის ღირებულება დასცა, ფული გაიაფა, ამან კი საქონელზე ფასების აწევა გამოიწვია, რამაც ცხოვრება გააძვირა; ცხოვრების მოთხოვნილება საგრძნობლათ ასწია. სენიორსა და რაინდს წინანდელი შემოსავალი აღარ ყოფნიდა და ამის გამო გლეხობას ათასგვარი გადასახადი დააწვა კისერზე. ამიტომ მე-XV საუკუნის გასულიდან გლეხთა აჯანყებას განსაკუთრებით სამხრეთი გერმანიის სხვადასხვა კუთხეში ხშირათ ქონდა ადგილი. გლეხებს თავისი გაერთიანების სიმბოლოებიც ქონდათ (მაგ., დროშა, რომლის ერთ მხარეზეც გამოხატული იყო ჯვარცმა, ხოლო მეორე მხარეზე დაჩოქილი გლეხი). ასე რომ 1525 წლის გლეხთა მოძრაობა დიდი ხნიდან მზადდებოდა. აჯანყებულმა ელეხობამ შვაბიაში შეადგინა „თორმეტი მუხლისაგან" შემდგარი მოთხოვნილება--პროგრამა. ეს პროგრამა შეიმუშავეს გლეხთა დეპუტატებმა, იგი მეტათ გავრცელებული იყო გლეხთა წრეებში და დიდის პოპულიარობით სარგებლობდა. „თორმეტ მუხლში" წამოყენებული მოთხოვნილებები შემდეგი იყო: მოძღვარს ხალხი თვით უნდა ირჩევდეს; ბატონყმობა უნდა მოისპოს და გლეხებს პირადი თავისუფლება უნდა მიენიჭოს, რადგან „ქრისტემ ყველანი გამოგვისყიდა და გაგვათავისუფლა თავისი ძვირფასი სისხლითო". ამას გარდა გლეხები მოითხოვენ წართმეული სათემო მიწების დაბრუნებას, წყლით და ტყით სარგებლობას, მებატონის მამულში თევზაობისა და ნადირობის უფლებას, ზომიერ გადასახადს. დასასრულ, მე-11 მუხლში გლეხები ამბობდენ: „თუ დამტკიცდება, რომ აქ ჩამოთვლილ მუხლებში რამე ეწინააღმდეგება საღვთო წერილს ან სამართალს, ასეთი დადგენილება ძალას კარგავსო". ეს მოთხოვნილებები ძლიერ ზომიერი ხასიათის იყო. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, მთავრები და მემამულე სენიორები უმეტეს ნაწილათ უარს აცხადებდენ ამ მოთხოვნილებათა შესრულებაზე. ამიტომ აჯანყებული

გლეხები იკრიბებოდენ ჯგუფჯგუფათ, თავს ესხმოდენ მემამულეებს, კლავდენ მათ და მათ სახლკარს სწვავდენ და ანადგურებდენ. პირველათ რევოლიუცია შვეიცარიის მოსაზღვრე ადგილებში განვითარდა. შემდეგ კი 10 თვის განმავლობაში იგი მოედვა მთელ კუთხეებს ელზასიდან ბრანდენბურგამდი, დუნაიდან ბრაუნშვეიგამდი და თვით ავსტრიაშიც გადავიდა. აჯანყებულთ დახმარების ხელს უწვდიდენ ქალაქის მუშები და ადგილ-ადგილ მათ უერთდებოდენ ზიკინგენის გაფანტული რაზმები. ფრანკონიაში გლეხებმა, საზოგადოების დანარჩენ, რადიკალურ წრეებთან ერთად, დაიკავეს ქალაქი ჰეილბრონი. აქ პოლიტიკური რეფორმის მთელი პროექტი შეადგინეს. „ჰეილბრონის პროგრამა“ მოითხოვდა გერმანიის გაერთიანებას ერთი იმპერატორის ძალა-უფლებით, ეკლესიის, კანონების, სასამართლოს და მთელი მართვა-გამგეობის რეფორმას, ბატონყმობის გაუქმებას და სხვ. ერთი სიტყვით — „ჰეილბრონის პროგრამის“ მიხედვით, გერმანია დემოკრატიულ მონარქიათ უნდა გარდაქმნილიყო. გლეხთა მოძრაობაში ანაბაპტისტები და მათი მეთაური თომა მიუნცერი დიდ როლს ასრულებდენ. ტიურინგიაში გლეხებმა მიუნცერის ხელმძღვანელობით კომუნისტური საზოგადოება შეადგინეს. აჯანყებულ გლეხობაზე თომა მიუნცერს დიდი გავლენა ქონდა. ის აღუთქვამდა ხალხს ამდენი ხნის ტანჯვისათვის ამ ქვეყნათ ღვთის სამეფოს დაარსებას; ამქვეყნიური სამოთხის, ძმობისა და თანასწორობის დამყარებას. თომა მიუნცერი თავის თავს წინასწარმეტყველათ აცხადებდა და ამ ქვეყნის ბოროტებისაგან ცეცხლითა და მახვილით განწმენდისაკენ მოუწოდებდა. გლეხთა მოძრაობას თავიდანვე მრისხანე ხასიათი ქონდა; მაგრამ იგი მალე დამარცხდა. საშინელი იყო დამარცხებული გლეხობისა და მათი მეთაურების მდგომარეობა. თანამედროვეს თქმით „ისეთი ხოცვა-ჟლეტვა იყო, რომ თითქოს მგლების ხრო ცხვრის ფარას თავს დაცემოდესო“; ათი ათასობით ხოცავდენ, აწამებდენ და ანადგურებდენ. მოძრაობის შემდეგ ბატონყმური დამოკიდებულება კიდევ უფრო გაძლიერდა და გლეხები „საცოდავ მონებათ“ გადაიქცენ. დამარცხების მთავარი მიზეზი ის იყო, რომ აჯანყებულნი არ იყვენ კარგათ შეკავშირებულნი და არ ქონდათ გარკვეული სამოქმედო პროგრამა. მოძრაობას უფრო წმინდა სტიქიური ხასიათი ქონდა. ქალაქის ღარიბთა კლასმა გლეხობას ენერგიული დახმარება ვერ აღმოუჩინა. მდიდარი მოქალაქენი კი მთავრებს შეუერთდენ აჯანყების ჩასაქრობათ და ნაკლებათ შეიარაღებული და გაუწრთვნელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გლეხთა რაზმები ყველგან დამარცხდენ კარგათ შეიარაღებულისა და გავრთვნილი მთავართა ლაშქრებთან ბრძოლაში. 1525 წლის რევოლიუციის დამარცხებამ დემოკრატიულ წრეებს დიდი საიმპერიო რეფორმებისა და ხალხის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების იმედი დაუკარგა.

8. **ლიუტერი და გლეხთა მოძრაობა**. ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ ლიუტერმა კიდევ უფრო მეტის სიმკაცრით გაილაშქრა გლეხთა მოძრაობის წინააღმდეგ, ვიდრე რაინდთა აჯანყების წინააღმდეგ. იგი აშკარათ მიემხრო, ამ მოძრაობის დროს, მთავრებს და ურჩევდა მათ სასტიკი ზომები მიეღოთ აჯანყებული გლეხების წინააღმდეგ და ამოეხოცათ ისინი, როგორც ცოფიანი ძაღლები. „ხალხს ვეზიზღებით ჩვენო“, სწერდა გლეხთა აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ლიუტერის მეგობარი და თანამოაზრე ფილიპე მელანხტონი. მართლაც ხალხს არ შეეძლო ეპატიებია ლიუტერისთვის ის გულქვაობა, რომელიც მან მისდამი გამოიჩინა, არ შეეძლო ეპატიებია იმ პირისთვის, რომლისგანაც ის რამდენიმე ხნით უფრო ადრე ბევრს რასმე მოელოდა.

9. **მიუნსტერის კომუნა**. გლეხთა მოძრაობის დამარცხებით, რომელშიაც თომა მიუნცერის მეთაურობით ანაბაპტისტები დიდ მონაწილეობას იღებდენ, ანაბაპტისტური მოძრაობა საბოლოოთ კიდევ არ ჩამქრალა. მე-XVI საუკუნის მე-30 წლებში ანაბაპტისტებმა ჩრდილო გერმანიაში ხელში ჩაიგდეს ქ. მიუნსტერი. მოძრაობას სათავეში ჰოლანდიელი ანაბაპტისტების მეთაური იოანე ლეიდენელი უდგა, რომელმაც თავისი თავი „ახალი ისრაელის მეფეთ“ (ასეთი სახელი უწოდეს მიუნსტერს) გამოაცხადა. მიუნსტერში კომუნისტური წესწყობილება შემოიღეს; ხატები და ყველა წიგნი გარდა ბიბლიისა, მოსპეს; მოსპეს, აგრეთვე ფუფუნების საგნები. მაგრამ ასეთმა მდგომარეობამ მიუნსტერში დიდხანს არ გასტანა. მიუნსტერის კომუნა დაიღუპა (1535). მთავრებმა მიუნსტერი აიღეს დ̃ იოანე ლეიდენელი დ̃ მისი ამხანაგები საშინლათ აწამეს. მთელ ვესტფალიაში საშინელი რეაქციის ხანა დადგა. მიუნსტერის მოძრაობის დამარცხებით დასრულდა ანაბაპტისტების ისტორიული როლი.

10. **კარლოს V და მისი პოლიტიკა**. 1519 წელს გარდაიცვალა გერმანიის იმპერატორი მაქსიმილიანე I და გერმანიის კურფიურსტებმა იმპერატორათ მისი შვილიშვილი (მამით) კარლოს V აირჩიეს. ჯერ კიდევ უფრო ადრე (1515), ისპანიის მეფის ფერდინანდ კათოლიკეს სიკვდილის შემდეგ, რომლის შვილიშვილიც (დედით) კარლოს V იყო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი ისპანიის სამფლობელოების მეფე გახდა. ასე რომ ახალგაზრდა კარლოს ჰაბსბურგი უდიდესი მონარქიის მფლობელი შეიქნა. ახალგაზრდა იმპერატორის სამფლობელოს შემდეგი ქვეყნები შეადგენდენ: ნიდერლანდები, ბურგუნდია, გერმანია, ისპანია, ნეაპოლი სიცილიით, სარდინია, ვესტ-ინდოეთი, მექსიკა კალიფორნიით, პერუ, ჩილი და პარაგვაი. უდიდესი სამფლობელოს, რომელშიც თანამედროვეთა თქმით „მზე არასოდეს არ ჩადიოდა“, მპყრობელს კარლოს V-ს ადვილათ დაებადა აზრი მსოფლიო მონარქიის შექმნისა, ღ საშვალო საუკუნეთა საღვთო რომის იმპერიის იდეა, რომლის იმპერატორიც მთელი დასავლეთის ქრისტიანობის უფროსათ ითვლებოდა, ახალგაზრდობიდანვე არ ასვენებდა მას. კარლოს V, რომელიც არ შეგვიძლია რომელიმე ეროვნებას მივაკუთნოთ, ყველაზე უფრო შეეფერებოდა ასეთი მსოფლიო მონარქიის იდეალს. კარლოს V ბრიუსელში აიზარდა, ოფიციალურათ ისპანიაში ცხოვრობდა, მაგრამ მუდამ თავისი სხვადასხვა ტომით დასახლებულ სამფლობელოებში დაიარებოდა და არც ერთ კუთხესთან არ იყო განსაკუთრებით დაკავშირებული. გულჩახვეული, მოხერხებული პოლიტიკოსი და დასახული მიზნის განხორციელებისათვის დაუღალავი მუშაკი, კარლოს V თითქოს განგებ იყო შექმნილი იმ მსოფლიო ძალა-უფლების განმტკიცებისათვის, რომლისაკენაც ის თავის საგარეო პოლიტიკაში მიილტოდა. თავისი მსოფლიო პლანების განხორციელების გზაზე კარლოს V დიდ მოწინააღმდეგეს შეხვდა საფრანგეთის მაშინდელი მეფის ფრანცისკო I-ს სახით. კარლოს V და ფრანცისკო I (1515—1547) თითქმის ყველგან ერთმანეთის მეტოქე მტრები აღმოჩნდენ: იტალიაში, სადაც პირველს სამხრეთი ნაწილი, მეორეს კი—ჩრდილო ნაწილი ეკუთნოდა, ხმელთაშუა ზღვაზე, ჩრდილოეთის ზღვასთან—ნიდერლანდების სანაპიროებთან და სხვ. თვით გერმანიის საიმპერატორო ტახტზე, რომელიც მაქსიმილიანეს სიკვდილის შემდეგ გათავისუფლდა, კარლოსი და ფრანცისკო I ერთმანეთს ეცილებოდენ, ერთი მეორის მეტოქეთ გამოდიოდენ. კარლოსის მხარეზე ყოველთვის მეტი ძალა იყო, მაგრამ მას ხელს ის გარემოება უშლიდა, რომ მისი სამფლობელოები გაფანტული იყო. 1521 წლიდან კარლოს V-ისა და ფრანცისკო I-ს შორის იწყება ომი, რომელიც თითქმის მეოთხედ საუკუნეს გაგრძელდა. ფრანცისკო I ამ ბრძოლაში კარლოს V-ს მსოფლიო ბატონობის წინააღმდეგ იბრძოდა და ამ შემთხვევაში პოლიტიკური წონასწორობის იდეის დამცველათ გამო-

ტიოდა. (პოლიტიკური წონასწორობის იდეა ახალ დროს ეკვილიბრი-ეს სისტემა იმაში გამოიხატება, რომ ევროპის სახელმწიფოები ცდილობდენ ერთი სახელმწიფო ისე არ ამაღლებულიყო, რომ დანარჩენი სახელმწიფოების ინტერესებისთვის მისი გაძლიერება საშიში ყოფილიყო).

1525 წ ქარლოს V-სა და ფრანცისკო I-ს შორის ბრძოლაში გამარჯვება პირველს ხვდა წილათ. პავიასთან საფრანგეთის მეფე სასტიკათ დამარცხდა. ქარლოსმა იგი ტყვეთ ჩაიგდო ხელში და მადრიდის ციხეში გაგზავნა. დატყვევებული ფრანცისკო I დათანხმდა ყველა იმ პირობაზე, რომელიც მას ქარლოსმა წაუყენა (მილანზე უარი გააცხადა და ბურგუნდიაზეც ხელი აიღო). მაგრამ ზავი ხანგრძლივი არ აღმოჩნდა და მალე იმპერატორის წინააღმდეგ შესდგა ახალი კოალიცია, რომელშიც შევიდენ გარდა ფრანცისკო I-სა, პაპი კლიმენტო VII, ინგლისი და იტალიის ზოგიერთი სამფლობელო. ამ ბრძოლის დროს ქარლოსის ჯარები თვით საღვთო ქალაქ რომს შეესიენ და საშინლათ დაარბიეს იგი (1527). ქარლოს V-ს დარჩა ჩრდილო იტალია მილანით და რამდენიმე სიმაგრე. ამ დროს ფრანცისკო I-ს გამოუჩნდა ახალი მოკავშირე ოსმალთა სულთნის სოლეიმანის სახით. მან აიღო ბელგრადი, დაიკავა უნგრეთი და თვით ვენას მიადგა. თუმცა ვენა ვერ აიღეს და აქ ისინი იმპერატორის ჯარებისაგან დამარცხდენ, მაგრამ უნგრეთში მაინც დარჩენ და აქედან ავსტრიის სამემკვიდრო სამფლობელოებს და მასთან ერთად მთელ გერმანიასაც მუდამ ემუქრებოდენ. მუსულმანთა საშიშროება ქარლოსისთვის მეორე მხრითაც დიდი იყო. ჩრდილო აფრიკაში ფეხი მოიკიდეს მუსულმანთა ავაზაკებმა, რომელნიც ისპანიასა და იტალიის სამფლობელოებს თავს ესხმოდენ, ცარცვავდენ და მცხოვრებნი ტყვეთ მიყავდათ. მთელი თავისი ძალები ქარლოს V-მ მუსულმანთა წინააღმდეგ მიმართა და პირადათაც მონაწილეობას იღებდა ბრძოლაში, რომლის დროსაც ტუნისი აიღო (1535). ამ მომენტით ისარგებლა ფრანცისკო I-მა და ხელახლა დაიპყრო მილანი. მე-30 წლების გასულს და მე-40 წლების დასაწყისს ფრანცისკო I კიდევ ორ ომს აწარმოებდა ქარლოს V-ის წინააღმდეგ. უკანასკნელი ომის დროს იმპერატორი საფრანგეთის ტერიტორიაზე შეიჭრა და თვით პარიზს მიუახლოვდა. ფრანცისკო I-მა ზავის ჩამოგდებაზე დაიწყო ლაპარაკი და იმ ხელშეკრულებით, რომელიც მათ შორის 1544 წ. (კრეპში) დაიდვა ორივე მხარემ დაპყრობილ ადგილებზე უარი გააცხადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. **კარლოს V-ის ბრძოლა პროტესტანტიზმის წინააღმდეგ.** იმ დროს, როდესაც **გერმანიის** რელიგიურსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდი ცვლილებები ხდებოდა, კარლოს V **გერმანიაში** არ იმყოფებოდა. **გერმანია** მას დიდი ხნით ქონდა მიტოვებული. პირველად ის 1521 წ. მივიდა **გერმანიაში ვორმსის** რეიხსტაგზე; ამას შემდეგ ის **გერმანიიდან** წავიდა და, სანამ თავის ომებს დაასრულებდა (1544), მხოლოდ ერთხელ დაბრუნდა **გერმანიაში**, 1530 წ., და ისიც მოკლე ხნით. იმპერატორის **გერმანიის** გარეთ ყოფნის დროს მთავრები შეიქნენ ქვეყნის ბატონ პატრონნი. **რეფორმატორი** მათ მხარეზე იყო; მათ ჩააქრეს რევოლიუცია და გაანადგურეს რევოლიუციონური ანაბაპტიზმი. თუმცა კარლოს V მთავრებს უთვლიდა შეესრულებიათ **ვორმსის** ედიკტი და ჩაექროთ რეფორმაცია, მაგრამ 1526 წლის რეიხსტაგზე, რომელიც **შპეიერში** შეიკრიბა, რეფორმაციისადმი მთავრების უმრავლესობის თანაგრძნობა გამომჟღავნდა. ამ რეიხსტაგზე, მიუხედავათ იმპერატორისა და კათოლიკე მთავრების მოთხოვნილებისა, მიიღეს დადგენილება, რომ მთავრები, საიმპერიო ქალაქები და აგრეთვე საიმპერიო რაინდები ისე მოპყრობოდენ ლიუტერანებს, როგორც თითოეულ მათგანს სურდა. **მაგრამ** მალე მთავრები ორ ბანაკათ გაიყო. ბევრი მათგანი შეაშინა იმ მოძრაობამ, რომელიც მაშინ **გერმანიაში** წარმოებდა. ამით ისარგებლა **რომის** ეკლესიამ და სხვადასხვა დათმობის გზაზე წავიდა, ნება მისცა ბევრ მთავარს თავის სამფლობელოში საეკლესიო მამულის სეკულიარიზაცია მოეხდინა. ამას შემდეგ, როდესაც კარლოს V-მ **ვორმსის** ედიკტის შესრულება მეორეთ მოითხოვა, **შპეიერის რეიხსტაგზე** 1529 წ. მის მოთხოვნილებას უმრავლესობამ მხარი დაუჭირა. უმცირესობამ კი, რომელშიც 5 მთავარი და 14 საიმპერიო ქალაქი შედიოდა, უმრავლესობის დადგენილების წინააღმდეგ შეადგინა პროტესტი (აქედან რეფორმაციის მომხრეებს პროტესტანტები ეწოდება), რომელშიც ისინი იმ საბუთს ეყრდნობოდენ, რომ სახელმწიფო ძალა-უფლებას ნება არა აქვს სინიდისის საქმეში ჩაერიოს. 1530 წ. კარლოს V თვით მივიდა **გერმანიაში** და დაესწრო **აუგსბურგის** სეიმს. მან სურვილი გამოსთქვა გაცნობოდა იმ განსხვავებას, რომელიც ძველსა და ახალ სარწმუნოების შორის არსებობდა. პროტესტანტმა მთავრებმა წარუდგინეს იმპერატორს **მელანხტონის** მიერ შედგენილი პროტესტანტიზმის მთავარი დებულებანი, რომელმაც **აუგსბურგის ალსარების** სახელწოდება მიიღო. იმპერატორმა პროტესტანტი

მთავრების მოქმედებაში უზენაესი ძალა-უფლების აშკარა ურჩობა დაინახა და მოითხოვა რომ მომავალი წლის გაზაფხულისთვის ისინი კათოლიკურ ეკლესიას შეერთებოდენ. ამ მოთხოვნაზე პროტესტანტმა მთავრებმა იმით უპასუხეს, რომ ქ. შმალკალდენში ურთიერთ დასახმარებლათ შეიარაღებული კავშირი შეადგინეს. პროტესტანტულ ქალაქთა ნაწილიც მიემხრო კავშირს. ქალაქებმა კავშირს დიდი მატერიალური დახმარება აღმოუჩინეს, რითაც ძალზე გაამაგრეს იგი. მე-XVI საუკ. მე 30 და მე-40 წლებში გერმანიაში პროტესტანტიზმი დიდათ გაძლიერდა. რეფორმაციის გამარჯვებამ ძლიერი გავლენა იქონია იმპერატორზე, რომელიც საფრანგეთისა და ოსმალეთის წინააღმდეგ ომების წარმოების გამო, გერმანიის შინაურ საქმეებს მოცილებული იყო. 1543 წ. მოხდა ერთი შემთხვევა, რომელმაც იმპერატორი განსაკუთრებით გამოაფხიზლა. კიოლნის არქიეპისკოპოსმა გადასწყვიტა თავისი სამფლობელოს სეკულარიზაცია მოეხდინა. სამი კურფიურსტი (ბრანდენბურგის, საქსონიისა და ფალცის) უკვე პროტესტანტები იყვენ, ახლა მათ კურფიურსტი კიოლნის არქიეპისკოპოსი ემატებოდათ, და, ამგვარათ, კურფიურსტთა კოლეგიაში (რომელიც 7 კურფიურსტისაგან შესდგებოდა) უმრავლესობას პროტესტანტი კურფიურსტები წარმოადგენდენ, რაც ჰაბსბურგების კათოლიკური დინასტიის არსებობას ემუქრებოდა. ამიტომ კარლოს V-მ გადასწყვიტა გაენადგურებია პროტესტანტიზმი — და საჩქაროთ შეკრა ზავი საფრანგეთსა და თურქებთან. პროტესტანტ მთავრებმა, რომელნიც შეკავშირებულათ ვერ მოქმედებდენ, საშვალება მისცეს კარლოს V-ს ისპანიის ჯარები, რომელნიც იტალიაში იდგენ, ალპის გამოსავალში გამოეყვანა. მან დაიწყო ბრძოლა შმალკალდენის კავშირის წინააღმდეგ — და ნაწილი პროტესტანტ მთავრებისა კარლოსის მხარეზე გადავიდა (ბრძოლის დაწყების წინ 1546 წ. ლიუტერი გარდაიცვალა). სხვადასხვა დაპირებით კარლოსმა შესძლო საქსონიის ჰერცოგის მორიცის თავის მხარეზე გადაყვანა. (რისთვისაც მან „იუდა გამცემელის“ სახელი დაიმსახურა). იმპერატორმა ტყვეთ ჩაიგდო ხელში საქსონიის კურფიურსტი, პროტესტანტების მეთაური, და კარლოსმა მისი სამფლობელო და ტიტული მორიცს გადასცა. კარლოსი ამ დროს თავისი ძლიერების უმაღლეს წერტილზე იდგა. მან მოაწყო საერთო საეკლესიო კრება ტრიენტში (სამხრეთ ტიროლში, იმპერიისა და იტალიის საზღვარზე) და აიძულა პროტესტანტები მონაწილეობა მიეღოთ მასში. ამას შემდეგ იმპერატორ-

მა მოიწვია რეიხსტაგი აუგსბურგში (1547—48), რომლის დადგენილებითაც საეკლესიო მამულების სეკულარიზაცია შეჩერებულ იქნა; პროტესტანტიზმი აკრძალულ სარწმუნოებათ გამოცხადდა, ხოლო პროტესტანტ მთავრებს უნდა მიეღოთ ე. წ. „აუგსბურგის ინტერიმი", ე. ი. დროებითი საეკლესიო წესები. მაგრამ იმპერატორის გამარჯვება დროებითი იყო; მას არ შეეძლო გერმანიაში რომელსამე საზოგადოებრივ კლასს, რომელიმე ნაციონალურ პოლიტიკურ ძალას დაყრდნობოდა. მისი მოქმედება ძალზე ანტინაციონალური იყო: გერმანელ მთავრებთან ბრძოლაში, ის, გერმანიის იმპერატორი, ესპანელ ჯარებზე ეყრდნობოდა. ამიტომ მთავრების ბრძოლას იმპერატორის წინააღმდეგ ნაციონალური დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ელფერი ეძლეოდა, და ამიტომ ხალხის თანაგრძნობა მათ მხარეზე იყო. მალე გამჭრიახი და მოქნილი მორიც საქსონელიც გადავიდა პროტესტანტების მხარეზე. ამ დროს ყველასაგან მიტოვებული, იმპერატორი სრულიად მარტო დარჩა. მორიცმა საფრანგეთის მეფესთან შეკრა კავშირი და საშუალება მისცა მას დაეკავებინა დასავლეთის საზღვარზე საიმპერიო ქალაქები (მეცი). თვით მორიცი ტიროლის მთებში თავს დაესხა იმპერატორს და კინაღამ ტყვეთ ჩაიგდო ხელში.

**12. აუგსბურგის ზავი.** კარლოს V-მ მთავრებთან ბრძოლაში დამარცხებულად სცნო თავი და დათანხმდა მათთან მოლაპარაკების დროს დათმობის გზას დადგომოდა. 1555 წ. აუგსბურგის რეიხსტაგმა დაამკვიდრა სარელიგიო ზავი გერმანიაში. აუგსბურგის ზავის მიხედვით კათოლიციზმს და ლიუტერანობას თანასწორი უფლება მიენიჭათ (მწვალებლობა და აგრეთვე ცვინგლიანობა და კალვინიზმი აკრძალული იყო). სარწმუნოების თავისუფლება მთავრებსა და ქალაქებს მიეცათ; ხალხს, ქვეშევრდომებს კი თავისი მართველის რელიგია უნდა მიეღოთ (რაც ლათინურად შემდეგ სიტყვებში გამოიხატებოდა: cujus regio, ejus religio — ვისიც ქვეყანაა, მისია სარწმუნოებაც). ეს არ იყო სარწმუნოებ-ს თავისუფლების გამოცხადება: იგი სავსებით ეწინააღმდეგებოდა სინდისის თავისუფლების პრინციპს. ამას გარდა, თუ კათოლიკე სასულიერო მთავარი-მფლობელი პროტესტანტიზმზე გადავიდოდა, ის თავის სამფლობელოს კარგავდა. აუგსბურგის სარელიგიო ზავი მთავართა გამარჯვების შედეგი იყო. მან არა თუ მარტო გერმანიაში, არამედ მთელ ევროპაშიც განამტკიცა საეკლესიო განხეთქილება. კარლოს V-მ

დამარცხების შემდეგ ტახტზე დიდხანს აღარ დარჩენილა. მისი [illegible] მოტყდა, ის მელანქოლიურმა სულიერმა განწყობილებამ შეიპყრო და, დასასრულ, ტახტზე უარი გააცხადა და ისპანიის ერთ-ერთ მონასტერში შევიდა. ამგვარათ, 1556 წლიდან კარლოს V საბოლოოთ გაცილდა ისტორიულ ასპარეზს. მისი სამფლობელო ორ ნაწილათ გაიყო: უმთავრესი ნაწილი — ისპანია, ნიდერლანდები, იტალიის სამფლობელოები და ახალი ქვეყანა კარლოს V-ის შვილს ფილიპეს (ფილიპე II) ხელში გადავიდა; ავსტრიის სამფლობელოები და გერმანიის საიმპერატორო გვირგვინი კი—მისი ძმის ფერდინანდის ხელში.

*13 **რეფორმაციის შედეგები გერმანიისთვის**. რეფორმაციამ გამარჯვება მიანიჭა მთავრებს და არისტოკრატიულ კლასებს—ქალაქის პატრიციებს. დემოკრატია გაისრისა. თავად-აზნაურობა და გლეხობა დაუბრუნდა თავის განადგურებულ მეურნეობას. სამღვდელოება კი მთავართა ძალა-უფლების ბრმა იარაღათ გადაიქცა. იმპერიის მთლიანობა საბოლოოთ დაიშალა: იგი ორ ნაწილათ — კათოლიკურათ და პროტესტანტულათ — გაიყო და თითოეულ მათგანში ყოველი მთავარი სრულიად დამოუკიდებელი მართველი შეიქნა. იმპერატორის ძალა უფლება მთავართა ოლიგარხიას დაექვემდებარა; იმპერიის ცენტრალური დაწესებულება — რეიხსტაგი მთავრების ხელში გადავიდა. გერმანიის პოლიტიკურ დანაწილებას თან ახლდა მისი ეკონომიური დაცემაც. მთავრებმა თავისი სამთავროების საზღვრები ჩაკეტეს და სხვა სამთავროებიდან შემოტანილ საქონელს დიდ ბაჟებს ადებდენ; ამით კი ისინი საქონლის თავისუფლათ შეტანას და ვაჭრობა, აღებ-მიცემობის განვითარებას აფერხებდენ. ამის გამო გერმანიაში ვაჭრობა და მრეწველობა დაეცა. მე-XV საუკუნეში ვაჭრობა, აღებ-მიცემობის ასპარეზზე გამოსული კუთხეები ისევ ნატურალურ კარჩაკეტილობას დაუბრუნდენ. ამგვარათ, რეფორმაცია გერმანიისთვის არაპროგრესიული და რეაქციონური მოვლენა გამოდგა. მან გამარჯვება მიანიჭა-კონსერვატიულ საზოგადოებრივ წრეებს და გერმანიის როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური წინსვლა შეაფერხა. გერმანიაში არც ის სინიდისის თავისუფლება განხორციელდა, რომლის შესახებაც წარწერილი იყო იმ დროშაზე, რომელიც ლიუტერმა მე-XVI საუკ. მე-20 წლებში რომის წინააღმდეგ აafრიალა. აუგსბურგის სარელიგიო ზავის დროს რეფორმაცია გავრცელებული იყო უკვე შემდეგ ქვეყნებში: შვეიცარიაში, დანიაში, შვეციაში, პრუსიაში, ინგლისში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რეფორმაცია გერმანიის გარეთ.

1. რეფორმაცია შვეიცარიაში. ცვინგლი. შვეიცარიის რეფორმატორათ ულრიხ ცვინგლი (1484—1531) ითვლება. მან თავისი ქადაგება, ლიუტერისაგან დამოუკიდებლათ, თითქმის იმავე დროს დაიწყო, როდესაც ლიუტერმა პირველათ გაილაშქრა კათოლიკური ეკლესიის



ბოროტმოქმედების ინდულგენციებით ვაჭრობის წინააღმდეგ. ლიუთერივით ცვინგლიც გლეხის შვილი იყო და ის დაბალი ხალხის წრეში აღიზარდა. მაგრამ ამ ორ რეფორმატორს შორის განსხვავება იმით გამოიხატება, რომ ლიუთერმა საშუალო საუკუნეების სულით გაჟღენთილი აღზრდა და განათლება მიიღო. ცვინგლი კი ჰუმანისტურ მსოფლმხედველობაზე აღიზარდა; იგი ცნობილი ჰუმანისტი და კლასიკური ლიტერატურისა და ფილოსოფიის თაყვანისმცემელი იყო. აღზრდისა და განათლების ასეთი სხვაობის ნიადაგზე წარმოიშვა მათი რელიგიური და საზოგადოებრივი მსოფლმხედველობის სხვადასხვაობაც. ლიუთერმა დიდი სულიერი ტანჯვა განიცადა კათოლიკური ეკლესიისაგან ჩამოცილების დროს, იგი მზად იყო ძველ ეკლესიას დაბრუნებოდა, თუ მასში საეკლესიო კრება ძირითად რეფორმებს გაატარებდა და შეასწორებდა მას; ცვინგლი კი სრულიად უყოყმანოთ ჩამოშორდა კათოლიკურ ეკლესიას და ის მტკიცე ლოლიკურის თანდათანობის გზით ცდილობდა რეფორმაციის დებულებათა ცხოვრებაში გატარებას. ლიუთერს წარმოდგენა არ ქონდა თავისი ქვეყნის პოლიტიკური და საზოგადოებრივი რეფორმების აუცილებლობის შესახებ და მის წინააღმდეგ ილაშქრებდა; ცვინგლი კი უპირველეს ყოვლისა პოლიტიკური და საზოგადოებრივი იდეალებით იყო გაჟღენთილი; ის სახალხო აგიტატორი იყო; იგი სავსებით გამსჭვალული იყო იმ ინტერესებით, რომელიც იმ დროს შვეიცარიის რესპუბლიკის დემოკრატიას აღელვებდა. როგორც პოლიტიკურმა მოღვაწემ, ცვინგლიმ მიზნად დაისახა მაშინდელს შვეიცარიის ცხოვრებაში ორი უმთავრესი ბოროტება აღმოეფხვრა: შვეიცარიელების უცხოელების მიერ ჯარის კაცებად დაქირავება და კანტონების უთანასწორო უფლება კავშირში. შვეიცარიელებს იმ დროს იცნობდენ, როგორც კარგ მეომრებს და ევროპის სახელმწიფოები ხშირად ქირაობდენ შვეიცარიის ჯარებს. ეს კი აქვეითებდა შვეიცარიის ცხოვრებას, რადგან შვეიცარიის ახალგაზრდობას თვალი მუდამ გარეთ ეჭირა, ის ომებში ცარცვა-გლეჯით შეძენაზე ფიქრობდა და შინაური მეურნეობის გაუმჯობესობაზე გული აცრუებული ქონდა. რაც შეეხება კანტონების უთანასწორობას, ეს შემდეგით გამოიხატება: ტყის კანტონები (შვიცი, ური, უნტერვალდენი და ლიუცერნი), რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს შვეიცარიის კავშირს, მასში განსაკუთრებული პრივილეგიური მდგომარეობით, მეტი უფლებით სარგებლობდენ დიდ კანტონებთან (ციურიხთან, ბერნთან და

სხვ.) შედეგებით. ამ ორი უმთავრესი ბოროტების: დაქირავებისა და კანტონების პოლიტიკური უთანასწორობის მოსპობა ჰქონდა მიზნათ დასახული ცვინგლის; საეკლესიო რეფორმაციას კი ის უყურებდა, როგორც საშუალებას ამ უმთავრესი მიზნის მისაწევათ. ცურიხმა, სადაც ცვინგლი ღვდლათ იყო მიწვეული, ცვინგლის საეკლესიო რეფორმები მიიღო. ცვინგლი სარწმუნოების ერთადერთ წყაროთ საღვთო წერილს აღიარებდა, ის უარყოფდა პაპის ძალა-უფლებას, ბერობას და სხვ., რომელთაც არავითარი საფუძველი და გამართლება არ აქვთ საღვთო წერილში. ცურიხის ქალაქის საბჭომ მიიღო ცვინგლის სარწმუნოებრივი დებულებანი. ცვინგლიმ განდევნა ღვთისმსახურებიდან საღვთო გამოხატულებანი (გარდა ჯვარცმისა) და უმთავრეს აქტებათ გალობა და ქადაგება გამოაცხადა. რაც შეეხება ძველ ჩვეულებებსა და შეხედულებებს ცვინგლი უარყოფდა ყველაფერს, რაც საღვთო წერილიდან პირდაპირ არ გამომდინარეობდა, მაშინ როდესაც ლიუტერი სტოვებდა ყველაფერს, რაც საღვთო წერილს არ ეწინააღმდეგებოდა. ასე რომ ცვინგლი უფრო რადიკალური საეკლესიო რეფორმატორი იყო. მის მიერ დაარსებული ეკლესია უფრო პირველყოფილ ქრისტიანულ ეკლესიას უახლოვდებოდა. ამას გარდა ლიუტერი ზიარებას უყურებდა, როგორც საიდუმლოებას, მას ქრისტეს სიტყვები: „ესე არს ხორცი, ესე არს სისხლი ჩემი“ პირდაპირის მნიშვნელობით ესმოდა, ე. ი. მორწმუნე მართლაც ეზიარება ქრისტეს სისხლსა და ხორცსაო. ცვინგლი კი ზიარებას უბრალო ისტორიულ მოგონებათ სთვლიდა და მას არავითარი საიდუმლოების მნიშვნელობას არ აძლევდა. რასაკვირველია, ასეთი რადიკალური საეკლესიო რეფორმა გაუნათლებელ შვეიცარიელებში თანაგრძნობას ვერ გამოიწვევდა. იგი უფრო კულტურულ, დაბლობის კანტონებში და სამხრეთ გერმანიაში გავრცელდა. მთის კანტონები ისევ კათოლიციზმის მომხრეებათ დარჩენ. რელიგიურმა განხეთქილებამ კიდევ უფრო გააღვივა მტრობა და მღელვარება ძველსა და ახალ, მთისა და დაბლობის კანტონებს შორის, და ასეთი გამწვავებული მდგომარეობა გათავდა კაპელასთან ბრძოლით (1531), სადაც თვით ცვინგლიც დაიღუპა. იმ ზავის პირობით, რომლითაც ეს ბრძოლა გათავდა, თითოეულ კანტონს მიენიჭა რელიგიური საკითხის დამოუკიდებლათ გადაჭრის უფლება. რამდენიმე ხნის შემდეგ შვეიცარიას ახალი რეფორმატორი კალვინი მოევლინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**2. რეფორმაცია სკანდინავიის ქვეყნებში** მე-XVI საუკ. მე-20 წლებში რეფორმაცია აგრეთვე სკანდინავიის ქვეყნებში—დანიასა და შვეციაშიც გავრცელდა. რეფორმაციის გავრცელება ამ ქვეყნებში პოლიტიკურ პირობებთან იყო დაკავშირებული. კალმარის უნიის ძალით, რომელიც 1397 წ. მოხდა, შვეცია და დანია ერთი მეფის ხელში გაერთიანდენ. ამ კავშირში დანიას უპირატესობა მიენიჭა. შვედები ამ კავშირის უკმაყოფილო იყვნენ და მე-XVI საუკუნის დასაწყისს საკმარისი შეიქნა მცირემნიშვნელოვანი საბაბი, რომ ეს ხელოვნურათ შექმნილი კავშირი დაშლილიყო. სასტიკის ქრისტიან II-ის ვერაგულმა მართველობამ, რომელმაც უწყალოთ დასაჯა უკმაყოფილო შვედები („სტოკჰოლმის ხოცვა-ჟლეტა" 1520 წ.), შვეციის აჯანყება გამოიწვია, რომელსაც სათავეში გუსტავ ვაზა ჩაუდგა. გუსტავ ვაზას მეთაურობით აჯანყებულმა შვედებმა ქრისტიან II-ის ტირანია დაამხვეს და შვეციის ტახტზე ქვეყნის გამათავისუფლებელი გუსტავ ვაზა აიყვანეს. კალმარის უნია დაიშალა. დანიელებმაც ქრისტიან II ტახტიდან ჩამოაგდეს და წოდებმა მისი ბიძა, ჰოლშტინიისა და შლეზვიგის ჰერცოგი ფრიდრიხ I აირჩიეს. ორივე ახალი მეფის ფინანსიური ინტერესები მოითხოვდა საეკლესიო ქონების ხელში ჩაგდებას. ამას გარდა კიდევ საჭირო იყო ძალზე გაძლიერებული სამღვდელოების დასუსტება. ამ მიზნების განახორციელებლათ როგორც გუსტავ ვაზა შვეციაში, ისე ფრიდრიხ I დანიაში თავად-აზნაურობას შეუკავშირდენ და მათი დახმარებით სასულიერო მამულების სეკულიარიზაცია მოახდინეს. მაგრამ ამ საკითხის გადასაჭრელათ საჭირო შეიქნა სეიმების მოწვევა დანიასა და შვეციაში (ოდენზესა და ვერტეროსში, 1527 წ.). ამ სეიმების დადგენილებით შკიციასა და დანიაში ლიუტერანული სარწმუნოება შემოიღეს. ეკლესიამ მიიღო ეპისკოპალური წესწყობილება და მის მეთაურათ და უფროსათ მეფე იქნა გამოცხადებული.

მე-XVI საუკ., მე-20 წლების გასულს, რეფორმაცია პრუსიაშიც გავრცელდა, რომელიც ტევტონთა ორდენის სამფლობელოებისაგან შესდგა.

**3. რეფორმაცია ინგლისში.** ინგლისში რეფორმაცია მე XVI საუკ. მე-30 წლებში, ჰენრიხ VIII-ის ტიუდორის დროს გავრცელდა. უკმაყოფილება რომის პაპის ბატონობის წინააღმდეგ ინგლისში წინათაც ბევრჯერ გამოთქმულა (უიკლიფის ქადაგება, ედუარდ III-ის დროის პარლამენტის დადგენილებანი). თვით ჰენრიხ VIII განუსაზღვრელი უფლების მოსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე იყო; ის პარლამენტს დიდ ანგარიშს არ უწევდა და მის დროს პარლამენტი სახელმწიფო მართვა-გამგეობაზე თითქმის ვერავითარ გავლენას ვერ ახდენდა. ამიტომ მცირემნიშვნელოვანი საბაბი იყო საჭირო, რომ ჰენრიხ VIII-ეს პაპის უფლება უარ ეყო და თავისი თავი ინგლისის ეკლესიის მეთაურათ გამოეცხადებია. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, სანამ პაპსა და ჰენრიხ VIII-ეს შორის პირად ნიადაგზე განხეთქილება მოხდებოდა, ჰენრიხ VIII კათოლიკური ეკლესიის დამცველათ გამოდიოდა. როდესაც პაპსა და ლიუტერს შორის ბრძოლა დაიწყო, მან გამოსცა თხზულება ლიუტერის შეხედულებათა წინააღმდეგ. ჰენრიხ VIII-სა და რომის პაპს შორის განხეთქილების ჩამოგდების და რომის ეკლესიიდან ჰენრიხ VIII-ის ჩამოშორების მიზეზი შემდეგი იყო: პაპი წინააღუდგა ჰენრიხ VIII-ის სურვილს გაყროდა თავის პირველ მეუღლეს, ისპანიის მეფის ასულს ეკატერინე არაგონელს, რომელთანაც ის 20 წლის განმავლობაში ცხოვრობდა, და შეერთო თავისი მეუღლის სეფე-ქალი, ლამაზი ანა ბოლეინი. მაშინ ჰენრიხ VIII-ემ მიმართა პარლამენტს და სამღვდელოებას, მათ კი ნება მისცეს მეფეს გაყროდა თავის პირველ მეუღლეს და შეერთო ანა ბოლეინი. მათ აგრეთვე მოახდინეს დადგენილება, რომ ინგლისის ეკლესია აღარ ემორჩილება რომის პაპს და ამ უკანასკნელს უფლება აღარა აქვს ინგლისის საქმეებში ჩარევისა. ამასთანავე მოუსპეს რომს გადასახადების მიცემა და 1534 წ. კი განსაკუთრებული აქტით **მეფე გამოცხადებულ იქნა ინგლისის ანუ ანგლიკანური ეკლესიის** (ასეთი სახელწოდება მიიღო ინგლისის ახალმა ეკლესიამ) **მეთაურათ**. მეფე სასტიკათ სდევნიდა ყველას, ვინც ამ დადგენილებას არ ემორჩილებოდა და მეფეს ეკლესიის მეთაურათ არ აღიარებდა (მეფის სისასტიკისა და დევნის მსხვერპლი შეიქნა აგრეთვე „უტოპიის“ ავტორი თომას მორუსიც). ისე როგორც სხვა ქვეყნებში, ჰენრიხ VIII-მაც ინგლისში საეკლესიო რეფორმების გატარებით დიდი ფინანსიური სარგებლობა მიიღო. მეფის ახალმა ფავორიტმა თომას კრომველმა მონასტრებისა და ეკლესიების რევიზია მოახდინა და ბევრი ყალბი ცნობა შეკრიბა სამღვდელოების უზნეო ცხოვრების შესახებ. ამას შემდეგ ინგლისში დაიწყეს საეკლესიო ქონების კონფისკაცია, რომელმაც ნამდვილი ცარცვა-გლეჯის ხასიათი მიიღო. საეკლესიო მამულები საჩქაროთ იყიდებოდა და უმეტეს ნაწილათ სასახლის წრეებისა და თავად-აზნაურობის ხელში გადადიოდა. ჰენრიხ VIII-ის გარდაცვალების

შემდეგ, მისი მცირეწლოვანი მემკვიდრის ედუარდ VI-ის (1547—1553) დროს საბოლოოთ ჩამოყალიბდა ინგლისში ახალი, ანგლიკანური ეკლესია. კენტერბერის არქიეპისკოპოსმა კრანმერმა, რომელიც ამ დროს ეკლესიის რეფორმის საქმეს სათავეში ჩაუდგა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა პროტესტანტიზმისაკენ: შემოიღეს ზიარება ორი სახით — ღვინისა და პურის სახით, ღვდლებს ქორწინების უფლება მიანიჭეს; მიიღეს მოძღვრება სარწმუნოებით გამართლებისა; საღვთო წერილი სარწმუნოების ერთადერთ წყაროთ აღიარეს. ამგვარათ რომიდან გამოყოფილმა ანგლიკანურმა ეკლესიამ შეითვისა პროტესტანტიზმის ზოგიერთი მხარე, მაგრამ კათოლიკური ეკლესიის ბევრი წესი და ჩვეულება ხელუხლებლათ დასტოვა; მან დასტოვა აგრეთვე ეპისკოპოსობა. პროტესტანტულსა და კათოლიკურ ეკლესიას შორის ანგლიკანურმა ეკლესიამ საშუალო ადგილი დაიჭირა. მაგრამ ამით არ დასრულებულა რეფორმაციის საქმე ინგლისში. ანგლიკანურმა ეკლესიამ კიდევ დიდი ბრძოლა განიცადა როგორც კათოლიკური ეკლესიის, ისე პროტესტანტული ეკლესიის უკიდურეს მიმართულებათა მხრით. ედუარდ VI-ის შემდეგ ინგლისის ტახტზე ჰენრიხ VIII-ის ქალი (ეკატერინე არაგონელის ხელში შეძენილი) მარიამი ავიდა. იგი ფანატიკოს კათოლიკე მეფის ფილიპე II-ის მეუღლე იყო და სასტიკი ზომებით ცდილობდა ინგლისში კათოლიციზმის აღდგენას. (კრანმერი ამ რეაქციის მსხვერპლი შეიქნა). მის დროს პარლამენტმა ეკლესიური რეფორმები გააუქმა და პაპის უფლება აღადგინა ინგლისში. ასეთი მდგომარეობა ინგლისში სულ 5 წელიწადს გაგრძელდა. მარიამის სიკვდილის შემდეგ ინგლისის ტახტზე ჰენრიხ VIII-ის მეორე ქალი (ანა ბოლეინის ხელში შეძენილი) ელისაბედი ავიდა. ტახტზე ასვლისთანავე მან აღადგინა ანგლიკანური ეკლესია იმ სახით, როგორც ის ედუარდ VI-ის დროს ჩამოყალიბდა. მაგრამ მან, როგორც ქალმა, უარი განაცხადა „ეკლესიის უფროსის" ტიტულზე და „საეკლესიო და სამოქალაქო საქმეების მართველის" ტიტული მიიღო. კათოლიკეებსა და ანგლიკანებს შორის ბრძოლა ელისაბედის დროსაც წარმოებდა. კათოლიკეებს ამ დროს სათავეში შოტლანდიის დედოფალი მარიამ სტიუარტი უდგა, რომელიც ელისაბედს ინგლისის ტახტის უკანონო მემკვიდრეთ სთვლიდა და თვით სურდა ინგლისის ტახტზე ასვლა. მარიამ სტიუარტს ქვეშევრდომები აუჯანყდნენ, მან ინგლისს შეაფარა თავი, სადაც ის ელისაბედმა დაატყვევა და 18 წლის ტყვეობის

შემდეგ თავი მოკვეთა. ელისაბედის დროს ანგლიკანური ეკლესია საბოლოოთ განმტკიცდა ინგლისში. ამგვარათ რეფორმაციის საქმეს ინგლისში თვით მთავრობა ჩაუდგა სათავეში. მაგრამ მან ზომიერი საეკლესიო რეფორმა გაატარა და მთავარი ყურადღება საეკლესიო ქონების სეკულარიზაციას მიაქცია. ამით კი მიწისმფლობელმა კლასმა — თავად-აზნაურობამ მოიგო. ამასთან ერთად საეკლესიო რეფორმაციამ ხელი შეუწყო ინგლისში სამეფო ძალა-უფლების გაძლიერებას. დაბალი კლასების მდგომარეობა არაფრით არ გაუმჯობესებულა და მათში დიდმა უკმაყოფილებამ იჩინა თავი, რაც გერმანიისებურ გლეხთა მოძრაობაში გამოიხატა. ხალხში თანდათან უკიდურესი პროტესტანტული მოძღვრება გავრცელდა, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში, გერმანელ ანაბაპტიზმის მსგავსათ, ქონების განსაზოგადოებას მოითხოვდა, მდიდრულსა და ფუფუნებით ცხოვრებას უარყოფდა. ამ მოძღვრების მიმდევრები პურიტანების (purus — წმინდა) სახელით არიან ცნობილი. ამგვარათ ინგლისში მართველი წრეები და უმაღლესი კლასები ოფიც. ეპისკოპალური, ანგლიკანური ეკლესიის მომხრენი იყვნენ; ხალხის მასაში კი პურიტანიზმი გავრცელდა.

## კათოლიკური რეაქცია და კალვინიზმი. რელიგიური ომები საფრანგეთში. პოლონეთი.

1. კათოლიკური ეკლესიის მდგომარეობა. მე-XVI საუკ. მე-40-წლებში კათოლიკური ეკლესია, თავისი არსებობის ისტორიაში ყველაზე უფრო კრიტიკულ მომენტს განიცდიდა. მტრები ყოველი მხრიდან მოიწევდნენ და იმ ავტორიტეტისა და ძლიერების მაგარ შენობას, რომელიც შესანიშნავმა პაპებმა თავისი მოქმედებით საუკუნეთა განმავლობაში შექმნეს, დანგრევას ემუქრებოდნენ. ერთი მხრით ჰუმანიზმმა საშუალო საუკუნეთა ასკეტიურ მსოფლმხედველობას საფუძველი გამოუთხარა; მეორე მხრით რეფორმაციამ თითქმის ნახევარი ევროპა დაიმორჩილა და საეკლესიო სფეროში კათოლიციზმს დიდ მეტოქობას უწევდა. სხვადასხვა საერო საქმეში და პოლიტიკურ კომბინაციებში გახლართულ პაპებს თითქოს არავითარი ღონე აღარ შესწევდათ კათოლიციზმის მტრების წინაამდეგ საბრძოლათ. მაგრამ პაპები მალე გონს მოვიდნენ, კათოლიციზმის აღორძინებისა და გაძლიერების საქმეს ენერგიულათ მო-

კიდეს ხელი და პროტესტანტიზმს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადეს. პაპებს ამ დროს მრავალმა გარემოებამ შეუწყო ხელი: კათოლიციზმის გაძლიერება-განმტკიცება ბევრი მართველის პოლიტიკურ პროგრამაში შედიოდა; სხვადასხვა ხასიათის ეკონომიური ინტერესები მრავალ ადამიანს ძველ ეკლესიასთან აკავშირებდა; უკიდურესმა პროტესტანტულმა მოძღვრებებმა დააფრთხეს და დააშინეს შეძლებული კლასები; მთელი ქვეყნები, როგორც, მაგ., იტალია და ისპანია, რეფორმაციის გარეთ დარჩენ. ასე რომ ის ძალები, რომელიც ძველ ეკლესიას შეეძლო გამოეყენებია, დიდი იყო და ისინი აშკარათ იყვენ გამოსახული. მე-XVI საუკუნის მეორე ნახევრის პაპთა განსაკუთრებული დამსახურება კათოლიციზმის წინაშე სწორეთ იმით გამოიხატება, რომ მათ ეს ძალები დროზე შემოკრიბეს და გააერთიანეს ამ დროის პაპები აღარ გავან წინანდელ პაპებს; მათ უარყვეს საერო პოლიტიკით უკიდურესი გატაცება; სხვადასხვაგვარი დათმობით კათოლიკე მეფეები თავის მხარეზე გადაიყვანეს და მიიკედლეს ის საზოგადოებრივი კლასები, რომელნიც უკიდურესი პროტესტანტული მოძღვრების უკმაყოფილო იყვენ; სამღვდელოება ხელში დაიჭირეს და სასტიკი მოთხოვნილებები წაუყენეს. ამასთან ერთად მათ გააჩაღეს ბრძოლა ჰუმანისტური იდეებისა და პროტესტანტული ეკლესიების წინააღმდეგ. ტრიენტის საეკლესიო კრებამ (1545—1563) დაადასტურა პაპთა უზენაესი უფლება საშვალო საუკუნეთა მოცულობით, საბოლოოთ ჩამოაყალიბა კათოლიციზმის ძირითადი დოგმატები და მას ამ მხრით პროტესტანტიზმისაკენ დათმობის ნაბიჯი არ გადაუდგამს. აღადგინეს და გააფართოვეს **ინკვიზიციური სასამართლო**, რომელიც სასტიკათ სჯიდა იმათ, ვინაც კათოლიციზმის ღალატს იჩენდა. გააძლიერეს აგრეთვე **ცენზურა**, რომელიც თავისუფალ აზროვნებას და ახალი კულტურის განვითარებას გზას უხშავდა. მთელი ამ საქმის ხელმძღვანელათ და სულის ჩამდგმელათ იეზუიტთა ორდენი გამოვიდა, რომელიც საბრძოლ ასპარეზზე გამოსულს კათოლიკური ეკლესიის გენერალურ შტაბს წარმოადგენდა. ეს ორდენი ისპანელმა აზნაურმა იგნატე ლოიოლამ დააარსა. ხოლო მისი ორგანიზაცია მისმა მემკვიდრეებმა ლაინესმა, სალმერონმა და აკვავივამ გააუმჯობესეს.

**2. იეზუიტთა ორდენი.** იეზუიტთა ორდენის დამაარსებელი იგნატე ლოიოლა (1491—1556) ახალგაზრდობაში სამხედრო სამსახურში იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი ამ დროს რაინდული სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი და დიდ მამაცობასაც იჩენდა. ლოიოლა მონაწილეობას იღებდა კარლოს V-ისა და ფრანცისკო I-ის ომებში; მაგრამ მალე იძულებული შეიქნა სამხედრო სამსახურისთვის თავი დაენებებია, რადგან ერთ ბრძოლაში ყუმბარამ მას ფეხი გაუფუჭა. მძიმე და ხანგრძლივი აქიმობის დროს ის საღვთო წერილისა და წმ. მამათა შესწავლამ გაიტაცა; ამ დროს ის სავსებით გახვეული იყო მისტიციზმის ბურანში და მას სხვადასხვა მოჩვენება ელანდებოდა. თავდაპირველათ მან გადასწყვიტა მთელი თავისი სიცოცხლე მისიონერობისთვის და უსჯულოთა მოქცევისთვის შეეწირა. მაგრამ პალესტინაში მოგზაურობისა და აგრეთვე ევროპაში ქადაგების დროს იგი დაარწმუნეს რომ მას საკმაო ცოდნა არ ქონდა იმ საგნისა, რომლისაც სხვებისათვის სწავლება გადაეწყვიტა. ამიტომ ღვთისმეტყველების საფუძვლიანათ შესასწავლათ ის პარიზის უნივერსიტეტში შევიდა. აქ ის მე-30 წლებში რამდენსამე თავის თანამემამულეს დაუახლოვდა და თანამოაზრეთა პატარა წრე დააარსა. ლოიოლამ და მისმა ამხანაგებმა პირველათ გადასწყვიტეს პალესტინაში მისიონერებათ წასულიყვენ, მაგრამ მალე დარწმუნდენ, რომ ეკლესიის მტერი უფრო ახლოს იყო, და ამიტომ მიზნათ დაისახეს მთელი ენერგია „იესოს მხედრობისა“ (ასე უწოდებდენ ისინი თავის წრეს) გაძლიერებული პროტესტანტიზმის წინააღმდეგ მიემართათ. მალე შეადგინეს ახალი საზოგადოების ანუ ორდენის წესდება და დასამტკიცებლათ პაპს წარუდგინეს. პაპმა პავლე III-მ **1540** წ. დაამტკიცა „იესოს საზოგადოება“ (Societas Jesu), საიდანაც წარმოსდგა სახელწოდება იეზუიტებისა. ახალი ორდენი ძველი ორდენებისაგან ბევრნაირათ განსხვავდებოდა. იეზუიტთა ორდენის წევრები ვალდებული არ იყვენ მონასტერში ეცხოვრათ, პირიქით ისინი ყოველდღიური ცხოვრების ფერხულში უნდა ჩაბმულიყვენ; დაეჭირათ ესა თუ ის თანამდებობა, რომელიც მათ საზოგადო მოღვაწეობისთვის ასპარეზს გაუხსნიდა. მონასტრის დისციპლინის ერთი თვისება შეინარჩუნეს და კიდევ უფრო მეტათ გააძლიერეს იეზუიტებმა, სახელდობ, უმცროსების დამორჩილება უფროსებისადმი. ორდენის თითოეული წევრი თავისი უფროსის იმდენათ მორჩილი უნდა ყოფილიყო, რომ მის ხელში ის ბრმა იარაღათ უნდა გამხდარიყო. ამგვარათ ორდენი თითოეული წევრის ნებისყოფით დესპოტურათ სარგებლობდა; ამასთანავე ორდენი ცთილობდა თითოეული წევრისათვის მოღვაწეობის ასეთი ასპარეზი გაეხსნა,

რომელიც მის ნიჭსა და მიდრეკილებას შეეფერებოდა. თავის წევრებს ორდენი სხვადასხვა ქვეყანაში ანაწილებდა, სადაც მათ თავისი განყოფილებები, პროვინციები ქონდათ დაარსებული. ორდენს სათავეში გენერალი უდგა, რომელსაც აუცილებლათ რომში უნდა ეცხოვრა; იგი ნიშნავდა წევრებს ყოველგვარ თანამდებობაზე და მათგან ანგარიშს თხოულობდა. იგი ითვლებოდა ორდენის უმაღლეს მსაჯულათ და ყოველგვარ საკითხში მისი აზრი სავალდებულო იყო. ვერც ერთი წევრი თავის თხზულებას გენერალის ნებადაურთველათ ვერ გამოაქვეყნებდა. მთელ ორდენში ერთი მეორის უნდობლობა, ჯაშუშობისა და დაბეზღების სისტემა იყო გამეფებული. იეზუიტები დიდ მნიშვნელობას აძლევდენ მისიონერობას; ისინი ახალი ქვეყნისაკენ და პორტუგალიის სამფლობელოებში მიეშურებოდენ. იეზუიტებმა უმთავრესი ყურადღება სამხრეთ, რომანულ ქვეყნებს იტალიას და ისპანიას მიაქციეს; მათ ხელი შეუშალეს ამ ქვეყნებში პროტესტანტიზმის გავრცელებას. შემდეგ კი თანდათანობით მოედვენ ევროპის დანარჩენ ქვეყნებს, სადაც პროტესტანტიზმს მაგრათ ქონდა ფეხი მოკიდებული. იეზუიტებისთვის ამ ბრძოლის დროს ყველაზე უფრო ხელსაყრელი იყო მომავალი თაობის აღზრდის ხელში ჩაგდება და ახალი ტიპის საეკლესიო მოღვაწეთა შექმნა, რომელნიც ეკლესიისა და პაპის ერთგული იქნებოდენ; აგრეთვე განათლებით, მჭევრმეტყველების, კამათისა და ლიტერატურული ხელოვნების ცოდნით იქნებოდენ აღჭურვილნი. ამ მიზნით ისინი მრავალ სკოლას ხსნიდენ ევროპის სხვადასხვა კუთხეში. იეზუიტებს სწავლების ახალი მეთოდები სავსებით შეთვისებული ქონდათ და მთელი ორი საუკუნის განმავლობაში საუკეთესო პედაგოგებათ ითვლებოდენ ევროპაში. იეზუიტებს ერთი მიზანი ქონდათ—ეკლესიისა და პაპისთვის თავდადებული, სამსახური, და ამ მიზნისათვის, ეკლესიისა და პაპის მტრებთან საბრძოლათ ყოველგვარ საშვალებას შესაძლებლათ სცნობდენ **(მიზანი ამართლებს საშვალებასო)**.

**3. კალვინიზმი.** მაგრამ, თუ ძველი ეკლესიის სულის ჩამდგმელნი ბრძოლის ველზე გამოვიდენ და ახალი ეკლესიის მოსპობას გადაჭრილი ზომებით შეეცადენ, არც ახალი ეკლესიის მომხრეებს ეძინათ. ამ დროს წარმოიშვა პროტესტანტიზმის უკიდურესი მიმართულება, კალვინიზმის სახით, რომელმაც თავიდანვე მებრძოლი ხასიათი მიიღო; იგი არ კმაყოფილდებოდა თავისი არსებობის დაცვით, არამედ მიზნათ კათოლი-

ციზმის ჰუმანისტურას ისახავდა, — თავდაცვითად იგი შეტევასაც დიდ ხნმაზე გადადიოდა. ახალი მიმართულების დამაარსებლად ახალგაზრდა სწავლული ფრანგი ჟან კალვინი გამოვიდა. იოანე კალვინი (1509—1564) იურისტის პროფესიისთვის ემზადებოდა და თავდაპირველად უფლებასა და კლასიკურ მეცნიერებას სწავლობდა. ასეთმა აღზრდამ და განათლებამ და განსაკუთრებით რომაული უფლების შესწავლამ გამოსჭვივა მისი ლოღიკური აზროვნება, [illegible], როგორც მისი თხზულებებიდან, აგრეთვე მისი პრაქტიკული მოღვაწეობიდან გამოსჭვივის. ორლეანის უნივერსიტეტში ის აგრეთვე [illegible] შესწავლასაც დაეწაფა და ამ ახალ დარგში მალე ისეთი ღრმა ცოდნა შეიძინა, რომ 1536 წ. ჯერ ლათინურსა და შემდეგ ფრანგულ ენაზე დიდი საღვთისმეტყველო შრომა გამოსცა. ეს შრომა (Christianae religionis institutio) [illegible] თხზულებათა [illegible]. [illegible] წინათ [illegible] აზრი უკიდურესობამდი განავითარა. ეს აზრი შემდეგნაირად გამოიხატება. ღმერთმა [illegible] ორ ნაწილად: ერთი ნაწილი წინდაწინვე [illegible] ნეტარი ცხოვრება; მეორე ნაწილს [illegible] რომ ის, ვინც მეორე ნაწილს ეკუთვნის [illegible] ვერ იხსნის [illegible] ავითარებს [illegible] ტერის [illegible] მოძღვრების შესახებ. ცვინგლის გავლენა კი კალვინის [illegible] დაეტყო. კალვინის აზრით საკმარისი [illegible] შეიცვლება საჭიროა ქრისტიანულ[illegible] ლი [illegible] ცხოვრებისთვის პრაქტიკულად შეფარდება. საფრანგეთში [illegible] თავისი მოძღვრების პრაქტიკული [illegible], რადგან [illegible] I თავისი მეფობის უკანასკნელ წლებში ახალი რელიგიური მოძღვრების მატარებელთ სდევნიდა [illegible] ჯერ გერმანიაში გაიქცა, შემდეგ კი შვე[illegible] [illegible] 1541 წ. [illegible] სიკვდილამდი დარჩა. მალე ჟენევაში კალვინმა [illegible] და სახელმწ[illegible] [illegible] წელში [illegible]. კალვინი შეცადა [illegible] თავისი რელიგიური იდეალი მა[illegible] [illegible] ქრისტიანობის [illegible] კის [illegible] განხორციელებას. ჟენევის ცხოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებიდან განდევნა ქალვინმა ფუფუნება და განცხრომა; აკრძალეს ყოველგვარი გასართობი: ბალ-მასკარადები, სიმღერა, ბანქოს თამაში და სხვ. მხიარული ცხოვრების ნიშან-წყალი გაქრა ჟენევაში და იგი საშვალო საუკუნეთა ასკეტის საკანს დაემსგავსა.

ამას გარდა ჟენევაში ყოველგვარს თავისუფალ რელიგიურ აზრს სდევნიდენ და დამნაშავეებს სასტიკათ სჯიდენ. ასე რომ ამ მხრით ქალვინის ეკლესია თვით რომის ეკლესიასაც კი ეჯიბრებოდა ფანატიზმში და თავისუფალი აზრის დევნაში. ქალვინის ბრძანებით ჟენევაში დაატყვევეს და კოცონზე დასწვეს ისპანელი სწავლული მიხეილ ხერვეტი, რომელიც თავის თხზულებებში ღვთის სამპიროვნებას უარყოფდა.

ხერვეტის მოძღვრება ცნობილია ანტიტრინიტარიზმის სახელით. ამ მოძღვრებას ყველაზე მეტი მიმდევრები იტალიაში ყავდა, სადაც მან იქაური ორი სწავლულის სოცინების გვარიდან, **სოცინიანიზმის** სახელწოდება მიიღო. სოცინიანები იძულებული იყვენ იტალიიდან გაქცეულიყვენ და სხვა პროტესტანტ ემიგრანტებთან ერთად პოლონეთში შეეფარებიათ თავი, სადაც რამდენიმე საზოგადოება დაარსეს და შკოლები და სტამბები გახსნეს.

ამგვარათ, მე-40 წლების გასულს ორი ფანატიკური ეკლესია—კათოლიციზმი და კალვინიზმი დაუპირდაპირდა ერთმანეთს და მათ შორის სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა. ქალვინიზმმა ორათ გაყო პროტესტანტები: ცვინგლის მიმდევრები შეუერთდენ კალვინისტებს, **რეფორმატების** საერთო სახელწოდება მიიღეს და ლიუტერანებს გამოეყვენ. ლიუტერანობა დარჩა მხოლოდ იმ კუთხეებში, სადაც ის თავიდანვე გავრცელებული იყო. ქალვინისტები კი ცდილობდენ თავისი მოძღვრება გაევრცელებიათ საფრანგეთში, ნიდერლანდებში, შოტლანდიაში, ინგლისში. ჟენევაში აკადემიაც კი დააარსეს, რომელიც კალვინისტ მეცნიერებს და მქადაგებლებს ამზადებდა და ამ ქვეყნებში ისტუმრებდა.

**4. რელიგიური ომები საფრანგეთში.** ქათოლიციზმისა დ̃ კალვინიზმის მოურიგებლობა განსაკუთრებულის სიმწვავით საფრანგეთმა განიცადა. იქ ამ ორი ეკლესიის ერთმანეთის წინააღმდეგ დაპირდაპირებამ მთელი 35 წლის განმავლობაში ქვეყანა გადააქცია რელიგიური ომების ასპარეზათ, რომელმაც ძალზე დაასუსტა სახელმწიფო ორგანიზმი. როდესაც პროტესტანტიზმმა ფეხი მოიკიდა საფრანგეთში, კათოლიკური რეაქცია უკვე მთელი თავისი სისასტიკით მძვინვარებდა. ჯერ კიდევ ფრანცისკო I-მა დაუწყო დევნა პროტესტანტებს; მისმა მემკვიდრემ ჰენრიხ II-მ გაუმწრიდა ზომები მიიღო პროტესტანტების წინააღმდეგ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

განდევნა ისინი ყოველგვარი თანამდებობიდან. ჰენრიხ II-ის სიკვდილის შემდეგ მისი მცირეწლოვანი მემკვიდრეები ფრანცისკო II (1559—60), კარლოს IX (1560—74) და ჰენრიხ III (1574—89) ზედიზედ მეფობდენ 30 წლის განმავლობაში. ეს დრო სავსეა რელიგიური პარტიების შეტაკებით. ამავე დროს საფრანგეთის სახელმწიფო საქმეებზე დიდი გავლენა მოიპოვა ამ მეფეების დედამ, იტალიელმა ქალმა, ვერაგმა ეკატერინე მედიჩიმ (ცნობილის ფლორენციელი მეცენატის, ლორენცო მედიჩის, ქალი), რომელიც თავისი ვერაგული პოლიტიკით კიდევ უფრო აღვივებდა რელიგიურ პარტიათა შორის ბრძოლას. კათოლიკურ პარტიის სათავეში ჰერცოგი გიზები უდგენ; ხოლო პროტესტანტებს-კალვინისტებს, რომელნიც საფრანგეთში ჰუგენოტების სახელით არიან ცნობილი, ბურბონები უდგენ; ისინი სამხრეთ საფრანგეთში ნავარის სამეფოს ფლობდენ. (სახელწოდება ჰუგენოტები წარმოსდგება გადამახინჯებული სიტყვების — eidgenots, eidgenossen, რაც ნიშნავს შვეიცარიის კავშირის წევრების სახელს. ეს სახელწოდება იმიტომ მიეკუთნა საფრანგეთის პროტესტანტებს, რომ მათი მქადაგებლები უმთავრესათ შვეიცარიიდან მოდიოდენ და საფრანგეთში შვეიცარიისებურ წესწყობილების დამყარებაზე ფიქრობდენ.) კათოლიკეებსა დ ჰუგენოტებს შორის ბრძოლა განსაკუთრებით გამწვავდა მას შემდეგ, რაც ერთერთი გიზი, დაბა ვასის ახლოს სალოცავათ შეკრებილ, უიარაღო ჰუგენოტებს თავს დაესხა და ამოხოცა ისინი. ამ შემთხვევის შემდეგ რელიგიური პარტიები მცირე ხნით შერიგდებოდენ ხოლმე და მათ შორის ისევ ომები დაიწყებოდა. ასეთმა მდგომარეობამ 30 წელიწადზე მეტს გასტანა. მთავრობას ძალა არ შესწევდა ეს გამანადგურებელი სამოქალაქო ომი შეეჩერებია და მებრძოლი მხარეებისთვის იარაღი დაეყრევინებია; იგი ამ ხნის განმავლობაში ხან ერთი მხრის გავლენას ემორჩილებოდა და ხან მეორისას. უმაღლეს წერტილს რელიგიურმა ბრძოლამ მე-XVI საუკ. მე-70 წლებში მიაწია, როცა ჰუგენოტების მეთაურის ჰენრიხ ბურბონის და კარლოს IX-ის დის მარგარიტას ქორწინებაზე პარიზში თავმოყრილ ჰუგენოტებს, ეკატერინე მედიჩის მოხერხებით, თავს დაესხენ და ათასობით ამოსწყვიტეს (**ბართლომეს ღამე** 1572 წ. 24 აგვისტოს). ჰენრიხ ბურბონმა ამ ღამეს კათოლიკობის მიღებით უშველა თავს.

კათოლიკური პარტია თანდათან ძლიერდებოდა; მათ შეადგინეს **ლიგა**, რომელსაც სათავეში ჰენრიხ გიზი მოექცა და დახმარებისთვის

[illegible] ფილიპე II-ეს მფარველს; ამ უკანასკნელმაც მალე ლიგას ჯარები მისცა. შეიარაღებულმა ლიგამ ჰენრიხ გიზის მეთაურობით ისეთ დამოუკიდებელ ორგანიზაციად გადაიქცა, რომელიც სრულიად ანგარიშს აღარ უწევდა მთავრობას. ჰენრიხ III-მ სცადა ლიგის მეთაურის ჰენრიხ გიზის წინააღმდეგ ბრძოლა, მაგრამ პარიზში, სადაც ძალზე მაგარი კათოლიკეებს უმრავლესობა, ამბოხება [illegible] ქუჩები ბარიკადებით მოიფინა და მეფემ მხოლოდ გაქცევით უშველა თავს; მალე ჰენრიხ III-მ მოკლა ლიგის მეთაური ჰენრიხ გიზი, მაგრამ [illegible] ლიგისტებში [illegible] უფრო გამძვინვარდა, ერთმა ფანატიკოსმა ლიგისტმა მოწამლული დანით მეფეც მოჰკლა (1589). ამით შეწყდა ვალუას გვარეულობა საფრანგეთში.

**ჰენრიხ IV და ნანტის ედიქტი.** ახალ მეფეს, ჰუგენოტების მეთაურს ჰენრიხ IV ბურბონს (1589—1610) დიდი მუშაობა დასჭირდა კათოლიკეების ლიგის წინააღმდეგ, რადგან პარიზს არ ღებულობდა, სადაც ლიგისტები იყვნენ გამაგრებული და ტახტს [illegible] ხელში. პარიზში გამაგრებულ ფანატიკოს ლიგისტებს ფილიპე II-მ ნიდერლანდებიდან გამოუგზავნა ჯარი ალექსანდრე ფარნეზეს მეთაურობით. მაგრამ ჰენრიხ IV ამ დაბრკოლებიდან იმით გამოვიდა, რომ კათოლიკობა მიიღო. ამას შემდეგ პარიზმა კარი გაუღო მეფეს, ხოლო ესპანეთის გარნიზონი ქალაქიდან საჩქაროდ წავიდა.

ჰენრიხ IV-მ მალე მოახერხა რელიგიური პარტიების მორიგება და რელიგიური ომების მოსპობა, რომელმაც საფრანგეთი გაანადგურა. მან ამ შემთხვევაში ისარგებლა იმ სახელმწიფო გამოცდილებით, რომელიც რელიგიური ომების დროს საფრანგეთის საზოგადოებაში არსებობდა. თავის წინანდელ თანამორწმუნეთა დასაწყნარებლად, რომელნიც იარაღს [illegible], ჰენრიხ IV-მ 1598 წ. გამოსცა ნანტის რელიგიური ედიქტი. ამ ედიქტის ძალით კალვინისტები უფლებებით კათოლიკეებს გაუთანასწორდნენ. ღვთისმსახურების შესრულების უფლება მიეცათ კალვინისტებს [illegible] ქალაქებში (გარდა პარიზისა), [illegible] სახელმწიფო [illegible] დაკავების უფლებაც მიენიჭათ. ჰენრიხ IV-მ საჭიროდ დაინახა ჰუგენოტები იმ გარანტიებით [illegible], რომელნიც [illegible] ქვეყანაში [illegible] არსებობისათვის. ამიტომ მათ დარჩათ რამდენიმე სიმაგრე, მათ შორის ლა-როშელი, თავისი გარნი-

ზონებით და უფლება მიეცათ სამ წელიწადში ერთხელ პოლიტიკური ყრილობებზე შეკრებილიყვნენ თავიანთი საქმეების განსახილველად.

**ბ. რეფორმაციისა და კათოლიკური რეაქციის ეპოქა პოლონეთში.**

რეფორმაცია პოლონეთში მე-XVI საუკუნის ნახევარში გავრცელდა. პოლონეთის სხვადასხვა ნაწილში სხვადასხვა პროტესტანტულმა მიმდინარეობამ მოიკიდა ფეხი: პოლონეთის ქალაქთა მცხოვრებლების იმ ნაწილმა, რომელსაც გერმანელები შეადგენდნენ, ლიუთერანობა მიიღო. დიდ პოლონეთში ჰუსიტობა გავრცელდა; მცირე პოლონეთსა და ლიტვაში კალვინიზმი; მე-XVI საუკუნის გასულს პოლონეთში ძლიერ გავრცელდა აგრეთვე სოცინიანიზმი. პოლონეთის იმ ნაწილში, რომელსაც მაზოვია ეწოდება, პროტესტანტულმა მოძრაობამ ფეხი ვერ მოიკიდა და კათოლიციზმი ამ კუთხეში შეურყევლად დარჩა. პოლონეთში ისე, როგორც მთელს დანარჩენ ქვეყნებში, პროტესტანტიზმს თავადაზნაურობა ემხრობოდა, რადგან პროტესტანტიზმის გავრცელებიდან ეს წოდება დიდ სარგებლობას მოელოდა (საეკლესიო მიწების კონფისკაცია და განაწილება და სხვ). რეფორმაციის გავრცელების დრო პოლონეთის ისტორიაში ის დრო იყო, როდესაც პოლონეთის თავადაზნაურობამ, შლიახტამ (საშუალო და წვრილი მიწისმფლობელები) თავისი ძლიერების უმაღლეს წერტილს მიაღწია და სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში დიდი გავლენა მოიპოვა. მე-XVI საუკუნეში შლიახტამ მარცვლის მეურნეობას მიჰყო ხელი, რადგან პური ამ დროს ძვირად ფასობდა უცხოეთის ბაზარზე და მიწის დამუშავება დიდ შემოსავალს იძლეოდა. სეიმის დადგენილებით, რომელზედაც უპირატესობა შლიახტას ეკუთვნოდა, გლეხები მიაჯაჭვეს მიწაზე და მათი შრომა შლიახტამ თავისთვის გამოიყენა მიწის დამუშავებაში. ამგვარად გაძლიერებულმა პოლონეთის თავადაზნაურობამ დაიჭირა პოლიტიკურ ცხოვრებაში ისეთი მდგომარეობა, როგორიც არც ერთ თავად-აზნაურობას არ ქონია დასავლეთ ევროპის რომელიმე სახელმწიფოში. ქალაქები პოლონეთში უცხოტომელებისაგან — გერმანელებისა და ებრაელებისაგან იყო დასახლებული; შლიახტა მოქალაქეებს ზიზღით უყურებდა და სეიმში მონაწილეობის უფლებას არ აძლევდა. ასე რომ მცირერიცხოვანი შლიახტა ქვეყნის ბატონ-პატრონი შეიქნა. მემამულე თავად-აზნაურობამ, შლიახტამ ხელი გაუწოდა პროტესტანტიზმს, რადგან პროტესტანტიზმის გავრცელება მათთვის დიდად სასარგებლო იყო: მათ ხელში გადავიდოდა საეკლესიო მიწები, [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლებული გლეხებით, და ამას გარდა კალვინიზმი თვით საეკლესიო საქმეებში მათ ერთგვარ გავლენასა და ძალა-უფლებას მიანიჭებდა. პოლონეთის რეფორმაციამ თავის უმაღლეს განვითარების წერტილს სიგიზმუნდ II ავგუსტის (1548—1572) დროს მიაღწია. ამ დროს პროტესტანტიზმი დაუბრკოლებლათ ვრცელდებოდა პოლონეთში, მაგრამ სამეფო ძალა-უფლებამ თავისი გაძლიერებისათვის ვერ ისარგებლა ამ მოძრაობასთან მიკედლებით. სკანდინავიის ქვეყნებში დ ინგლისში პროტესტანტიზმის მიკედლებამ სამეფო ძალა-უფლება გააძლიერა; პოლონეთში კი ეს ასე არ მოხდა. თუმცა სიგიზმუნდ II ავგუსტის დროს პროტესტანტული პარტია ცთილობდა სეიმში სახელმწიფო რეფორმების გატარებას, მაგრამ ეს ცთა დამარცხებით დასრულდა. სიგიზმუნდ II ავგუსტის დროს ლიუბლინის უნიით (1569 წ.) პოლონეთი დ ლიტვა შეერთდენ: მათ ერთი სეიმი და ერთი მეფე უნდა ყოლოდათ; შინაურ საქმეებში ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი რჩებოდენ; საგარეო პოლიტიკა კი ერთათ უნდა ეწარმოებიათ. სიგიზმუნდ II ავგუსტის სიკვდილისა და იაგელონთა გვარეულობის მოსპობის შემდეგ პოლონეთში მეფეებს ირჩევდენ და ამ არჩევნებში მთავარი მნიშვნელობა შლიახტას ქონდა. მე-XVI საუკ. გასულს, მეორე არჩეული მეფის სტეფანე ბატორის (1575—86) დროს პოლონეთში კათოლიკური რეაქცია იწყება. პოლონეთში პროტესტანტიზმს არ ქონია ერთგვარი გატაცების ხასიათი, მას აკლდა ფანატიკური სული და ბევრი ადვილათაც უბრუნდებოდა ისევ კათოლიციზმს; ხალხის მასა კათოლიციზმის ერთგული დარჩა. ამიტომ იეზუიტებს, რომელნიც პოლონეთში მე-XVI საუკ მე-60 წლებში გაჩნდენ, პროტესტანტიზმთან ბრძოლაში გამარჯვება დარჩათ. სიგიზმუნდ III-ის (1586—1632) დროს, რომელიც იეზუიტების მოწაფე იყო, კათოლიკურმა რეაქციამ საბოლოოთ გაიმარჯვა. მან სხვათა შორის თავის რეზიდენცია პროტესტანტული კრაკოვიდან კათოლიკურ ვარშავაში გადაიტანა. იეზუიტები, მათი მოწაფეები და ხალხის მასა თავს ესხმოდენ და საშინლათ სდევნიდენ პროტესტანტებს. ამ დროს კანონიც კი გამოიცა, რომლითაც კათოლიციზმის მოღალატეს სიკვდილის დასჯას ემუქრებოდენ. კათოლიციზმის გამარჯვებას თან მოყვა პოლონეთის კულტურული დაცემა. კულტურულ დაცემას კი თან ახლდა პოლონეთის შინაგანი პოლიტიკური დაშლა, რომელიც განსაკუთრებული სახით მე-XVIII საუკუნეში გამოაშკარავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ისპანია, ჰოლანდია და ინგლისი.

**1. ბრძოლა სავაჭრო ჰეგემონიისათვის.** მე-XVI საუკუნის თითქმის უკანასკნელ ათეულ წლებამდი ისპანია უმდიდრეს და უძლიერეს ქვეყნათ ითვლებოდა მთელ დასავლეთ ევროპაში. მის ხელში იყო მდიდარი ახალი ქვეყანა, საიდანაც ისპანიაში მრავალი ძვირფასი ლითონი შემოდიოდა; ახალი სავაჭრო საოკეანო გზები პირინეის სახელმწიფოებს ეკუთნოდათ. ისპანიის ხელში იყო აგრეთვე დიდი სამრეწველო და სავაჭრო ცენტრი ნიდერლანდები, რომელიც ისპანიის მთავრობას დიდ მატერიალურ სარგებლობას აძლევდა. მაგრამ მე-XVI საუკ. მეორე ნახევარში პირინეის სახელმწიფოებს ძლიერი მეტოქეები გამოუჩნდათ ზღვაზე; ესენი ინგლისელები და ჰოლანდიელები იყვნენ. ინგლისთანაც და ჰოლანდიასთანაც ისპანიას დიდი ბრძოლა ქონდა მე-XVI საუკ. მეორე ნახევარში. ამ ბრძოლას რელიგიური განხეთქილება კიდევ უფრო ამწვავებდა: ისპანია ფილიპე II-ის დროს კათოლიციზმის ბუდეთ ითვლებოდა და სათავეში უდგა კათოლიკურ რეაქციას; ხოლო ინგლისი და ჰოლანდია პროტესტანტიზმის დამცველად გამოდიოდნენ. ეს ბრძოლა იმით დასრულდა, რომ ჰოლანდია გამოეყო ისპანიას და დამოუკიდებელი რესპუბლიკა შეადგინა; ინგლისსაც ამ ბრძოლაში გამარჯვება ხვდა წილათ; ხოლო ისპანია დამარცხდა, მან დაკარგა სავაჭრო ჰეგემონია და საახალშენო ვაჭრობის ასპარეზი ინგლისსა და ჰოლანდიას დაუთმო.

**2. ფილიპე II-ის პოლიტიკა.** კარლოს V-ის მემკვიდრის ფილიპე II-ის (1555—1598) დროს ისპანიამ თავისი ძლიერების უმაღლეს წერტილს მიაღწია, მაგრამ მისი მეფობის მეორე ნახევარში ისპანიას თანდათან გამოეცალა მისი ძლიერების საფუძველი. ფილიპე II საერთოთ განაგრძობდა იმ პოლიტიკას, რომელსაც მისი მამა კარლოს V აწარმოებდა პირველობისა და ბატონობისათვის ევროპაში. ამგვარი პოლიტიკის წარმოება კი აუარებელ ხარჯებს მოითხოვდა და მატერიალურათ ანადგურებდა მდიდარი ქვეყნების მპყრობელ ისპანიას.

ფილიპე II ისპანიაში დაიბადა და აიზარდა და თუ მისი მამა არ შეგვიძლია მივაკუთვნოთ რომელიმე ეროვნებას, იგი ტიპიური ისპანელი იყო. მან საბოლოოთ განამტკიცა ისპანიაში აბსოლუტური ფორმა სახელმწიფოს მართვა-გამგეობისა, რომელმაც ჯერ კიდევ მე-XV საუკუნის გასულს მოიდგა ფეხი ისპანიაში, და მოსპო თვითმართველობის ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შთები თავისი მონარქიის იმ კუთხეებში, სადაც ის კიდევ ძლიერი იყო. ისპანიის პოლიტიკამ მეფის კაბინეტში დაისადგურა და უმაღლესი სახელმწიფო [illegible] ფილიპე II თავის თავს კათოლიციზმის დამცველად თვლიდა და პროტესტანტიზმს ებრძოდა არა მარტო თავის სამფლობელოებში, არამედ მონარქიის გარედაც. ის [illegible] უჭერდა მხარს პროტესტანტიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად და მხარს უჭერდა კათოლიკურ პარტიებს ინგლისსა და საფრანგეთში. ფილიპე II-ის საგარეო პოლიტიკა მისი მეფობის დასაწყისში გამარჯვებით [illegible] მთავრდებოდა. ამის საფრანგეთთან წარმოებული ომი დამთავრდა [illegible] ზავით, რომელიც კატო-კამბრეზში შეიკრა (1559). ამ ზავის მიხედვით საფრანგეთმა ისპანეთს სავოია და პიემონტი დაუბრუნა, რომელიც ფრანცისკო I-მა წაართვა ისპანეთს [illegible]. ამას გარდა, ფილიპე II ხმელთაშუა ზღვაზე ოსმალთა წინააღმდეგ აწარმოებდა ომს, რომლის დროსაც მან ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ლეპანტოსთან (1570). საერთოდ ფილიპე II [illegible] საერთაშორისო საიმპერიო პოლიტიკას აწარმოებდა, როგორც მამა მისი კარლოსი, და მთელი ევროპის ქვეყნებს შიშის ზარს სცემდა და [illegible] აძლევდა. ასეთი პოლიტიკის წარმოებისათვის ფული სჭირდებოდა; მან ჩამოაცილა ისპანიას მდიდარი ნიდერლანდების პროვინციები და თვით ისპანიაც დასცა და გააჩანაგა.

3. **ნიდერლანდების რევოლუცია.** ნიდერლანდები კარლოს V-ის იმპერიის ერთ საუკეთესო ნაწილს შეადგენდა. კარლოს V-ს ნიდერლანდების შემოსავლებიდან 8—9 ჯერ უფრო მეტი შემოსავალი ქონდა, ვიდრე ამერიკიდან. ნიდერლანდები (დღევანდელი ჰოლანდია, ბელგია და საფრანგეთის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი), რომელიც 17 პროვინციისაგან შესდგებოდა, შეერთებული იყვნენ ერთი საერთო დაწესებულებით — გენერალური შტატებით, რომლებიც დროგამოშვებით იკრიბებოდენ. ნიდერლანდების ჩრდილო ნაწილში ფრიზები და ჰოლანდიელები ცხოვრობდენ; სამხრეთ ნაწილში კი — ფლამანდელები და ვალონები. მათ შორის უკანასკნელნი ლაპარაკობენ ფრანგულ ენაზე; დანარჩენები კი — გერმანულ ენაზე. ნიდერლანდების მფლობელი კარლოს V, რომელიც იმავე დროს გერმანიის იმპერატორიც იყო, გერმანიასთან ნიდერლანდების შეერთებით ხელსაყრელ მდგომარეობას ქმნი-

და ამ უკანასკნელისთვის, რადგან ფლანდრიის განვითარებული სამრეწველო ქალაქებს (ბრიუგე, განტი და სხვ.) ინდუსტრიული ნაწარმოებისთვის გერმანია ფართო ბაზარს წარმოადგენდა. მაგრამ ფილიპე II-ის დროს მდგომარეობა შეიცვალა. ამ უკანასკნელის ხელში გერმანია აღარ იყო და ნიდერლანდებს [illegible] ესპანეთთან უნდა დაეჭირებინა მჭიდრო კავშირი. ბაზრის დავიწროებამ შეაფერხა ფლანდრიის ქალაქთა მრეწველობა; მცხოვრებლები კი კრიზისისა და დაცემის მიზეზს ქვეყნის ახალ მფლობელებში — ესპანელებში ხედავდნენ. ფილიპე II-მ თავისი ადმინისტრატიული პოლიტიკით ნიდერლანდებში კიდევ უფრო გააღრმავა უკმაყოფილება ესპანელთა ბატონობისადმი და მალე ნიდერლანდებში მთელი რევოლუცია გამოიწვია. ფილიპე II-მ ნიდერლანდების მმართველად თავისი და მარგარიტა პარმელი დანიშნა. მმართველი ქალის სახელმწიფო საბჭოში ნიდერლანდების მსხვილი სენიორები იღებდენ მონაწილეობას; მათ შორის უფრო შესანიშნავი იყვნენ გრაფი ეგმონტი და ვილჰელმ ორანელი. მაგრამ ნამდვილად მართვა-გამგეობის საქმეს საიდუმლო საბჭო ხელმძღვანელობდა, რომელსაც სათავეში უცხოელი კარდინალი გრანველა უდგა; მართველობის ასეთი (1561) სისტემა პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა და არღვევდა ისტორიულად გამტკიცებულ ნიდერლანდების თავისუფლებას. ამ თავისუფლებებს აშკარად არღვევდენ კიდევ ის ზომები, რომელსაც პროტესტანტიზმის წინააღმდეგ იღებდა ამ ქვეყანაში ფილიპე II. ნიდერლანდებში ჟენევიდან უკიდურესი პროტესტანტული მიმდინარეობა-კალვინიზმი გავრცელდა; ხოლო გერმანიამ აქეთ ანაბაპტისტური მოძრაობის ტალღა გადმოისროლა. ფილიპე II-მ დანიშნა უმაღლეს სასულიერო თანამდებობაზე ესპანელები და დააპირა ესპანური ინკვიზიციის შეტანა ნიდერლანდებში. ესპანიის ადმინისტრაციის მოქმედებამ მდგომარეობა ძალზე გაამწვავა. დაიწყო მოძრაობა. ერთერთ ბანკეტზე აზნაურებმა შეადგინეს „გოიხების (gueux — მათხოვრების, როგორც მათ მოწინააღმდეგენი უძახდენ) კავშირი". ფლანდრიისა და ჰოლანდიის ინდუსტრიულ ცენტრებში მოძრაობამ უფრო მრისხანე ხასიათი მიიღო. ამის საპასუხოთ ფილიპე II-მ ნიდერლანდებში ესპანიის ჯარებით სასტიკი ჰერცოგი ალბა გაგზავნა, რომელიც მკაცრი ზომებით შეეცადა რევოლუციის ჩაქრობას. ალბამ აჯანყების მრავალი მეთაური. სიკვდილით დასაჯა (მათ შორის გრაფი ეგმონტი; ვილჰელმ ორანელმა კი გერმანიაში გაქცევა მოასწრო). მაგრამ ალბას ტერორმა

აჯანყებულთა მხრით უფრო მეტი წინააღმდეგობა გამოიწვია. ფილიპე II-მ გადასწყვიტა თავისი პოლიტიკა **ნ**იდერლანდებში შეეცვალა და **ა**ლბა უკანვე გამოეწვია, რადგან **ა**ლბას მოქმედება სრულ განადგურებას უქადდა ამ მდიდარ ქვეყანას. მაგრამ ვერც ახალმა მართველებმა უშველეს საქმეს და აჯანყება ვერ ჩააქრეს. **ნ**იდერლანდების პროვინციებმა საერთო კავშირიც კი შეკრეს **გ**ენტში (1576) ურთიერთ დასახმარებლათ და ისპანელთა გასადევნათ („**გ**ენტის პაციფიკაცია"). მაგრამ ეს საერთო კავშირი მტკიცე არ იყო, რადგან სამხრეთ პროვინციებში, განსაკუთრებით ვალონებში, უფრო ძლიერი იყო კათოლიციზმი, ჩრდილო პროვინციებში კი, რომელიც უფრო გერმანელი ტომის ხალხით იყო დასახლებული, პროტესტანტიზმი იყო გავრცელებული. **ა**მ გარემოებით მოხერხებულათ ისარგებლა ახალმა მართველმა, შესანიშნავმა სარდალმა **ა**ლექსანდრე **პ**არმელმა და სამხრეთი პროვინციები (დღევანდელი **ბ**ელგია) სხვადასხვა დაპირებებით მიიმხრო. მაშინ შვიდმა ჩრდილო პროვინციამ (დღევანდელი **ჰ**ოლანდია) შეკრეს **უტრეხტში უნია** (1579) და ახალი სახელმწიფოს გენერალურმა შტატებმა ორი წლის შემდეგ **შეერთებული პროვინციების რესპუბლიკის** დამოუკიდებლობა გამოაცხადეს (1581). **ა**მგვარათ, **ნ**იდერლანდების რევოლიუცია ჩრდილო პროვინციების (**ჰ**ოლანდიის რესპუბლიკის) **ი**სპანიიდან ჩამოცილებით გათავდა. სამხრეთი პროვინციები (**ბ**ელგია) კი ისევ **ი**სპანიის მფლობელობაში დარჩენ.

**ა**ხალ რესპუბლიკაში ფართო პოლიტიკური და რელიგიური თავისუფლება დამყარდა. **დ**ამოუკიდებელი რესპუბლიკის ეკონომიურ განვითარებასაც ფართო ასპარეზი გაეხსნა. **ი**ს მალე შეიჭრა **ი**სპანიის ახალშენებში და საახალშენო ვაჭრობის სადავეები თავის ხელში დაიჭირა. **ა**ხალ რესპუბლიკას დიდხანს კიდევ ბრძოლა უხდებოდა **ი**სპანიასთან. (**ა**მ ბრძოლაში დაიღუპა **ვ**ილჰელმ **ო**რანელი, რომელსაც განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის **ჰ**ოლანდიის რესპუბლიკის დაარსებაში). **ჰ**ოლანდიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა საბოლოოთ 1648 წ. **ვ**ესტფალის ზავზე იცნეს.

**4. ინგლისი და ისპანია.** **ი**მ დროს, როდესაც **ფ**ილიპე II გააფთორებულ ბრძოლას აწარმოებდა **ნ**იდერლანდების რევოლიუციის ჩასაქრობათ, **ი**ნგლისში დედოფალი **ე**ლისაბედი (1558—1603) მეფობდა, რომელმაც გადასწყვიტა ენერგიული დახმარება აღმოეჩინა და მხარი დაეჭირა **ნ**იდერლანდების რევოლიუციისათვის. **ი**სპანიის განადგურება და მი-



დასავლეთ ევროპის სამეურნეო მდგომარეობა XVI საუკ. გასულს.

სთვის საახალშენო ვაჭრობაში ჰეგემონიის ჩამორთმევა მაშინდელი ინგლისის პოლიტიკის უმახლობელეს მიზანს შეადგენდა.

ელისაბედის მეფობის დრო საუკეთესო ხანაა ინგლისის ისტორიაში. ინგლისის ეკონომიური ცხოვრების განვითარება ამ დროს განსაკუთრებულის ძლიერი ტემპით სწარმოებდა. მრეწველობისა და ვაჭრობის ფართო განვითარება იმის მომასწავებელი იყო, რომ ინგლისი სა-

საერთაშორისო ვაჭრობას სათავეში უნდა მოქცეოდა. ამ მხრით ეროვნული ბიბლიოთეკა ნაბიჯებიც იქნა გადადგმული და საფუძველი ჩაეყარა საზღვაო ძლიერების მთავარ იარაღს — ფლოტს. კულტურული ცხოვრებაც მაღალ დონეზე იდგა ინგლისში. (ამ დროს ეკუთნის უდიდესი დრამატურგი და პოეტი ვილიამ შექსპირი და შესანიშნავი მოაზრე, ემპირიული ფილოსოფიის მამათმთავარი, ფრენსის ბეკონი).

ეკონომიურად აღორძინებული და გაძლიერებული ინგლისი დიდ საშიშროებას წარმოადგენდა ისპანიის სავაჭრო პირველობისა და ძლიერებისთვის. ამიტომ ისპანიამ ინგლისთან ბრძოლაში მთელი ძალღონე მოიკრიბა. რელიგიური სხვადასხვაობა კიდევ უფრო ამწვავებდა ურთიერთ განწყობილებას. ფილიპე II ენერგიულ დახმარებას უწევდა ინგლისში კათოლიკურ პარტიას, რომელსაც სათავეში მარიამ სტიუარტი უდგა. მან ნიდერლანდებში განსაკუთრებული აკადემიაც კი დაარსა ინგლისში გასაგზავნი მქადაგებლებისათვის. 1580 წელს ისპანია პორტუგალიისა და მისი ახალშენების შემოერთებით დროებით კიდევ გაძლიერდა და ღონე მოემატა თავისი საშინელი მტრების — ახლად დაარსებული ჰოლანდიის რესპუბლიკის და ინგლისის წინააღმდეგ საბრძოლათ. ინგლისში შოტლანდიელი დედოფლის მარიამ სტიუარტის სიკვდილით დასჯა ფილიპე II-ისთვის ერთგვარი საბაბი შეიქნა ინგლისზე გასალაშქრებლათ. მან შეადგინა დიდი ფლოტი, რომელსაც „უძლეველი არმადა" უწოდა და გადასწყვიტა ერთსა და იმავე დროს ინგლისისა და ჰოლანდიის განადგურება. ალექსანდრე პარმელიც მოემზადა ინგლისში ჯარების გადასასხმათ, მაგრამ ჰოლანდიის გემებმა მას გზა შეუკრეს და ამ განზრახვის შესასრულებლათ საშუალება არ მისცეს. ისპანიის ფლოტის უმთავრესი ნაწილი ლამანშში და გერმანულ ზღვაში ქარიშხალმა გაანადგურა. ასეთი უბედურებით გათავდა ფილიპე II-ის გალაშქრება ინგლისზე (1588). ამავე დროს საფრანგეთში კათოლიკური ლიგისთვის დახმარების აღმოჩენაც ისპანიისთვის ხელსაყრელი არ გამოდგა. ფილიპე II-ის ამგვარმა პოლიტიკამ ისპანია სრული განადგურების კარებამდი მიიყვანა. მე-XVI საუკუნის მე-90 წლებიდან ისპანია უკანასკნელ საბოლოო დამარცხებებს განიცდიდა. ამ დროს ინგლისის მეზღვაურები ამერიკის სამფლობელოებს თავს ესხმოდენ და ისპანელებს ძვირფასი ლითონით დატვირთულ გემებსართმევდენ. ინგლისმა და ჰოლანდიამ მთელი თავისი ძალღონე იქით მიმართეს, რომ ისპანიისთვის თანდათან ჩამოერთმიათ ახალშენები

და სავაჭრო გზები ხელში ჩაეგდოთ. მე-XVI საუკ. გასულს ისპანიის საზღვაო და სახალშენო ძლიერება დაირღვა; ხოლო ამავე დროს ინგლისსა და ჰოლანდიაში დიდი სავაჭრო ოსტ-ინდოეთის კომპანიები დაარსდა, რომელთა მიზანსაც აღმოსავლეთის მდიდარ ქვეყნებთან სავაჭრო ოპერაციების წარმოება შეადგენდა. ამგვარათ საზღვაო ძლიერებისა და სახალშენო ვაჭრობის ჰეგემონიისთვის ბრძოლა ისპანიასა და ინგლის-ჰოლანდიის შორის ისპანიის დამარცხებით და ეკონომიური განადგურებით და ინგლის. ჰოლანდიის გამარჯვებით დასრულდა.

## ოცდაათწლიანი ომი გერმანიაში.

1. **ოცდაათწლიანი ომის წარმოშობა.** ხმელთაშუა ზღვიდან ატლანტის ოკეანეზე სავაჭრო გზების გადატანა გერმანიისთვის საზარალო აღმოჩნდა. მსოფლიო ვაჭრობის ცენტრებათ ევროპის დასავლეთ სანაპიროებზე გაშენებული ქალაქები — ლისაბონი, ანტვერპენი, ამსტერდამი გადაიქცნენ. გერმანია ამ ცენტრებს ჩამოშორებული იყო და ეს გარემოება კი ხელს უწყობდა ამ ქვეყნის ეკონომიურ ჩამოქვეითებას. გერმანიის ის ქალაქები, რომლებსაც იტალიის ქალაქებთან მჭიდრო სავაჭრო კავშირი ქონდათ, დაღარიბდნენ და დაიღუპნენ, რადგან საოკეანო გზების გახსნამ იტალიის ქალაქებს მსოფლიო ვაჭრობის ცენტრთა მნიშვნელობა დაუკარგა. ველზერებისა და ფუგერების დიდი სავაჭრო სახლები გაკოტრდნენ და სავაჭრო ოპერაციების წარმოებას თავი მიანებეს. გერმანიის მდინარეებზე სავაჭრო მოძრაობა შესუსტდა. ამავე დროს განზის ქალაქთა კავშირის დაშლა-დასუსტებაც წარმოებდა, რომელსაც გარდა ზემო აღნიშნული მიზეზისა, აგრეთვე იმ გარემოებამაც შეუწყო ხელი, რომ ჩრდილოეთის მხრით ძლიერი სახელმწიფოები — ინგლისი, დანია, შვეცია გაიზარდნენ. პირველი დიდ სავაჭრო კონკურენციას უწევდა განზას, ხოლო უკანასკნელმა მას რუსეთისაკენ გზა გადაუჭრა და ის ამ დიდ ბაზარს ჩამოაშორა. რეფორმაციულმა მოძრაობამ და აუგსბურგის სარელიგიო ზავმა კიდევ უფრო მეტათ შეუწყო ხელი გერმანიის ეკონომიურ დაქვეითებას და ქვეყანა ისევ კარჩაკეტილ ნატურალურ მეურნეობას დაუბრუნა (იხ. 46 გვ). ამგვარათ, მთელი მე-XVI საუკუნე გერმანიის ეკონომიური დაქვეითებისა და დაშლის დროს წარმოადგენს. საეკლესიო საკითხი, რომელიც აუგსბურგის ზავმა უმრავლესობისთვის სასურველათ

ვერ გადასჭრა, პოლიტიკურათ დანაწილებულსა და ეკონომიურათ და-შლილ ქვეყანაში ახალ განხეთქილებასა და უთანხმოებას ბადებდა. კათოლიკეთა და პროტესტანტებს შორის ერთმანეთისადმი მტრობის მიზეზები დიდი იყო. კალვინიზმის მიმდევრები უკმაყოფილო იყვენ; იმიტომ რომ ისინი აუგსბურგის სარელიგიო ზავიდან გამორიცხული იყვენ და კალვინიზმი აკრძალულ სარწმუნოებათ იყო გამოცხადებული. აუგსბურგის ზავის მიხედვით სასულიერო სამთავროებში სარწმუნოების თავისუფლება იყო გამოცხადებული, მაგრამ სასულიერო მთავრები თავის პროტესტანტ ქვეშევრდომებს სდევნიდენ. ყოველი ახალი მთავარი ქვეშევრდომებს თავის სარწმუნოებას ახვევდა თავზე. ყველგან უკმაყოფილება არსებობდა და ბრძოლა სწარმოებდა. ამას გარდა მე XVI საუკ. გასულს გერმანიაში კათოლიკური პარტია გაძლიერდა და იეზუიტებმა აქ თავისი სამოქმედო ასპარეზი გააფართოვეს. ამ დროს კათოლიკურ პარტიას სათავეში ჩაუდგა ორი ახალგაზდა მთავარი, იეზუიტთა მოწაფეები: ფერდინანდ შტირიელი და მაქსიმილიანე ბავარელი. უკანასკნელი სათავეში მოექცა **კათოლიკურ ლიგას** (1609), რომელიც **პროტესტანტთა უნიის** (1608) წინაამდეგ დაარსდა.

2. **ოცდაათწლიანი ომი.** (1618—48). ოცდაათწლიანი ომი გერმანიაში კათოლიკეთაგან შევიწროებულის ავსტრიის სამფლობელოს პროტესტანტული კუთხის ჩეხიის ანუ ბოჰემიის აჯანყებით დაიწყო. აჯანყებულმა ჩეხებმა არ სცნეს თავის მეფეთ ახლათ არჩეული გერმანიის იმპერატორი ფერდინანდ II (1619—1637), რომელიც ფანატიკოს კათოლიკეთ ითვლებოდა და ჩეხებისთვის საშიშროებას წარმოადგენდა. მათ თავის მეფეთ გერმანიის ერთერთი პროტესტანტი მთავარი აირჩიეს. არც იმპერატორს და არც მის მოწინაამდეგე პროტესტანტებს არ ყავდათ იმ დროს მუდმივი ჯარი. იმპერატორმა დახმარებისათვის კათოლიკურ ლიგას მიმართა, რომელსაც დაქირავებული ჯარი ყავდა, და მისმა სარდალმა ტილლიმ პრაგის ახლოს თეთრ მთასთან 1620) აჯანყებული ჩეხები სასტიკათ დაამარცხა. ბოჰემიაში საშინელი რეაქციის ხანა დადგა, მთელი ქვეყანა განადგურდა, გაღარიბდა და გავერანდა. პროტესტანტული ბოჰემიის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ მოსალოდნელი იყო მთელ გერმანიაში კათოლიკური რეაქციის გამარჯვება. ამიტომ პროტესტანტებმა თავისი ძალები აამოძრავეს იმპერატორისა და ლიგის წინაამდეგ. მალე პროტესტანტების დასაცავათ გერმანიაში დანიის მეფემ ქრისტიან IV-მ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოილაშქრა, რომლის წინააღმდეგაც ბრძოლაში ტილლი სუსტი აღმოჩნ-და. სწორეთ ამ დროს იმპერატორს წინადადებით მიმართა ერთმა ჩე-ხელმა აზნაურმა, იეზუიტთა მოწაფემ, ვალენშტეინმა; ამ წინადადების თანახმათ ვალენშტეინს იმპერატორისთვის უნდა მოეკრიბა საკუთარი ჯა-რი და ამასთანავე მას მოქმედების სრული თავისუფლება უნდა მინიჭებო-და. მართლაც ვალენშტეინმა მოკლე ხანში სხვადასხვა ეროვნებისაგან შემდგარი 50000 ჯარის კაცი მოაგროვა. ვალენშტეინი ძლიერ ნიჭიერი სარდალი გამოდგა; მან მალე დაამარცხა ჩრდილო გერმანიაში პროტე-სტანტები, თვით დანიის მეფეც განდევნა და ბალტიის სანაპიროები და-იპყრო. იმპერატორი ბრწყინვალე გამარჯვებას დღესასწაულობდა და მა-ლე ეგ. წ. **აღმადგენელი ედიქტი** გამოსცა, რომლის ძალითაც პრო-ტესტანტების მიერ აუგსბურგის ზავის შემდეგ შეძენილი სა-სულიერო სამფლობელოები ისევ კათოლიკურ ეკლესიას უნდა დაბრუ-ნებოდა. მაგრამ ვალენშტეინის თავისუფალი მოქმედება მთავრებში დიდ უკმაყოფილებას იწვევდა; მათ, ლიგის მეთაურის ბავარიის კურფიურ-სტის პირით, იმპერატორს ვალენშტეინის თანამდებობიდან გადაყენება მოსთხოვეს. მართლაც იმპერატორმა მთავრებს დაუთმო და ვალენშტე-ინი თანამდებობიდან გადააყენა (1630). სწორეთ ამ დროს გერმანიაში შვეციის მეფემ გუსტავ-ადოლფმა გამოილაშქრა. მას ამ შემთხვევაში ორი მოსაზრება ამოქმედებდა: მას სურდა ბალტიის სამხრეთი სანაპიროები (პომერანია) ჩაეგდო ხელში (აღმოსავლეთის სანაპიროები უკვე მის ხელ-ში იყო) და ამგვარათ მთელი ბალტიის ზღვა თავისი სამფლობელოს შიგ-ნით მოექცია; ამასთან ერთად გუსტავ-ადოლფს პროტესტანტების და-ცვის სურვილიც ამოქმედებდა. მან სამხრეთი გერმანია ძლევამოსილათ გაიარა, ტილლის ჯარები რამდენჯერმე დაამარცხა და თვით ვენას გა-ნადგურებას დაემუქრა. ასეთ კრიტიკულ მომენტში იმპერატორმა ხელ-ახლა მოიწვია მთავარსარდლათ ვალენშტეინი, რომელიც მთავარსარდ-ლობას იმ პირობით დათანხმდა, თუ რომ მას დაპყრობილ კუთხეებში თა-ვისუფალი მოქმედების უფლება მიენიჭებოდა და საჩუქრათ ჰაბსბურგთა ერთერთი სამემკვიდრეო სამფლობელო მიეცემოდა (იგი ამ შემთხვევა-ში ბოჰემიას გულისხმობდა). ვალენშტეინმა საჩქაროთ შეკრიბა ჯარები, და იმ დროის ორი უდიდესი სარდალი — ვალენშტეინი და გუსტავ-ადოლ-ფი — საქსონიაში ლიუცენის ახლოს პირისპირ შეხვდენ ერთანეთს (1632) და მათ შორის გენერალური ბრძოლა გაიმართა. შვედებმა ვალენშტეინს

უკან დაიხიეს, მაგრამ ამ ბრძოლაში მათ თავისი გვირგვინოსანი ბელადი მოუკლეს. ამას შემდეგ ვალენშტეინმა საიდუმლო მოლაპარაკება გამართა შვედებთან (ალბათ, მას ამ შემთხვევაში ჩეხიის სამეფო გვირგვინის მიღების სურვილი ამოქმედებდა). მაგრამ ამ დროს ვალენშტეინის ბანაკში შეთქმულობა მოხდა, რომლის მსხვერპლიც შეიქნა ვალენშტეინი (1634). უკანასკნელ ხანებში ომში საფრანგეთიც ჩაერია, რომლის პოლიტიკურ ცხოვრებასაც ამ დროს გამოჩენილი კარდინალი რიშელიე ხელმძღვანელობდა. ომში ოფიციალურად ჩარევამდისაც რიშელიე შვედეთის მეფეს დახმარებას უწევდა. ეს ომი გერმანიისთვის პირდაპირ გამანადგურებელი გამოდგა. მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში გერმანია ბრძოლის ასპარეზს წარმოადგენდა. მრავალი ქალაქი და სოფელი იმსხვერპლა ომმა. ვაჭრობა-მრეწველობა სავსებით დაეცა და ბევრი კუთხე სრულიად გაპარტახდა. ბოლოს როგორც იქნა საზავო მოლაპარაკება დაიწყო.

3. **ვესტფალის ზავი.** ოცდაათწლიანი ომი ვესტფალის ზავით გათავდა (1648). (საზავო მოლაპარაკება ვესტფალიის ქალაქებში, მიუნსტერში და ოსნაბრიუკში სწარმოებდა და ამ ზავის სახელწოდება აქედან წარმოსდგა). ვესტფალიის ზავით ომში მონაწილე უცხო სახელმწიფოები შემდეგნაირად დაჯილდოვდნენ: შვედებს პომერანიის ნაწილი მისცეს; ფრანგებს — ელზასის ნაწილი. საეკლესიო საკითხი ამგვარად მოგვარდა: გამოცხადებულ იქნა **კათოლიკურ, ლიუტერანულ და კალვინისტურ სარწმუნოებათა სწორუფლებიანობა.** კათოლიკეებს თავისუფლება მიენიჭათ პროტესტანტ მთავრების სამფლობელოებში; ხოლო პროტესტანტებს — კათოლიკე მთავრების სამფლობელოებში და ამგვარად უარყოფილ იქნა ფორმულა „**cujus regio, ejus religio**“. ცნობილ იქნა 1624 წლამდი მომხდარი სასულიერო სამფლობელოების სეკულარიზაცია. ვესტფალიის ზავმა გერმანიის პოლიტიკური დანაწილება სავსებით დაადასტურა. გერმანიის მთავრებსა და თავისუფალ ქალაქებს სრული დამოუკიდებლობა მიენიჭა. მათ შეეძლოთ უცხო სახელმწიფოებთან კავშირი შეეკრათ (მხოლოდ იმპერატორის წინააღმდეგ კი არა). გერმანია სამასზე მეტ სამთავროდ გაიყო. თითოეული მთავარი დამოუკიდებელი მეფე შეიქნა და ცენტრალური საიმპერატორო ხელისუფლება სავსებით დაეცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინგლისი XVII საუკუნეში.

* **1. ინგლისის მდგომარეობა მე-XVII საუკუნის დასაწყისში.** ინგლისის გეოგრაფიულმა მდებარეობამ თავიდანვე განსაზღვრა ამ ქვეყნის პოლიტიკურისა და ეკონომიური ცხოვრების მიმართულება და ერთგვარი თავისებურობის ხასიათი მისცა მას. იგი მოწყვეტილი იყო ევროპის კონტინენტალურ ქვეყნებს, ამიტომ შინაურ საქმეებში ჩარევას ინგლისი ნაკლებად განიცდიდა და მას საშუალება ჰქონდა თავისი შინაური ცხოვრება დამოუკიდებლად და თავისებური გზით განევითარებინა. ამიტომ ინგლისის სახელმწიფო წესწყობილება თავიდანვე უფრო მტკიცე და მყარ ნიადაგზე აშენდა; იქ ჯერ კიდევ საშუალო საუკუნეებიდან საფუძველი ჩაეყარა იმ თავისებურ კონსტიტუციურ წესწყობილებას, რომელიც მე-XVIII და მე-XIX საუკუნეებში კონტინენტალური სახელმწიფოებისთვის მისაბაძი და განსაკუთრებული შესწავლის საგნად გახდა. ამავე გეოგრაფიულმა მდებარეობამ ხელი შეუწყო ინგლისის სავაჭრო და სამრეწველო ცხოვრების განვითარებას. ახალი სავაჭრო საოკეანო გზების ატლანტის ოკეანეზე გადატანამ გამოარკვია ინგლისის ის მნიშვნელობა, რომელიც მას მომავალში ვაჭრობის საქმეში უნდა მიენიჭებოდა. ეს გზები ინგლისთან ახლოს იყო და მისი სავაჭრო განვითარების მომავალს უზრუნველყოფდა. მართალია მე-XVI საუკუნის მეორე ნახევარში ინგლისი ნიდერლანდებთან ერთად სასტიკ ბრძოლას აწარმოებდა ახალ სავაჭრო გზებზე გაბატონებულ ესპანეთის წინააღმდეგ. ამ ბრძოლიდან ინგლისი გამარჯვებული გამოვიდა და ელისაბედ დედოფლის მეფობის უკანასკნელი 15 წელიწადი ინგლისისთვის საუკეთესო ხანას წარმოადგენდა. ეს დრო ინგლისის საზღვაო ძალების გაძლიერების, ვაჭრობის, მრეწველობის, ლიტერატურისა და ხელოვნების აყვავების დრო იყო. ეს ის დრო იყო, როდესაც ჩრდილო ამერიკასა და ოსტ-ინდოეთში პირველად დაიწყო ინგლისის კოლონიზაცია და ორივე ნახევარსფეროს ოკეანეებზე ინგლისის დროშა ამაყად და გაბედულად აღიმართა.

ამგვარად, ჩქარის ტემპით ამოძრავებულმა სავაჭრო განვითარებამ გააძლიერა ინგლისში ახალი კლასი — ბურჟუაზია, რომელიც მეფის თვითმპყრობელობას ველარ შეურიგდებოდა. ამიტომ ინგლისის მთელი მე-XVII საუკ.

ისტორია. მეფის თვითმპყრობელობასა და მის მოწინააღმდეგე [illegible] ბრძოლის ისტორიას წარმოადგენს, იმ ბრძოლისა, რომელიც [illegible] და მეორე რევოლიუციის სახით გამოიხატა ამ ბრძოლაში მეფის თვითმპყრობელობა აბსოლიუტური მონარქიის იდეა, რომლის მატარებელნიც ინგლისის სამეფო ტახტზე მე-XVII საუკუნეში სტიუარტები იყვნენ, დამარცხდა და ინგლისში კონსტიტუციურმა წესწყობილებამ გაიმარჯვა.

2. **პირველი რევოლიუცია.** ელისაბედ დედოფლის გარდაცვალების შემდეგ (1603) ინგლისში ტიუდორების გვარეულობა მოისპო და ინგლისის ტახტზე ტიუდორების ახლო ნათესავები შოტლანდიელი სტიუარტები ავიდენ. ამ გვარეულობის პირველი წარმომადგენელი ინგლისის ტახტზე მარიამ სტიუარტის შვილი იაკობ I (1603 - 25) იყო. მან ჯერ კიდევ შოტლანდიაში შეიმუშავა განსაკუთრებული შეხედულება სამეფო ძალაუფლებაზე. მისი აზრით ღმერთი განსაკუთრებით მემკვიდრეობით მონარქიას მფარველობს; მეფის ძალა უფლება სახელმწიფოში განუსაზღვრელია და თუ მეფე კანონებს ასრულებს, ეს მისი კეთილი ნება-სურვილის ნაყოფია. ასე რომ პირველმა სტიუარტმა თან მოიტანა ინგლისის ტახტზე სამეფო ძალა-უფლების ღვთაებრივი თეორია, აბსოლიუტური მონარქიის აზრი. პურიტანულ მოძღვრებაზე აღზრდილი იაკობ I, როგორც კი მოვიდა ინგლისს, ანგლიკანურ ეკლესიას მიემხრო, რადგან ეს ეკლესია თავისი მონარქიული იდეალებით, ხელს შეუწყობდა მის პოლიტიკურ მისწრაფებათა განხორციელებას. მართლაც ეს ეკლესია სტიუარტების განუსაზღვრელი მონარქიის აზრის მქადაგებლათ გამოდიოდა ინგლისის საზოგადოებაში. მაგრამ როგორც იაკობ I ისე შემდეგი მეფეც ამ გვარეულობიდან თავისი მონარქიული მიზნების განხორციელების გზაზე დიდ წინააღმდეგობას შეხვდენ პარლამენტისა და ინგლისში იმ ხანათ გაძლიერებული პურიტანების მხრით. (პურიტანები ორ მიმართულებათ იყვნენ გაყოფილი: პრესვიტერიანებათ და ინდეპენდენტებათ. პირველნი კალვინის მოძღვრებას ემხრობოდენ; მათი სახელწოდება იქიდან წარმოსდგა, რომ მათ არჩეული საერო უფროსები, პრესვიტერები ყავდათ. ეს ეკლესია შოტლანდიაში იყო გავრცელებული. მეორე მიმართულება უფრო უკიდურესი იყო და იგი საეკლესიო თემების ერთმანეთისაგან სრულ დამოუკიდებლობას აღიარებდა; ამ თემებს ურთიერთ შორის ისეთი დამოკიდებულება უნდა ქონოდათ, როგორც თავისუფალ რესპუბლიკებს). ტიუდორების დროს დაცემული და დასუსტებული პარლამენტი მე-XVII საუკ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასაწყისს მოღონიერდა და სტიუარტების შეუსაბამო საშინაო და საგა-
რეო პოლიტიკას აშკარათ გმობდა და მათ ოპოზიციაში უდგა. იაკობ
I-ის დროს დევნილმა პურიტანებმაც საგრძნობი საწინააღმდეგო ძალა
შექმნეს მეფის წინააღმდეგ და თვით პარლამენტშიც გავლენა მოიპოვეს.
მეფესა და პარლამენტს შორის განხეთქილება იაკობ I-ის მემკვიდრის
კარლოს I-ის (1625—49) დროს უფრო გაძლიერდა. კარლოს I უფრო
მოხერხებული და მოქნილი პოლიტიკოსი იყო, ვიდრე მისი მამა იაკობი.
მას სავსებით შეთვისებული ქონდა მაკიაველისებური აზრები: დასახული
მიზნის მისაწევათ, თავისი ძალა-უფლების გასამტკიცებლათ მას მისაღებათ
მიაჩნდა უზნეო საშუალებები — მოტყუება, ცბიერება და სხვ. კარლოს I
ისეთ საგარეო პოლიტიკას — ომებს აწარმოებდა ისპანიისა და საფრანგე-
თის წინააღმდეგ, რომელიც ქვეყნისთვის სრულიად უსარგებლო და მა
ვნებელი იყო, აუარებელ ხარჯს მოითხოვდა და ფინანსიურ საკითხს
ამწვავებდა. სწორედ ამ ფინანსიური საკითხის გამო მას რამდენჯერმე
მოუხდა შეტაკება პარლამენტთან, მაგრამ ამ მხრით ყველაზე უფრო სა-
ინტერესოა 1628 წლის პარლამენტი. მეფის პოლიტიკის მოწინააღმდე-
გებმა, რომელთა შორისაც განსაკუთრებით გამოიყოფებოდენ ორატორები
ვენტვორტი და ელიოტი, გადასწყვიტეს შეექმნათ ძლიერი პარლამენტი,
რომ იგი მეფის ნება-სურვილის ბრმა იარაღი არ ყოფილიყო და მე-
ფეს წარუდგინეს **„პეტიცია უფლებათა შესახებ“**, სადაც შემდეგი მოთ-
ხოვნილებები იყო წამოყენებული: მეფეს არ შეეძლო სახელმწიფოს ხარ-
ჯებისთვის მოეკრიბა გადასახადები პარლამენტის ნება დაურთველათ; სა-
სამართლოს გადაწყვეტამდი არ შეეძლოთ მოქალაქის დაპატიმრება და
სხვ. კარლოს I-მა ჯერ დაამტკიცა ეს პეტიცია, მაგრამ მალე დაარღვია
იგი, პარლამენტი გარეკა და გადასწყვიტა სახელმწიფო უპარლამენტოთ
ემართნა. მართლაც თერთმეტი წლის განმავლობაში (1629—40) მას პარ-
ლამენტი აღარ მოუწვევია. სამოქალაქო საქმეების მართველობა მან
ვენტვორტს მიანდო, რომელმაც გრაფი სტრაფორდის სახელწოდება მიი-
ღო; ხოლო საეკლესიო საქმეები არქიეპისკოპოს ლოუდს ჩააბარა. ამ
ხნის განმავლობაში კარლოს I ყოველ ნაბიჯზე არღვევდა ინგლისში სა-
უკუნეებით განმტკიცებულს პოლიტიკურ თავისუფლებას. ბიუროკრატიუ-
ლი მართველობის სისტემის აღდგენაში მას ხელს უწყობდა გრაფი სტრა-
ფორდი. მეფემ შემოიღო ახალი გადასახადები (მაგ. „საგემო გადასახა-
დი“, რომელსაც წინათ, საშუალო საუკუნეებში იხდიდენ ინგლისის გა-

ნაპირა კუთხეების მცხოვრებლები), რითაც ინგლისის საზოგადოებაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. მაგრამ მართველობის ახალი სისტემა დაემხო შოტლანდიის აჯანყების გამო. კარლოს I-მა და ლოუდმა გადასწყვიტეს შოტლანდიაში პრესვიტერიული ეკლესიის მოსპობა და ეპისკოპალური ეკლესიის შემოღება. ამ გარემოებამ შოტლანდიაში მთელი აჯანყება გამოიწვია. აჯანყებულებმა ჩრდილო ინგლისი დაიკავეს; კარლოს I-ს კი ბრძოლის საწარმოებლად ფული არ ქონდა. ამიტომ იგი იძულებული შეიქნა პარლამენტი მოეწვია და 1640 წლის ნოემბერში ისტორიაში **„ხანგრძლივი პარლამენტის"** სახელით ცნობილი პარლამენტი (ეს პარლამენტი 12 წლის განმავლობაში არ დაშლილა) შეიკრიბა ინგლისში. თავიდანვე მასში წინდაწინვე შეკავშირებული პარტიები გაჩნდენ. ოპოზიციას ე. ი. მეფის აბსოლუტიზმის მოწინააღმდეგეებს სათავეში ჯონ პიმი ჩაუდგა, რომელიც თავისი პარტიის იდეებს მთელ ინგლისში ენერგიულად ავრცელებდა. უპირველეს ყოვლისა პარლამენტი შეეცადა იმ აბსოლუტური მონარქიისათვის, რომელიც ინგლისში უკვე მტკიცეთ იკიდებდა ფეხს, საფუძველი გამოეთხარა. მან მოსპო ყველაფერი, რაც კი უპარლამენტობის დროს, მეფის ძალა-უფლების იარაღებათ იყო შექმნილი: ვარსკვლავთა პალატა და უმაღლესი კომისია (სამსაჯულოები მეფის მოწინააღმდეგეთა გასასამართლებლად) გააუქმა; უკანონოთ იქნა გამოცხადებული აგრეთვე საგემო გადასახადი. სტრაფორდი, რომელსაც საძულველი სამართველო სისტემის განხორციელებით თვლიდენ, სიკვდილით დასაჯეს. ამას შემდეგ პარლამენტი თავის უფლებათა გაფართოებას შეუდგა. პარლამენტი შეიძლება მხოლოდ მისივე სურვილის თანახმად დაიხუროს; თუ სამი წლის განმავლობაში მეფე პარლამენტს არ მოიწვევს იგი თვით შეიკრიბება—ასეთი იყო პარლამენტის მიერ გამოტანილი დადგენილებები. მაგრამ მეფის უკიდურესი მოწინააღმდეგენი ამას არ დაჯერდენ და მეფეს მოსთხოვეს, რომ მისი **მინისტრები პასუხისმგებელი ყოფილიყვენ პარლამენტის წინაშე** დ სხვ. მაშინ მეფემ გადასწყვიტა პარლამენტი გაერეკა და ოპოზიციის მეთაურები დაეტუსაღებია. ის მართლაც ქვედა პალატაში შეიარაღებული ძალით გამოცხადდა და მეთაური დეპუტატების დატუსაღება სცადა, მაგრამ ისინი პარლამენტში იმ დროს არ აღმოჩნდენ. მეფის მოქმედებამ მთელ ლონდონში დიდი აღელვება გამოიწვია; ლონდონის ძველმა სავაჭრო ნაწილმა სიტიმ დამალა დევნილი 5 დეპუტატი და თავისი თავი პარლამენტის მომხრეთ




გამოაცხადა. მეფემ ლონდონი მიატოვა (1642). მეფესა და პარლამენტს შორის ბრძოლა დაიწყო. ინგლისის მცხოვრებლები მათ შორის ორად გაიყვნენ. არისტოკრატია და პროვინციის თავად-აზნაურობა მეფეს მიემხრო, ხოლო თავად-აზნაურობის ერთმა ნაწილმა, ქალაქის მცხოვრებლებმა, ვაჭარ-მრეწველებმა, წვრილმა მიწისმფლობელებმა პარლამენტს დაუჭირეს მხარი. რაც შეეხება რელიგიურის მხრით განაწილებას, კათოლიკეებმა და ანგლიკანებმა მეფის მხარი დაიჭირეს; პრესვიტერიანები და უკიდურესი სექტანტები პარლამენტს მიემხრნენ. ჩრდილო და დასავლეთი ინგლისი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხლათ დასახლებული და ნაკლებათ განვითარებული კუთხით [illegible] მეფის მხარეზე იყო; სამხრეთი და აღმოსავლეთი ინგლისი ლონდონითა და სხვა დიდი ქალაქებით, მდიდარი და განათლებული კუთხეებით — პარლამენტის მხარეზე. **მეფის მომხრეებს კავალერების** სახელწოდება მიეცათ; პარლამენტის მომხრეებს კი — **რგვალთავიანების** (ამ პარტიის უმრავლესობას პურიტანები შეადგენდენ, რომელნიც თავს რგვლათ იკრეჭდენ). პირველ ხანებში გამარჯვება მეფის მხარეზე იყო, რადგან მისი ჯარი კარგათ შეიარაღებული დ გაწვრთნილი იყო. მაგრამ მალე მდგომარეობა პარლამენტის ჯარის სასარგებლოთ შეიცვალა. ამას ორმა გარემოებამ შეუწყო ხელი: პიმმა შოტლანდიელ პრესვიტერიანებთან შეკრა კავშირი, და აღუთქვა მათ ინგლისში იმავე წესწყობილების შემოღება, როგორიც შოტლანდიაში იყო; ამას გარდა უფრო დიდი მნიშვნელობა ქონდა პარლამენტის ჯარში ინდეპენდენტების შესვლას. ეს ინდეპენდენტები თავისი რელიგიური და პოლიტიკური იდეალების ნამდვილი ფანატიკოსები იყვნენ. მათ სათავეში მემამულე ოლივერ კრომველი უდგა, რომელმაც განსაკუთრებული დისციპლინა გაამტკიცა ინდეპენდენტურ რაზმებში. ინდეპენდენტები დიდ მამაცობას იჩენდენ მეფის ჯარის წინააღმდეგ ბრძოლაში და ამისთვის მოწინააღმდეგებმა მათ „რკინისმკერდიანებიც“ კი უწოდეს. მეფის ჯარები მათ რამდენჯერმე დაამარცხეს და ბოლოს მეფე იძულებული იყო შოტლანდიაში გაქცეულიყო. შოტლანდიელებმა მეფე პარლამენტს გადასცეს (1645). მალე ინდენპენდენტებმა, განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვეს და ისინი ქვეყნის ბატონ-პატრონნი შეიქნენ. ინდეპენდენტთა სამხედრო დიკტატურას წინააღუდგა პარლამენტის პრესვიტერიული უმრავლესობა. მაგრამ ინდეპენდენტთა ჯარი პარლამენტში შეიჭრა და იგი პრესვიტერიანებისგან „გასწმინდა“. ამას შემდეგ მათ მოითხოვეს მეფის დასჯა, როგორც ქვეყნის მოღალატისა, დ თავისი მოთხოვნილება მალე სისრულეშიც მოიყვანეს და მეფე სიკვდილით დასაჯეს (1649). მისი სიკვდილის შემდეგ ინგლისში მონარქია მოსპეს, ზედა პალატა გააუქმეს და ინგლისი რესპუბლიკათ გამოაცხადეს.

**3. რესპუბლიკა და კრომველის პროტექტორატი.** მართველობის სათავეში პარლამენტმა 40 კაცისაგან შემდგარი სახელმწიფო საბჭო ჩააყენა. მეფის დასჯა და რესპუბლიკური წესწყობილების შემოღება რადიკალური მიმართულების მცირერიცხოვანი ჯგუფის საქმე იყო და მან ინგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისის ფართო საზოგადოებრივ წრეებში თანაგრძნობა ვერ პოვა. დონის ვაჭარ მრეწველნი რესპუბლიკის წინააღმდეგ იყვენ განწყობილნი. რესპუბლიკის მტრები ყოველ კუთხეში ამოძრავდენ. შოტლანდიის პრესვიტერიანებმა დასჯილი მეფის შვილი კარლოს II მიიღეს და ინგლისის თანამორწმუნეების დასახმარებლათ მიდიოდენ; მალე ირლანდიაშიც დაიწყო აჯანყება. მაგრამ ინდეპენდენტთა არმიამ კრომველის მეთაურობით აჯანყება ყველგან სასტიკის ზომებით ჩააქრო. რესპუბლიკამ აგრეთვე ინგლისის საზღვაო ძლიერების განმტკიცებასაც ყურადღება მიაქცია და ზღვაზე თავის საშიშ მეტოქეებს—ჰოლანდიელებს შეებრძოლა. რესპუბლიკის პარლამენტმა გამოსცა ე. წ. **ნავიგაციური** (საზღვაოსნო) **აქტი** (1651), რომლის ძალითაც ინგლისში საქონლის შემოტანა თვით ინგლისისავე გემებით ან და იმ ქვეყნის გემებით შეიძლებოდა, სადაც საქონელი იყო დამზადებული. ეს აქტი ჰოლანდიის წინააღმდეგ იყო მიმართული, რადგან მას უმთავრესათ თავისი გემებით უცხოეთის საქონელი მოქონდა. ამ აქტის გამო ჰოლანდიისა და ინგლისს შორის ნამდვილი საზღვაო ბრძოლა გაიმართა, რომლის დროსაც ინგლისელებმა შეადგინეს ძლიერი სამხედრო ფლოტი და ჰოლანდიელები დაამარცხეს. მალე ჯარის თანხმობით შეიმუშავეს განსაკუთრებული კონსტიტუცია („ხელშეკრულობა მართველობის შესახებ" 1653), რომლის ძალითაც ინგლისში არსებითად მონარქია აღადგინეს: უზენაესი ძალა-უფლება კრომველს გადაეცა და მას პროტეკტორის (ე. ი. რეგენტის) ტიტული მიენიჭა. (შემდეგ მას მემკვიდრის დანიშვნის უფლებაც მიეცა). ამას შემდეგ სიკვდილამდი (1658) კრომველი ინგლისს განუსაზღვრელი უფლებით მართავდა. ინდეპენდენტთა მოთხოვნილების ერთი მხარე—სარწმუნოების თავისუფლება—მან განახორციელა. მაგრამ პოლიტიკური თავისუფლების განმტკიცებიდან შორს იყო მაშინდელი ინგლისი. მ.ნ ვერ მოახერხა პარლამენტთან შეთანხმებით მუშაობა. კრომველი თავის მართველობის დროს უმთავრესათ სამხედრო ძალას ეყრდნობოდა, რითაც მცხოვრებთა უმრავლესობაში დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. მაგრამ თუ შინაურ ცხოვრებაში ვერ შექმნა კრომველმა ნორმალური ფორმები მართველობისა და ამ მხრით გამარჯვებას ვერ მიაწია, მაგიერათ საგარეო პოლიტიკაში მას სრული გამარჯვება ხვდა წილათ. მისმა ჯარებმა, ფრანგებთან ერთად, ისპანია დამარცხეს; ამავე დროს ინგლისის ფლოტმა ისპანიის ვესტ-ინდოეთის სამფ-

ჰოლანდიელთა შორის იმათვე დამარცხდნენ და ინგლისმა საერთაშორისო ვაჭრობაში პირველხარისხოვანი ადგილი დაიჭირა.

**4. სტიუარტთა რესტავრაცია და რეაქცია.** კრომველის სიკვდილის შემდეგ ინგლისის პროტექტორად მისი შვილი რიჩარდი შეიქნა, რომელსაც არმიის უმრავლესობა უგულებელყოფდა და ამიტომ მან მალე პროტექტორობაზე უარი განაცხადა. ინგლისში ამ დროს მონარქიული მოძრაობა დაიწყო; სამხედრო დიქტატურის ბატონობის უკმაყოფილონი: ანგლიკანები და პრესვიტერიანები, თავად-აზნაურობა და ლონდონის მცხოვრებნი განსაზღვრულად ანუ ზომიერი მონარქიის მომხრეთ გამოდიოდენ. მაგრამ ამ დროს ისევ სამხედრო დიქტატურა იყო მოსალოდნელი, ამიტომ გენერალი მონკის თაოსნობით მოწვეულ იქნა ე. წ. „თავისუფალი" პარლამენტი, რომელიც ნახევრად კავალერებისა და ნახევრად პრესვიტერიანებისგან შესდგებოდა და მან გადასწყვიტა მოეხდინათ **რესტავრაცია** ე. ი. ინგლისის ტახტზე მოეწვიათ კარლოს II (შვილი კარლოს I-ისა). კარლოს II-მ (1660—1685), რომელიც იმ დროს ჰოლანდიაში იყო, განსაკუთრებული მანიფესტით აღუთქვა მონარქიის მტრებს ამნისტია (პატიება), სინიდისის თავისუფლების გამტკიცება და სხვ. ამგვარად დასრულდა რევოლიუციისა და უკიდურეს სექტანტთა მოძრაობის ხანა ინგლისში. გამარჯვებული რევოლიუციიდან საშუალო კლასები: ბურჟუაზია და წვრილი მიწისმფლობელები გამოვიდენ. ინდეპენდენტთა არმია დაიშალა. ინგლისის სახელმწიფო და საეკლესიო ცხოვრებაში რეაქცია გამეფდა. კარლოს II-მ მოიწვია ახალი პარლამენტი (1661), რომელშიც დიდ უმრავლესობას კავალერები შეადგენდენ. ეს კავალერთა პარლამენტი კარლოს II-ს მთელი 18 წლის განმავლობაში არ დაუთხოვია. ასე რომ ესეც ხანგრძლივი პარლამენტი გამოდგა, მხოლოდ რეაქციონური. მან აღადგინა ინგლისის სახელმწიფო წესწყობილების არისტოკრატიული ფორმები. ამ დროს პურიტანებს და სექტანტებს საშინლად სდევნიდენ: მათ ღვთისმსახურების თავისუფლად შესრულების ნებას არ აძლევდენ. მაგრამ კარლოს II-სა და პარლამენტს შორის მალე განხეთქილება ჩამოვარდა. კარლოს II-ს სურდა დამოუკიდებელი მდგომარეობა მოეპოვებინა და ამ შემთხვევაში უცხო ძალებზე იეზუიტებზე, აბსოლუტურ-კათოლიკურ საფრანგეთზე დაყრდნობოდა. მან საიდუმლო ხელშეკრულებაც კი დასდვა საფრანგეთის მეფესთან ლუდოვიკო XIV-სთან, რომლის ძალითაც მას აღუთქვა კათოლიკობის მიღება და ომებში და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმარება, რისთვისაც ის საფრანგეთიდან სუბსიდიებს იღებდა. [illegible]თა პარლამენტი თანდათან მეფის პოლიტიკას ოპოზიციაში უდგებოდა. პარლამენტშიც და ხალხშიც დიდ შიშს იწვევდა მეფის აშკარა თანაგრძნობა კათოლიკეებისადმი. ამიტომ პარლამენტმა გამოსცა **აქტი შეფიცვის შესახებ** (test-act, 1673), რომლის ძალითაც კათოლიკეები (და არა სახელმწიფო სარწმუნოების მიმდევრებიც), როგორც პარლამენტიდან, აგრეთვე ყოველგვარი სახელმწიფო და საზოგადოებრივი თანამდებობიდან განდევნილი იყვენ. როდესაც მეფესა და პარლამენტს შორის განწყობილება გამწვავდა, კარლოს II-მ პარლამენტი გარეკა დ̃ ახალი არჩევნები დანიშნა; მაგრამ ამ ახლათ არჩეულ პარლამენტში უმრავლესობას ოპოზიცია შეადგენდა, რომელსაც სათავეში ლორდი შეფტსბერი უდგა. პარლამენტმა ამ დროს **ჰაბეას-კორპუს-აქტი** (habeas-corpus-act) გამოსცა (1679), რომლის ძალითაც დატყვევებულ ინგლისის მოქალაქეს (ან მის ნათესავებს) უფლება ქონდა 24 საათის განმავლობაში საქმის სასამართლოსთვის გადაცემა და დატყვევების მიზეზის წერილობითი ახსნა-განმარტება მოეთხოვა. ამ აქტმა ინგლისის სამოქალაქო და პოლიტიკური ცხოვრების ისტორიაში იმგვარივე ადგილი დაიჭირა, როგორც „თავისუფლებათა დიდმა ქარტიამ" და „უფლებათა პეტიციამ". ამ ხანებში ინგლისში ორი მიმართულება გაჩნდა; ერთ მიმართულებას, რომელსაც სათავეში შეფტსბერი უდგა დ̃ რომელიც მეფის პოლიტიკის წინააღმდეგი იყო, **ვიგების პარტია** ეწოდა; მეორე მიმართულებას, რომელსაც მეფის მომხრეები დ̃ ანგლიკანები შეადგენდენ, **ტორების პარტია** ეწოდა. ვიგებს სხვათა შორის არ სურდათ კარლოს II-ის სიკვდილის შემდეგ ტახტი მის კათოლიკე ძმას იაკობს დაეჭირა. მეფეს ამის გამო დიდი უთანხმოება ქონდა პარლამენტთან და რამდენჯერმე კიდეც გარეკა იგი.

ნ. **მეორე რევოლიუცია**. კარლოს II-ის შემდეგ მისი ძმა იაკობ II (1685–88) დაუბრკოლებლივ ავიდა ტახტზე; იგი სავსებით დაეყრდნო ახლათ მოწვეულ პარლამენტზე, რომლის დიდ უმრავლესობასაც ტორები შეადგენდენ. ამ პარლამენტის თანხმობით მეფემ რეგულიარული ჯარი მოიწვია, რომლის საშუალებითაც მან დასავლეთ ინგლისში გლეხთა აჯანყება და დისენტერთა (არა სახელმწიფო სარწმუნოების მიმდევრები) მოძრაობა ჩააქრო. იაკობ II-მ გადაწყვიტა, რომ დადგა კათოლიციზმის აღდგენისათვის შესაფერი მომენტიო, და ჯერ, წინააღმდეგ „შეფიცვის აქტისა", სხვადასხვა თანამდებობაზე კათოლიკეების დანიშვნა დაიწყო;

ეროვნული

შემდეგ კი **სინდისის თავისუფლების დეკლარაცია** გამოსცა, რომლითაც კათოლიკეთა და დისენტერების წინააღმდეგ მიმართული კანონები გააუქმა. **დეკლარაცია** ანგლიკანური ეკლესიის ბატონობას აშკარად ეწუქრებოდა და მის წინააღმდეგ გაილაშქრა ანგლიკანურმა სამღვდელოებამ და ინგლისის საზოგადოების იმ ნაწილმა, რომელიც ანგლიკანიზმს ემხრობოდა. **სამღვდელოებამ** ეკლესიებში ამ დეკლარაციის წაკითხვაზე უარი განაცხადა და პირველმა არქიეპისკოპოსმა და 6 ეპისკოპოსმა ამის შესახებ მეფეს პეტიცია მიართვეს. **მეფემ** ისინი სამართალში მისცა, მაგრამ სასამართლომ ეპისკოპოსები გაამართლა. **სასამართლოს** განაჩენს მთელი ლონდონი დიდის აღფრთოვანებით შეხვდა. **მეფეს** მისი მომხრე ტორებიც გადაუდგენ და პარლამენტმა ინგლისის ტახტზე იაკობ II-ის სიძე, ჰოლანდიის შტატჰალტერი ვილჰელმ ორანელი მოიწვია (1688). იაკობ II კი საფრანგეთს გაიქცა. პარლამენტმა ახალ მეფეს ვილჰელმ III-ს და მის მეუღლეს **მარიამს უფლებათა დეკლარაციის ბილზე** მოაწერია ხელი. ამ დეკლარაციით მეფემ დაადასტურა პარლამენტის ის უფლებები, რომლისთვისაც მთელი მე-XVII საუკუნის განმავლობაში სტიუარტ მეფეებსა და პარლამენტს შორის ბრძოლა სწარმოებდა. ამ მეორე რევოლიუციას **მშვიდობიანი ანუ უსისხლო რევოლიუცია** ეწოდება, რადგან ინგლისში მის დროს სისხლი არ დაღვრილა.

ამგვარად ინგლისში მე-XVII საუკუნეში ორი რევოლიუცია მოხდა. პირველი რევოლიუცია მეორე რევოლიუციიდან განსხვავდება: პირველში მონაწილეობას იღებდენ საშუალო და დაბალი კლასები, და წამოყენებული იყო სინდისის თავისუფლების პრინციპისა და დემოკრატიის მოთხოვნილებანი. 1688 წ. რევოლიუციაში კი მთავარ მონაწილეობას არისტოკრატია და ანგლიკანები იღებდენ და იგი მათ სასარგებლოთ გათავდა. 1688 წ. რევოლიუციის მთავარი მნიშვნელობა იმით გამოიხატება, რომ უზენაესი ძალა-უფლება მეფიდან არისტოკრატიული პარლამენტის ხელში გადავიდა.

## საფრანგეთის ჰეგემონია ევროპაში.

**1. ჰენრიხ IV-ის პოლიტიკა.** საფრანგეთის სახელმწიფო ცხოვრება მე-XVII საუკუნეში სულ სხვა გზით ვითარდებოდა, ვიდრე ინგლისის. ინგლისში აბსოლუტური მონარქიის იდეა დამარცხდა და უზენაესი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძალა-უფლება არისტოკრატიული პარლამენტის ხელში გადავიდა. საფრანგეთში კი წინააღმდეგი მოხდა: იქ აბსოლუტიზმმა ჯერ კიდევ ფრანცისკო I-ის დროს მოიკიდა ფეხი, რელიგიური ომების დროს იგი დასუსტდა, ხოლო ჰენრიხ IV-ის დროს ისევ გაძლიერდა და თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს მან ლუდოვიკო XIV-ს დროს მიაღწია და იგი მე-XVIII საუკუნის ბოლომდი არსებობდა. ჰენრიხ IV-ის გამეფების დროს საფრანგეთი პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების საშინელ კრიზისს განიცდიდა. მთელი კუთხეები გავერანებული იყო და აქა იქ ავაზაკთა ბრბოები დარწოდენ. ჰენრიხ IV და მისი პირველი მინისტრი სიული, ბევრსა ზრუნავდენ ქვეყნის ეკონომიურათ მოღონიერებისათვის და დიდ ყურადღებას აქცევდენ გლეხთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას; ხშირათ მათ გადასახადისგანაც კი ათავისუფლებდენ ხოლმე. სიული ქვეყნის სიმდიდრეს მიწისმოქმედებაში ხედავდა. მისი შეხედულებით მთავრობას საფრანგეთიდან პურის გატანის თავისუფლება უნდა გამოეცხადებია, რომ პურის დამუშავების საქმე გაძლიერებულიყო. და, მართლაც, ამ დროიდან პური მრავლათ გააქვთ საზღვარგარეთ. ჰენრიხ IV, წინააღმდეგ თავისი მინისტრის ეკონომიურ პოლიტიკისა დიდ ყურადღებას აქცევდა აგრეთვე საფრანგეთის მანუფაქტურის განვითარებას. ჰენრიხ IV-მ გამეფებისას თუმცა გააცხადა, რომ გენერალურ შტატებს მოვიწვევო, მაგრამ მას მთელი თავისი 16 წლის მართველობის დროს ერთხელაც არ მოუწვევია ის, რადგან იცოდა, რომ წოდებათა წარმომადგენლები კრიტიკას გაუწევდენ მეფის ამა თუ იმ მოქმედებას, რაც მის ავტორიტეტს დასცემდა და საერთოთ სამეფო ძალა-უფლების დასუსტებას ხელს შეუწყობდა. გენერალური შტატების მნიშვნელობის დაცემა იმის მომასწავებელი იყო, რომ საშვალო საუკუნეთა წოდებრივი მონარქიის ფორმები საფრანგეთში სულს ლაფავდენ და სამეფო აბსოლუტიზმი იკაფდა გზას. ჰენრიხ IV-ს აგრეთვე საგარეო პოლიტიკაშიც დიდი პლანები ქონდა; იგი ჰაბსბურგების წინააღმდეგ საბრძოლათ ემზადებოდა, მაგრამ სწორეთ ამ დროს ჰენრიხ IV ერთმა ფანატიკოსმა კათოლიკემ, რავალიაკმა, სიცოცხლეს გამოასალმა.

2. **არეულობის დრო და უკანასკნელი შტატები.** ჰენრიხ IV-ის სიკვდილის შემდეგ საფრანგეთში რელიგიური ომების მსგავსი დრო დადგა. (მცირეწლოვანი ლუდოვიკო XIII-ს მაგიერ სახელმწიფოს ამ დროს მისი დედა მარიამ მედიჩი მართავდა). საფრანგეთის ყველა ის ძალები

რომელიც დამოუკიდებელი არსებობისაკენ მიილტოდენ, მაგრამ რომელნიც ჰენრიხ IV-ის დროს მისი ძლიერი ხელით დათრგუნვილი იყვნენ, თავი წამოყვეს და ამოძრავდენ. ჰუგენოტები, რომლებიც წარმოადგენდენ სახელმწიფოს სახელმწიფოში (ყავდათ თავისი ჯარები, თავისი სიმაგრეები, ქონდათ სატახტო ქალაქი ლა-როშელი, თავისი ფინანსები, დამოუკიდებელ გზას დაადგენ და მთავრობისთვის საშიშ ძალას წარმოადგენდენ. ხუნიორებმა და თვითნება არისტოკრატიამაც მთავრობის წინაალმდეგ ბრძოლა დაიწყეს. ასეთ მდგომარეობაში მყოფმა მთავრობამ გენერალური შტატების მოწვევა (1614) გადასწყვიტა. ამ უკანასკნელ შტატებზე (შტატები ამას შემდეგ 1789 წ. აღარ მოუწვევიათ) წოდებათა შორის მტრული განწობილება გამომჟღავნდა და დამტკიცდა, რომ მათი ერთად მუშაობა შეუძლებელი იყო. მესამე წოდების დეპუტატები ამ შტატების კრებებზე მთელი პოლიტიკური პროგრამით გამოვიდენ და მოითხოვეს მეფის უზენაესუფლებიანობა, გენერალურ შტატების მუდმივ დაწესებულებათ გადაქცევა და მისი ყოველ ათ წელიწადში ერთხელ მოწვევა და სხვ. როდესაც ბურჟუაზიის წარმომადგენლებმა სახელმწიფოს სამი უმთავრესი წოდება სამ ძმას შეადარეს, თავად-აზნაურებმა ამაში თავის შეურაცხყოფა დაინახეს და გააცხადეს, რომ ჩვენ არ გვსურს მეფეხსაცმლის შვილები ძმებს გვეძახოდენო. ამას შემდეგ შტატები მალე დაიშალენ.

**3. რიშელიეს პოლიტიკა და ბიუროკრატიული მონარქიის განმტკიცება საფრანგეთში.** სუსტი მართველის ლუდოვიკო XIII-ის დროს პირველ მინისტრათ შეიქნა და საფრანგეთის სახელმწიფო ცხოვრებას სათავეში მოექცა (1624) აბსოლუტური მონარქიის გამამტკიცებელი საფრანგეთში, ჰენრიხ IV-ის პოლიტიკის ღირსეული მემკვიდრე კარდინალი რიშელიე. მან ჯერ კიდევ 1614 წლის შტატების კრებებზე დეპუტატობის დროს თავისი პოლიტიკური გამჭრიახობით ყურადღება მიიქცია. რიშელიემ ჰუგენოტთა რესპუბლიკის წინაალმდეგ ბრძოლით დაიწყო თავისი მოქმედება. ის ვერ შერიგებოდა ისეთი დამოუკიდებელი ძალის (სახელმწიფოს სახელმწიფოში) არსებობას სახელმწიფოში, როგორიც ჰუგენოტები იყვნენ. მან წაართვა ჰუგენოტებს როგორც მთავარი სიმაგრე ლა-როშელი, ისე დანარჩენი სიმაგრეებიც დ გააუქმა მათი პოლიტიკური კრებები. ერთი სიტყვით ჰუგენოტებს რიშელიემ ჩამოართვა ყოველგვარი პოლიტიკური უფლება, რაც შეეხება სარწმუნოების თავისუფლებას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც ნანტის ედიკტით ქონდათ მათ მინიჭებული, რიშელიემ [illegible] ხელუხლებლათ დასტოვა. ამას შემდეგ რიშელიემ დაიწყო ენერგიული ბრძოლა სენიორების, არისტოკრატიის წინააღმდეგ. გუბერნატორები, რომელნიც თავად-აზნაურთა წრიდან ინიშნებოდენ, ცდილობდენ თავისი სამართველო კუთხიდან დამოუკიდებელი სამთავრო შეექმნათ; მათ რიშელიე თანამდებობას ართმევდა და თუ ისინი წინააღმდეგობას გასწევდენ სასტიკათ სჯიდა. თავად-აზნაურთა წრეები, რომელნიც უკმაყოფილო იყვენ ძლიერი მინისტრის პოლიტიკისა, ხშირათ მის წინააღმდეგ შეთქმულებებს აწყობდენ; მაგრამ რიშელიემ ასეთი შეთქმულებანი მეფისა და მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებათ გამოაცხადა და შეთქმულებს სასტიკათ სჯიდა. ყოველ პროვინციაში რიშელიე განსაკუთრებული მინდობილობით აღჭურვილ პირებს ანუ ინტენდანტებს გზავნიდა. ინტენდანტებს ძლიერ ფართო უფლებები ეძლეოდათ პროვინციებში სამოქმედოთ. ამ თანამდებობას სენიორებსა და სხვილ თავად-აზნაურთა წარმომადგენლებს არ აძლევდენ; მათ გუბერნატორთა შემოსავლიანი და საპატიო თანამდებობა დაუტოვეს, რომელთაც ინტენდანტთა თანამდებობის შემოღების შემდეგ ყოველგვარი მნიშვნელობა დაკარგეს. ინტენდანტებს თვით გუბერნატორების მოქმედებისთვისაც თვალყური უნდა ედევნებიათ. ინტენდანტები ბურჟუებისა და წვრილ თავად-აზნაურთა წრიდან ინიშნებოდენ, რომ ისინი მთავრობის მორჩილი და მათი ნება-სურვილის აღმასრულებელი ყოფილიყვენ. ინტენდანტებს მთავრობასთან მუდმივი მიწერ-მოწერა ქონდათ: უგზავნიდენ მოხსენებას ამა თუ იმ საქმის შესახებ, სთხოვდენ ახალ ინსტრუქციებს და სხვ. ამგვარათ რიშელიემ საფუძველი ჩაუყარა ბიუროკრატიულ წესწყობილებას: ქვეყნის მართვა გამგეობის ძაფებს მინისტრთა კანცელიარიებში მოუყარა თავი და შექმნა მოხელეთა წრე, რომელიც მთავრობის ბრძანებას უყოყმანოთ ასრულებდა. რიშელიეს აგრეთვე რამდენჯერმე შეტაკება მოუხდა პარლამენტებთან (საფრანგეთში პარლამენტები სასამართლო დაწესებულებებს წარმოადგენდენ), რადგან ისინი და განსაკუთრებით კი პარიზის, სახელმწიფო საქმეებში ერეოდენ და ხშირათ მთავრობის მოქმედებას გმობდენ. მათ უნდოდათ სახელმწიფოში იგივე უფლებები მიეთვისებიათ, როგორიც წინათ გენერალურ შტაბებს ქონდათ. რიშელიემ ამ პარლამენტების ალაგმვაც შესძლო. ამგვარათ რიშელიემ დაუმორჩილა სამეფო ძალა უფლებას ყველა ის ელემენტები,

რომლებიც სახელმწიფოში დამოუკიდებელი არსებობისაკენ მიისწრაფოდენ და ცენტრალურ მთავრობას არ ემორჩილებოდენ. რიშელიეს საგარეო პოლიტიკაც **საფრანგეთის** სახელმწიფოს გაძლიერების მიზანს ემსახურებოდა და მისი ჩარევა **გერმანიის** ოცდაათწლიან ომში როგორც უკვე ვიცით **საფრანგეთის** სასარგებლოთ დასრულდა.

4. **ფრონდა.** **რიშელიე** **საფრანგეთს** მთელი 18 წლის განმავლობაში მართავდა და მისი სიკვდილის შემდეგ (1642) მალე **ლუდოვიკო** XIII-ც გარდაიცვალა. **ტახტი** ამ უკანასკნელის მცირეწლოვანი მემკვიდრის **ლუდოვიკო** XIV-ს ხელში გადავიდა, რომლის დროსაც რიშელიეს პოლიტიკის უკმაყოფილო არისტოკრატია და პარლამენტი ხელახლა ამოძრავდენ და მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყეს. თანამედროვეებმა ამ აჯანყებას **ფრონდა** (თამაში) უწოდეს. აჯანყებულნი უცხოეთის მთავრობასთანაც კავშირს კრავდენ და დახმარებას სთხოვდენ. **პარიზის** პარლამენტმა, რომელიც ამ დროს ინგლისის პარლამენტის მოქმედების გავლენაში იმყოფებოდა (ინგლისში ამ დროს პირველი რევოლიუცია სწარმოებდა) წამოაყენა იმავე ხასიათის მოთხოვნილებები, როგორც ინგლისის პარლამენტმა. ამას გარდა პარლამენტი აგრეთვე ინტენდანტთა თანამდებობის გაუქმებას მოითხოვდა, რომელიც **რიშელიეს** პოლიტიკის უმთავრეს იარაღათ ითვლებოდა. პარლამენტმა **რიშელიეს** მემკვიდრე და მოწაფე კარდინალი, **მაზარინი**, სახელმწიფოს მტრათ გამოაცხადა; **პარიზში** მთელი აჯანყება მოხდა და ქუჩები ბარიკადებით მოიფინა. **მაზარინი** მცირეწლოვანი ტახტის მემკვიდრით პარიზიდან გაიქცა, მაგრამ მალე მან მოახერხა აჯანყების ჩაქრობა. აჯანყებულები სხვადასხვა დაპირებებით თითოეულათ თავის მხარეზე გადაიყვანა და ისევ განუსაზღვრელი მონარქიის ბატონობა გამოაცხადა. ამას შემდეგ მთელი საუკუნე ნახევრის განმავლობაში **საფრანგეთში** დიდ აჯანყებას ადგილი აღარ ქონია და აბსოლუტური მონარქია სავსებით განმტკიცდა.

5. **კოლბერი და მისი ინდუსტრიალური პოლიტიკა.** მე XVII საუკუნის მე-60 წლებიდან, **ლუდოვიკო** XIV-ის ტახტზე ასვლიდან, **საფრანგეთი** მთელ **ევროპაში** ყველაზე უფრო ძლიერი სახელმწიფო შეიქნა. **საფრანგეთის** გაძლიერებას ამ დროს ძლიერი მეზობელი სახელმწიფოების დასუსტებამაც აგრეთვე ხელი შეუწყო. ერთი მხრით, მე XVI საუკ. გასულს ისპანია დაეცა; მეორე მხრით, ოცდაათწლიანი ომის შემ-

დეგ გერმანია ძლიერ დასუსტდა; რაც შეეხება ინგლისს, ისიც ამ დროს სამოქალაქო ომების, რევოლიუციების ქარცეცხლში იყო გახვეული. ასე რომ ჰეგემონია ევროპაში აბსოლუტური მონარქიის მაგარი სალტეებით გამაგრებული **საფრანგეთის** ხელში უნდა გადასულიყო. **საფრანგეთში** ამ დროს გაძლიერდა ინდუსტრია, განსაკუთრებით განათლებული და შრომის მოყვარე ჰუგენოტებით დასახლებულ **საფრანგეთის** სამხრეთ ნაწილში. ლუდოვიკო XIV-ის (1661—1715) პირველმა მინისტრმა, გენერალ-კონტროლიორმა (რაც დაახლოებით ფინანსთა, ვაჭრობა-მრეწველობის და შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობას უდრიდა) კოლბერმა მთავარი მნიშვნელობა დამამუშავებელ მრეწველობას მიაქცია, იგი „**საფრანგეთის** ინდუსტრიის მთავარი გამგე შეიქნა“. კოლბერი მიმდევარი და საუკეთესო გამომხატველი იყო იმ ეკონომიური თეორიისა, რომელიც მე-XVI საუკუნის გასულს წარმოიშვა და რომელიც **მერკანტილიზმის** სახელით არის ცნობილი (ის **კოლბერტიზმის** სახელითაც არის ცნობილი, რადგან ამ თეორიის სულის ჩამდგმელი დ პრაქტიკულათ ცხოვრებაში გამტარებელი კოლბერი იყო). მერკანტილისტების აზრით სახელმწიფოს სიმდიდრე ფულშია; რამდენიც მეტია სახელმწიფოში ფული, იმდენათ უფრო მდიდარია სახელმწიფო. ფულს კი სახელმწიფოში ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება აგროვებს; ამიტომ სახელმწიფოს პოლიტიკა ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისა და მისი მფარველობისაკენ (პროტექციონიზმი) უნდა იყოს მიპყრობილი. კოლბერის მოღვაწეობა **საფრანგეთში** ამ თეორიის პრაქტიკულათ განხორციელების ცდით ამოიწურება. განკარგულებათა მთელი რიგით მან **საფრანგეთის** ინდუსტრია უზრუნველყო უცხოეთის კონკურენციისაგან. ამ მხრით განსაკუთრებით შესანიშნავია 1667 წ. შედგენილი ტარიფი, რომლითაც ის შემოტანილ საქონელს ისეთ დიდ ბაჟებს ადებდა, რომ პირდაპირ შეუძლებელი ხდებოდა უცხოეთიდან საქონლის შემოტანა. კოლბერი ყოველმხრით ხელს უწყობდა ახალ მწარმოებლებს. იგი განსაკუთრებით ფუფუნების საგნების მანუფაქტურის განვითარებაზე ზრუნავდა, რომლის მომხმარებელნიც უმაღლესი კლასები, სატახტო ქალაქის პარიზის არისტოკრატია დ მეფის ბრწყინვალე სასახლე იყვენ. კოლბერის პოლიტიკამ ხელი შეუწყო **საფრანგეთში** ორი ახალი კლასის— სხვილი მწარმოებლებისა და მუშების წარმოშობა-განვითარებას. კოლბერის საერთო მიზნიდან, მისი ეკონომიური პოლიტიკიდან, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრეწველობის განვითარებისა და ქვეყნის სიმდიდრის გაზრდის [illegible]ტებოდა, საფრანგეთის საზღვაო ვაჭრობის განვითარებაზე ზრუნვაც გამომდინარეობდა. ამ მიზნით აუარებელი ფული იხარჯებოდა ნავსადგურების გაკეთებაზე და გაუმჯობესობაზე. კოლბერმა დაარსა აგრეთვე რამდენიმე დიდი სავაჭრო კომპანია: ვესტ-ინდოეთის, ოსტ-ინდოეთის, აღმოსავლეთის, ჩრდილოეთის და სხვ. მათ მთავრობა ხელს უწყობდა უპროცენტო სესხის მიცემით და სხვადასხვა დახმარებას უწევდა.

**6. ლუდოვიკო XIV და მისი სასახლე.** მეფე ლუდოვიკო XIV-მ ჯერ კიდევ ახალგაზრდობაშივე შეიმუშავა დიდი წარმოდგენა სამეფო ძალაუფლებაზე. ფრონდის აჯანყებამ და ინგლისის პირველმა რევოლიუციამ, რომელთაც მის მცირეწლოვნობის დროს ქონდათ ადგილი, მას ყოველგვარი საზოგადოებრივი თავისუფლების სიძულვილი ჩაუნერგეს გულში. იგი ზიზღით იხსენიებს („მემკვიდრეების დარიგებაში“) ინგლისის პარლამენტის მოქმედებას, პირველი რევოლიუციის დროს, რომელიც სამეფო ძალა-უფლების განსაზღვრისაკენ იყო მიმართული.

მთელი ორი საუკუნის ისტორიამ გამოსჭედა საფრანგეთში აბსოლუტური მონარქიის იდეა და შესანიშნავმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა ჰენრიხ IV-მ, რიშელიემ, მაზარინმა განამტკიცეს ნიადაგი ლუდოვიკო XIV-ის უაღრესუფლებიანობისთვის და ამ უკანასკნელს უკვე შეეძლო ეთქვა „სახელმწიფო მე ვარო“ („L' état, c'est moi“). მთელ ნახევარ საუკუნეზე მეტს ის მართლაც ამ პრინციპის მიხედვით, განუსაზღვრელი ძალა-უფლებით მართავდა სახელმწიფოს. მეფე სახელმწიფოს მართვა-გამგეობისა და მეურნეობის ყოველგვარ წვრილმანში ერეოდა. მისი პირველი მინისტრი კოლბერი ილლიაში პორტფელ ამოდებული ყოველდღე უნდა გამოცხადებულიყო მეფესთან და მისთვის მოხსენება გაეკეთებია. მაგრამ მომჭირნე მინისტრის საფინანსო პოლიტიკის წყალობით სახელმწიფო ხაზინაში დაგროვილ სიმდიდრეს მეფე უსაზღვროთ ფლანგავდა. მეფე მთელ სახელმწიფო სიმდიდრეს პირადი ცხოვრებისა და თავის სახელის განდიდების საქმეს ანდომებდა. პარიზის ახლოს მან მთელი ქალაქი გააშენა და იქ ბრწყინვალე სასახლე ააგო. ვერსალის უზარმაზარი სასახლე თავის შესანიშნავ ბაღებითა დ შადრევნებით, რამოდენიმე ათ მილიონათ დაჯდა და ამ თვალის მომჭრელ ბრწყინვალე სასახლეში ახმაურებული სასახლის ცხოვრება მილიონებს ნთქავდა და ხახელმწიფოს სიმდიდრეს ანადგურებდა. მეფე ცდილობდა

ყველაფრისთვის თავის გარშემო არაჩვეულებრივობის ხასიათს აძლევდა, რათა ის აზრი განემტკიცებია, რომ მეფე ჩვეულებრივ მომაკვდავებზე მაღლა სდგას. ფეოდალური არისტოკრატია სავსებით დაემორჩილა დიდი მეფის (როგორც მას სასახლის პირმოთნეები ეძახდენ) ნება-სურვილებს და პოლიტიკურ ძალა-უფლებას მოკლებულმა სასახლის დიდებულთა წრე შეადგინა. ვერსალის სასახლის ცხოვრება მისაბაძი შეიქნა ევროპის სახელმწიფოთა სასახლეებისთვის, ხოლო ფრანგული ენა, ფრანგული მანერები ევროპის უმაღლეს არისტოკრატიულ საზოგადოებაში გავრცელდა. ამასთანავე გაბატონდა მთელ ევროპაში მაშინდელი საფრანგეთის ლიტერატურა, რომელსაც თვით მეფე და სასახლე დიდ მფარველობას უწევდენ. კორნელისა და რასინის ტრაგედიებს, ბუალოს ოდებს, რომელთაც ცრუ-კლასიკური მიმართულება შექმნეს საფრანგეთის ლიტერატურაში, მრავალი მიმდევარი გამოუჩნდა ევროპაში.

7. **პოლიციური სახელმწიფოს მართველობის სისტემა.** სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეებს მეფემ თავის, ან მინისტრების ხელში მოუყარა თავი და ამგვარათ ლუდოვიკო XIV-ის დროს დასრულდა ის ბიუროკრატიული ცენტრალიზაცია, რომელსაც ჯერ კიდევ რიშელიემ ჩაუყარა მტკიცე საფუძველი. ყველა ადგილობრივი საქმე წყდებოდა ცენტრში, ან მთავრობისგან დანიშნული ჩინოვნიკების-ინტენდანტების მიერ, რომელნიც მთავრობის ინსტრუქციების თანახმათ მოქმედებდენ. ინტენდანტის ხელში იყო ადგილობრივი პოლიცია, სასამართლო, ჯარის მოგროვების და გადასახადების მოკრების საქმე, სახალხო განათლება და სხვ. ერთი სიტყვით, მთავრობის უახლოესი კონტროლის ქვეშ მყოფი ინტენდანტები ყოველგვარ ადგილობრივ საქმეებში ერეოდენ და ფართო უფლებებით სარგებლობდენ. პარლამენტები, რომლებიც პოლიტიკური უფლებების მითვისებას ფიქრობდენ, საბოლოოთ ალაგმულ იქნენ და მეფემ მათ გამოუცხადა, რომ კანონების გამოცემის უფლება მას, მეფეს ეკუთნის და არა პარლამენტებსო. ასეთი ძალა-უფლებით აღჭურვილი მთავრობის მტრების დევნას პოლიცია ისახავდა მიზნათ. ისეთი პირისთვის, რომელსაც მთავრობის მოწინააღმდეგეთ სთვლიდენ სასამართლო არ არსებობდა. მეფის ან მისი მინისტრის საიდუმლო განკარგულებით (lettre de cachet) ამა თუ იმ საეჭვო პიროვნებას განუსაზღვრელი ვადით საპყრობილეში ამწყვდევდენ. ასეთ დატუსაღებულ პიროვნებას მთავრობა განგებ ან შეცთომით სრულიად დაივიწყებდა და

ის მთელს თავის სიცოცხლეში საპყრობილეში რჩებოდა. ყველაზე უფრო შესანიშნავი საპყრობილე, სადაც მრავალ ასეთ დამნაშავეს თავისი სიცოცხლის უმეტესი ნაწილი გაუტარებია—პარიზის ბასტილია იყო. (საიდუმლო განკარგულებანი—lettre de cachet-ები ინგლისის „ჰაბეას-კორპუს-აკტის“ სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენს). ასეთი იყო ლუდოვიკო XIV-ის პოლიციური სახელმწიფოს მართველობის სისტემა. მეფე, რომელიც პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ვერავითარ დამოუკიდებელ ძალას ვერ ურიგდებოდა, სარწმუნოებრივ სფეროშიც ამავე გზას ადგა და იმათ, ვინც მეფის სარწმუნოებას არ აღიარებდენ მავნე ელემენტებათ სთვლიდა და სასტიკათ სდევნიდა. ცუდი დრო დაუდგათ საფრანგეთის პროტესტანტებს. მეფის მთავრობა მათ დიდათ ავიწროებდა, ბოლოს კი ლუდოვიკო XIV-მ განსაკუთრებული აკტით ნანტის ედიკტი გააუქმა (1685). ნანტის ედიკტის გაუქმებამ დიდი ზარალი მოუტანა საფრანგეთს. დევნილი პროტესტანტები, რომელნიც უმთავრესათ სათავეში უდგენ საფრანგეთის ინდუსტრიას, სხვილ მრეწველებათ, კარგ ხელოსნებათ, მეზღვაურებათ ითვლებოდენ, სტოვებდენ საფრანგეთს და ათიათასობით უცხოეთს მიეშურებოდენ; მთელი სიმდიდრე უცხოეთში: ინგლისსა, ჰოლანდიასა და ბრანდენბურგს მიქონდათ.

**8. ლუდოვიკო XIV-ის ომები.** თავისი მეფობის უმთავრესი დრო ლუდოვიკო XIV-მ ომებში გაატარა. იგი, ევროპაში ბატონობისა და პირველობისათვის, ოთხ დიდ ომს აწარმოებდა და თითოეულ ომში ლუდოვიკო XIV-ის წინააღმდეგ რამდენიმე სახელმწიფოს კოალიცია იბრძოდა. ამ კოალიციების ხელმძღვანელათ და სულის ჩამდგმელათ თავიდანვე ჰოლანდია და ინგლისი გამოდიოდენ, რადგან საფრანგეთის პოლიტიკური ჰეგემონია ევროპაში, ყველაზე უფრო მეტ საშიშროებას ამ ორი სახელმწიფოსთვის წარმოადგენდა. კოლბერის სავაჭრო პოლიტიკა, მისი ტარიფი იმდენ ზარალს აყენებდა სხვა ქვეყნების ვაჭრობას, რომ ბევრი სახელმწიფოსთვის იგი ომში გამოწვევას ნიშნავდა. კოლბერს განსაკუთრებით ჰოლანდიის ვაჭრობის დაცემა და მისი საფრანგეთისა და ევროპის სხვა ბაზრებიდან განდევნა ქონდა-მიზნათ დასახული. აქედან წარმოსდგა ჰოლანდიასა და საფრანგეთს შორის მოურიგებელი მტრობა. ჰოლანდიას, რომელსაც თვით არ შესწევდა ღონე საფრანგეთის წინააღმდეგ საკუთარი ძალების ამარა გამოსულიყო, საფრანგეთის მტრებს მუდამ ენერგიულ დახმარებას აძლევდა და თავის მოსისხლე

მტრის წინააღმდეგ ამხედრებდა. ამით გაბრაზებულმა ლუდოვიკო XIV-მ მეორე ომში სწორეთ ჰოლანდიის რესპუბლიკის განადგურება დაისახა მიზნათ. საფრანგეთის მეორე მეტოქე ინგლისი იყო. მათი ინტერესები უკვე ერთმანეთს შეხვდენ ახალშენებში, ამერიკასა და ინდოეთში, სადაც კოლბერის მიერ შექმნილი სავაჭრო კომპანიები გაჩნდენ. პირველს ორ ომში ლუდოვიკო XIV-ს ბრწყინვალე გამარჯვება ხვდა წილათ. მან ამ დროს საუკეთესოთ შეიარაღებული და გაწვრთნილი ჯარი გამოიყვანა საომრათ. ეს საუკეთესო ჯარი შექმნილი იყო სამხედრო მინისტრის ლუვუას მიერ, რომელიც კოლბერის დაგროვილ ფულებს უხანგარიშოთ ფლანგავდა სამხედრო საქმეებზე. ჯარს წინ უძღოდენ შესანიშნავი გენერლები: ტიურენი, კონდე და სხვ. პირველ ომს (1667—68) ლუდოვიკო XIV ისპანიის წინააღმდეგ, ბელგიის ხელში ჩასაგდებათ აწარმოებდა. საფრანგეთის წინააღმდეგ ჰოლანდიამ, შვეციასა და ინგლისთან ერთად, სამთა კავშირი შეადგინა. ომი ახენის ზავით გათავდა, რომლის მიხედვითაც ლუდოვიკო XIV-მ ბელგიის საზღვარზე რამდენიმე სიმაგრე მიიღო. ლუდოვიკო XIV-მ მალე მოახერხა შვეციის სამთა კავშირიდან გამოყვანა და ინგლისის მაშინდელი მეფის კარლოს II-ის მომხრობა — და მეორე ომი (1672—79) მან ჰოლანდიის წინააღმდეგ დაიწყო. იგი საჩქაროთ შეიჭრა ჰოლანდიაში, რესპუბლიკის თითქმის მთელი ტერიტორია დაიჭირა და თვით ამსტერდამიც კინაღამ ხელში ჩაიგდო. ჰოლანდიელებმა ამ დროს თავის ნაცად ხერხს მიმართეს, გახსნეს ზღვის ჯებირები და ჰოლანდიის მთელი დაბლობი წყალმა დაფარა, რამაც მტერი აიძულა ეს ადგილები დაეტოვებია. ამავე დროს ჰოლანდიაში სახელმწიფოებრივი გადატრიალება მოხდა დ ჰოლანდიის სათავეში ახალგაზდა ვილჰელმ ორანელი მოექცა, რომელმაც საჩქაროთ შეადგინა კოალიცია ისპანიისა, ავსტრიისა და გერმანიის ერთი მაშინდელი დიდი საკურფიურსტო — ბრანდენბურგიდან. ნიმვეგენის ზავით, რომლითაც ეს ომი გათავდა, საფრანგეთი დაჯილდოებულ იქნა ისპანიის ხარჯზე: მან მიიღო ფრანშ-კონტე და რამდენიმე სამრეწველო ქალაქი ბელგიაში. ნიმვეგენის ზავის დროს საფრანგეთი თავისი ძლიერების უმაღლეს წერტილზე იმყოფებოდა. საფრანგეთის ჰეგემონია ევროპაში ამ დროს სხვათა შორის იმითაც გამოიხატა, რომ ნიმვეგენის საზავო ხელშეკრულობა პირველათ დაიწერა ფრანგულ ენაზე, მაშინ როდესაც ამ დრომდი დიპლომატიის ენათ ლათინური ენა ითვლებოდა. გამარჯვებით დამთვრალ-

მა ლუდოვიკო XIV-მ ისარგებლა გერმანიის იმპერიის სისუსტით და მშვიდობიანობის დროს, სრულიად მოულოდნელათ, უომრათ დაიჭირა სტრასბურგი.

ლუდოვიკო XIV-ის მეფობის მეორე ნახევრიდან, დაახლოებით ნანტის ედიქტის გაუქმებიდან, იწყება საფრანგეთის ძლიერების დაცემა; მის პირველობასა და ჰეგემონიას ევროპაში თანდათან საფუძველი ეშლება. ამ დროს უკვე ცოცხალი აღარ იყვენ მისი მეფობის პირველი ათეული წლების შესანიშნავი მოღვაწეები (კოლბერი, ტიურენი, კონდე). საფრანგეთის მცხოვრებთა საუკეთესო ნაწილი, განათლებული, შეძლებული და შრომის მოყვარე პროტესტანტები განდევნილ იქნენ საფრანგეთიდან. კოლბერის მიერ დაგროვილი სიმდიდრე ლუდოვიკო XIV-მ თავის ბრწყინვალე სასახლის შესანახათ და ომების საწარმოებლათ გაფლანგა. მიუხედავათ ამისა ლუდოვიკო XIV ევროპაში სრული ბატონობის მოსაპოვებლათ ახალ პლანებს ადგენდა. სწორეთ ამავე დროს ინგლისის ტახტზე ლუდოვიკო XIV-ის შეურიგებელი მტერი ვილჰელმ ორანელი მაიწვიეს და ინგლისმა მისი მეთაურობით საფრანგეთის ფლოტის განადგურება, ამერიკისა და ინდოეთის ახალშენებიდან საფრანგეთის განდევნა დაისახა მიზნათ. ლუდოვიკო XIV შეიჭრა გერმანიაში დ დაიჭირა რეინის მიდამოები, რაიცა მისი მესამე ომის საბაბი შეიქნა. ეს ომი ათ წელიწადს გაგრძელდა (1688—97) და ამ დროს საფრანგეთის წინააღმდეგ მოქმედებდა ავსტრიის, ისპანიის, შვეციის, ჰოლანდიის, სავოიისა და ინგლისისაგან შემდგარი კოალიცია. თუმცა ლუდოვიკო XIV ხმელეთის ბრძოლაში იმარჯვებდა, მაგრამ ზღვაზე ინგლისელებმა იგი საგრძნობლათ დაამარცხეს. ამ ომმა ორივე მხარეს დიდი ზარალი მიაყენა და მათი ძალები გამოსწურა. ზავი რისვიკში შეიკრა, რომლის მიხედვითაც ლუდოვიკო XIV-ს დარჩა შემოერთებული სტრასბურგი, მაგრამ ამ უკანასკნელს ვილჰელმ ორანელი ინგლისის მეფეთ უნდა ეცნო. სწორეთ ამ ხანებში ლუდოვიკოს ახალი პლანი დაესახა—მან გადასწყვიტა ისპანიის მონარქიის, მთელი მისი სამფლობელოებით, დაპყრობა. მან მოახერხა უშვილო ისპანიის მეფისთვის კარლოს II ჰაბსბურგისთვის სიკვდილის წინათ ანდერძი დაეწერინებია, რომლითაც ისპანიის სამფლობელოებს ის ლუდოვიკო XIV-ს შვილიშვილს ფილიპე ანჟუელს უტოვებდა. მაგრამ როდესაც 1700 წელს უკანასკნელი ისპანელი ჰაბსბურგი გარდაიცვალა და მან ისპანიაში თავისი შვილიშვილი გაგზავნა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვილჰელმ ორანელმა და მისმა მომხრეებმა ისპანიის ტახტზე თავისი კანდიდატი—ავსტრიის იმპერატორის შვილი—წამოაყენეს. ამით დაიწყო ლუდოვიკო XIV-ს მეოთხე დ უკანასკნელი, ხანგრძლივი ომი ისპანიის სამემკვიდრეოსთვის (1701—14). საფრანგეთის წინააღმდეგ ამ ომში შეერთდენ: ინგლისი, ჰოლანდია, გერმანიის მთავრების უმეტესი ნაწილი, ავსტრია, სავოია და პორტუგალია. მოკავშირეები თითქმის ყველგან ამარცხებდენ ლუდოვიკო XIV-ს არმიასა და ფლოტს (მოკავშირეთა ჯარებს ხელმძღვანელობდენ შესანიშნავი სარდლები ევგენი სავოიელი და ინგლისის სარდალი მალბორო). ომის უკანასკნელ ხანებში საფრანგეთის ყოველგვარი საშვალება გამოიწურა: კოლბერის მიერ შექმნილი ფლოტი გაანადგურეს, ჯარი შემცირდა, ფინანსიურათ დიდ კრიტიკულ მდგომარეობას განიცდიდა სახელმწიფო. ამიტომ ლუდოვიკო XIV იძულებული შეიქნა მოკავშირეებისთვის საზავო წინადადებით მიემართა. უტრეხტისა (1713) და რაშტადტის (1714) საზავო პირობებით ისპანიის მონარქია ორ ნაწილათ გაიყო: თვით ისპანია თავის ახალშენებით ლუდოვიკო XIV-ის შვილიშვილს ფილიპე V-ს დარჩა, იმ პირობით, რომ არც მის ხელში და არც მისი შთამომავლობის ხელში ისპანიისა და საფრანგეთის მონარქიები არასოდეს არ უნდა შეერთებულიყვნენ; ავსტრიას ბელგია, მილანი და ნეაპოლის სახელმწიფო გადაეცა. მაგრამ უტრეხტის ზავიდან მთავარი სარგებლობა საფრანგეთმა კი არა, არამედ ინგლისმა მიიღო. ინგლისს ჰიბრალტარის სიმაგრე და ჩრდილო ამერიკის სამფლობელოები გადაეცა. ამგვარათ უტრეხტის ზავმა ფართო გზა გაუხსნა ინგლისის საოკეანო ვაჭრობას და საახალშენო ბატონობას. საფრანგეთი კი ამ ომმა საშინლათ დასცა, აქ საბოლოოთ გამოაშკარავდა იმ წესწყობილების უვარგისობა, რომელიც საფრანგეთში ლუდოვიკო XIV-ს დროს გამტკიცდა. ლუდოვიკო XIV-ის მეფობის უკანასკნელ წლებში საშინელი კრიზისი დადგა და საფრანგეთის ჰეგემონიას ევროპაში ბოლო მოეღო; ეს კრიზისი კიდევ უფრო მეტი სიმწვავით მისი სიკვდილის შემდეგ გამომჟღავნდა.

## ახალი სახელმწიფოების წარმოშობა-განვითარება აღმოსავლეთ ევროპაში.

1. **პრუსიის სახელმწიფოს წარმოშობა და მისი ზრდა ფრიდრიხ II-მდი.** მე-XVI—XVII საუკუნეებში აღმოსავლეთ ევროპაში ორი

ახალი სახელმწიფო წარმოიშვა და გაძლიერდა. ეს ორი ახალი სახელ-
მწიფო პრუსია და მოსკოვის სამეფო იყო. პირველი მდებარეობდა
იმ მდინარეების ქვედა ნაწილზე, რომელნიც სამხრეთიდან ბალტიის
ზღვას ერთვიან; მეორე კი—ვოლგაზე, ოკაზე და ჩრდილო დვინაზე. ეს
სახელმწიფოები ისე როგორც აღმოსავლეთ ევროპის დანარჩენი სახელ-
მწიფოები ევროპის დასავლეთ სანაპიროებზე გაშენებულ სახელმწიფო-
ებისგან, რომელთა ცხოვრებაშიც ახალი დროის დასაწყისს, საოკეანო
გზების გახსნით და მსოფლიო ვაჭრობის გაცხოველებით, დიდი ცვლი-
ლებები მოხდა, შორს იყვენ და მათგან თითქმის დამოუკიდებლათ ვი-
თარდებოდენ. ამიტომ ამ სახელმწიფოებში განვითარდა თავისებური სა-
ზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წესწყობილების ფორმები, რი-
თაც ეს სახელმწიფოები დასავლეთის სახელმწიფოებისაგან განსხვავდე-
ბოდენ.

პრუსიის სახელმწიფო ბრანდენბურგისა და საკუთარი პრუსიის შე-
ერთებით წარმოსდგა. პირველი შუა ოდერზე მდებარეობდა, ხოლო მე-
ორე — ქვედა ვისლაზე და ნემანის შესართავს შორის; ეს უკანასკნელი
ოდესღაც ტევტონთა ორდენის სამფლობელოს წარმოადგენდა, მაგრამ
პროტესტანტიზმის შემოღების შემდეგ ის პოლონეთისაგან დამოკიდე-
ბულ საერო საჰერცოგოთ გადაიქცა. მე-XVII საუკუნის დასაწყისს
პრუსია მემკვიდრეობით დარჩა ბრანდენბურგის კურფიურსტებს, რომელ-
ნიც ჰოჰენცოლერნების გვარეულობას ეკუთნოდენ და ამავე დროს მათ
ხელში გადავიდა ქვედა რეინის ორივე მხარეზე მდებარე მცირე სამფლობელო
(კლევე). ამგვარათ პრუსიის სახელმწიფოს ტერიტორიას მე-XVII საუკ.
დასაწყისს სამი ერთმანეთს დაცილებული კუთხე შეადგენდა და პრუ-
სიის მართველთა ყურადღებაც, ამ დროიდან დაწყებული, იქითკენ იყო
მიპყრობილი, რომ ეს ერთმანეთს დაცილებული კუთხეებისგან შემდ-
გარი ტერიტორია გაეერთიანებიათ. ქვეყნის სამეურნეოსა დ პოლიტიკური
განვითარებისთვის ბევრი გააკეთა ეგ. წ. „დიდმა კურფიურსტმა“ ფრიდ-
რიხ ვილჰელმმა (1640—1688), რომელიც ლუდოვიკო XIV-ის თანამე-
დროვე და ვილჰელმ ორანელის ახლო ნათესავი იყო. პრუსიის სახელ-
მწიფოს ნამდვილმა შემქნელმა დიდმა კურფიურსტმა თავის პოლიტიკა-
ში დასახა ის გზები, რომელსაც მტკიცეთ ადგენ მისი მემკვიდრეები —
პრუსიის მე-XVIII საუკ. მეფეები. დიდი კურფიურსტის დროს შეიკრა ვესტ-
ფალიის ზავი, რომლის მიხედვით ბრანდენბურგს პომერანიისა და მაგდე-

ბურგის უმეტესი ნაწილი შეუერთდა. შვეციისა და პოლონეთის ომის დროს, რომელიც მე-XVII საუკუნის ნახევარში სწარმოებდა დიდი კურფიურსტი ჯერ შვეციას ემხრობოდა, შემდეგ კი პოლონეთის მხარეზე გადავიდა და ამით იგი, როგორც პრუსიის ჰერცოგი, პოლონეთის ვასალობისაგან განთავისუფლდა. ამას გარდა ფრიდრიხ ვილჰელმი დიდ მონაწილეობას იღებდა ლუდოვიკო XIV-ის საწინააღმდეგო კოალიციებში და კიდეც სასტიკათ დაამარცხა ფერბელინთან მისი მოკავშირე შვედები (1775). დიდი კურფიურსტის შვილი ფრიდრიხი Iსპანიის სამემკვიდრეოსთვის ომის დროს ავსტრიას ეხმარებოდა და ჯილდოთ ავსტრიის იმპერატორისაგან სამეფო ტიტული მიიღო (1701)—და, ამგვარათ, ბრანდენბურგი პრუსიის სამეფოთ გადაიქცა. პრუსიის მეორე მეფე ფრიდრიხ ვილჰელმ I (1713 — 40) მონაწილეობას იღებდა ჩრდილოეთის დიდ ომში და ზავის შეკვრის შემდეგ მან შვეციის პომერანიის უმთავრესი ნაწილი მიიღო. ამგვარათ, ბრანდენბურგის კურფიურსტები, ხოლო შემდეგ პრუსიის მეფეები, თავისი მოხერხებული პოლიტიკით და ევროპის სახელმწიფოთა ომებში ჩარევით აფართოებდენ თავისი სამფლობელოს ტერიტორიას. ასეთი პოლიტიკის საწარმოებლათ და სახელმწიფო ტერიტორიის ერთმანეთს დაშორებული ნაწილების დასაცავათ საჭირო იყო ჯარი და ამიტომ ჯერ კიდევ დიდმა კურფიურსტმა მიაქცია ყურადღება არმიის შექმნის საქმეს და ფინანსების გაძლიერებას, რაიცა საჭირო იყო ჯარის შესანახათ. მაგრამ პრუსიის მართველები, როგორც ჯარის, ისე გადასახადების მოკრების საქმეში დამოკიდებული იყვენ სხვადასხვა ოლქის ლანდტაგისაგან, ე. ი. თავად-აზნაურობისა და ქალაქთა წარმომადგენლებისაგან. დიდმა კურფიურსტმა დაიწყო ბრძოლა ლანდტაგების წინააღმდეგ და საქმე იმით გათავდა, რომ თვით ბრანდენბურგში ლანდტაგმა თავისი არსებობა შესწყვიტა, ხოლო პრუსიის საჰერცოგოში სეიმი თუმცა კიდევ არსებობდა, მაგრამ მის უფლებებს კურფიურსტი ყოველ ნაბიჯზე არღვევდა. დიდმა კურფიურსტმა შესძლო ოცდაათიწლიანი ომისაგან გავერანებული ბრანდენბურგის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება, მან დიდი სიამოვნებით მიიღო და თავის სამფლობელოში დაასახლა ნანტის ედიკტის გაუქმების შემდეგ დევნილი 200000-მდი ჰუგენოტი, რომელთაც დიდათ შეუწყვეს ხელი ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას, რადგან მათ თან მოიტანეს კაპიტალი და სავაჭრო-სამრეწველო საქმეების ცოდნა. დიდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურფიურსტის ტლანქი და დესპოტიური ხასიათის შვილიშვილმა მეფე ფრიდრიხ ვილჰელმ I-იც დიდ ყურადღებას აქცევდა ქვეყნის სამხედრო და სამეურნეო საქმეებს. მის დროს პრუსიას, შედარებით პატარა სახელმწიფოს, 80000-დი საუკეთესოთ შეიარაღებული დ გაწრთვნილი ჯარი ყავდა. ფრიდრიხ ვილჰელმ I დიდის მომჭირნეობით აგროვებდა სახელმწიფო ხაზინაში ფულს და მისი მემკვიდრის ფრიდრიხ II-ის ტახტზე ასვლის დროს პრუსიის ხაზინაში დიდი თანხა იყო, რამაც ფრიდრიხ II-ს საშვალება მისცა ბრწყინვალე საგარეო პოლიტიკა ეწარმოებია და პრუსია პირველხარისხოვან სახელმწიფოს სიმაღლემდი აეყვანა.

**2. მოსკოვის სამეფო მე-XVI საუკუნეში.** მოსკოვის სამეფოს მთავარი ტერიტორიის შემოკრება, რომელიც მთელი ორი—სამი საუკუნის განმავლობაში სწარმოებდა, მე-XV საუკუნის გასულს, დიდი მთავრის ივანე III-ის დროს (1462—1505) დასრულდა. ქ. მოსკოვს, რომლის გარშემოც ეს ტერიტორიალური გაერთიანება სწარმოებდა, გეოგრაფიულათ მოხერხებული ადგილი ეჭირა: იგი ცენტრალურ რუსეთში მდებარეობდა და გარეშე მტრების თავდასხმისაგან დაფარული იყო. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ რუსეთის განაპირა ადგილებიდან გარეშე მტრების თავდასხმისგან შევიწროებული ხალხი მე-XII საუკუნიდან დაწყებული აქეთ მოისწრაფოდა დ მოსკოვის მიდამოებში სახლდებოდა. მოსკოვის პირველი მთავრები სხვადასხვა საშვალებით—შესყიდვით, დაპყრობით, მოსკოვის მეზობელი კუთხეების შემოერთებას ცდილობდენ. მათ ამ მხრით მოსკოვის სამეფოს ტერიტორიის შეკრებაში ისეთივე ღვაწლი მიუძღვით, როგორც პრუსიის ჰოჰენცოლერნებს პრუსიის ტერიტორიის შეკრებაში. „რუსეთის მიწა-წყლის უკანასკნელმა შემკრებმა" ივანე III-მ მოსკოვის სამთავროს შემოუერთა: ნოვგოროდი, როსტოვის სამთავროს ის ნაწილი, რომელიც მოსკოვთან შეერთებული არ იყო, ტვერი, ვიატკა დ სხვა წვრილი სამთავროები. ამგვარათ ცენტრალური დ ჩრდილო რუსეთის უმთავრესი ნაწილები მოსკოვის გარშემო ივანე III-ის დროს გაერთიანდენ. ტერიტორიალურმა გაერთიანება-გაფართოებამ მოსკოვის სამთავროსა და მისი მთავრის პოლიტიკურ მდგომარეობაზე დიდი გავლენა იქონია. მოსკოვის სამთავროს საზღვრებში ამ დროს მთელი ეროვნება—ველიკოროსთა ეროვნება მოექცა, რომელიც მე-XII საუკუნიდან დაწყებული ცენტრალურ და ჩრდილო რუსეთის კოლონი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაცრით წარმოსდგა. მე-XV საუკუნის ნახევრამდი ეს ეროვნება პოლიტიკურათ გაერთიანებული არ იყო და რამდენიმე დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულათ იყო გაყოფილი; ასე რომ ნაციონალური ერთიანობა არ გამოიხატებოდა სახელმწიფოებრივი ერთიანობით. ახლა ეს ეროვნება ერთი სახელმწიფო ძალა-უფლების ქვეშ გაერთიანდა. ამგვარათ ჩრდილო-აღმოსავლეთ რუსეთის, მოსკოვის გარშემო ტერიტორიალური გაერთიანების დასრულებამ, მოსკოვის სამთავრო ველიკოროსთა ნაციონალურ სახელმწიფოთ გადააქცია, ხოლო მოსკოვის დიდ მთავარს კი ველიკოროსთა ნაციონალური მეფის მნიშვნელობა მიანიჭა. თათართა მონობის უღლიდან გათავისუფლებამ (1480) კიდევ უფრო გაზარდა მოსკოვის მთავრის მნიშვნელობა, როგორც ნაციონალური მეფისა. ამავე დროს მოსკოვის საზოგადოების პოლიტიკურ შეგნებაში ის აზრიც გავრცელდა, რომ მოსკოვი ბიზანტიის დაცემის შემდეგ, „მესამე რომი“ უნდა იქნეს და მოსკოვის მართველებს იგივე მნიშვნელობა და ძალა-უფლება უნდა მიენიჭოთ როგორც ბიზანტიის იმპერატორებსო. თვით ივანე III-ს კარგათ ქონდა შეგნებული თავისი პოლიტიკური ძალა-უფლების მნიშვნელობა და სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში იგი ცდილობდა დამოუკიდებელი ყოფილიყო, ნამდვილი თვითპყრობელის უფლება მიეთვისებია და სწორეთ ამ ნიადაგზე მას დიდი შეტაკება მოუხდა ბოიართა წრესთან, რადგან ივანე III-ს სურდა ბოიართა ყოველგვარი გავლენა პოლიტიკურ ცხოვრებაზე მოესპო. უცხო სახელმწიფოებთან დამოკიდებულებაში ივანე III თავის თავს უკვე „სრულიად რუსეთის მეფეს“ უწოდებდა, თუმცა იგი სიკვდილამდი მოსკოვის დიდ მთავრათ ითვლებოდა. სამეფო გვირგვინი ოფიციალურათ მხოლოდ ივანე III-ს შვილიშვილმა ივანე IV-მ (1547—1584) დაიდგა თავზე.

ივანე IV მრისხანე თავისი მეფობის პირველ ხანებში სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში ერთგვარი რეფორმების გატარებას ცდილობდა, რისთვისაც მან 1550 წ. პირველათ მოიწვია საერობო ყრილობა (ეს ყრილობა სასულიერო და საერო თანამდებობის პირთაგან შესდგებოდა). ყრილობის თათბირის საგანი იყო არსებული კანონების კრებულის შესწორება და შევსება, ადგილობრივი მართველობის გაუმჯობესება, საეკლესიო წესწყობილებისთვის განსაზღვრული წესების შემუშავება და სხვ. ამავე დროს ეკუთნის ივანე IV-ის მიერ ყაზანისა და ასტრახანის სამეფოების დაპყრობა. 1564 წლიდან ივანე IV-ის მეფობაში ახალი ხანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იწყება. იგი ამ დროიდან ყოველგვარ კავშირსა სწყვეტს თავ[illegible]დელ თანამშრომლებთან, რომელნიც მას სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში დახმარებას უწევდნენ, დ სა'ტიკ ბრძოლას უცხადებს ბოიართა არისტოკრატიას. ივანე IV-მ ამ დროს დააარსა ეგ. წ. **ოპრიჩნინა**, რომელიც იმაში გამოიხატებოდა, რომ მეფემ გამოყო „ცალკე სასახლე" და სანდო პირებისაგან ახალი სასახლის წრე შეადგინა. ოპრიჩნინის მიზანი იყო ბრძოლა ბოიართა არისტოკრატიის წინააღმდეგ, რომელიც თავის თავს მეფის თანამშრომლათა და თანამართველათ სთვლიდა; მათი განადგურება და მათვის ყოველგვარი ძალა-უფლების ჩამორთმევა, რადგან მათ მეფე მოღალატეებათ სთვლიდა. ასე რომ ოპრიჩნინას, სახელმწიფო ღალატის საქმეების შესახებ, უმაღლესი პოლიციის მნიშვნელობა მიენიჭა. მეფესა და ბოიართა შორის უთანხმოება და ოპრიჩნინის დაარსება მოსკოვის სამეფოს პოლიტიკურ წესწყობილებაში არსებული წინააღმდეგობით იყო წარმოშობილი. ეს სახელმწიფო ისტორიულმა მსვლელობამ მე-XVI საუკუნეში თვითმპყრობელ მონარქიათ გადააქცია, მაგრამ მართვა-გამგეობას სათავეში ისევ ბოიართა მართველი კლასი უდგა. მაშასადამე მოსკოვის მეფის ახალი ძალა-უფლების ხასიათი იმ სამართველო ორგანოების თვისებებს აღარ შეეფერებოდა, რომლების საშვალებითაც მას უნდა ემოქმედნა. ამგვარათ, მოსკოვის მეფის თვითმპყრობელობას ბოიართა მართველი კლასი ზღუდავდა და ამ კლასის პოლიტიკური ძალა-უფლების მოსასპობათ ზომები იყო საჭირო; ამ ზომებმა კი თავისი განხორციელება ოპრიჩნინაში პოვეს. მეფის სისასტიკე ბოიართა და საეროთოთ იმ პირების დევნაში, რომლებიც მას თავის მოწინააღმდეგეთ მიაჩნდა, ყოველ საზღვარს გადასცილდა, რისთვისაც მან მრისხანეს სახელწოდება მიიღო ისტორიაში).

**3. დიდი აღრევიდან პეტრე დიდამდი.** ივანე მრისხანეს გარდაცვალების შემდეგ ტახტი მის სუსტ მემკვიდრეს **თევდორეს** (1584—98) დარჩა. ამ მეფეს სახელმწიფოს მართვა-გამგეობის უნარი სრულიად არ შესწევდა და ამიტომ მის დროს დიდი მნიშვნელობა მოიპოვა და სახელმწიფოს ნამდვილი მართველი შეიქნა მისი ცოლის ძმა **ბორის გოდუნოვი**. თევდორეს ერთადერთმა უნცროსმა, 9 წლის ძმამ, რომელიც მამის გარდაცვალების შემდეგ ქ. უგლიჩში ცხოვრობდა, თამაშობის დროს ავმა ზნემ რომ მოუარა დანით ყელი გამოიღადრა. (თუმცა იმასაც ამტკიცებენ, რომ უშვილო თევდორეს შემდეგ სამეფო დინასტიის ერთადერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმომადგენელი, ბორის გოდუნოვმა მოაკვლევინა, რადგან ეს უკანასკნელი სამეფო გვირგვინის მიღებაზე ოცნებობდა). ამიტომ უშვილოსა და სუსტი თევდორეს გარდაცვალების შემდეგ (1598) მოსკოვის სამეფო დინასტია შესწყდა და საერობო ყრილობის მიერ მოსკოვის სამეფო ტახტზე ბორის გოდუნოვი იქნა მოწვეული. ბორის გოდუნოვის (1598—1605) მეფობიდან მოსკოვში „დიდი აღრევის“ დრო დაიწყო, რომელიც 1613 წლამდი გაგრძელდა. ამ მოვლენის საბაბათ, რომელმაც მოსკოვის სამეფოს სახელმწიფოებრივი საფუძვლები ძალზე შეარყია, სამეფო დინასტიის მოსპობა ჩაითვლება. ხოლო რაც შეეხება ამ მოვლენის მიზეზებს, მას ღრმათ აქვთ ფესვები გადგმული მოსკოვის მთელი მე-XVI საუკუნის ისტორიაში. ივანე III-დან დაწყებული მოსკოვის მართველთა მთელი ძალი და ღონე მიმართული იყო თვითმპყრობელობის გამტკიცებისაკენ და მართველი კლასის —ბოიართა არისტოკრატიის პოლიტიკური ძალა უფლების მოსპობისაკენ. მოსკოვის ისტორიის ეს მთავარი მიმართულება განსაკუთრებით ივანე IV-ის დროს გამოაშკარავდა, როდესაც მრისხანე მეფემ სასტიკის ზომებით შეეცადა ბოიართა განადგურებას. მოსკოვის სამეფო დინასტიის შეწყვეტა ხელსაყრელი მოვლენა გამოდგა ამ უკმაყოფილო ბოიართა არისტოკრატიისთვის და თავიდანვე სწორეთ ეს უკმაყოფილო კლასი შეიქნა აღრევის მთავარ მამოძრავებელ ძალათ. მან ივანე IV ის უნცროსი შვილი, უგლიჩში დაღუპული მცირეწლოვანი დიმიტრი, ორჯერ გააცოცხლა, გადარჩენილათ აღიარა და მოსკოვის ტახტის მემკვიდრეთ გამოაცხადა. ამ ცრუ დიმიტრიებმა „სამოზვანცების“ სახელწოდება მიიღეს რუსეთის ისტორიაში. პირველმა მათგანმა ტახტიც კი ჩაიგდო ხელში და ცოტა ხნის განმავლობაში მეფობდა მოსკოვში (1606). აღრევის უკანასკნელ ხანებში დაბალი, სოციალურათ შევიწროებული კლასებიც ამოძრავდენ უმაღლესი, მიწისმფლობელთა კლასების წინააღმდეგ, და, ამგვარათ, აღრევის უკანასკნელი პერიოდი სოციალური ბრძოლით ხასიათდება. უცხო ძალებმაც, პოლონელებმა და შვედებმა, გადასწყვიტეს მოსკოვში შექმნილი მდგომარეობით ესარგებლებიათ. პოლონელთა მეფე თვით მოსკოვის სამეფო გვირგვინზედაც ოცნებობდა, ხოლო შვედებმა ამ დროს მოსკოვის სამეფოს ჩრდილო ნაწილები დაიჭირეს. პოლონელები თვით მოსკოვში შეიჭრენ და იქ თავისუფლათ დაიწყეს მოქმედება; ამავე დროს კაზაკებიც თავისუფლათ მოქმედებდენ მოსკოვში. უცხოელთა თავისუფლათ თარეშობამ გააღვიძა

ნაციონალური გრძნობა, გათიშული საზოგადოებრივი წრეები გაერთიანდენ უცხოელთა წინააღმდეგ და განდევნეს იგინი. ამით გათავდა არევის ხანა. 1613 წ. მოწვეულ იქნა საერობო კრება, რომელზედაც სხვათა შორის 50 ქალაქიდან გამოცხადდენ წარმომადგენლები. ამ საერობო კრებამ მოსკოვის სამეფო ტახტზე მიხეილ თევდორეს ძე რომანოვი მოიწვია. მიხეილ თევდორეს ძის (1613 45) მთავრობის მთელი ყურადღება იქით იყო მიპყრობილი, რომ არევით მოშლილი სახელმწიფო ორგანიზმი გაემაგრებია. იგი ყოველგვარ საყურადღებო სახელმწიფო საქმეს საერობო კრების დასტურითა და თანხმობით სწყვეტდა. ასე რომ საერობო კრებას სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში ამ დროს დიდი მნიშვნელობა მიეცა. მაგრამ საერობო კრება არ წარმოადგენდა მეფის ძალა-უფლების შემზღუდველ ორგანოს, პირიქით, თვით მეფის სურვილი იყო მთელი ქვეყნის წარმომადგენლების—საერობო კრების დახმარებით ემართა სახელმწიფო.

პირველ ხანებში ახალმა მთავრობამ მთელი ძალ-ღონე სახელმწიფოს მტრების—კაზაკებისა და უცხოელების წინააღმდეგ მიმართა. კაზაკების მეთაური ზარუცკი მოსკოვის მიდამოებიდან ასტრახანს გაიქცა და იქ ცალკე სახელმწიფოს დაარსება სცადა, მაგრამ ზარუცკი დაამარცხეს, დაიჭირეს და მოსკოვში სიკვდილით დასაჯეს; მისი რაზმები კი მალე დაიშალენ. ამგვარათ, კაზაკების მხრით სახელმწიფოს საშიშროება აღარ მოელოდა. რაც შეეხება უცხოელებთან—შვედებთან და პოლონელებთან დამოკიდებულებას, ეს საქმე ასე დასრულდა. შვედებთან 1617 წელს სოფ. სტოლბოვში შეიკრა ზავი, რომლის ძალითაც ნოვგოროდი და სხვა ქალაქები, რომლებიც შვედებს ქონდათ დაჭერილი, მოსკოვს დაუბრუნდა; შვედებს კი ფინეთის ის სანაპიროები დარჩათ (ნარვიდან ქ. კორელამდი), რომლებიც მათ ჯერ კიდევ არევის დროს დაეთმოთ. პოლონელებთან საბოლოო „საუკუნე ზავი“ 1634 წ. შეიკრა. ამ ზავის მიხედვით პოლონელებს სმოლენსკი და არევის დროს დაჭერილი დანარჩენი ქალაქები გადაეცათ. პოლონეთის მეფემ მოსკოვის ტახტზე უარი სთქვა და მოსკოვის კანონიერ მეფეთ მიხეილ თევდორეს ძე იცნო.

მოსკოვის სამეფოს მე-XVII საუკუნის წესწყობილებამ სავსებით განახორციელა ის თვითმპყრობელობა, რომლისაკენაც მოსკოვის მე-XVI საუკუნის მართველები მიილტოდენ. მოსკოვის სახელმწიფო ამ დროს დასავლეთის აბსოლუტური მონარქიების ტიპს მიუახლოვდა. მეფის უაღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესუფლებიანობის შეგნება განსაკუთრებით მიხეილ თევდორეს ძის მემკვიდრის ალექსი მიხეილისძის მეფობაში გამოსჭვივის.

ალექსი მიხეილისძე (1645—76) სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში რეფორმების გატარებას შეუდგა და ამ მიზნით მან თავისი მეფობის პირველ წლებში საერობო კრება მოიწვია (1648), რომელზედაც 130 ქალაქიდან გამოცხადდენ წარმომადგენლები. 1649 წ. საერობო კრების მუშაობას საკანონმდებლო ხასიათი ქონდა. ამ დროს შეკრებილ იქნა ძველი კანონები, მთავრობის მიერ სხვადასხვა დროს გამოცემული განკარგულებანი, დ̃ ერთ კრებულათ გამოსცეს ისინი, რომელსაც **„ძეგლის დება“** („Соборное уложеніе“) ეწოდება.

საკანონმდებლო მუშაობა 1649 წელს დასრულდა დ̃ კანონების ახალი კრებული — „ძეგლის დება“ 2000 ცალამდი დაიბეჭდა და მთელ სახელმწიფოში გავრცელდა, რასაც ბოროტმოქმედებათა აღმოფხვრისა და მართლმსაჯულების საქმეში დიდი მნიშვნელობა ქონდა. ალექსი მიხეილისძის მეფობიდან აღსანიშნავია ერთი საყურადღებო მოვლენა. მის დროს დასავლეთი ევროპის განათლება გავრცელდა მოსკოვის საზოგადოების სხვადასხვა წრეში; ზოგიერთებს ისე იტაცებდა დასავლეთის გავლენა, რომ სტოვებდენ რუსეთს დ̃ დასავლეთისაკენ გარბოდენ, რათა იქ ცხოვრების უკეთესი პირობები ეპოვათ. თვით მოსკოვის მართველ წრეებშიც იყვენ დასავლეთის კულტურის მოტრფიალე პიროვნებანი და თვით სახელმწიფოს წესწყობილებაში დასავლეთის წესების შემოღებაზე ფიქრობდენ. ასე რომ ამ დროს ძველ რუსულ იდეალებს და ნაციონალურ კარჩაკეტილობას ბოლო ეღებოდა, იბადებოდა ახალი იდეალები და რუსეთის მოწინავე საზოგადოება კულტურულ კაცობრიობასთან მჭიდრო კავშირის დამყარებისაკენ მიისწრაფოდა. ამ გზაზე რუსეთის ხალხი ალექსი მიხეილისძის შესანიშნავმა შვილმა პეტრე დიდმა გამოიყვანა, რომელმაც რუსეთის საზოგადოებრივსა და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში დიდი ცვლილებები მოახდინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# III

# ძველი წესწყობილების უკანასკნელი საუკუნე ევროპაში.

* „ძველი წესწყობილება“ (ancien régime). მე-XVIII საუკუნის გასულს და მე-XIX საუკუნის პირველ ნახევარში დასავლეთ ევროპის თითქმის ყველა ქვეყნის სახელმწიფოებრივსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში რევოლიუცია მოხდა და იმ წესწყობილებას, რომელიც ევროპაში ამ რევოლიუციამდი არსებობდა „ძველი წესწყობილება“ უწოდეს. თავდაპირველად „ძველი წესწყობილების“ ტერმინით იმ სახელმწიფოებრივს და საზოგადოებრივ ცხოვრების თვისებებს აღნიშნავდენ, რომელიც საფრანგეთში მე-XVIII საუკუნის ბოლომდე, დიდ რევოლიუციამდი, არსებობდა. (აღნიშნული მნიშვნელობით ეს ტერმინი ისტორიულ ლიტერატურაში განსაკუთრებით საფრანგეთის ისტორიკოსის ტოკვილის შესანიშნავი თხზულების, „ძველი წესწყობილების და რევოლიუციის“, გამოსვლის შემდეგ გამტკიცდა). შემდეგში ამ ტერმინის მნიშვნელობა გააფართოვეს და მით მთელი ევროპის იმ წესწყობილებას აღნიშნავენ, რომელიც თავისი ძირითადი თვისებებით საფრანგეთში დიდ რევოლიუციამდი (1789) არსებულ წესწყობილებას მიემსგავსებოდა.

მე-XVI — XVII საუკუნეებში ევროპის უმთავრეს სახელმწიფოებში (გარდა ინგლისისა და პოლონეთისა) საშვალო საუკუნეთა წოდებრივი მონარქიის ფორმები მოისპო და აბსოლუტური მონარქია დამყარდა. წოდებათა წარმომადგენლების ორგანოებმა (საფრანგეთში გენერალურმა შტატებმა; ისპანიასა და პორტუგალიაში — კორტესებმა; გერმანიაში—ლანდტაგებმა და სხვ.) სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში ყოველგვარი მნიშვნელობა დაკარგეს. მაგრამ, თუ წოდებებს პოლიტიკური უფლებები ჩამოართვეს, სამაგიეროთ მათი სოციალური პრივილეგიები სრულიად ხელუხლებლათ დასტოვეს, ხელუხლებლათ დასტოვეს ფეოდალური უფლებები, რომელიც თავად-აზნაურობას გლეხობაზე უფლებებს ანიჭებდა უმთავრესი პირობა, რომელმაც ხელი შეუწყო წოდებრივი მონარქიის დაშლას და წოდებებზე სამეფო ძალაუფლების გამარჯვებას, სახელმწიფო ფინანსების მდგომარეობა იყო. მსოფ-

ლიო ვაჭრობის განვითარებისა და ფასების რევოლიუციის შემდეგ გადასახადების წყაროები შეიცვალენ: წინათ უმთავრესი გადასახადი მიწაზე იყო დაწესებული, მიწიდან შემოდიოდა სახელმწიფოს მთავარი შემოსავალი დ მიწისმომქმედი თავად-აზნაურობა ის უმთავრესი ძალა იყო, რომლითაც მთავრობა ამა თუ იმ კუთხიდან შემოსავალს კრებდა. ახლა მიწის შემოსავალი დაეცა და სამრეწველო წარმოებისა და აღებ-მიცემობის, რომლიდანაც მიწისმომქმედი კლასი შორს იყო, მნიშვნელობამ აიწია. ევროპის სახელმწიფოთა უმთავრეს ნაწილში მეფეებმა ბიუროკრატიასთან ერთად სახელმწიფო გადასახადების ახალი წყაროები ხელში ჩაიგდეს და მრეწველობა და აღებ-მიცემობა, საიდანაც მთავარი შემოსავალი ქონდათ მათ თავის მფარველობაში დააყენეს. მონარქიულმა მთავრობებმა ეს შესძლეს მანამდი, სანამ ახალი სიმდიდრის შემქნელი კლასები დამოუკიდებლათ არ შეკავშირდენ. მხოლოდ როდესაც ეს უკანასკნელნი შეკავშირდენ და ცხოვრების ასპარეზზე მომქმედი ბურჟუაზია გამოვიდა (მე-XVIII საუკუნის ბოლოს) აბსოლუტური მონარქიის საფუძვლები შეირყა და მისი ბატონობა დაეცა. ამგვარათ, ძველი წესწყობილების მთავარი დამახასიათებელი თვისებებია სახელმწიფოს აბსოლუტურ-პოლიციური წესწყობილება (საილიუსტრაციოთ აიღეთ ლუდოვიკო XIV-ის დროის საფრანგეთი); თავად-აზნაურობის ხელში წოდებრივი პრივილეგიების, გლეხობაზე ბატონობის არსებობა; პირადი და საზოგადოებრივი თავისუფლების უარყოფა. ძველი წესწყობილების არსებობის დროს აგრეთვე სახელმწიფოს, რომელიც საზოგადოების ერთი ნაწილის — უმაღლესი კლასების ინტერესებს იცავდა, თავისუფალი აზრის ეშინოდა და მას სასტიკათ სდევნიდა.

ძველი წესწყობილება ყველგან, ევროპის ყველა ქვეყანაში, ერთნაირი არ იყო: ზოგიერთ ქვეყანაში იგი ძლიერი სახით არ გამოხატულა, როგორც, მაგალითად, ინგლისში, სადაც თავად-აზნაურობის ბატონობა გლეხობაზე, ბატონ-ყმობა ახალი დროის დასაწყისს მოისპო დ პირადი დ პოლიტიკური თავისუფლებაც პარლამენტის უფლებათა გაფართოებით უზრუნველყოფილი შეიქნა. სამაგიეროთ ევროპის კონტინენტის ქვეყნებში იგი უფრო ძლიერი ფორმებით გამოიხატა, თუმცა აქაც მას სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნებში, მაგ.. პრუსიასა, ავსტრიასა, პოლონეთსა და რუსეთში უფრო მძიმე ხასიათი ქონდა, რადგან აქ ბატონ-ყმობა ისევ ხელუხლებლათ არსებობდა და გონებრივი თავისუფლება, განსაკუთრებით ავსტრიასა და რუსეთში, სრულიად შეზღუდული იყო. ძველი წესწყო-

ბილება პირველათ საფრანგეთში დაემხო. აქ მე-XVIII საუკუნის [illegible]-სულს დიდი რევოლიუცია მოხდა, რომელმაც საფრანგეთში ძველ წეს-წყობილებას ბოლო მოუღო და ევროპის სხვა ქვეყნებშიც ძველი წეს-წყობილების საფუძვლები ძალზე შეარყია და დასამხობათ გაამზადა. ამიტომ მე-XVIII საუკუნე „ძველი წესწყობილების“ უკანასკნელ საუკუნეთ ითვლება. ქვევით ჩვენ სწორეთ ამ საუკუნის მთავარ მოვლენებს გავეცნობით.

## საფრანგეთი დიდ რევოლიუციამდი.

**1. რეგენტობა და საფინანსო კრიზისი.** ლუდოვიკო XIV საფრანგეთის უკიდურესი გაჭირვების დროს გარდაიცვალა (1715) და საფრანგეთის ტახტზე მისი შვილიშვილი, ლუდოვიკო XV, იმ დროს ავიდა, როდესაც სახელმწიფოს მთელი მატერიალური ძალები გამოწურული იყო. ლუდოვიკო XV-ის მცირეწლოვნობის გამო სახელმწიფო! მართველობა მეფის ახლო ნათესავს ორლეანელ ჰერცოგს ჩააბარეს. რეგენტს, რომელიც მთელი რვა წლის განმავლობაში (1715—23) საფრანგეთს სათავეში უდგა, არ შეუცვლია წინანდელი სახელმწიფო პოლიტიკის სისტემა. ამ დროს საფრანგეთი საშინელ საფინანსო კრიზისს განიცდიდა, ხაზინა ცარიელი იყო, ხოლო ვალები იმდენი იყო, რომ მთავრობას მათი პროცენტების გადახდაც კი არ შეეძლო. მთავრობამ მთელი ყურადღება იქით მიაპყრო, რომ ასეთი გაჭირვებული ფინანსიური მდგომარეობიდან გამოსავალი ეპოვა, დ სწორეთ ამ დროს რეგენტთან შოტლანდიელი ჯონ ლოუ გამოცხადდა, რომელსაც საფინანსო და საბანკო საქმეები ინგლისსა და ნიდერლანდებში ქონდა შესწავლილი და დიდი საკრედიტო ოპერაციების პლანებით იყო აღჭურვილი. ჯონ ლოუმ წინადადება მისცა რეგენტს საფრანგეთის ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. მისი სისტემის მთავარი შინაარსი იმით გამოიხატებოდა, რომ სახელმწიფომ ხალხის ნდობით უნდა ისარგებლოს და ქაღალდის ფული გაცილებით მეტი გამოუშვას ვიდრე ხაზინაში ლითონის ფულია, და ამით ვაჭრობა და მრეწველობა გააცხოველოსო. რეგენტმა ეს წინადადება, რომელიც მერკანტილისტურ შეხედულებაზე იყო აშენებული, მიიღო და ჯონ ლოუც თავისი პროექტის განხორციელებას შეუდგა. ლოუმ დიდი ფული შეაგროვა ქაღალდის ფულის (აქციების) გამოშვებით და სახელიწიფო ბანკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დააარსა, რომლის გამოშვებულ ფულებსაც ხაზინა ნამდვილ ფულად იღებდა. ლოუმ ბანკის ოპერაციები თანდათან გააფართოვა; მთავრობამ მას ნება დართო ამერიკის ახალშენებთან ვაჭრობისთვის ვესტ-ინდოეთის სააქციონერო კომპანია მოეწყო და ოსტ-ინდოეთის მთელი ქონება და უპირატესობანი შეიძინა. ამას შემდეგ ლოუმ მთავრობისგან ფულის მოჭრის უფლება და თუთუნის ვაჭრობის მონოპოლიაც მიიღო. ოპერაციების გაფართოებასთან ერთად ახალ ახალი აქციები და უამრავი ბანკის ბილეთი გამოდიოდა. პირველათ აქციებს საზოგადოებაში დიდი გასავალი ქონდა; აქციების ფასი, გამოცხადებულ ღირებულებასთან შედარებით, 30—40-ჯერ გაიზარდა; მათ დიდის სიხარბით ეტანებოდენ, სახლებსა და მთელ ქონებას აგირავებდენ, რომ აქციები ეყიდათ, და ბევრმა ამ აქციებით მართლაც დიდი სიმდიდრე შეიძინა. მაგრამ ლოუს საფინანსო ოპერაციები არ იყო მკვიდრ საფუძველზე დაყრდნობილი. ის ნდობაზე იყო აშენებული და საკმარისი იყო ეს ნდობა შერყეულიყო, რომ ლოუს მიერ დაწყებული საქმეც დაშლილიყო. და ეს ასეც მოხდა. ლოუმ კრედიტით ფართოთ ისარგებლა და $2^1/_2$ მილიარდი ქაღალდის ფული გამოუშვა. ნდობა ბანკისადმი შეირყა; ზოგიერთებმა ფულზე ქაღალდის გადახურდავება დაიწყეს; პირველათ ბანკი ახურდავებდა, მაგრამ მალე მას ამის საშვალება აღარ ქონდა და ლოუმ მთავრობას კანონიც კი გამოაცემია, რომლის ძალითაც კერძო პირებს 500 ლივრზე მეტი ლითონის ფულის შინ შენახვა აეკრძალათ. ამ ზომამ მიზანს ვერ მიაწია და ნდობა საზოგადოებისა ბანკისადმი საბოლოოთ დასცა. აქციებსა და ბილეთებს ყოველგვარი ღირებულება და მნიშვნელობა დაეკარგა. ბევრი, ვისაც ეს აქციები და ბილეთები ბლომათ ქონდა შეძენილი, გაკოტრდა. გაბრაზებულ ხალხს აფერისტი ლოუ ძლივძლივობით ხელიდან დაუძვრა და საფრანგეთიდან გაიქცა; მის ქონებას კონფისკაცია უყვეს. ასე დაიშალა ლოუს საფინანსო ოპერაციები. ამ საქმის ასეთმა ბოლომ, სახელმწიფო ბანკის გაკოტრებამ, სახელმწიფო ფინანსების მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა.

**2, ბიუროკრატიული რეფორმები და პარლამენტების ოპოზიცია.** ლუდოვიკო XV-ის მთელი სამოცი წლის მეფობის დროს (1715—1774) საფრანგეთის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში თითქმის არავითარი ცვლილება არ მომხდარა. მისი მართველობა წინანდელი, ლუდოვიკო XIV-ის მართველობის სისტემა იყო, რომლის უვარგისობასაც უკვე ცხოვრება ყო-

ველ. ნაბიჯზე ააშკარავებდა. საფრანგეთი ამ დროს ისეთ საგარეო პო-
ლიტიკას აწარმოებდა და ევროპის სახელმწიფოთა ისეთ ომებში (ომი
ავსტრიის სამემკვიდრეოსთვის, შვიდწლიანი ომი) ერეოდა, რომლებში
ჩარევაც საფრანგეთის პირდაპირი ინტერესებით სრულიადაც არ იყო გა-
მოწვეული. პრუსია ავსტრიის ომების დროს ის ხან პრუსიას უჭერდა
მხარს და ხან ავსტრიას და ამავე დროს საფრანგეთს ინგლისი ერთი-მე-
ორეზე ართმევდა ახალშენებს და მის საზღვაო ვაჭრობას ანადგურებდა.
ერთი სიტყვით, ლუდოვიკო XV-ის საგარეო პოლიტიკა, სახელმწიფოს
სარგებლობის თვალსაზრისით, სრულიად მიზანშეუწონელი იყო და იგი
საფრანგეთის საგარეო მდგომარეობას, მის პრესტიჟს სცემდა. შიგნით
სახელმწიფოში მართველობის იგივე პოლიციური სისტემა ბატონობდა,
რომელიც ლუდოვიკო XIV-ის დროს გამტკიცდა და რომელიც ყოველ-
გვარ საზოგადოებრივ თავისუფლებას სპობდა და თავისუფალ აზრს ახ-
შობდა. (პოლიტიკურისა და სამეცნიერო ლიტერატურის თხზულებათა
უმთავრესი ნაწილი ამ დროს საზღვარ-გარეთ ჰოლანდიაში, ინგლისში,
შვეიცარიაში გამოდიოდა). თვით მეფე მთელ დროს ქეიფსა და პირად
სიამოვნებას ანდომებდა, მთლათ ერთიანათ გარყვნილ ცხოვრებაში იყო
ჩაფლული, სახელმწიფოს მართვა-გამგეობაზე, მის კეთილდღეობაზე ზრუნ-
ვით თავს არ იწუხებდა და ამბობდა: „ჩემს შემდეგ თუ გინდ წარღვნაც
მოხდესო“. მაგრამ ადმინისტრატიულ წრეებში და მეფის მახლობელ
მრჩევლებში იყვენ ისეთები, რომლებსაც სახელმწიფოს მართვა-გამგეო-
ბის მექანიზმის უვარგისობა შეგნებული ქონდათ და რეფორმებს აუცი-
ლებლათ სთვლიდენ. ასეთი იყო იმ დროს მარკიზი არჟანსონი (ერთ
დროს ის საგარეო საქმეთა მინისტრათ იყო), რომელმაც „საფრანგეთის
მართვა-გამგეობის შესახებ მოსაზრებანი“ შეადგინა, სადაც ის თავად-
აზნაურობის პრივილეგიების მოსპობას, ადგილობრივ დემოკრატიულ და-
წესებულებათა დაარსებას და სხვ. საჭიროთ სთვლიდა. მაგრამ ის მონარ-
ქიის შეზღუდვის წინააღმდეგი იყო და გენერალური შტატების მნიშვნე-
ლობას უარყოფდა. ლუდოვიკო XV-ის მეორე მინისტრი მაშო უმაღ-
ლეს წოდებათა წინააღმდეგ ერთგვარი ზომების გატარებას შეუდგა. მან
ყოველგვარ ქონებაზე საერთო ხუთპროცენტიანი გადასახადი შემოი-
ღო. ეს გადასახადი მიწასაც ედებოდა და ამგვარათ მიწისმფლობელი თა-
ვად-აზნაურობა და სამღვდელოება იბეგრებოდა. ამ ზომამ უმაღლეს
წოდებათა მხრით დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია, ეს გადასახადი მალე

ააუქმეს და მაშოც თანამდებობიდან გადააყენეს. ის რეფორმები, რომლის საჭიროებასაც არჟანსონი თავის პროექტში აღიარებდა, ან ის ზომები, რომლის გატარებასაც მაშო ცდილობდა, საფრანგეთის საზოგადოებრივ ცხოვრებისთვის ძირითად რეფორმებს არ წარმოადგენდენ. ამასთანავე ისინი თავის შეკვეცილი რეფორმების გატარებას ბიუროკრატიული გზით, განკარგულებათა გამოცემის სახით ცდილობდენ.

მაგრამ ამ მეფის კანცელიარიიდან გამოსულ, ფრთებ შეკვეცილ რეფორმებსაც კი საზოგადოების მაღალი კლასები დიდის წინააღმდეგობით ხვდებოდენ და არა ნაკლებ ილაშქრებდენ აგრეთვე მთავრობის ყველა რეფორმების წინააღმდეგ პარლამენტები. პარლამენტები, რომლის წევრობაც სამემკვიდრეო იყო, ადრევე პოლიტიკური უფლებების მითვისებაზე და ხალხის წარმომადგენლების ორგანოს როლის შესრულებაზე ფიქრობდენ. ლუდოვიკო XIV-მ მათ ასეთ სურვილებს საზღვარი დაუდვა, მაგრამ ლუდოვიკო XV-ის დროს ისინი ისევ თავისას იმეორებდენ და მთავრობის ყოველგვარ ზომას, რომელიც მათ მისწრაფებათა წინააღმდეგ იყო მიმართული გაფიცვით უპა უხებდენ ხოლმე.

ლუდოვიკო XV-ის უკანასკნელ ხანებში მთავრობასა და პარლამენტებს შორის დიდი განხეთქილება მოხდა დ მთავრობამ ამ დროს გადასწყვიტა ბოლო მოეღო პარლამენტთა ოპოზიციისათვის. 1770 წელს მინისტრმა მოპუმ გამოსცა განკარგულება, რომლის ძალითაც აკრძალული იყო ლაპარაკი „საფრანგეთის პარლამენტისა“ და მისი ხალხის წინაშე მოვალეობათა შესახებ. პარიზის პარლამენტის წევრებმა ამაზე გაფიცვით უპასუხეს. მინისტრმა ამის წინააღმდეგ სასტიკი ზომები მიიღო. მან პარლამენტის წევრების თანამდებობას, რომელიც მათი, წევრების საკუთრებას შეადგენდა, კონფისკაცია უყო და პარლამენტები დახურა. მათ მაგიერ ახალი მოსამართლეები უნდა შესდგომოდენ თავისი მოვალეობის შესრულებას. სასამართლოს წევრების მემკვიდრეობა მოისპო და მოსამართლეები ამიერიდან მთავრობას უნდა დაენიშნა. ამ ახლათ დაარსებულ სასამართლოებს „მოპუს პარლამენტი“ უწოდეს. მაგრამ მოპუს ზომა ხანგრძლივი არ გამოდგა. შემდეგი მეფობის პირველსავე წლებში წინანდელი პარლამენტები ისევ თავის უფლებებით იქნენ აღდგენილი.

*** 3. ინგლისის გავლენა და „განათლების ეპოქა“ საფრანგეთში.**

ის სახელმწიფოებრივმა და საზოგადოებრივმა წესწყობილებამ, რომელიც საფრანგეთში მე-XVIII საუკუნის ბოლომდი არსებობდა, და რომელიც

„ძველი წესწყობილების“ სახელით არის ცნობილი, საფრანგეთის მე-
XVIII საუკუნის მოწინავე აზრების მატარებელი ადამიანების სახ[illegible]
ერი ოპოზიცია ჰოვა. ეს მოწინავე აზრების მატარებელი ადამიანები,
რომელიც შეურიგებელ კრიტიკით ილაშქრებდენ ძველი წესწყობილე-
ბის წინაამდეგ (თავისი უარყოფითი მხარეებით ეს წესწყობილება ლუ-
დოვიკო XУ-ის დროს გამომჟღავნდა) და საფრანგეთის საზოგადოებაში
ახალი ცხოვრების იდეალებს ქადაგებდენ, განმანათლებელთა“ სახელით
არიან ცნობილნი; ხოლო თვით ამ ახალი იდეების გავრცელების დროს
საფრანგეთში „განათლების ეპოქა“ ეწოდება. საფრანგეთის მე-XУШ სა-
უკუნის „განმანათლებელნი“, თავისი საზოგადოებრივისა და სახელმწიფო-
ებრივი იდეალების შემუშავების დროს ინგლისის ძლიერ გავლენაში
იმყოფებოდენ. ინგლისთან ბრძოლის დროს ლუდოვიკო XIУ-ის და-
მარცხებიდან, ინგლისი მოწინავე მოაზრე ფრანგების განსაკუთრებულ
ყურადღებას იქცევს. მათ ეს ქვეყანა იმ საუკეთესო წესწყობილების ქვეყ-
ნათ მიაჩნიათ, სადაც ადამიანის თავისუფალ ბუნებას ყველაზე უკეთ შე-
უძლია გაშლა. ასეთ რწმენას, უპირველეს ყოვლისა, საფრანგეთის სა-
ზოგადოებაში ის ჰუგენოტი-ემიგრანტები ავრცელებდენ, რომელთაც ინგ-
ლისში ახალი სამშობლო ჰოვეს. ისინი სთარგმნიდენ ინგლისის ლიტე-
ტერატურის შესანიშნავ ნაწარმოებებს: მორუსის „უტოპიას“, ახალი ფი-
ლოსოფიის საუკეთესო წარმომადგენლების ბეკონისა და ლოკის თხზუ-
ლებებს და საფრანგეთის საზოგადოებაში ავრცელებდენ. „განმანათლე-
ბელთა“ ორიგინალური აზრები: დეიზმი (მოძღვრება, რომელიც სარწ-
მუნოების შინაარსს ღვთის არსებობისა და სულის უკვდავების აღიარებით
გამოხატავდა); სინიდისისა და კვლევა-ძიების თავისუფლება; იდეა, რომ
მსოფლიო მოვლენები გარდუვალს ფიზიკურ კანონებს ემორჩილებიან;
ხალხის უაღრესუფლებიანობისა და სახელმწიფოში ძალა-უფლების გან-
აწილების თეორია, — ყველა ეს იდეა პირველად ინგლისის პუბლიცისტებ-
მა, მეცნიერებმა და ფილოსოფოსებმა გამოსთქვეს. მე-XVII საუ-
კუნეში, რევოლიუციების დროს, ინგლისში შესანიშნავი მეცნიერნი
და ფილოსოფოსნი ცხოვრობდენ და მოღვაწეობდენ. სწორედ ამ დროს
ინგლისში ცხოვრობდა უდიდესი მეცნიერი ნიუტონი, რომელმაც კო-
პერნიკის, კეპლერისა და გალილეის ასტრონომიული იდეები — მოძღვრე-
ბა დედამიწისა და ცის მნათობთა შესახებ — მსოფლიო მიმზიდველობის
კანონის აღმოჩენით დაასრულა. 1687 წ. მან „ბუნების ფილოსო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიის მათემატიკური საფუძვლები“ გამოაქვეყნა, სადაც ის აზრი გატარებულია, რომ ყველა მოვლენა განსაზღვრულსა და გარდუვალ კანონებს ემორჩილებაო. ქაცობრიობის აზროვნების ისტორიაში ამ თხზულებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამავე დროს ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მეორე შესანიშნავი ინგლისელი მოაზრე და ფილოსოფოსი **ჯონ ლოკი**, რომელიც თავის თხზულებებში იმ იდეებს ატარებდა, რომ მთელი ჩვენი ცოდნა იმ შთაბეჭდილებებით ამოიწურება, რომლებსაც ჩვენ ჩვენი ხუთი გრძნობის საშვალებით ვიღებთო. ამიტომ ის ყოველგვარს თანშობილ იდეებს უარყოფს. აღსანიშნავია აგრეთვე ლოკის სახელმწიფოებრივი თეორია. იგი თავის თანამემამულე **ჰობსთან** ერთად აღიარებდა რომ ადამიანები თავდაპირველათ „ბუნებრივ მდგომარეობაში“ იმყოფებოდენ და შემდეგ მათ ურთიერთ შორის ხელშეკრულობა დასდვეს, სახელმწიფო დააარსეს და სახელმწიფოებრივ მდგომარეობაში გადავიდენო. მაგრამ ამ ხელშეკრულობის შინაარსი ჰობსსა დ ლოკს სხვადასხვანაირათ ესმოდათ. **ჰობსის** აზრით, პიროვნება თავის „ბუნებრივ“ თავისუფლებას კარგავს და თავის პიროვნებას სავსებით სახელმწიფოს უქვემდებარებს, რომელიც მთავრობის სახით არის წარმოდგენილი. ლოკი კი ამ შემთხვევაში იმ აზრის არის, რომ პიროვნებას რჩება თავისი ბუნებრივი თავისუფლება; უზენაესი ძალა-უფლება, მისი აზრით, ხალხის ხელშია. ამ ძალა-უფლებას ის მთავრობას განსაზღვრული პირობებით გადასცემს და მისი უკანვე დაბრუნების უფლებას იტოვებს, თუ კი მთავრობა ხალხთან დადებულ ხელშეკრულობას არ შეასრულებს. ეს თავისი პოლიტიკური შეხედულება ლოკმა 1689 წ. გამოსთქვა და იგი ინგლისის მეორე რევოლიუციას სავსებით ამართლებდა. მე-XVII საუკ. მეორე ნახევარში ინგლისში განსაკუთრებული რელიგიური სისტემა წარმოიშვა, რომელმაც **დეიზმის** სახელწოდება მიიღო. იგი სარწმუნოების ყველა დოგმატის ღვთის არსებობის და სულის უკვდავების აღიარებაში უყრიდა თავს. დეისტები ის თავისუფალი მოაზრეები იყვენ, რომელთაც რელიგიისა და რელიგიური საკითხების შესახებ რაციონალისტური შეხედულებანი საზოგადოებაში პირველათ გაავრცელეს. დეიზმი, როგორც რელიგიური ფილოსოფიის სისტემა, სავსებით ლოკის იდეებზე აიზარდა. ასეთი იყვენ ინგლისის მე-XVII საუკუნის შესანიშნავი მოაზრეები და მათი იდეები, რომელთაც საფრანგეთის მე-XVIII საუკუნის მოაზრეებზე — „განმანათლებლებზე“ განსაკუთრებული გავლენა იქონიეს. მე-XVIII საუკ. მე-20 წლებიდან ინგლისში

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფრანგების მოგზაურობა იწყება. ისინი ამ ქვეყნის პოლიტიკურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებს და ინგლისის მეცნიერებასა და ფილოსოფიას ეცნობიან. ყველა ამით აღტაცებული ფრანგები ინგლისის იდეებს ითვისებდნენ და მათ მთელ ევროპაშიავრცელებდნენ. ისინი საფრანგეთში არსებულ პოლიტიკურისა და საზოგადოებრივი წესწყობილების გადაშინჯვას შეუდგნენ და იგი კრიტიკის ქარცეცხლს მისცეს. მე-XVII—XVIII საუკუნეების სამრეწველო განვითარებით ეკონომიურად გაძლიერებულსა და განათლებულ საფრანგეთის ბურჟუაზიას აღარ სურდა პოლიტიკურ ცხოვრებაში მეორეხარისხოვანი როლი შეესრულებია და პირველობა უმაღლესი წოდებისთვის დაეთმო. იგი არსებულ წესწყობილებას ოპოზიციაში ჩაუდგა და უმთავრესად მისი წრიდან გამოსული „განმანათლებელნი" თავის ნაწერებში ძველი წესწყობილების წინააღმდეგ ილაშქრებდნენ. ძველ წესწყობილებას ადამიანის პიროვნება სახელმწიფოს წინაშე მსხვერპლად მიჰქონდა. განმანათლებლებმა ადამიანის პიროვნება თავის მფარველობაში მიიღეს და მის ბუნებრივ უფლებებს — თავისუფლებასა და თანასწორობას იცავდნენ. განათლების ეპოქას უმთავრესად რაციონალიზმი ე. ი. მსოფლიოსა და საზოგადოების მოვლენათა ახსნის ადამიანის გონებაში ძებნა (ratio გონება) ახასიათებს. საფრანგეთის მე-XVIII საუკუნის საზოგადოებრივი აზრის ოპოზიციონური მიმართულების განვითარება შეიძლება ორ უმთავრეს პერიოდად გაიყოს: პირველი პერიოდი (დაახლოებით 1750 წლამდე) უფრო ზომიერი ხასიათის იყო და ამ დროს განმანათლებელნი უფრო ზომიერი ხასიათის საზოგადოებრივსა და პოლიტიკურ რეფორმებს მოითხოვდნენ; მეორე პერიოდის განმანათლებელნი უფრო უკიდურეს მოთხოვნილებებს აყენებდნენ და ცხოვრების ძირითად რეფორმებს მოითხოვდნენ. პირველ პერიოდს ეკუთვნიან ვოლტერი, მონტესკიე და ფიზიოკრატების უმრავლესობა; მეორე პერიოდს კი — დიდრო და ენციკლოპედისტები, რუსო და სხვ.

**4. ვოლტერი და მონტესკიე.** მთელის იმ ოპოზიციონური მიმართულების მეთაურად, რომელიც მე-XVIII საუკუნის პირველ ნახევარში საფრანგეთში გაძლიერდა და რომელიც არსებული წესწყობილების წინააღმდეგ იყო მიმართული, ფილოსოფოსთა „პატრიარქად" წოდებული, ფრანსუა ვოლტერი (1694—1778) ითვლება. იგი ახალგაზრდობისას ორჯერ ჩასვეს ბასტილიაში იმ სატირული ლექსების გამო რომელიც მან

მეფისა და ერთი ჰერცოგის როგანის შესახებ დასწერა. ამ დროს ვოლტერს ინგლისს მოუხდა წასვლა და იქ იგი დაბეჯითებით მთელ იქაურ საზოგადოებრივსა და სახელმწიფოებრივ წესწყობილებას გაეცნო; აგრეთვე დეისტების, ლოკისა და ნიუტონის თხზულებები შეისწავლა და, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იგი, საფრანგეთის საზოგადოებაში ინგლისის იდეების გავრცელებას შეუდგა. მას თავისი ორიგინალური იდეები არ შეუმუშავებია; იგი უმთავრესათ ცნობილია, როგორც ინგლისის იდეების პოპულიარიზატორი, და უმთავრესათ კი ვოლტერი ინგლისური დეიზმის იდეებს ანვითარებდა. ვოლტერი სინიდისის თავისუფლებას თავგამოდებით იცავდა და კათოლიკური სამღვდელოებისა და იეზუიტების ფანატიკოსობას ებრძოდა. (ცნობილია მისი ჩარევა პროტესტანტი კალასის პროცესში, რომელსაც ფანატიკურმა კათოლიკურმა სამღვდელოებამ შვილის მოკვლა დააბრალა იმიტომ, რომ თითქოს კალასის შვილს კათოლიციზმის მიღება განეზრახოს და ამისთვის მამას ის მოეკლას). ვოლტერის სამწერლო მოღვაწეობა მრავალფეროვანია: მას უწერია ისტორიულისა და ფილოსოფიური შინაარსის თხზულებები, დრამები, რომანები და სხვ. ვოლტერი განუსაზღვრელი მონარქიის წინააღმდეგი არ იყო, მხოლოდ ასეთი მონარქიის სათავეში განათლებული მართველი უნდა მდგარიყო. მას სწამდა, რომ თვით მაშინდელ საფრანგეთშიც კი განათლებული მონარქი ჰუმანურ რეფორმებს და გონებრივ თავისუფლებას დაამყარებდა. ამგვარათ, ვოლტერის პოლიტიკური იდეალი **განათლებული აბსოლუტიზმი** იყო. ვოლტერს არ ეთანხმებოდა და წინააღმდეგ აზრებს ადგა მისი თანამედროვე, ინგლისის თაყვანისმცემელი მონტესკიე. მან ადრევე, ჯერ კიდევ რეგენტობის დროს საფრანგეთში არსებული მართველობის წინააღმდეგ გაილაშქრა („სპარსულ წერილებში") მონტესკიეს აზრი სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სისტემის შესახებ მის შესანიშნავ თხზულებაში „კანონების სულშია" გამოთქმული (ეს თხზულება, სადაც მონტესკიეს მრავალი მასალა აქვს შეკრებილი, 1748 წ. გამოვიდა). ამ თხზულებაში გამოთქმული საერთო აზრი შემდეგით გამოიხატება: ხალხთა ცხოვრებისა და სახელმწიფოთა წესწყობილების ფორმების შექმნაზე გავლენას ახდენენ უპირველეს ყოვლისა ბუნების პირობები — ჰავისა და ნიადაგის თვისებები, ამას გარდა კიდევ ნაციის ხასიათი, რომელიც უცვლელ ფორმებში ყალიბდება. მიუხედავათ იმისა, რომ ავტორს სურს ობიექტური მსჯელობის ხაზი დაიცვას, ის მაინც ვერ ფარავს ინგლისის

წესწყობილებით გატაცებას და თავის შესანიშნავი თხზულების მე-XI წიგნის 6 თავში ინგლისის წესწყობილებას ახასიათებს. ინგლისის წესწყობილების უმთავრეს დამტკიცებით თვისებათ ის **ძალა-უფლების განაწილებას** თვლის, რომლის არსებობის დროსაც, მისი აზრით, ნამდვილი თავისუფლება უზრუნველყოფილი იქნება: საკანონმდებლო ძალა-უფლება ხალხის წარმომადგენლების ხელში უნდა იყოს; აღმასრულებელი — მემკვიდრეობითი მონარქის ხელში; სასამართლო კი არჩეული მოსამართლეების ხელში. თავისუფლება დაიღუპება მაშინ, თუ სამივე ეს უფლება ერთისა და იმავე პიროვნების ხელში იქნება: თუ ერთ პიროვნებას კანონის შექმნის უფლება, მისი სისრულეში მოყვანის უფლება და სასამართლო უფლებაც ექნება. ზემოაღნიშნული ორგანოები კი ერთი მეორეს თვითნებით მოქმედების ნებას არ მისცემენ და თავისი უფლების ბოროტათ გამოყენებისთვის ერთმანეთს წინააღუდგებიან. **მონტესკიე** მის თანამედროვე ინგლისში არსებულ წესწყობილებას, სისწორით ვერ ხატავდა, რადგან ინგლისში იმ დროს ძალა-უფლების განაწილება იმ სახით, როგორც ეს **მონტესკიეს** აქვს აღწერილი, არ არსებობდა. იქ საკანონმდებლო უფლება პარლამენტის ხელში იყო და ამავე პარლამენტიდან გამოდიოდა აღმასრულებელი ძალა-უფლებაც მინისტრთა კაბინეტის სახით მაგრამ მიუხედავათ ამისა **მონტესკიეს** დიდი გავლენა ქონდა, როგორც **საფრანგეთში** აგრეთვე ევროპის დანარჩენ ქვეყნებშიც. იგი განსაზღვრული, კონსტიტუციური მონარქიის თეორეტიკოსი შეიქნა და თანახმათ **მონტესკიეს** მოძღვრებისა ყოველ კონსტიტუციაში უპირველეს ყოვლისა ძალა-უფლების განაწილების პრინციპს აუცილებლათ სთვლიდენ.

5. **განმანათლებელთა უკიდურესი მიმართულება. ენციკლოპედისტები.** **ვოლტერისა** და **მონტესკიეს** მომდევნო, განმანათლებელთა უმცროსი თაობა აბსოლიუტური მონარქიის გახრწნის მოწმე იყო. განმანათლებელთა ეს თაობა პირველი თაობისაგან, რომლის ტიპიურ წარმომადგენლებათაც **ვოლტერი** და **მონტესკიე** ითვლებიან, თავისი უკიდურესი აზროვნებით, უფრო მეტი რადიკალიზმით განსხვავდება. ისინი უკვე აღარ კმაყოფილდებიან ძველი წესწყობილების შენობის ნაწილობრივი გადაკეთებით, მის სავსებით დანგრევას მოითხოვენ და მის ადგილას ახალი საზოგადოებრივისა და სახელმწიფოებრივი შენობის აგებას. ფილოსოფიურ კითხვებში ისინი დეიზმიდან მატერიალიზმსა და ატეიზმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე (ღვთის არსებობის უარყოფა) გადავიდენ. პოლიტიკაში მათ ერთად-ერთ მიზანს მარტო პირადი თავისუფლება კი აღარ შეადგენს, არამედ — ხალხის კეთილდღეობა, და ამ კეთილდღეობის განსახორციელებლად თვით ხალხს მოუწოდებენ. **ინგლისის** კონსტიტუციით გატაცების დრომ, რომელიც განსაკუთრებით **მონტესკიეს** ახასიათებს, გაიარა. ახლა **ინგლისის** წესწყობილებასაც კრიტიკას უკეთებენ და მას უარყოფით უყურებენ. ამ თაობას, რომელიც მე-XVIII საუკუნის მე 60 **წლებში** მოღვაწეობდა, სათავეში **დიდრო** უდგა. **დიდრომ** „**მეცნიერებათა, ხელოვნებათა** და ხელობათა ენციკლოპედიის" გამოცემა განიზრახა. „**ენციკლოპედიის**" მიზანი მკითხველ საზოგადოებაში მსოფლიოზე, ადამიანზე და სახელმწიფოზე ახალ შეხედულებათა გავრცელება იყო. ასე რომ „**ენციკლოპედია**" მე XVIII საუკუნის ცოდნის დასკვნათა ერთგვარი ჯამი უნდა ყოფილიყო. **დიდრომ** ამ საქმის გარშემო თავი მოუყარა **საფრანგეთის** მაშინდელ შესანიშნავ მოაზრეებს: **დალამბერს, ჰოლბახს, ჰელვეციუსს, კონდილიაკს** და სხვ. ამ წრეში ორი უმთავრესი მიმართულება ბატონობდა — **სენსუალიზმი** და **მატერიალიზმი**. პირველი მიმართულებით ადამიანი მთელს თავის ცოდნას გრძნობითი შთაბეჭდილებით ღებულობს. ეს მიმართულება ინგლისელი ფილოსოფოსის **ლოკის** იდეების უკიდურესი დასკვნა იყო და მის მთავარ წარმომადგენლად საფრანგეთში **კონდილიაკი** ითვლება. მეორე მიმართულება ყოველგვარ მოვლენას მატერიის მუდმივი მოძრაობით ხსნის. ამ მიმართულების საუკეთესო გამომხატველი (თავის თხზულებაში „**ბუნების სისტემაში**") **ჰოლბახი** იყო.

მატერიალისტურისა და სენსუალისტური იდეების მატარებელ მოაზრეებს: **დიდროს, დალამბერს, ჰელვეციუსს, ჰოლბახს** და სხვ. **ენციკლოპედისტები** ეწოდათ, რადგან ისინი „**ენციკლოპედიის**" გარშემო იყვნენ შეჯგუფული. „**ენციკლოპედიამ**", რომელიც 28 ტომად გამოვიდა (1750—1772), დიდი დევნა განიცადა საფრანგეთის მთავრობისაგან, რომელიც თავისუფალი აზრის მტერი იყო, და ამიტომ იგი საიდუმლოდ იბეჭდებოდა და საზოგადოებაში ისე ვრცელდებოდა.

**ჩ. ფიზიოკრატები.** მე XVIII საუკუნის ნახევრიდან ეკონომიურ მეცნიერებაშიც იჩინა თავი ახალმა მიმართულებამ. ეს მიმართულება მერკანტილიზმის სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენდა. იგი იმ მფარველობისა და მზრუნველობის წინააღმდეგ ილაშქრებდა, რომელსაც მთავრობა

მრეწველობასა და ვაჭრობას უწევდა, და მრეწველობისა და ვაჭრობის თავისუფალ განვითარებას ქადაგებდა. ამ მიმართულების მოძღვრებით სიმდიდრის ერთადერთი წყარო (წინააღმდეგ მერკანტილისტებისა) — მიწაა. მხოლოდ მიწაზე გაწეული შრომა იძლევა „წმინდა შემოსავალს" და მარტო მიწისმოქმედნი შეადგენენ ერთადერთ მწარმოებელ კლასს. არც ინდუსტრია, არც ვაჭრობა არავითარ ახალ ღირებულებას არ მატებენ ქვეყანას. ამ ახალს ეკონომიურ მოძღვრებას **ფიზიოკრატია** (მოძღვრება ბუნების ბატონობის შესახებ) ეწოდება. ფიზიოკრატები ცდილობდენ საზოგადოების მთელი ყურადღება მიწისმოქმედ და მაშასადამე ერთადერთ მწარმოებელ კლასის გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ მიექციათ და გაეთავისუფლებიათ იგი ფეოდალური დროიდან დარჩენილ ვალდებულებათაგან. ფიზიოკრატები, ისე როგორც ვოლტერი და ბევრი სხვა განმანათლებელიც, ამ მხრით მიმართულის გონიერი რეფორმების გატარებას ზევიდან, განათლებული მონარქისაგან მოელოდენ. ფიზიოკრატიის საუკეთესო წარმომადგენლები საფრანგეთში კენე, ტიურგო (ლუდოვიკო XVI-ის მინისტრი) და სხვ. იყვნენ.

7. **ჟან-ჟაკ რუსო.** მე-40 წლების გასულს პარიზის ლიტერატურულ წრეში შეიჭრა ახალი მსოფლმხედველობის მატარებელი და ორიგინალური მოაზრე ჟან-ჟაკ რუსო (1712—78). თავისი გაბედული აზრებით, რომლებიც თანამედროვე ცივილიზაციისა და წესწყობილების წინააღმდეგ იყო მიმართული, მან საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია. რუსოს პირველი თხზულება, რომელმაც მას დიდი სახელი მოუხვეჭა, ერთი სალიტერატურო საზოგადოების (დიჟონის აკადემიის) მიერ წამოყენებულ თემაზე იყო დაწერილი: „ხელი შეუწყო თუ არა მეცნიერებათა და ხელოვნებათა აღორძინებამ ზნეობის გაწმენდას?" (1749). დასმულ კითხვაზე რუსომ უარყოფით უპასუხა და აღიარა რომ „მეცნიერებათა და ხელოვნებათა განვითარებამ გარყვნა ადამიანის ზნეობაო". [illegible] თხზულებაში, „ადამიანთა შორის უთანასწორობის წარმოშობა? [illegible] ლიც თავის დედააზრით პირველი თხზულების გაგრძელებას წარმოადგენს, რუსო ამტკიცებს, რომ ადამიანთა ურთიერთობაში ყოველგვარი ბოროტებისა და უბედურების წყარო — კერძო საკუთრებაა. შური და მტრობა, ერთი ადამიანისაგან მეორე ადამიანის დამონება, უთანასწორობა ადამიანთა შორის, მას შემდეგ წარმოსდგა, რა რომ ადამიანმა შემოარაგვა ის ნაკვეთი მიწა, რომელზედაც თვითონ მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაობდა და სთქვა „ეს ჩემიაო“. ამ თხზულებაში რუსო მიმზიდველ ფერადებით გვიხატავს ადამიანთა პირველყოფილი „ბუნებრივი მდგომარეობის“ სურათს, სადაც არ იყო არც კერძო საკუთრება, არც უთანასწორობა, და გამანადგურებელი კრიტიკით ილაშქრებს თანამედროვე ცივილიზაციით მოსილი ხალხების საზოგადოებრივი წესწყობილების წინააღმდეგ. რუსო განსაკუთრებით „ბუნებრივი ადამიანის“, თანამედროვე ცივილიზაციით გაურყვნელი ადამიანის იდეალის შექმნისაკენ მიილტოდა. ასეთი ადამიანის იდეალური აღზრდა მან რომანში „ემილი ანუ აღზრდის შესახებში“ გამოხატა. ამ თხზულებაში რუსოს ის აზრი აქვს გატარებული, რომ ადამიანში მისი თანშობილი ნიჭიერებანი — მიდრეკილებანი და უმთავრესათ გრძნობა უნდა განვავითაროთ. რუსომ აგრეთვე თავის შესანიშნავ „საზოგადოებრივ ხელშეკრულებაში“ ადამიანთა ცხოვრების იდეალური წესწყობილების სურათიც დახატა. რუსო აქ იზიარებს ინგლისელი მოაზროვნების ჰობსისა და ლოკის შეხედულებას იმის შესახებ, რომ ადამიანები პირველყოფილი მდგომარეობიდან ერთგვარი შეთანხმებით და ურთიერთ შორის ხელშეკრულობის დადებით გამოვიდენ. მაგრამ რადგან აქ რუსოსთვის უდიდესი მნიშვნელობა ადამიანთა შორის თანასწორობის დაცვას აქვს, ამიტომ ხელშეკრულობის დადების დროს თითოეული პიროვნება უარს ამბობს თავის უფლებებზე და თავის ნებასურვილებს ხალხს უმორჩილებს. ასე რომ მეფეთ, უზენაესი ძალა-უფლების მატარებელ თვითმპყრობელათ მთელი ხალხი ხდება. თვითმპყრობელ ხალხს განუსაზღვრელი უფლებები აქვს მინიჭებული, იგი კანონმდებელია და მთავრობას მხოლოდ თავის საერთო ნება სურვილის სისრულეში მოყვანას ანდობს; იგი ამყარებს სამოქალაქო (დეისტურ) რელიგიას და სდევნის და სიკვდილით სჯის იმათ ვინაც მას არ ემორჩილებიან. რუსო არ იზიარებდა მონტესკიეს მოძღვრებას ძალა-უფლების განაწილების შესახებ; იგი აგრეთვე წინააღმდეგი იყო პარლამენტის — და დემოკრატიული წესწყობილება მას იმ სახით ქონდა წარმოდგენილი, რომ მასში ხალხი საერთო კრებებზე თავს იყრის და სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში პირდაპირ (და არა თავის წარმომადგენლების საშვალებით) მონაწილეობას იღებს. ასეთი წესწყობილება ძველი საბერძნეთის რესპუბლიკებში არსებობდა, თანამედროვე შვეიცარიის კანტონებშიც იგი შესაძლებელი იყო, ხოლო ევროპის მაშინდელს დიდ სახელმწიფოებში მისი განხორციელება შეუძლებელ რამეს წარმოადგენდა. ამიტომ რუსოს პოლიტიკურ მოძ-

ვრების განყენებული ხასიათი აქვს. მაგრამ მიუხედავათ ამისა რუსოს პოლიტიკური მოძღვრება დიდ გავლენას ახდენდა მაშინდელ საფრანგეთის საზოგადოებაზე და მისი „საზოგადოებრივი ხელშეკრულობა“ ბევრისთვის ნამდვილ სახარებათ გადაიქცა.

საერთოთ საფრანგეთის მე-XVIII საუკუნის ლიტერატურა მთელი ევროპის მოწინავე საზოგადოებაში და თვით ევროპის მონარქებშიც დიდ ინტერესს იწვევდა. პრუსიის მაშინდელი მეფე, ფრიდრიხ II, საფრანგეთის ლიტერატურის დიდი თაყვანისმცემელი იყო და ვოლტერთან მეგობრული კავშირი ქონდა. რუსეთის ეკატერინე II-ც საფრანგეთის „ფილოსოფიის“ დიდ გავლენაში იმყოფებოდა.

მე-50-დან მე–80-ცე წლებამდი ევროპის გვირგვინოსნებს პარიზის ლიტერატურულ წრეებში სპეციალური კორესპონდენტი (გრიმი) ყავდათ, რომელიც მათ ყოველის ახალი ლიტერატურული მოვლენისა და იმ საუბრების შესახებ ატყობინებდა, რომელიც ლიტერატურულ სალონებში სწარმოებდა. ეს გარემოება იმის დამამტკიცებელია, რომ გვირგვინოსნებიც კი საფრანგეთის განმანათლებელთა იდეებს ანგარიშს უწევდენ.

## ინგლისი მე-XVIII საუკუნეში.

**1. პარლამენტის უფლებათა გაფართოება და კაბინეტის წარმოშობა.** მეორე რევოლიუციის შემდეგ ინგლისში პარლამენტის გაძლიერება და მის უფლებათა თანდათანი გაფართოება სწარმოებდა. მეორე რევოლიუციის სათავეში ვიგები იდგენ. ამიტომ როგორც ვილჰელმ III-ის, აგრეთვე მის შემდეგ არსებული მთავრობა უმთავრესათ ვიგებზე ეყრდნობოდა. ამ გარემოებამ კი ხელი შეუწყო ვიგების პარტიის ინგლისის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მთელი 70 წლის ბატონობას. სწორეთ ვიგების პარტიის ბატონობის დროს (1688—1760) ინგლისის კონსტიტუციის საბოლოო განვითარება და პარლამენტის უფლებათა გაფართოება მოხდა. ვილჰელმ III-ის დროს (1688—1702) ინგლისში გამოიცა მნიშვნელოვანი კანონი **ტახტის მემკვიდრეობის შესახებ** (1701), რომელმაც 1688 წ. „უფლებათა დეკლარაცია“ პარლამენტის უზენაესი უფლების შესახებ შეავსო. ამ კანონის ძალით ვილჰელმ III-ის შემდეგ ტახტი იაკობ II-ის უმცროს ქალს ანას უნდა დაეჭირა, რომე-

ლიც პროტესტანტიზმის ერთგული იყო. მაგრამ რადგან ანაც უშვილო იყო, ამიტომ მისი სიკვდილის შემდეგ, ინგლისის ტახტი სტიუარტთა შორეული ნათესავების, ჰანოვერის კურფიურსტების (ისინიც პროტესტანტები იყვენ), ხელში უნდა გადასულიყო. ამას გარდა ამ კანონში ჩამოთვლილი იყო ის პირობები, რომელიც შემდეგი მეფეებისათვის სავალდებულო იყო: მეფის საიდუმლო საბჭოს ყოველგვარ აქტზე, რომელიც აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენდა, ხელი უნდა მოეწერა იმ მინისტრს, რომელიც ამ გადაწყვეტილებაზე პასუხს აგებდა, და მეფეს არ შეეძლო გაეთავისუფლებია ის მინისტრი, რომელსაც კანონების დარღვევისთვის პასუხი უნდა ეგო. ეს იმას ნიშნავდა, რომ მინისტრები, რომელთაც მეფე მართვა-გამგეობისთვის იწვევდა, **პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელი უნდა ყოფილიყვენ**. მეფეს არ ქონდა უფლება პარლამენტის ნებადაურთველათ მოსამართლეები თანამდებობიდან გადაეყენებია, რაიცა მათ დამოუკიდებლობას უზრუნველყოფდა. მეფის უპასუხისმგებლობის და მინისტრთა პასუხისმგებლობის პრინციპი მალე კიდევ (1711) დადასტურებულ იქნა — და ამას შემდეგ მეფის არც ერთ ბრძანება-განკარგულებას არავითარი ძალა არ ქონდა, თუ მას რომელიმე მინისტრი ხელს არ აწერდა; მინისტრები კი ამიერიდან ყოველგვარი თავისი მოქმედების ანგარიშს პარლამენტს აძლევდენ. ამგვარათ აქტმა მემკვიდრეობის შესახებ ინგლისში განამტკიცა **მინისტრთა პასუხისმგებლობა პარლამენტის წინაშე, პარლამენტის განსაკუთრებული უფლება მინისტრთა გასამართლებისა და მოსამართლეთა მეფისგან დამოუკიდებლობა.**

დედოფალი ანაც (1702—14) რომელმაც განაგრძო ვილჰელმ III-ის დროს დაწყებული ომი ისპანიის სამემკვიდრეოსთვის, ვიგების პარტიას უნდა დაყრდნობოდა. თუმცა მისი მეფობის უკანასკნელ ხანებში პარლამენტში უმრავლესობა ტორებმა შეადგინეს და დედოფალმაც ამას ანგარიში გაუწია და ტორების სამინისტრო შეადგინა, რომლის სათავეშიც უტრეხტის ზავის მომწყობი, ბოლინბროკი, იდგა. მაგრამ ტორები მთავრობის სათავეში ცოტა ხნით დარჩენ და ამას შემდეგ მათი გავლენა ინგლისში დიდის ხნით მოისპო. ტორების მეთაურები ინგლისში, ანას შემდეგ, სტიუარტების დაბრუნებას ცთილობდენ, და ამ მიზნით შოტლანდიაში აჯანყებაც კი მოაწყვეს. ამ საშიშროების თავიდან ასაცილებლათ ვიგებმა, თანახმათ ვილჰელმ III-ის დროს გამოცემული აქტისა, ინგლისის ტახტზე ჰანოვერის დინასტია მოიწვიეს (1714), რამაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დინასტიის პირველი მეფეები სავსებით ვიგების გავლენას დ[illegible]ლა. ბოლინბროკი და ტორების მეთაურნი საფრანგეთს გაიქცენ; მათი პარტია დაიშალა. ვიგთა არისტოკრატიამ ამას შემდეგ ბატონობა დიდი ხნით ჩაიგდო ხელში. მეფეს გეორგ I-ს (1714—27) ინგლისური არ ესმოდა და მინისტრებს ის თარჯიმნის საშვალებით ელაპარაკებოდა. მისი შვილი გეორგ II-ც (1727—60) ინგლისში თავს უცხოთ გრძნობდა. ეს მეფეები, რომელნიც წინათ წვრილი მფლობელები იყვენ და ინგლისის ტახტი ჩაიგდეს ხელში, იძულებული იყვენ მოქმედების სრული თავისუფლება მიენიჭებიათ იმ პარტიისთვის, რომელმაც ისინი ინგლისის ტახტზე აიყვანა. ამ მეფეების აღნიშნულმა განსაკუთრებულმა მდგომარეობამ ინგლისში თავისებური დაწესებულების, **მინისტრთა კაბინეტის**, წარმოშობას შეუწყო ხელი. მეფე თავის საიდუმლო საბჭოს ადრიდანვე იწვევდა, რომლის წევრებსაც აღმასრულებელი ძალა-უფლების სფეროში სხვადასხვა დარგს ანდობდა. ვილჰელმ III, რომელსაც პარლამენტთან ერთგვარი ხელშეკრულობა ქონდა დადებული, პარლამენტის მხრით უნდობლობას ერიდებოდა და საიდუმლო საბჭოს წევრებს ორივე პარტიიდან (ვიგებიდან და ტორებიდან) იწვევდა, რაიც დიდ უხერხულობას ქმნიდა, რადგან პარტიების შეთანხმება საბჭოში და რაიმე გადაჭრილი ნაბიჯის გადადგმა, ამა თუ იმ საქმის შესახებ, საძნელო ხდებოდა. ანას მართველობის დროს სამინისტრო თავიდანვე მარტო ვიგებისგან შესდგებოდა, ხოლო ბოლოს მარტო ტორებისგან. გეორგ I იძულებული იყო საბჭო მარტო ვიგებისგან შეედგინა. მან, როგორც ვიცით ინგლისური ენა არ იცოდა და საბჭოს თავმჯდომარეობას თავი დაანება და არც მის სხდომებს ესწრებოდა. ამ დროიდან მინისტრთა კაბინეტი უმეფოთ იკრიბებოდა და იქ კაბინეტის ერთერთი წევრი თავმჯდომარეობდა. ამიტომ გეორგ II ხშირათ ამბობდა რომ „ინგლისს მეფე კი არა მინისტრები მართვენო". მეფე წინანდლურათ თავის საბჭოში პარლამენტის დეპუტატებს იწვევდა, მაგრამ პარლამენტი მას აიძულებდა საბჭო თავისი მეთაურებიდან, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, იმ **პარტიიდან შეედგინა, რომელიც პარლამენტში უმრავლესობას წარმოადგენდა** დ გაბატონებული იყო. ამას შემდეგ პარლამენტს არავითარი საფუძველი აღარ ქონდა თავის წევრებს, რომლებიც აღმასრულებელი ძალა უფლების სათავეში დგებოდენ—მინისტრთა კაბინეტს ადგენდენ, უნდობლობით მოპყრობოდა ამავე დროს უპირატესობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვედა პალატის ხელში გადავიდა და კაბინეტისთვის საჭირო იყო მხოლოდ ამ ქვედა პალატაში ყოლოდა უმრავლესობა. **თუ** კაბინეტის მომხრე უმრავლესობა შეიცვლებოდა, მაშინ მეფეს კაბინეტი უნდა გადაეყენებია და ახალი კაბინეტი ახალი უმრავლესობიდან შეედგინა. ამგვარათ ის პარტია, რომელიც პარლამენტში უმრავლესობას წარმოადგენდა, იმავე დროს **სამინისტრო** პარტიაც იყო; უმცირესობის პარტია კი **ოპოზიციას** წარმოადგენდა. ასე წარმოიშვა **ინგლისში** მინისტრთა კაბინეტი და პარლამენტის სამინისტრო, რამაც პარლამენტს სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში უზენაესი უფლება მიანიჭა.

ვიგთა ბატონობა, რომლის დროსაც პარლამენტის უფლებათა **გა**ფართოება მოხდა, ზეორგ III-ის დროს (1760 – 1820) შეირყა. **თუ**მცა ზეორგ III-ის შესანიშნავი მინისტრი **ვილიამ პიტი**, რომელმაც თავისი პოლიტიკით—**ევროპის** მაშინდელ ომებში (შვიდწლიან ომში) მოხერხებული ჩარევით—ხელი შეუწყო განსაკუთრებით **ინგლისის** საახალშენო გაძლიერებას, ვიგი იყო, მაგრამ ზეორგ III ვიგების დ... თით პარლამენტის მართველობის წინააღმდეგი იყო და მინის[ტრ]ების დანიშვნის საქმეში მეფისთვის სრული დამოუკიდებლობის მინიჭ[ებ]ას უჭერდა მხარს. **ზოგჯერ** ის ამ მიზანს აღწევდა და მინისტრებათ თავისთვის სასურველ პირებს ნიშნავდა, მაგრამ ეს პარლამენტის მხრით დიდ ოპოზიციას იწვევდა. 1783 წ. მეფემ მართველობის სათავეში **ვილიამ პიტის** შვილი ახალგაზდა **ვილიამ პიტი** (უმცროსი) ჩააყენა. **მას** პარლამენტში თავისი მომხრე უმრავლესობა არ ყავდა და ახალი არჩევნები დანიშნა; ამ არჩევნებმა **პიტს** პარლამენტში დიდი უმრავლესობა მისცა და იგი მართველობის სათავეში მთელი 17 წლის განმავლობაში დარჩა. ამგვარათ, **ინგლისში** მე-XVIII საუკუნეში კონსტიტუციურმა მონარქიამ **პარლამენტარული** მართველობის ფორმა მიიღო, ე. ი. ისეთი ფორმა, რომელსაც აღმასრულებელი ძალა-უფლება, მინისტრთა კაბინეტი პარლამენტში გაბატონებულ პარტიაზე დამოკიდებული.

2. **საარჩევნო სისტემა ინგლისში.** თუმცა უპირატესობა ქვედა პალატას მიენიჭა და **ინგლისის** სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მას უაღრესი მნიშვნელობა მიეცა, რადგან მინისტრთა კაბინეტი ქვედა პალატაში გაბატონებული პარტიის მეთაურებისგან სდგებოდა, მაგრამ იგი არ იყო მთელი **ინგლისის** საზოგადოების ყველა კლასის წარმომადგენელი და მათი ინტერესების გამომხატველი. **იმ** დროს **ინგლისში** არსებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი საარჩევნო სისტემა, რომელიც სრულიად არ წარმოადგენდა [illegible]თო სახალხო არჩევნების ფორმას, პარლამენტში მსხვილი მიწისმფლობელების გაბატონებას ხელს უწყობდა. საგრაფოებში საარჩევნო უფლება მსხვილი მიწისმფლობელებისა და ფერმერების (რომელიც მეურნეობას დაქირავებული მუშა ხელით აწარმოებდენ) ხელში იყო. მსხვილ მიწისმფლობელებს კი უმთავრესათ ვიგები შეადგენდენ — და ამიტომ არჩევნები გამარჯვებას ვიგთა არისტოკრატიას ანიჭებდა. ამას გარდა ინგლისში არსებობდა ეგ. წ. დაბები ანუ ბურგები, რომელთაც ჯერ კიდევ საშუალო საუკუნეებში ქვედა პალატაში წარმომადგენლების გაგზავნის უფლება მიიღეს; მაგრამ ზოგიერთი მათგანი მე-XVIII საუკუნეში უკვე დაცემული იყო და მცხოვრებთა რიცხვი მათში ძლიერ შემცირებული იყო, რისთვისაც მათ „დამპალი დაბების" სახელწოდება მიიღეს. ამ დროს მაგ., ისეთი დაბა არსებობდა, რომელიც სულ 11 მცხოვრებისაგან შესდგებოდა, მაგრამ დეპუტატის არჩევის უფლებით ის მაინც სარგებლობდა; ისეთი დამპალი დაბაც იყო, რომელზედაც წყალი იყო გადასული და ზღვით იყო დაფარული, მაგრამ ეს ადგილი საარჩევნო უფლებით მაინც სარგებლობდა და არჩევნების დღეს მახლობელი სანაპიროების მფლობელი სამი ამომრჩევლით ნავში ჩაჯდებოდა, მივიდოდა იმ ადგილას, სადაც წინათ სახლები უნდა ყოფილიყო და საარჩევნო კომედიას ასრულებდა. ბურგის ფულათ შეძენაც შეიძლებოდა, და ინდოეთში გამდიდრებულნი საარჩევნო ოლქს ხშირათ იძენდენ ხოლმე. ასეთი საარჩევნო სისტემის წყალობით ლონდონი, რომელიც ნახევარი მილიონი მცხოვრებისგან შესდგებოდა, პარლამენტში სულ 4 დეპუტატს გზავნიდა (1 დეპუტატი 125.000 ამომრჩეველზე), 30 ბურგი კი, სადაც დაახლოებით 375 მცხოვრები იყო — 60 დეპუტატს (1 დეპუტატი 6 ამრჩეველზე). ქვედა პალატის 568 დეპუტატიდან 200 დეპუტატს 7000 ამომრჩეველი გზავნიდა. იმ ოლქებში, რომლებიც არისტოკრატულ გვარეულობათა ხელში არ იყო, მოსყიდვის სისტემა იყო გავრცელებული. კანდიდატები ამომრჩევლებს პირდაპირ ურიგებდენ ფულს; მაგ., პარლამენტის შესანიშნავმა ორატორმა ფოკსმა არჩევისათვის ამომრჩევლებს 18.000 გირ. სტერლინგი მისცა. თვით პარლამენტშიც ეს მოსყიდვის სისტემა ძლიერ იყო გავრცელებული და კაბინეტის წევრები დეპუტატთა უმრავლესობა რომ თავის მხარეზე ყოლოდათ ამ საშუალებას ხშირათ მიმართავდენ. განსაკუთრებით ცნობილია ამ მხრით ჰანო-

ვერის გვარეულობის პირველი ორი მეფის მინისტრი, რობერტ უოლპოლი, რომელიც მთელი 20 წლის განმავლობაში (1721—41) მთავრობის სათავეში სწორედ დეპუტატების მოსყიდვით დარჩა: უოლპოლი დეპუტატებს ფულს ურიგებდა, აძლევდა მათ პენსიებს, სხვადასხვა თანამდებობას და სხვ. უოლპოლისა და საერთოთ მოსყიდვის სისტემის წინააღმდეგ ენერგიულათ გაილაშქრა პარლამენტის შესანიშნავმა ორატორმა უილიამ პიტმა. უილიამ პიტი, რომელიც მე-XVIII საუკ. მე 60 წლებში მინისტრი შეიქნა, ვიგთა პარტიას ეკუთნოდა, მაგრამ მოსყიდვის სისტემას იგი სასტიკათ გმობდა.

## პრუსია და ავსტრია.

1. პრუსია ფრიდრიხ II-ის დროს. მე-XVIII საუკუნის მეორე ნახევარში პრუსიამ თავის საგარეო ძლიერების უმაღლეს წერტილს მიაწია და იგი ევროპის პირველხარისხოვან სახელმწიფოებს ამოუდგა გვერდში. ეს დრო პრუსიაში ფრიდრიხ II-ის მეფობის დრო (1740—86) იყო. ფრიდრიხ II, რომელსაც თანამედროვეებმა დიდი უწოდეს, ღირსეული განმაგრძობელი და დამაგვირგვინებელია იმ პოლიტიკისა, რომელსაც პრუსიის მართველები მთელის საუკუნე ნახევრის განმავლობაში აწარმოებდენ. ახალგაზდობაში ფრიდრიხ II-ს უთანხმოება ქონდა თავის სასტიკ მამასთან, მეფეს ფრიდრიხ უილჰელმ I-თან, და ერთ დროს კიდეც გადასწყვიტა მამის დესპოტიზმს გაქცეოდა და საზღვარგარეთ გაქცეულიყო. მაგრამ ეს განზრახვა პრინცს შეუტყვეს; სასტიკმა მამამ შვილი ციხეში ჩასვა და კინაღამ სიკვდილით დასაჯა. მამა-შვილს შორის უთანხმოების მიზეზი ახალგაზდა პრინცის ქარაფშუტა ცხოვრება იყო და მისი გატაცება—იმდროინდელი საფრანგეთის „განმანათლებელი“ ლიტერატურით, რომელსაც მამა მისი ზიზღით უყურებდა. მას ამ დროს ვოლტერთან მიწერ-მოწერა ქონდა, საფრანგეთის ლიტერატურით აღფრთოვანებული იყო და თვითონაც ფრანგულ ენაზე ფილოსოფიური, ისტორიული და პოლიტიკური შინაარსის თხზულებებს სწერდა, სადაც საფრანგეთის მე-XVIII საუკუნის იდეებს ატარებდა.

ფრიდრიხ II-ის დროს პრუსიის სახელმწიფოს მართველობის სისტემა ისევ წინანდლური დარჩა და მასში ფრიდრიხ II-ს ძირითადი ცვლილება არ მოუხდენია. იგი სახელმწიფოს მართველობის ყოველ საქმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

'მი თვით ერგოლა და იმ პირებს, ვინაც მართველობის ამა თუ იმ დარგის სათავეში იდგენ, არავითარი დამოუკიდებელი მოქმედების უფლება არ ქონდათ მინიჭებული. ამ მხრით ფრიდრიხ II-ის აბსოლუტური მართველობა თვით ლუდოვიკო XIV-ის აბსოლუტიზმს უახლოვდება და ამ უკანასკნელსავით მასაც შეეძლო ეთქვა: — „სახელმწიფო მე ვარო". საზოგადოებრივი თვითმოქმედებისათვის ფრიდრიხ II-ის სახელმწიფოში გზა სრულიად დახშული იყო და მთელი საზოგადოება მას ბრმათ დამორჩილებული დ მკვდარ მექანიზმათ გადაქცეული ყავდა. თავისი სიცოცხლის დასასრულს მოხუცი მეფე კიდეც ამბობდა, რომ „მომწყინდა მონებზე მეფობაო". მხოლოდ განყენებული აზრის სფეროში ფრიდრიხ II-ის ქვეშევრდომნი მცირედი თავისუფლებით სარგებლობდენ და „ფილოსოფოსი" მეფე სინიდისის თავისუფლების მომხრეც იყო. ფრიდრიხ II ყველაზე უფრო არმიის გაუმჯობესებასა და გაძლიერებაზე ზრუნავდა, რაიცა პრუსიის საგარეო ძლიერების შესაქმნელათ აუცილებელი იყო. მართლაც, ფრიდრიხ II-მ საუკეთესო არმია შექმნა, რომელიც მთელ ევროპაში ნაპოლეონამდი სამაგალითოთ ითვლებოდა და რომლის რიცხვიც მისი მეფობის უკანასკნელ ხანებში 200000-მდი ადიოდა. ფრიდრიხ II-მ წოდებრივი მდგომარეობა პრუსიაში ხელუხლებლათ დასტოვა. „განმანათლებელი" იდეებით გატაცებულმა მეფემ წოდებრივ წესწყობილებაში რაიმე ცვლილების შეტანა ვერ გაბედა, რადგან ის თავისი არმიის ზურგათ თავად-აზნაურობას სთვლიდა; ამ წოდებიდან კრებდა ჯარის უფროსებს, ოფიცრებს და ამ წოდებისთვის სოციალური პრივილეგიების ჩამორთმევა მას საშიშ საქმეთ მიაჩნდა. ამიტომ ბატონ-ყმობა ფრიდრიხ II-ის დროს პრუსიაში ხელუხლებლათ დარჩა და წოდებრივ წესწყობილებაში რეფორმების მოხდენა იქ მხოლოდ 100 წლის შემდეგ, ევროპის საერთო რევოლიუციის დროს, შეიქნა შესაძლებელი. ფრიდრიხ II-მ გააუმჯობესა სასამართლო, გამოსცა კანონების კრებული („ფრიდრიხის კოდექსი") და მის დროს, სასამართლოს წინაშე ყველა, განურჩევლათ წოდებისა, თანასწორი უფლებით სარგებლობდა. საგარეო პოლიტიკაში ფრიდრიხ II მტაცებლობის გზას ადგა. თავისი მეფობის პირველსავე წელს (1740) მან ავსტრიაში შექმნილი მდგომარეობით ისარგებლა, სადაც ჰაბსბურგთა გვარეულობის მამრობითი სქესის უკანასკნელი წარმომადგენელის, კარლოს VI-ის, გარდაცვალების შემდეგ კრიზისი დადგა და კარლოს VI-ის მიერ განსაკუთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებულის აქტით („პრაგმატიული სანქცია“) ტახტის მემკვიდრეთ გამო-ცხადებული მისი ქალი მარიამ-ტერეზია, კანონიერ მემკვიდრეთ არ იცნეს. ავსტრიის საიმპერატორო გვირგვინის ხელში ჩაგდებას ამ დროს ბავარიის კურფიურსტი ცდილობდა, რომელსაც საფრანგეთმა დაუქირა მხარი და ნიდერლანდები და ბოჰემია დაიჭირა. ფრიდრიხ II ამ მე-




პრუსიის ზრდა მე-XVIII საუკუნეში.

როპიული ომის დროს, რომელსაც ეწოდება ომი ავსტრიის სამემკვიდრეოსათვის (1740—48), სილეზიაში შეიჭრა, დაიკავა იგი და მიუხედავათ იმისა, რომ ავსტრიამ ხელსაყრელი ზავი შეკრა (ახენში) თავის დანარჩენ მოწინააღმდეგეებთან, ფრიდრიხ II-მ ეს კუთხე შეირჩინა.

ავსტრიას არ შეეძლო პრუსიისთვის ეპატიებია ის თავხედობა, რო-

ეროვნული

მეღიც მან სილეზიის დაპყრობით გამოიჩინა, და მალე ავსტრიის დიპლომატიამ პრუსიის საწინააღმდეგო კოალიციის შესადგენათ დაიწყო მოქმედება. მან თავის წინანდელ მოწინააღმდეგესთან, საფრანგეთთან კავშირი შეკრა, მიიმხრო რუსეთი და პატარა ყაჩაღური სახელმწიფოს განადგურების პლანი შეიმუშავა. პრუსიის წინააღმდეგ იყვენ აგრეთვე შვეცია და საქსონიის კურფიურსტი (რომელსაც იმ დროს პოლონეთის ტახტი ეჭირა, თუმცა პოლონეთი ომში არ მონაწილეობდა). ასე რომ ფრიდრიხ II ყოველი მხრით მტრებისგან იყო გარშემორტყმული და დახმარებას მხოლოდ ინგლისიდან ილებდა, სადაც იმ დროს ცნობილი ვილიამ პიტი, საფრანგეთის საახალშენო განადგურების მიზნით, ფრიდრიხ II-ს ემხრობოდა და სუბსიდიებს უგზავნიდა. ამ ომში, რომელსაც შვიდწლიანი ომი (1756—63) ეწოდება, ფრიდრიხ II-ის სამხედრო ნიჭი სავსებით გაიშალა. იგი ყოველი მხრისაკენ ასწრებდა მტრებთან შებრძოლებას, მათ ათი დიდი ბრძოლა გაუმართა, რომელთაგანაც სამი წააგო. ომის დასაწყისში ის ავსტრიის კორპუსს გარს შემოერტყა და ხელში ჩაიგდო იგი. ომის მეოთხე წელს ფრიდრიხი უკიდურეს კრიტიკულ მდგომარეობას განიცდიდა. მტრებმა განაპირა ტერიტორიები ხელში ჩაიგდეს და შუაგულისაკენ მიიწევდენ. რუსებმა ამ დროს აღმოსავლეთი პრუსია დაიჭირეს; ავსტრიელებმა კი—სილეზია. მეფე დაცარიელებულს ცენტრალურ კუთხეში ჩამწყვდეული აღმოჩნდა; ის ამ დროს ისეთ თავგანწირულებამდი მივიდა, რომ მზად იყო სამეფო გვირგვინზე უარი ეთქვა, მაგრამ ფრიდრიხი ორმა გარემოებამ იხსნა: რუსეთში ამ დროს მისი მოწინააღმდეგე ელისაბედ პეტრეს ასული გარდაიცვალა (1761) და ტახტზე პრუსიის მეფის დიდი თაყვანისმცემელი, პეტრე III, ავიდა, რომელმაც გამეფებისთანავე პრუსიასთან ომი შესწყვიტა; ამას გარდა კიდევ პრუსიის საწინააღმდეგო კოალიციიდან გამოვიდა საფრანგეთი, რომელმაც ინგლისსთან ცალკე ზავი შეკრა. ამით ფრიდრიხ II-ს თუმცა ინგლისის სუბსიდიები მოაკლდა, მაგრამ სამაგიეროთ მას ამას შემდეგ ერთადერთ მტერთან, ავსტრიასთან, მოუხდა ბრძოლის წარმოება. 1763 წ. ჰუბერტსბურგში ისინი მორიგდენ და სილეზია ამ ზავის ძალით საბოლოოთ პრუსიას გადაეცა. ათი წლის შემდეგ ფრიდრიხ II თავის წინანდელ მტრებს, ავსტრიასა და რუსეთს, შეუთანხმდა და ამ სამმა სახელმწიფომ დასუსტებული პოლონეთის პირველი განაწილება (1772) მოახდინა. ამ განაწილებით პრუსიამ მნიშვნელოვანი წილი მიიღო; მის მიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოერთებული ქვედა ვისლის მარცხენა ნაპირზე მდებარე დასავლეთი პრუსია აღმოსავლეთ პრუსიას პომერანიასა და ბრანდენბურგთან აერთებდა. ამ სახით პრუსიის სახელმწიფოს უმთავრესი ნაწილები გაერთიანდენ. პრუსიის ორ მილიონ მცხოვრებს, სილეზიისა და პოლონეთის ნაწილის შემოერთებით, სამი მილიონი კიდევ მიემატა. ამგვარათ, ფრიდრიხ II-ის საგარეო პოლიტიკა ბრწყინვალე გამარჯვებით დაგვირგვინდა. მან პრუსიის ჰოჰენცოლერნთა საუკუნებრივი მისწრაფება შეასრულა, პრუსიის მთავარი ტერიტორიები გააერთიანა, და პირველხარისხოვან სახელმწიფოებს ამოუყენა იგი გვერდში.

**2. იოსებ II-ის რეფორმები ავსტრიაში.** ჯერ კიდევ მარიამ-ტერეზიას მეფობის დროს (1740—80) ავსტრიაში საკანონმდებლო სფეროში (შედგენილ იქნა „ტერეზიას კოდექსი") დ ადმინისტრატიულ წესწყობილებაში საერთო რეფორმების გატარების ცდა იყო. მარიამ-ტერეზია ზომებს იღებდა აგრეთვე გლეხების მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ და მის დროს საკითხი გლეხთა გათავისუფლების შესახებ საკმაოთ მომწიფდა. თუთხმეტი წლის განმავლობაში (1765 წლიდან) დედის თანამართველობის შემდეგ საიმპერატორო ტახტზე მარიამ-ტერეზიას შვილი, იოსებ II (1780—90), ადის. იოსებ II-მ სახელმწიფოს ძირითადი რეფორმების გატარების გზაზე გაბედული ნაბიჯები გადადგა, რისთვისაც მან ისტორიაში საიმპერატორო „ტახტის რევოლიუციონერის" სახელწოდება მიიღო. იოსებ II ისე, როგორც ფრიდრიხ II, თავისი დროის „განმანათლებელი" იდეებით იყო გატაცებული და ამ იდეების მიხედვით საზოგადოებრივისა და სახელიწიფო რეფორმების გატარების დროს, ის უფრო შორს მიდიოდა დ უფრო რადიკალურ გზას ადგა, ვიდრე „განმანათლებელი აბსოლუტიზმის" მეორე წარმომადგენელი ფრიდრიხ II. იოსებ II-ის რეფორმები შეიძლება სამ უმთავრეს კატეგორიათ გავყოთ: საგლეხო რეფორმები, რომლებიც გლეხთა ბატონყმობისაგან გათავისუფლებისაკენ იყო მიმართული; საეკლესიო რეფორმები, რომლებსაც საფუძვლათ სინიდისის თავისუფლების პრინციპის განმტკიცება ედვა და საერთო სახელმწიფო რეფორმები, რომლის მიზანიც მთელ იმპერიაში ერთფეროვანი მართველობის შემოღება იყო. თავისი მეფობის მეორე წელსავე იოსებ II-მ გაატარა **გლეხთა პირადი გათავისუფლება** ჩეხიასა, მორავიასა, კრაინასა და გალიციაში, მათზე მიწის ფლობა უზრუნველყო და მათი ვალდებულებანი მემამულეებისადმი შეამცირა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარწმუნოების სფეროში სინდისის თავისუფლების [illegible] ფართო მაშტაბით იქნა გატარებული: გამოცხადდა თავისუფლება, როგორც პროტესტანტული ეკლესიებისთვის, აგრეთვე ებრაელებისთვისაც; გაუქმდა ადგილობრივი სამღვდელოების დამოკიდებულება რომზე. იოსებ II-მ აგრეთვე დაკეტა მრავალი მონასტერი და საეკლესიო მამულები ხაზინას გადასცა, ხოლო იეზუიტებს შკოლები და აღზრდის საქმე ჩამოერთვათ. ამას გარდა იოსებ II ცდილობდა ეკლესიებში ხატებისა და გამოხატულებათა გადამეტებული თაყვანისცემა მოესპო, რითაც იგი მორწმუნე ხალხის მხრით დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. რაც შეეხება საერთო ხასიათის სახელმწიფო რეფორმებს, აქ იოსებ II ადმინისტრატიული ცენტრალიზაციის და ძლიერი სამხედრო მონარქიის შექმნით თავისი მრავალერიანი და დანაწილებული იმპერიის გაერთიანებას და ერთ სახელმწიფო ორგანიზმში შედუღებას ცდილობდა. მან ანგარიში არ გაუწია სხვადასხვა ეროვნების ისტორიულ საზღვრებს, მათ თავისებურ მართველობას—და მთელი იმპერია 15 ოლქათ გაყო, მთელ იმპერიაში ერთგვარი მართველობის ფორმა შემოიღო და სახელმწიფო ენათ გერმანული ენა გამოაცხადა.

იოსებ II-ის, როგორც რეფორმატორის, სისუსტე იმით გამოიხატება, რომ ის, როგორც „განმანათლებელი" საუკუნის შვილი სრულიად ანგარიშს არ უწევდა, არ სწამდა ისტორიული განვითარების ძალა და თავის ქვეშევრდომების გათავისუფლებას, გამდიდრებას, გაბედნიერებას და განათლებას ზევიდან, მთავრობის რეფორმებითა და განკარგულებების გამოცემით ფიქრობდა და ვერ გრძნობდა, რომ ყველაფერი ამის შესრულება თანდათანობითი ისტორიული განვითარებით იყო შესაძლებელი.

იოსებ II-ის გაბედულმა და „რევოლიუციონურმა" რეფორმებმა დიდი წინააღმდეგობა გამოიწვიეს ავსტრიის იმპერიის სხვადასხვა კუთხეში. თავად-აზნაურობა, სამღვდელოება და ის ეროვნებანი, რომელთა თავისებურის ნაციონალური ცხოვრების მხარეებსაც იოსებ II შეეხო, მისი რეფორმების წინააღმდეგ ამხედრდენ. უნგრეთში არეულობა მოხდა, ბელგიაში მთელი რევოლიუცია დაიწყო და, ამ თავის რეფორმების განხორციელების კრიზისის ჟამს, იოსებ II გარდაიცვალა, ხოლო მისი ძმა ლეოპოლდ II (1790–92) დათმობის გზას დაადგა და იმპერიაში ისევ ძველი მდგომარეობა აღადგინა.

**3. განათლებული აბსოლუტიზმი.** განათლებული აბსოლუტიზმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეპოქათ მე-XVIII საუკუნის მეორე ნახევარი (საფრანგეთის დიდ რევოლიუციამდი) ჩაითვლება. განათლებული მონარქები (ფრიდრიხ II, იოსებ II, ეკატერინე II და სხვ.) და განმანათლებელი იდეებით გამსჭვალული მინისტრები (არანდა — ისპანიაში; პომბალი პორტუგალიაში; ტანუჩი — ნეაპოლში და სხვ.) მე-XVIII საუკუნის იდეების მიხედვით სახელმწიფოში რეფორმების გატარებას ცდილობენ. მაგრამ განუსაზღვრელმა განათლებულმა აბსოლუტიზმმა მცირე რეფორმების გატარება მხოლოდ სასამართლოში, საეკლესიო წესწყობილებაში, საშკოლო საქმეებში შესძლო. ყველა მართველიდან მხოლოდ ერთი იოსებ II დაადგა სოციალური რეფორმების გზას და გლეხთა მდგომარეობას, ბატონყმურ დამოკიდებულებას შეეხო. მაგრამ ეს გაბედული რეფორმატორიც შესაძლებლათ და საჭიროთ არ სცნობდა საზოგადოების გათავისუფლებული კლასისთვის ერთგვარი თვითმართველობის უფლება მიენიჭებია.

მე XVIII საუკუნის განათლებულ მთავრობათა ყველა მოქმედების დამახასიათებელი თვისებაა: მტკიცე ცენტრალური ძალა-უფლება, კანცელიარული საიდუმლოება, ყოველგვარი ბრძანებისა და განკარგულების იმ ჩინოვნიკთა მიერ შესრულება, რომელნიც უზენაესი ძალა-უფლების დანიშნვასა და კონტროლზე იყვენ დამოკიდებულნი. მე-XIX საუკუნეში თვითმპყრობელობის ამ ფორმას განათლებული აბსოლუტიზმი უწოდეს.

განათლებული აბსოლუტიზმი რელიგიისა და საეკლესიო სფეროში განსაკუთრებულ გზას ადგა (წინანდელ მონარქიებთან შედარებით). მათი პოლიტიკის მთავარი დამახასიათებელი თვისება საეკლესიო სფეროში სინიდისის თავისუფლების პრინციპის აღიარება იყო, რომელიც განსაკუთრებით იოსებ II-მ გარკვეულ ფორმებში გამოხატა. კათოლიკურ ქვეყნებში (ისპანიასა, პორტუგალიასა და ნეაპოლში) მთავრობას დიდი ბრძოლა უხდებოდა კათოლიკურ ეკლესიასთან, რადგან ამ დროს საჭირო შეიქნა უკვე განსაზღვრული ურთიერთობის დამყარება სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის და, უკეთ რომ ვსთქვათ, ეკლესიის სახელმწიფოსთვის დაქვემდებარება.

საერთოთ მე-XVIII საუკუნეში კათოლიკური ეკლესია თავის გავლენის დაცემის ხანას განიცდიდა. მისმა მთავარმა დასაყრდნობმა საფუძველმა—იეზუიტთა ორდენმა თავისი წინანდელი სახე დაკარგა და უკვე დაშლის გზაზე იდგა. მე-XVIII საუკუნის ნახევარში ორდენის ქონებებს პორტუგალიასა, საფრანგეთსა, ისპანიასა და ნეაპოლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში მთავრობამ კონფისკაცია უყო, ხოლო **1773** წ. პაპმა კლიმენტო XIV-მ იეზუი-
ტთა ორდენი სავსებით გააუქმა.

მე XVIII საუკუნის ნახევარში განმანათლებელთა პირველი თაო-
ბის მოღვაწენი, როგორც მაგ. ვოლტერი, აღფრთოვანებით ხვდებო-
დენ „განათლების მეგობარ“ მონარქთა და მინისტრების მოქმედებასა
და რეფორმებს. მაგრამ იმ ახალი საზოგადოების მხრით, რომელიც და-
სავლეთ ევროპაში მე-XVIII საუკუნის მეორე ნახევარში იქმნებოდა, ისინი
ნაკლებ თანაგრძნობას პოულობდენ. ამ ცოცხალმა და მომქმედმა საზო-
გადოებამ თან მოიტანა დემოკრატიული იდეები და განახორციელა ის
რევოლიუცია, რომელიც პირველათ მე-XVIII საუკუნის მე 70 წლებში
ახალ ქვეყანაში, ამერიკაში, მოხდა და რომელმაც შემდეგ მთელი 70 წლის
განმავლობაში ევროპის თითქმის ყველა ქვეყანა, გარდა რუსეთისა და
ოსმალეთისა, მოიარა.

## რუსეთი მე-XVIII საუკუნეში.

1. **პეტრე დიდის რეფორმების ეპოქა.** მე-XVII საუკუნის მეო-
რე ნახევარში რუსეთში სახელმწიფოებრივისა და საზოგადოებრივი ცხოვ-
რების რეფორმები აუცილებელი შეიქნა. მოსკოვის ძველი წესწყობი-
ლება, სახელმწიფოს მართველობის არსებული ფორმები რუსეთის სახელ-
მწიფოს გართულებულ საგარეო და საშინაო მდგომარეობას აღარ
შეეფერებოდენ.

ალექსი მიხეილის ძეს არ შესწევდა საკმაო უნარი და ინიციატივა,
რომ სახელმწიფო რეფორმების გზაზე დაეყენებია და ძველი მოსკოვის
წესწყობილებისთვის ხელი შეეხო. ეს მხოლოდ პეტრე დიდმა შესძლო.

პეტრე დიდის მართველობის დრო (1689—1725) რუსეთში შესანიშნა-
ვია იმ მხრით, რომ მან რუსეთი დასავლეთ ევროპის კულტურას დაუ-
ახლოვა, შექმნა ხელსაყრელი პირობები (ბალტიის ზღვის სანაპიროების
ხელში ჩაგდებით) ამ დაახლოებისათვის და დიდის ენერგიით, სიჩქარით
და ძალდატანებით ცდილობდა დასავლეთის კულტურისა და წესწყობი-
ლების რუსეთში გადმონერგვას.

ახალგაზრდობისას (1697—98 წ.) პეტრე დიდი დასავლეთ ევრო-
პაში მოგზაურობდა, რომლის დროსაც პეტრეს თან ახლდა რამდენიმე
ახალგაზრდა. ამ მოგზაურობის მიზანი საერთოთ დასავლეთის სახელმწი-

ფოების ცხოვრებისა და წესწყობილების გაცნობა, გემების გაკეთება და ფლოტის მოწყობის შესწავლა (რომლის განსაკუთრებული საჭიროება მან იგრძნო თავის პირველი ომების დროს, რომლებსაც ის აზოვის ასაღებათ აწარმოებდა) და სხვადასხვა ტეხნიკური და თეორეტიული ცოდნის მიღება იყო.

პეტრე დიდმა საზღვარგარეთ ბევრი სასარგებლო ცოდნა შეიძინა (განსაკუთრებით ჰოლანდიასა და ინგლისში ყოფნის დროს გემების გაკეთების ხელოვნება შეისწავლა); გაეცნო და შეეთვისა ევროპიული ცხოვრების კულტურულ ფორმებს და თვით ევროპიელი გახდა; მისმა მოგზაურობამ ხელი შეუწყო ევროპიელების მოსვლას რუსეთში და მათთან მჭიდრო კავშირის დამყარებას.

პეტრე დიდი დასავლეთი ევროპიდან ერთი დიდი პლანით დაბრუნდა: მან გადასწყვიტა შვეციის წინააღმდეგ ომი დაეწყო და ბალტიის სანაპიროები ხელში ჩაეგდო. რუსეთს იმ დროს, გარდა თეთრი ზღვისა და ჩრდილო-ყინულიანი ოკეანისა, ზღვაში გასავალი არსაიდან ქონდა და ამ მხრით ყველაზე უფრო საჭირო, განსაკუთრებით დასავლეთ ევროპასთან დასაახლოებლათ, ბალტიის ზღვის სანაპიროების ხელში ჩაგდება იყო. ამ მიზნის შესასრულებლათ პეტრე დიდმა პოლონეთის მეფესა და საქსონიის კურფიურსტ ავგუსტ II-სთან და დანიის მეფესთან კავშირი შეკრა. ამგვარათ დაიწყო ხანგრძლივი ომი შვეციასთან (1700—21), რომელსაც **ჩრდილოეთის დიდი ომი** ეწოდება. ამ ომის წარმოება პეტრე დიდისთვის მეტათ მძიმე და საძნელო გამოდგა. მაშინდელი შვეციის ახალგაზდა მეფე, ენერგიული და სამხედრო ნიჭით აღჭურვილი კარლოს XII, ჯერ დანიას დაესხა თავს და აიძულა ის პეტრე დიდის კავშირიდან გამოსულიყო და მასთან ზავი შეეკრა. შემდეგ კი მან მთელი თავისი ძალები ფინეთის უბისკენ, პეტრე დიდის მიერ ალყა შემორტყმულის შვეციის სიმაგრის ნარვისაკენ გადმოისროლა და აქ პეტრე დიდი სასტიკათ დაამარცხა. მაგრამ კარლოს XII-მ ამ გამარჯვებით სავსებით ვერ ისარგებლა და იმის მაგივრათ, რომ პეტრე დიდის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედება განეგრძო, ის მესამე მოკავშირის, პოლონეთის, წინააღმდეგ გაეშურა. პოლონეთში კარლოს XII 1708 წლამდი დარჩა და ამით მან პეტრე დიდს საშვალება მისცა საკმაოთ მომზადებულიყო. 1709 წ. პეტრე დიდსა და კარლოს XII-ს შორის პოლტავასთან გენერალური ბრძოლა მოხდა, სადაც პეტრე დიდს გამარჯვება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვდა წილათ. პოლტავის ბრძოლამ გადასწყვიტა შვეციასთან [illegible] დი. 1721 წ. ქ. ნიშტადტში (ფინლიანდიის დასავლეთ ნაწილში) რუსეთსა და შვეციას შორის შეიკრა ზავი შემდეგის პირობებით: შვეციამ დაუთმო რუსეთს ლიფლიანდია (რიგით), ესტლიანდია (რეველითა დ ნარვით), ინგრია და კარელიის ნაწილი (ვიბორგით). პეტრე დიდმა კი მის მიერ დაპყრობილი ფინლიანდია ისევ შვეციას დაუბრუნა. ამგვარათ ჩაიგდო ხელში პეტრე დიდმა ბალტიის სანაპიროები, სადაც მან მდინარე ნევის ნაპირზე ჯერ კიდევ 1703 წ. საფუძველი ჩაუყარა რუსეთის ახალ სატახტო ქალაქს—პეტერბურგს და ამით „ევროპისაკენ ფანჯარა გამოსჭრა“. შვეციასთან ბრძოლაში პეტრე დიდის გამარჯვებამ მოსკოვის სამეფო ჩრდილოეთი ევროპის ძლიერ სახელმწიფოთ გადააქცია. პეტრემ ამ დროს იმპერატორის ტიტული მიიღო და რუსეთი ევროპის საერთაშორისო წრეში იმპერიის სახელწოდებით შევიდა.

ჩრდილოეთის დიდი ომის გათავებისთანავე პეტრე დიდმა სპარსეთის წინააღმდეგ დაიწყო ომი. ჩვენ ვიცით თუ რა მნიშვნელობა ქონდა აღმოსავლეთს ევროპის ეკონომიური განვითარებისათვის და როგორ მიილტოდენ ევროპიელები ინდოეთისაკენ. პეტრე დიდმაც, რომელიც ვაჭრობას ხალხის კეთილდღეობის დ სიმდიდრის წყაროთ სთვლიდა, აღმოსავლეთის ვაჭრობას ყურადღება მიაქცია და, აზიასთან ვაჭრობის გასამტკიცებლათ კასპიის ზღვის სანაპიროების დაპყრობა გადასწყვიტა. მან ამ მიზნის შესასრულებლათ სპარსეთის წინააღმდეგ ომი დაიწყო და 1722—23 წლებში რუსებმა დარუბანდი და ბაქო აიღეს. (ამ ომის დროს პეტრე დიდს მოკავშირეთ ქართლის მეფე, ვახტანგ VI, ყავდა მიწვეული). პეტრემ სპარსეთთან მალე ზავი შეკრა, რომლის ძალითაც მის ხელში დაპყრობილი ქალაქები და კასპიის ზღვის დასავლეთის სანაპიროები გადავიდა.

პეტრე დიდის მიერ სახელმწიფო ცხოვრებაში გატარებულ მრავალმხრივ რეფორმებს სისტემატიური, წინდაწინვე მოფიქრებულ და შემუშავებულ რეფორმათა პროექტის ხასიათი არ ქონია. იგი სხვადასხვა დროს, საჭიროების მიხედვით, სცვლიდა სახელმწიფო წესწყობილების ამა თუ იმ მხარეს. პეტრე დიდმა თავის ხელში განუსაზღვრელ, აბსოლუტურ ძალა-უფლებას მოუყარა თავი და ის ორი ძველი დაწესებულება—ბოიართა საბჭო და პატრიარქობა—რომლებშიც შეიძლებოდა მეფის თვითმპყრობელობის შემზღუდველი მიმართულება გამოხატულიყო, გაა-

უქმა. ის ყოველგვარს მნიშვნელოვან საქმეს თვით, თავის „კაბინეტში“ (ე. ი. საკუთარ კანცელიარიაში) დაახლოებულსა და სანდო პირებთან ერთად სწყვეტდა და აგრეთვე კანონებსაც იმუშავებდა. ხოლო მთელი სახელმწიფო მართველობისა და უმაღლესი სასამართლოს ხელმძღვანელათ მან 1711 წ. **სენატი** დააარსა. სენატს, რომელიც მეფის მიერ დანიშნული პირებისაგან შესდგებოდა, თვით არ შეეძლო კანონების გამოცემა; იგი მხოლოდ მეფის მიერ გადაცემულ კანონებსა და განკარგულებებს აქვეყნებდა და აგრეთვე ადმინისტრაციის მოქმედებას თვალყურს ადევნებდა. მოსკოვის ძველი „პრიკაზების“ ნაცვლათ პეტრემ 1718 წ. კოლეგიები დააარსა, რომლებიც დღევანდელ სამინისტროებს უდრიდა. სულ 12 კოლეგია იყო (სამხედრო, საგარეო, საზღვაო და სხვ.) ამ დაწესებულებათა ტიპი, რომელსაც საფუძვლათ კოლეგიალური პრინციპი ედვა, ევროპიდან იყო გადმოღებული. ამგვარივე კოლეგიალური პრინციპის მიხედვით რეფორმა საეკლესიო მართველობაშიც იქნა გატარებული და წინანდელი პატრიარქობის მაგიერ, როდესაც მთელ საეკლესიო საქმეებს ერთი კაცი—პატრიარქი უდგა სათავეში, დაარსებულ იქნა (1721) რამდენიმე სასულიერო პირისაგან შემდგარი კოლეგია, რომელსაც **სინოდი** ეწოდა. ამგვარათ, პეტრე დიდმა სახელმწიფოს მართვა გამგეობაში ბიუროკრატიული ცენტრალიზაციის სისტემა განამტკიცა და მთელ ძალა-უფლებას თავის ხელში მოუყარა თავი. პეტრე დიდმა აგრეთვე ცვლილებები შეიტანა წოდებათა მდგომარეობაში. თავად-აზნაურობისთვის სამხედრო სამსახური სავალდებულო გახადა და მათ რეგულიარულ ჯარში მოუყარა თავი. სამსახურში შესვლის დროს პეტრე მათ მამულებს აღარ ურიგებდა, არამედ განსაზღვრულ ჯამაგირს აძლევდა და ამას გარდა კიდევ, თავად-აზნაურობისთვის სავალდებულოთ, მან კანონი გამოსცა (1714), რომლის ძალითაც აზნაურს თავის მამულის შვილებზე გადაცემის დროს მისი დანაწილების ნება არ ქონდა და ანდერძით მას მთელი მამული ერთერთი შვილისთვის უნდა გადაეცა. პეტრე განსაკუთრებით ქალაქის მცხოვრებთა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნავდა, რადგან ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებას დიდ ყურადღებას აქცევდა. პეტრემ დააარსა (1720) **უმთავრესი მაგისტრატი**, რომელსაც ქალაქის წოდებაზე ზრუნვა მიანდო. რაც შეეხება გლეხობას, ამ წოდების მდგომარეობა პეტრე დიდის დროს იმით შეიცვალა, რომ მან გადასახადი ახალი სახით

გააწერეს, შემოიღეს (დიდი სამხედრო ხარჯების გამო) გადასახადი თითოეულ სულზე; ბატონ-ყმური დამოკიდებულების ფორმები მემამულეს სასარგებლოთ შესცვალეს და ბატონ-ყმობის იმ სახეს, რომელმაც მე-XVIII საუკუნეში გლეხობა მემამულეთა ნამდვილ მონებათ გადააქცია, საფუძველი ჩაუყარეს. სამხედრო სფეროში პეტრე დიდმა საბოლოოთ განამტკიცა რეგულიარული ჯარების არსებობა და მისი მეფობის უკანასკნელ ხანებში სახელმწიფოს 200.000-ზე მეტი რეგულიარული ჯარი ყავდა. პეტრე დიდი აგრეთვე ბევრსა ზრუნავდა განათლების, განსაკუთრებით ევროპიული განათლების, გასავრცელებლათ რუსეთში. უმთავრესათ იგი სპეციალური ტეხნიკური ცოდნის გავრცელებას აქცევდა დიდ ყურადღებას; ამ მიზნის შესასრულებლათ საზღვარგარეთიდან მცოდნე პირებს იწვევდა და ისეთ შკოლებს აარსებდა, რომლებიც ასეთი სპეციალური ცოდნით აღჭურვილ ადამიანებს: ინჟინრებს, არქიტექტორებს, მეზღვაურებს და სხვადასხვა ხელოსნებს ამზადებდა. პეტრე დიდი აგრეთვე რუსეთის საზოგადოებაში ევროპიული ზნე-ჩვეულების გავრცელებას ფიქრობდა; მისი სურვილი იყო რუსები გარეგნულათაც ევროპიელებს დამსგავსებოდენ. იგი უკრძალავდა ქვეშევრდომებს გრძელი წვერის ტარებას (ზოგჯერ ძალათ თვით კრეჭდა მათ) და ევროპიულიტანსაცმელის ჩაცმას ავალებდა.

**2. მედროვეთა ხანა. ე ისაბედ პეტრეს ასულის დრო.** პეტრე დიდის შემდეგ, მთელი 15—16 წლის განმავლობაში, რუსეთში სასახლის ინტრიგებსა დ სასახლესთან დაახლოებული „ძლიერი პირების“, „მედროვეების“ („временщики“) მიერ ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას (რისთვისაც ამ დროს მედროვეების ხანა ეწოდა) ქონდა ადგილი. მართველნი ამ დროს ტახტზე გვარდიის პოლკების თავად-აზნაურ ოფიცერთა დახმარებით ადიან (ამ ხნის განმავლობაში ტახტზე ერთი მეორე 5 მონარქმა შესცვალა). ამის გამო თავად-აზნაურთა პოლიტიკური მნიშვნელობა ამ დროს გაძლიერდა და თავად აზნაურულ წრეებში მონარქიული ძალა-უფლების შეზღუდვის აზრიც დაიბადა. ანა იოანეს (პეტრე დიდის ძმის) ასული (1730—40) პირველათ დასთანხმდა თავისი ძალა-უფლების „უზენაესი საიდუმლო საბჭოთი“ და წოდებათა პალატებით განსაზღვრას, მაგრამ რადგან თვით უმაღლეს თავად-აზნაურულ წრეებში ამ დროს უთანხმოება ჩამოვარდა. ანა იოანეს ასულმა ამით ისარგებლა და თვითმპყრობელობა ისევ აღადგინა. ანა იოანეს ასულის დროს სასახლის ცხოვრებაში გერმანულმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავლენამ მოიკიდა ფეხი (ანა იოანეს ასული კურლიანდიის ჰერცოგის ქვრივი იყო და მას აქედან თან მოყვენ მასთან დაახლოებული გერმანელები) და სახელმწიფოს ნამდვილ მართველათ ანა იოანეს ასულთან დაახლოებული „ძლიერი პიროვნება", „მედროვე" ბირონი შეიქნა, რომელმაც სახელი გაითქვა თავისი სისასტიკით.

ელისაბედ პეტრეს ასულის (1841—61) ტახტზე ასვლიდან გერმანელთა გავლენა სახელმწიფო მართველობაზე ისპობა. ელისაბედ პეტრეს ასულის დროს შინაურ ცხოვრებაში აღსანიშნავია წოდებათა-თავად-აზნაურობისა და გლეხობის მდგომარეობის ცვლილება. მთავრობამ ამ დროს თავად აზნაურობის ფეოდალური პრივილეგიები გააფართოვა და ყმების ბედ-იღბალი სავსებით ბატონებს დაუმორჩილა. 1760 წელს მემამულეს თავისი ურჩისა და გაუსწორებელი გლეხების ციმბირს გაგზავნის უფლებაც კი მიეცა. ამგვარათ, მე XVIII საუკუნეში თავად-აზნაურობის სოციალური პრივილეგიები თანდათან ფართოვდებოდა, 1862 წ. (პეტრე III-ის დროს) თავად-აზნაურობა სავალდებულო სამხედროსა და სამოქალაქო სამსახურიდან გათავისუფლდა და ამ წოდების პრივილეგიების საბოლოო გაფართოება ეკატერინე II-ის დროს დასრულდა. ელისაბედ პეტრეს ასულის საგარეო პოლიტიკიდან აღსანიშნავია პრუსიის წინააღმდეგ რუსეთის შვიდწლიან ომში მონაწილეობა.

ელისაბედ პეტრეს ასულის გარდაცვალებისა და პეტრე III-ის (1861—62) მცირეხნის მეფობის შემდეგ რუსეთის ტახტზე ეკატერინე II ავიდა, რომელმაც სახელმწიფოებრივი გადატრიალების მოხდენით, (თავისი მეუღლის, პეტრე III-ის, ტახტიდან ჩამოგდებით) მიიღო ტახტი.

**3. ეკატერინე II-ის დრო.** თავისი მეფობის (1762—96) პირველ ხანებში საფრანგეთის მე XVIII საუკუნის განმანათლებელი იდეებით (იხ. 107—16 გვ.) გატაცებული ეკატერინე II სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ლიბერალურ რეფორმების გატარებაზე ოცნებობდა. ამ მიზნით მან ახალი კანონმდებლობის შესაქმნელათ არჩეული პირებისაგან (უმთავრესათ თავად-აზნაურთა წარმომადგენლებისაგან) შემდგარი კომისია მოიწვია (1767) და მათთვის სახელმძღვანელოთ საერთო დებულებანი ანუ ეგ. წ. „ნაკაზი" შეადგინა სადაც ის აზრი გამოსთქვა, რომ განათლებულმა მონარქმა ქვეშევრდომთა კეთილდღეობისათვის უნდა იზრუნოსო; იგი აგრეთვე აუცილებლათ სთვლის კანონის წინაშე ყველას გათანასწორებას და გმობს საზიზღარ მონობას (ბატონ-ყმობას). მაგრამ

კომისიამ ეს ჰუმანური იდეები ვერ განახორციელა და კომისიის ნაწილმა თავად-აზნაურობის დეპუტატებმა, წინააღმდეგ დედოფლის სურვილისა, თავად-აზნაურობის ბატონყმური უფლების გაფართოება და გლეხობის სავსებით დამონება მოითხოვეს. კომისიამ ვერაფერი გააკეთა და იგი მალე კიდეც დაიშალა.

ეკატერინე II-ის დროს ადგილობრივ მართველობაში თავად-აზნაურობას დიდი უფლებები მიენიჭა და ამ წოდებამ სახელმწიფოში ისეთი ადგილი დაიჭირა, როგორიც მას არასოდეს არ სჭერია. 1785 წ. გამოცემული „თავად-აზნაურობისათვის ბოძებული გუჯრის" ძალით თავად-აზნაურობას წოდებრივი უფლებები და უპირატესობანი მიენიჭა. ამავე დროს ბატონყმობის გაძლიერებაც ხდებოდა და მემამულის უფლებები ყმებზე თანდათან ფართოვდებოდა. (ბატონყმობა ამ დროს მალოროსიაზეც გავრცელდა). ადმინისტრატიულ წესწყობილებაში ეკატერინე II-მ შემდეგი ცვლილება მოახდინა: 1775 წ. გამოიცა დადგენილება გუბერნიების შესახებ. მთელი სახელმწიფო 50 გუბერნიათ (თითოეული გუბერნია კი 10—15 მაზრათ) იქნა გაყოფილი. ყოველ გუბერნიაში მოწყობილ იქნა საგუბერნიო სამართველოები, რომლებიც დანიშნული (და არა არჩეული) მოხელეებისგან შესდგებოდა და რომელსაც სათავეში გუბერნატორი უდგა.

სახელმწიფოს მთელ სიმდიდრეს ამ დროს სამხედრო საჭიროება, ტერიტორიალური შეძენისა და დაპყრობისაკენ მისწრაფება ნთქავდა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეკატერინე II-ის საგარეო პოლიტიკა ბრწყინვალე გამარჯვებით დაგვირგვინდა. პირველმა ოსმალეთის ომმა (1768—75) რუსეთს აზოვის ზღვის სანაპიროები და შავი ზღვის სანაპიროების ნაწილი ესძინა. მალე ამ ადგილებს რუსეთმა ყირიმი და ყუბანის ოლქიც შემოუერთა. ოსმალეთის მეორე ომით (1787—91) რუსეთმა მდ. ბუგსა და დნესტრს შორის მდებარე კუთხე შეიძინა. ამას გარდა ეკატერინე II მონაწილეობას იღებდა პოლონეთის პირველსა, მეორე და მესამე გაყოფაში და პოლონეთის უკანასკნელი გაყოფით (1795), რომლის შემდეგაც ამ სახელმწიფომ თავისი დამოუკიდებელი არსებობა შესწყვიტა, რუსეთმა ვოლინი, პოდოლია, ლიტვა და კურლიანდია მიიღო.

მაგრამ სახელმწიფოს შინაური ვითარება, მისი ეკონომიური და ფინანსიური მდგომარეობა, რუსეთის ბრწყინვალე საგარეო მდგომარეობას სრულიად არ შეეფერებოდა. ათასგვარი გადასახადები, ომებით

გამოწვეული დიდი სამხედრო ხარჯები, მძიმე ტვირთად აწვა ხალხს და მის კეთილდღეობას სავსებით სპობდა. განსაკუთრებით ამ დროს ბატონ-ყმობის მძიმე უღლისაგან გლეხობა გმინავდა. გაჭირვებული მდგომარეობით გამოწვეული გლეხობის უკმაყოფილება იმ დიდ არეულობაში გამოიხატა, რომელსაც **პუგაჩევის ბუნტი** ეწოდება და რომელიც მთელ აღმოსავლეთსა და შუა რუსეთს დიდი სისწრაფით მოედვა. ეს ბუნტი თითქმის ორ წელიწადს გაგრძელდა; აჯანყებულებმა, რომელთა სათავეშიც დონის კაზაკი ემელიანე პუგაჩოვი (პუგაჩოვმა თავის თავი პეტრე III-თ გამოაცხადა) იდგა, მრავალი მემამულის სახლკარი, ქონება და რამდენიმე ქალაქი გაანადგურეს. მთავრობამ ეს აჯანყება დიდის გაჭირვებით ჩააქრო.

მაშინდელ ლიტერატურაშიც გაისმოდა არსებული წესწყობილების, განსაკუთრებით ბატონ-ყმობის გმობა. ამ მხრით ყველაზე უფრო შესანიშნავია გერმანიაში განათლება მიღებული და საფრანგეთის მე-XVIII საუკუნის იდეებით გატაცებული **რადიშჩევი**, რომელმაც თავის შესანიშნავ თხზულებაში „პეტერბურგიდან მოსკოვამდი მოგზაურობაში“ (1790) რუსეთის იმდროინდელი სინამდვილე და სამარცხვინო მონობა—ბატონ-ყმობა საშინლათ დაგმო. მაგრამ რადიშჩევი იმ რეპრესიების მსხვერპლი შეიქნა, რომელიც იმ დროს მიღებული იყო რუსეთში საფრანგეთის რევოლიუციის შიშით და, ეკატერინე II-ის სიკვდილამდი ის დიდ დევნას განიცდიდა.

რუსეთის მე-XVIII საუკუნე პავლე I-ის მოკლე ხნის (1796—1801) მეფობის დროით დასრულდა.

**4. დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის.** ჯერ კიდევ მე-XVI საუკუნის გასულს, როდესაც საქართველოს სახელმწიფოებრივი სხეული შინაურისა და გარეშე მტრებისგან დაფლეთილი იყო, საქართველოს მართველ წრეებში ჩრდილოეთის ერთმორწმუნე სახელმწიფოსთან, რუსეთთან, კავშირის დამყარების აზრი წარმოიშვა. მე-XVII საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც შიგნით მოღალატე დიდებულები, ფეოდალები, თავისუფლათ დათარეშობდენ, ქვეყნის ბედ იღბალს თავისი პირადი მიზნების მისაწევათ ატრიალებდენ და გარედან კი საშინელი მტერი შაჰ-აბაზის დროის სპარსეთი ქართველ ეროვნებას განადგურებას და მოსპობას ემუქრებოდა, კახეთის მეფე თეიმურაზ I ხსნას რუსეთთან კავშირში ხედავდა და ამ მიზნის შესასრულებლათ იგი რუსეთს წავიდა და ალექსი მიხეილის ძის მთავრობასთან მოლაპარაკებას აწარმოებდა. მაგრამ ამ მოლაპარაკებიდან არაფერი გამოვიდა. ამას შემდეგ ეს აზრი ქართველ მოწინავე საზოგადოებაში არ გამქრალა და დროგა-

ბიბლიოთეკა

მოშველებით ქართველი მეფეები კავშირისა და დახმარებისათვის რუსეთს მიმართავდენ. ამ მიმართვიდან არაფერი გამოვიდა და მან რეალური შედეგები ვერ მოიტანა მანამდი, სანამ რუსეთის მთავრობამ თავისი საგარეო მიზნების მისაწევათ საქართველოსთან კავშირი საჭიროთ არ დაინახა. ეს მოხდა მაშინ, როდესაც რუსეთის საგარეო პოლიტიკის მიზანი ოსმალეთის განადგურება და აგრეთვე აღმოსავლეთისაკენ სავაჭრო გზის გაკაფვა შეიქნა. მე-XVIII საუკუნეში რუსეთის მთავრობამ ჯერ პეტრე დიდის დროს (იხ. 140—გვ.) და შემდეგ ეკატერინე II-ის დროს ეს მიზანი აშკარათ გამოხატა და საქართველოს საკითხშიც ამ დროიდან ის უფრო მეტ ინტერესს იჩენდა, რადგან საქართველო მას ამ მიზნისთვის გამოადგებოდა, როგორც ხიდი და როგორც დამხმარე ძალა. ეკატერინე II-ის მთავრობამ, ოსმალეთის პირველი ომის დროს, ქართლ-კახეთის მეფეს ირაკლი II-სა და იმერეთის მეფეს შეუთანხმდა და საქართველოში ტოტლებენის მეთაურობით ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლათ ჯარი გამოგზავნა. ცნობილია ტოტლებენის მოქმედება საქართველოში, როდესაც მან, ოსმალეთთან ერთერთ ბრძოლის დროს ირაკლი II თავის ძალების ამარა ასპინძასთან მიატოვა და უკან გამობრუნდა (1770). ოსმალეთთან ზავის ჩამოგდების შემდეგ რუსეთის საქართველოსთან კავშირის გამტკიცების აზრი მიინელდა. ირაკლი II, რომელიც მტკიცეთ დაადგა იმ გზას, რომ აღმოსავლეთიდან, აზიიდან პირი დასავლეთისაკენ, ევროპისაკენ ებრუნებია, 1782 წ. ევროპის მთავრობებს (ვენის სასახლეს, საფრანგეთს, ვენეციას და სხვ.) მიმართა მფარველობისა და დახმარებისათვის, მაგრამ ამ მიმართვიდან არაფერი გამოვიდა, რადგან ევროპისთვის საქართველო იმ დროს არავითარ ინტერესს არ წარმოადგენდა. 1782 წ. ირაკლი II-მ მფარველობისათვის ისევ რუსეთს მიმართა, რომელსაც რუსეთი ახლა სიხარულით შეხვდა, რადგან ამ დროს რუსეთის მთავრობას აღმოსავლეთისკენ გზის გაკაფვა ქონდა გადაწყვეტილი. 1783 წ. ქ. გეორგიევსკში დაიდვა ხელშეკრულობა (ტრაკტატი) საქართველოზე რუსეთის პროტექტორატის შესახებ. ამ ტრაკტატის ძალით ქართლ-კახეთის მეფე რუსეთის იმპერატორების ძალა-უფლებას და მათ მფარველობას აღიარებდა; მეფეს ტახტზე ამტკიცებდა და სამეფო ნიშნებს უგზავნიდა რუსეთის იმპერატორი. ქართლ-კახეთის მეფე ვალდებული იყო დახმარებოდა რუსეთს ომის დროს ჯარით და საერთოთ რუსეთის სასარგებლოთ ემოქმედნა. რუსეთი თავისი მხრით აღუთქვამდა ქართლ-კახეთის მეფეს, მისი ტერი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორიის დაცვას და სამეფო ტახტის ბაგრატიონთა გვარეულობის ხელში დატოვებას; საქართველოს შინაურ მართველობაში რუსეთი არ უნდა ჩარეულიყო და საქართველოს ეკლესიასაც დამოუკიდებლობა ენიჭებოდა. 1783 წ. გასულს, თანახმათ ხელშეკრულობისა, საქართველოში რუსის ჯარი მოვიდა. ერეკლე II-ის დიდი ხნის სურვილი შესრულდა, ახლა მას ძლიერი მფარველი ყავდა და შეეძლო შინაურ სააღმშენებლო მუშაობას შესდგომოდა. მაგრამ ტრაქტატის უმთავრესი მუხლები რუსეთის მთავრობამ არ განახორციელა.

1795 წ. საქართველოს აღა მამად-ხანი შემოესია და ტფილისი მოაოხრა; ერეკლე II-მ ამ გაჭირვების დროს ვერავითარი რეალური დახმარება რუსეთიდან ვერ მიიღო.

1898 წ. ქვეყნის უბედურებით გულმოკლული და განაწამები მეფე გარდაიცვალა. ორი წლის შემდეგ საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი XII-ც გარდაიცვალა; ხოლო 1801 წ. პეტერბურგში საქართველოს რუსეთთან შეერთება გამოცხადდა — და, ამგვარათ, საქართველოს დამოუკიდებლობა მოისპო. 1783 წ. დადებული ტრაქტატი რუსეთის მთავრობამ დაარღვია და საქართველო რუსეთის ნაწილათ გამოაცხადა.

## ჩრდილო. ამერიკის რევოლიუცია.

**1, ჩრდილო ამერიკის რევოლიუციის წარმოშობა.** უტრეხტის ზავით (1713) ინგლისმა ამერიკაში თავის ბატონობას მტკიცე საფუძველი ჩაუყარა. მე-XVIII საუკუნის ნახევარში შუა ევროპის დიდ ომში (შვიდწლიან ომში) მონაწილეობით კი ინგლისი ევროპის უმთავრეს საახალშენო და, სავაჭრო სახელმწიფოთ გადაიქცა. ამ ომში ინგლისის მთელი ძალღონე საფრანგეთის, მე-XVII საუკუნეში შექმნილი, საახალშენო ძლიერების მოსპობისაკენ იყო მიმართული. ინგლისმა თავის მიზანს, რომლის საუკეთესო გამომხატველიც იმ დროს ვილიამ პიტი (უფროსი) იყო, მიაწია და საფრანგეთის საახალშენო ძლიერებას სასიკვდილო მახვილი ჩასცა. 1763 წ. ინგლისსა და საფრანგეთს შორის შეიკრა პარიზის ზავი, რომლის ძალითაც ინგლისმა მიიღო კანადა და მისისიპის აღმოსავლეთის მხრით მდებარე ყველა კუთხე; ხოლო ისპანიამ მას ფლორიდა დაუთმო.

იმ ახალშენთა ტერიტორიის ჩრდილო და სამხრეთ ნაწილში, რომ-

ლიდანაც მე-XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ჩრდილო ამერიკაში მოუკიდებელი სახელმწიფო შესდგა, სხვადასხვაგვარი წესწყობილება და ცხოვრების ფორმები არსებობდა. სამხრეთ ნაწილში, სადაც ახალშენები ვირგინია, ჩრდილო დ სამხრეთი კაროლინა, ჯეორგია არსებობდა, მიწები ანგლიკანური სარწმუნოების მიმდევარ სხვილ მესაკუთრეებს ეკუთნოდათ, რომლებიც აქ მეურნეობას მონა-ნეგრების საშვალებით აწარმოებდენ. ჩრდილო ახალშენებში, მასაჩუსეტსში, როდ-აილენდში, პენსილვანიაში და სხვ. წვრილი მესაკუთრე პურიტანებ ცხოვრობდენ. პურიტანთა ახალშენებში („ახალ ინგლისში", როგორც მათ პურიტანები ეძახდენ) დემოკრატიული რესპუბლიკის ფორმები არსებობდა. აქ ყოველგვარ მნიშვნელოვან საქმეს მოქალაქეთა საერთო კრებებზე სწყვეტდენ. საერთოთ ყველგან წარმომადგენლობითი კრებები არსებობდა; ინგლისი კი ახალშენებში მხოლოდ გუბერნატორებს ნიშნავდა, რომელნიც ადგილობრივ თვითმართველობაში სრულიად არ ერეოდენ და მცხოვრებთა პოლიტიკურ უფლებებს არ ზღუდავდენ. სამაგიეროთ ინგლისს სურდა ახალშენებიდან ეკონომიური სარგებლობა მიეღო და ამ მხრით ახალშენები ძლიერ შეზღუდული იყვენ. აკრძალული იყო ახალშენების საქონლის (თუთუნის, ბრინჯის და სხვ.) სადმე გატანა, გარდა ინგლისისა. ამას გარდა ყოველგვარი საჭირო საქონელი ახალშენებს ინგლისიდან ინგლისისავე გემებით უნდა მიეღოთ. ამგვარათ ინგლისი ახალშენთა მთელს ნედლ საქონელს თვითონ იღებდა; მხოლოდ თავის ფაბრიკა-ქარხნებში დამზადებული საქონელს ახალშენებში ასაღებდა, სადაც მას უკონკურენციო (რადგან სხვებს არ შეეძლოთ იქ საქონლის შეტანა) ბაზარი ქონდა. ინგლისში ბევრსა ცდილობდენ იმის შესახებ, რომ ახალშენებში საკუთარი, ადგილობრივი წარმოება, მანუფაკტურა არ განვითარებულიყო, დ ამ მიზნით მათ კიდეც აუკრძალეს რკინისა და ტყავეულობის დამზადება. ინგლისი ახალშენებს პირდაპირ გადასახადს არ აწერდა და ამას იმ მოსაზრებით ჩადიოდა, რომ ახალშენებში, რომლის მთელს ეკონომიურ ძალებსაც სწოვდა იგი, აღელვება არ გამოეწვია. ამ სახით, ახალშენები, როგორც ნედლი საქონლის მიმცემი და მეტროპოლიის საქონლის იძულებული მყიდველი ინგლისის გაძლიერებულ ინდუსტრიის მთავარი მამოძრავებელი ძალა შეიქნა მაგრამ რამდენათაც ახალშენებში სიმდიდრე და მცხოვრებთა რიცხვი მატულობდა, იმდენათ უფრო ძნელი იყო მათი ასეთ ეკონომიურ მორჩილებაში ყოლა. ამას ისიც უნდა

დავუმატოთ, რომ გეორგ III-ის გამეფებისა (1760) და პიტის გადაყენების დაცემის შემდეგ ინგლისის საახალშენო პოლიტიკა, მისი დამოკიდებულება ამერიკის ახალშენებთან შეიცვალა. ახალმა მთავრობამ გადასწყვიტა ის დიდი ვალი, რომელიც ინგლისს განსაკუთრებით შვიდწლიან ომში მონაწილეობით დაედვა, ამერიკის ახალშენებიდან აენაზღაურებიათ.




ინგლისის ახალშენები ჩრდილო ამერიკაში.

ამ მიზნით მთავრობამ პირველ ხანებში მცირე სალერბო გადასახადი (გადასახადი სხვადასხვა დოკუმენტზე) შემოიღო, რომ ამით ნიადაგი შეემზადებია ახალშენებზე უფრო დიდი გადასახადის გაწერისათვის. სალერბო გადასახადის შემოღებას დიდის აღშფოთებით შეხვდენ ამერიკაში და მათ ლონდონს თავის შესანიშნავი მოქალაქე ფრანკლინი გაგზავნეს შემდეგის განცხადებით: ჩვენ გადასახადზე უარს არ ვამბობთ, მხოლოდ ისეთი გადასახადის წინააღმდეგი ვართ, რომლის შემოღებასა და გაწერაშიც თვით ჩვენ მონაწილეობა არ მიგვიღიათ. სალერბო გადასახადი ინგლისის მთავრობამ თუმცა მოხსნა, ახლა სხვაგვარი გადასახადი შემოიღო, მან დიდი ბაჟები დაადვა იმ საქონელს, რომელიც ახალშენებში საზღვარგარეთიდან შემოჰქონდათ. ამერიკელებში ამან კიდევ უფრო მეტი აღშფოთება გამოიწვია და ერთხელ ინგლისის გემით ინდოეთიდან

მოტანილი ჩაი ბოსტონის მცხოვრებლებმა ზღვაში გადაყარეს. ამას მოჰყო ამერიკის რევოლიუცია, რომელიც ინგლისიდან ამერიკის ახალშენების ჩამოშორებით დასრულდა.

**2. ჩრდილო ამერიკის რევოლიუცია და შეერთებული შტატების სახელმწიფოს დაარსება.** ამერიკასა და ინგლისს შორის ომის დაწყების წინ შეიკრიბა ცამეტი ახალშენის წარმომადგენლებისაგან შემდგარი **პირველი კონგრესი ფილადელფიაში** (1774), რომელიც მთელმა ცამეტმა ახალშენმა (რომლებიდანაც ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატები შესდგა) უმაღლესი ძალა-უფლებით აღჭურვა და საერთო საქმეების ხელმძღვანელობა მიანიჭა. 1775 წ. ამერიკასა და ინგლისს შორის ომი დაიწყო და ერთი წლის შემდეგ ფილადელფიის საერთო კონგრესმა **„დამოუკიდებლობის დეკლარაცია"** გამოაქვეყნა (1776), რომლითაც მთელ მსოფლიოს ამცნო, რომ ამერიკის ახალშენები ინგლისს ჩამოცილდნენ, რადგან ამ უკანასკნელის მთავრობამ ადამიანისა და მოქალაქის ბუნებრივი უფლებები დაარღვიაო. (საერთოდ ამ დეკლარაციაში გატარებული იყო ის განყენებული აზრები ადამიანის ბუნებრივ უფლებათა შესახებ, რომლებიც მე-XVIII საუკუნის „განმანათლებლებში" ძლიერ გავრცელებული იყო). კონგრესმა მთავარსარდლობა გულწრფელ პატრიოტს, გამბედავსა დ ენერგიულ **გეორგ ვაშინგტონს** ჩააბარა. ამერიკელებს არ ყავდათ იმ დროს ჯარი და ვაშინგტონის გარშემო მოხალისეებმა მოიყარეს თავი, რომელთა გაწრთვნისთვისაც ვაშინგტონს დიდი შრომა დასჭირდა. მაგრამ, ამერიკელების საბედნიეროთ, არც ინგლისს ყავდა იმ დროს ჯარი და ის გერმანელი მთავრებისგან შეიარაღებულ რაზმებს ყიდულობდა. დამოუკიდებლობისათვის მებრძოლმა ამერიკელებმა ევროპის მოწინავე საზოგადოებაში დიდი თანაგრძნობა გამოიწვიეს და საფრანგეთიდან, ახალგაზდა მარკიზის ლაფაიეტის მეთაურობით, ამერიკელების დასახმარებლათ მოხალისეთა რაზმიც კი გაემგზავრა. თვით საფრანგეთის მთავრობაც ომში ჩაერია, რომ ინგლისისთვის სამაგიერო გადაეხადა და მისი საზღვაო ძლიერება დაეცა. გარდა საფრანგეთისა, სხვა სახელმწიფოებიც ამ დროს ინგლისის წინააღმდეგ მოქმედებდენ. ომის უკანასკნელ ხანებში ინგლისელები ვაშინგტონის მიერ გაწრთვნილი ჯარებისაგან დამარცხებას განიცდიდენ. ომი ვერსალის ზავით გათავდა (1783), რომლის ძალითაც ინგლისმა ამერიკის ახალშენთა, (ანუ შტატების, როგორც მათ ამ დროიდან ეწოდათ) და-

მოუკიდებლობა იცნო, მაგრამ დანარჩენი სამფლობელოები კი შეინარჩუნა.

ამერიკის ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის, ატლანტის ოკეანის გადაღმა თავისებური წესწყობილების სახელმწიფოს დაარსება მოყვა შედეგათ. ახალი სახელმწიფოს — ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატების წესწყობილება, კონსტიტუცია საბოლოოთ 1789 წელს იქნა შემუშავებული. ამ კონსტიტუციის ძალით თითოეულ შტატს (სულ 13 შტატი შედიოდა ახალ სახელმწიფოში) სრული დამოუკიდებელი ცხოვრების უფლება მიენიჭა; მაგრამ საგარეო პოლიტიკის საწარმოებლათ და საერთო საქმეების მოსაგვარებლათ საერთო, საკავშირო ორგანოები დაარსდა. აქ ამერიკელებმა ძალა-უფლების განაწილების პრინციპი მიიღეს: საკანონმდებლო ძალა უფლება კონგრესს გადაეცა, რომელიც დეპუტატთა პალატისა და სენატისაგან შესდგებოდა. (დეპუტატთა პალატის წევრებს, თითოეული შტატის მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით პროპორციონალურათ, საყოველთაო ხმის მიცემით ირჩევდენ; სენატში კი თითოეული შტატი ექვსი წლის ვადით ორ წარმომადგენელს გზავნიდა). აღმასრულებელი ძალა-უფლება პრეზიდენტს (რომელსაც ოთხი წლით ირჩევდენ) გადაეცა, და პირველ პრეზიდენტათ ჯორჯ ვაშინგტონი აირჩიეს, რომელსაც ამერიკის გათავისუფლების საქმეში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღოდა. ამას გარდა აღსანიშნავია კიდევ ის გარემოება, რომ ახალ სახელმწიფოში, თავიდანვე სახელმწიფოდან ეკლესიის გამოყოფა მოხდა, რადგან მრავალი სექტის არსებობის გამო, საერთო, სახელმწიფო რელიგიის გამოცხადება შეუძლებელი იყო. ამგვარათ მოეწყო **პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა** ატლანტის ოკეანის გადაღმა, ახალ ქვეყანაში. მის სახელმწიფო წესწყობილებას საფუძვლათ ევროპის მე-XVIII საუკუნის პოლიტიკური ფილოსოფიის პრინციპები დაედვა. ახალ სახელმწიფოში პირველათ ჩაისახა ახალი დემოკრატიული საზოგადოება, რომელმაც ძველ ევროპაზე დიდი გავლენა იქონია და მისი შერყეული საფუძვლების დანგრევას ხელი შეუწყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# IV.

# ႳႠႾႪႤႱႨ ႾႠႬႠ.

## საფრანგეთის დიდი რევოლიუცია.

* **1. საფრანგეთის ბურჟუაზი რევოლიუციის წინ.** იმ საზოგადოებრივი შენობის ქვედა ნაწილს, რომელსაც მთელი თავისი სიმძიმით აწვა ძველი საფრანგეთი, ყოველგვარს პოლიტიკურ უფლებას მოკლებული ხალხის ის ფართო მასა წარმოადგენდა, რომელიც „**მესამე წოდების**" სახელით არის ცნობილი. ეს მესამე წოდება ყველა იმათ შეიცავდა, ვინაც ძველი წესწყობილების დროის საფრანგეთის სახელმწიფოებრივსა და საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა მძიმე ტვირთს თავისი ბეჭებით ზიდავდა: ბურჟუა, მუშები, გლეხები, ღარიბი მოქირავენი და ბატონყმურ დამოკიდებულებაში მყოფი გლეხები. ამ მესამე წოდების მოწინავესა და ძლიერ ნაწილს წარმოადგენდა ბურჟუაზია, ე. ი. ქალაქის მცხოვრებნი და, უკეთ რომ ვსთქვათ, სხვილი და წვრილი ხელოსნები, ვაჭარნი და მრეწველნი და აგრეთვე თავისუფალი პროფესიის ხალხი — მეცნიერნი, აქიმები, ტეხნიკოსები, ვექილები, — რომელნიც ან თავისი ხელობით ან თავისი ცხოვრების ინტერესებით ახლოს იდგენ მრეწველთა წრესთან. ეს ახალი კლასი — მდიდარი, განათლებული და ენერგიული ბურჟუაზია, გაბედულათ გამოვიდა ცხოვრების ასპარეზზე და პოლიტიკურ ცხოვრებაში ერთგვარი მონაწილეობა მოითხოვა.

ბურჟუაზია, რომელიც საშუალო საუკუნეთა გასულს წარმოიშვა, მე-XVIII საუკუნეში საფრანგეთში გონებრივისა და მატერიალური მხრით უძლიერეს კლასს წარმოადგენდა. ამ კლასის ხელში უამრავი სიმდიდრე იყო, რადგან მთელ სავაჭრო-სამრეწველო საქმეებს ეს კლასი უდგა სათავეში. მაგრამ პოლიტიკურათ იგი არარაობას წარმოადგენდა. აშკარაა, რომ მთელი მაშინდელი სამართველო სისტემა და „ძველი წესწყობილების" საზოგადოებრივი ფორმები, რომელიც მდიდარი იყო ფეოდალური ნაშთებით, ძლიერ მოწინააღმდეგეს პოებდა ბურჟუაზიის სახით. და, მართლაც, „ძველი წესწყობილების" კრიტიკა, რომლითაც გაჟღენთილია მე-XVIII საუკ. განმანათლებელი ლიტერატურა, სწორედ ამ კლასის წრეში დაიბადა და გაძლიერდა.

ბურჟუაზიას და საერთოთ მესამე წოდებას ძველ საფრანგეთში მო-
უპირდაპირდებოდენ უმაღლესი წოდებები — თავად-აზნაურობა და სამღვ-
დელოება. ეს ორი უმაღლესი წოდება ათასგვარი პრივილეგიებით იყო




დასავლეთი ევროპა საფრანგეთის რევოლუციის წინ.

აღჭურვილი და მთავრობის მფარველობაში იმყოფებოდა, თითქოს ასა-
ხელმწიფო ამ წოდებათა მდგომარეობის (რომელნიც სახელმწიფოს უმცი-
რეს ნაწილს, დაახლოებით მთელი მცხოვრებლების 4% წარმოადგენდა)

დასაცავათ იყო მოწოდებული. მთელი საფრანგეთის ტერიტორიის 1/3 ამ უმაღლეს წოდებათა საკუთრებას წარმოადგენდა და ეს წოდებანი სრულიად მცირე, უმნიშვნელო სახელმწიფო გადასახადს იხდიდენ, მაშინ როდესაც ბურჟუაზიას და გლეხობას ერთად საფრანგეთის მიწების მხოლოდ ერთი მესამედი ნაწილი ეჭირა, მთელი სახელმწიფო გადასახადების სიმძიმე კი სრათ აწვათ და ამას ისიც დაუმატეთ, რომ ისინი ორ უმაღლეს წოდებას თავისი შრომით ინახავდენ; ამას გარდა სახელმწიფოში უმაღლეს წოდებას განსაკუთრებული პრივილეგიური მდგომარეობა ეჭირა, ყველა უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობა ამ წოდების წარმომადგენლებს ეკავათ; ისინი ყველგან წინ თავის ჩამომავლობას აყენებდენ და მცხოვრებთა დანარჩენ მასას ზიზღით უყურებდენ. აი სწორეთ აქ დაიბადა ის ანტაგონიზმი, მიწისმფლობელ, ათასგვარი პრივილეგიებით მოსილ უმაღლეს წოდებასა და უფლებას მოკლებულ ბურჟუაზიის შორის, რომელმაც მე XVIII საუკუნეში უკვე ნათელი გამოხატულება მიიღო და რომელმაც საფრანგეთი 1789 წლის უდიდეს გადატრიალებამდი მიიყვანა.

მე-XVIII საუკუნის გასულს, 1789 წლის იმ დიდ გადატრიალების დროს, რომელიც დიდი რევოლიუციის სახელით არის ცნობილი, საფრანგეთში ეკონომიური და პოლიტიკური უფლება თავად-აზნაურობის ხელიდან ბურჟუაზიის ხელში გადავიდა. ამ გადატრიალებამდი მეფობდა მიწისმფლობელი კლასი, შემდეგ კი კაპიტალის მფლობელი კლასი გამეფდა. მაშ იმ დიდი მოვლენის შინაარსი და მნიშვნელობა, რომელსაც საფრანგეთში მე-XVIII საუკუნის გასულს ქონდა ადგილი, გამოიხატება ერთი კლასის ისტორიული ასპარეზიდან გასვლით და მეორე კლასის ამ ასპარეზზე შემოსვლით. ამგვარათ, საფრანგეთის დიდი რევოლიუცია, რომლის საერთო მიმდინარეობასაც ჩვენ ქვევით გავეცნობით, უპირველეს ყოვლისა სოციალური რევოლიუცია იყო. მან გამარჯვება ბურჟუაზიას მიანიჭა და ძველი საფრანგეთი, რომელზედაც ფეოდალური პრივილეგიებით მოსილი თავად-აზნაურობა ეყრდნობოდა, უფსკრულში ჩაიტანა.

2. **ზომიერი რეფორმების გატარების ცდა.** ლუდოვიკო XV-ის გარდაცვალების შემდეგ ლუდოვიკო XVI-ის მეფობის (!774—93) პირველი 15 წლის განმავლობაში სახელმწიფოს საფინანსო კრიზისი თანდათან იზრდებოდა, არსებული სამართვლო სისტემის უვარგისობა უფრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტათ საგრძნობი და აუტანელი ხდებოდა, რაც ძლიერ უკმაყოფილე-
ბას განსაკუთრებით საფრანგეთის საზოგადოების მოწინავე ნაწილის, გა-
ნათლებულისა და შეძლებული ბურჟუაზიის მხრით იწვევდა, რომელიც
აუცილებლათ სთვლიდა სახელმწიფოში სამართველო და საფინანსო რე-
ფორმების გატარებას. კეთილი, მაგრამ სუსტი ხასიათის ლუდოვიკო
XVI რეფორმების გატარების წინააღმდეგი არ იყო, მაგრამ ყოველივე
მისი ცდა ამ მიმართულებით, საშინელ წინააღმდეგობას ხვდებოდა სასა-
ხლის წრეების, ძმებისა და დედოფლის მხრით, რომელნიც დიდ გავლე-
ნას ახდენდენ სუსტი ნების მეფეზე. ტახტზე ასვლისთანავე ლუდოვიკო
XVI-მ მოპუს მიერ გაუქმებული პარლამენტები აღადგინა და გენერალ-
კონტროლიორათ (ფინანსთა და შინაგან საქმეთა მინისტრათ) ცნობილი
ფიზიოკრატი და ნიჭიერი ადმინისტრატორი ტიურგო დანიშნა (იგი ინ
ტენდანტათ იყო შუაგულ საფრანგეთში, ლიმუზენის ოლქში). ტიურ-
გომ ფართო რეფორმების გატარება განიზრახა. მაგრამ რეფორმები სა-
ერთო პოლიტიკურ წესწყობილებას, მეფის განუსაზღვრელ ძალა-უფლე-
ბას არ უნდა შეხებოდა. რეფორმები მხოლოდ საზოგადოებრივ წესწყო-
ბილებას, ე. ი. სხვადასხვა მდგომარეობასა, უფლებას და აგრეთვე ად-
გილობრივ მართველობას უნდა შეხებოდა. ასეთი იყო ტიურგოს მიერ
განზრახული რეფორმების საერთო ხასიათი. ტიურგო, როგორც მე-
XVIII საუკუნის ფილოსოფიის წარმომადგენელი წოდებრივი პრივილე-
გიების წინააღმდეგი იყო; თავად-აზნაურობასა და სამღვდელოებაზე გა-
დასახადების გაწერა სურდა და აგრეთვე განზრახული ქონდა ყოველგვა-
რი ფეოდალური უფლებების—ბატონყმობის ნაშთებისა და გლეხთა მე-
მამულეების წინაშე ვალდებულების, მოსპობა. ტიურგომ გაათავისუფ-
ლა გლეხები იმ სახელმწიფო ბეგარისაგან, რომელიც მათ გზების გა-
ყვანისა და შეკეთების სახით ქონდათ დაკისრებული. მან გააუქმა აგრე-
თვე ცეხები, რომლებიც მრეწველობის თავისუფალ განვითარებას ბო-
ჭავდენ; მოსპო საბაჟოები, რომლებიც საფრანგეთის ერთ კუთხეს მეორე
კუთხიდან ცალკე სახელმწიფოს მსგავსათ აცილებდენ და მთელ სახელ-
მწიფოში პურით ვაჭრობის თავისუფლება გამოაცხადა (წინათ იგი დი-
დათ შეზღუდული იყო). ტიურგო ცენტრალისტური მართვა-გამგეობის
წინააღმდეგი იყო და მას ადგილობრივ თვითმართველობის (სოფლის,
ქალაქის და ოლქის თვითმართველობის ანუ მუნიციპალიტეტების, განუ
რჩევლათ წოდებისა, არჩეული პირებისაგან შედგენა) შემოღების შესახებ

ბიბლიოთეკა

მთელი პროექტი ქონდა შედგენილი. ადგილობრივ თვითმართველობების სათავეში სამეფო ანუ **ნაციონალური მუნიციპალიტეტი** უნდა ედგომოდა. ადგილობრივ თვითმართველობებს გადასახადების განაწილების, საზოგადო სამუშაოების, ღარიბებზე მზრუნველობის საქმეები ენდობოდათ. ტიურგოს, ამ პროექტის განხორციელებით, საფრანგეთის ხალხში საზოგადოებრივი თვითმოქმედების უნარი სურდა გაეღვიძებია, რომელიც აბსოლუტური მონარქიის ბატონობით სრულიად დახშული იყო. მაგრამ, როგორც ეს პროექტი, ისე სხვა მის მიერ განზრახული რეფორმები ტიურგომ ვერ განახორციელა. რეფორმატორი მინისტრის წინააღმდეგ აღდგენ მთელი სასახლის წრეები და უმაღლესი წოდება და მალე ტიურგო თანამდებობიდან გადააყენეს (1776). ის რეფორმებიც კი, რომლის გატარებაც ტიურგომ მინისტრობის დროს მოასწრო, გაუქმებულ იქნა. ასე დამარცხდა ზომიერი რეფორმების გატარების ცდა, რომელსაც უკმაყოფილო მესამე წოდება ცოტა ხნით მაინც შეეძლო დაეკმაყოფილებია.

ამ ხანებში საფრანგეთის საფინანსო მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა და სახელმწიფო გაკოტრების უფსკრულს უახლოვდებოდა. ტიურგოს შემდეგ ფინანსთა მინისტრათ ყოფილი ჟენევის ბანკირი ნეკერი იქნა მოწვეული, რომელმაც პირველათ გამოაქვეყნა სახელმწიფო ბიუჯეტი (წინათ ბიუჯეტს არ აქვეყნებდენ და იგი ერთგვარ საიდუმლოებას შეადგენდა); ამ ბიუჯეტმა სახელმწიფოს დიდი დეფიციტი გამოამჟღავნა, რომლის დაფარვაც არსებული წესწყობილების დროს ყოვლად შეუძლებელი ხდებოდა. ნეკერი ბიუჯეტის საიდუმლოების გამოქვეყნებისთვის თახამდემობიდან გადააყენეს (1781). მალე მთავრობამ გადასწყვიტა საფინანსო მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ მოსალაპარაკებლათ წოდებათა წარჩინებული წარმომადგენლები (რომლებიც მეფეს თვით უნდა დაენიშნა) ანუ ე. წ. **ნოტაბლების** კრება მოეწვია. ეს კრება დიდის უარყოფით შეხვდა არსებულ მართვა-გამგეობას.

ამ კრებაზე პირველათ ჩრდილო-ამერიკის ომების გმირმა ლაფაიეტმა წამოაყენა მოთხოვნილება გენერალური შტატების მოწვევის შესახებ. მალე ეს მოთხოვნილება საყოველთაო მოთხოვნილებათ გადაიქცა. მეფე ამ მოთხოვნილებაზე დასთანხმდა და მინისტრის თინამდებობაზე ხელმეორეთ მოწვეულმა ნიკერმა შტატების მოწვევის დროთ 1789 წლის გაზაფხული დანიშნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. **გენერალური შტატების მოწვევა. ეროვნული კრება.** 1789 წლის მარტში საფრანგეთის ყოველ კუთხეში დაიწყო არჩევნები. არჩევნები წოდებათა მიხედვით სწარმოებდა. მთავრობამ საჭიროთ დაინახა მესამე წოდებისთვის ორჯერ მეტი დეპუტატების არჩევის უფლება მიენიჭებია, ვიდრე თითოეული უმაღლესი წოდებისთვის ცალცალკე, ე. ი. მესამე წოდებისთვის (tiers état) 600 დეპუტატის არჩევის უფლება მიეცა, თავად-აზნაურობისთვის—300-ის და სამღვდელოებისთვის—300-ის. მაგრამ წინდაწინვე გადაუწყვეტელი დარჩა ის საკითხი თუ მომავალ შტატებში ბჭობისა და ხმის მიცემის წესი ისევ ძველი დარჩებოდა, ე. ი. თითოეული წოდება ცალკე გამართავდა ბჭობას და თითოეულ წოდებას თითო ხმის უფლება ექნებოდა, (რაც მესამე წოდების დეპუტატთა ორმაგ რიცხვს ყოველგვარ მნიშვნელობას დაუკარგავდა) თუ სამივე წოდების დეპუტატებს ერთად ექნებოდათ ბჭობა და თითოეულ დეპუტატს თითო ხმის უფლება მიენიჭებოდა.

საფრანგეთის ხალხის სულისკვეთება, მისი სურვილები და მოთხოვნილებანი სავსებით გამოიხატა იმ „კაიებში“ (Cahiers—რვეულები) ანუ ინსტრუქციებში, რომლებიც ამრჩევლებმა თავის დეპუტატებს მისცეს. თავად-აზნაურობა თუმცა ზოგიერთს ლიბერალურ ხასიათის რეფორმებსაც კი მოითხოვდა (მაგ., გენერალური შტატების მუდმივ დაწესებულებათ გამოცხადებას, მის პერიოდულად მოწვევას და სხვ.), მაგრამ თავის წოდებრივ პრივილეგიებზე უარის თქმას სრულიად არ ფიქრობდა; უმაღლესი სამღვდელოებაც ამავე გზას ადგა. მესამე წოდება ავალებდა თავის დეპუტატებს მოეთხოვათ: უმაღლეს წოდებაზე სახელმწიფო გადასახადის გაწერა, ფეოდალურ უფლებათა გაუქმება და სხვ., და თუ ზემოაღნიშნულ მოთხოვნილებაზე უმაღლესი კლასები არ დასთანხმდებოდენ იმ შემთხვევაში თავისი თავი ერთად ერთ კანონიერ ეროვნულ კრებათ გამოეცხადებიათ.

არჩევნების წინ და თვით არჩევნების დროსაც მრავალი ბროშიურა გამოდიოდა (გაზეთები იმ დროს ისე გავრცელებული არ იყო), სადაც წამოყენებული იყო სხვადასხვაგვარი მოთხოვნილება. მათ შორის ყველაზე უფრო შესანიშნავია აბატი სიესის ბროშიურა „რა არის მესამე წოდება?“. ავტორმა თავისი შეხედულება მოკლეთ გამოსთქვა შემდეგ სამ კითხვასა და სამ პასუხში: „რა არის მესამე წოდება?—ყველაფერი. „რა იყო ის დღემდი?—არაფერი. რათ სურს მას იყოს?—რამეთ. ამავე

ბროშიურაში ნათქვამი იყო, რომ მესამე წოდება შეადგენს მთელ ხალხს, მთელი ერის 96 პროცენტს და ამიტომ მისი ინტერესები ყველაზე მაღლა უნდა იდგესო.

დეპუტატები შეიკრიბენ ვერსალში და 1789 წლის სახელოვანი სახელმწიფო სეიმი (ანუ გენერალური შტატები), რომელიც რევოლიუციის გამოსავალი წერტილი შეიქნა, 5 მაისს გაიხსნა. დეპუტატებმა მოისმინეს მეფისა და მისი მინისტრების ბუნდოვანი სიტყვები და ამას შემდეგ ბჭობისა და ხმის მიცემის წესის შესახებ დაიწყო დავა უმაღლეს წოდებათა და მესამე წოდების დეპუტატთა შორის, რადგან უმაღლეს წოდებათა დეპუტატებს არ სურდათ დამორჩილებოდენ მესამე წოდებას, რომელიც ერთად ბჭობას მოითხოვდა. ამ დავამ რამდენიმე კვირას გასტანა და ბოლოს მესამე წოდებამ, როგორც მთელი ერის 96%-ის წარმომადგენელმა, 17 ივნისს, თავისი თავი **ეროვნულ კრებათ** (assemblée nationale) გამოაცხადა. მესამე წოდების დეპუტატებს მალე დაბალი სამღვდელოების დეპუტატებიც და თავად-აზნაურთა ზოგიერთი დეპუტატიც შეუერთდენ. სასახლის წრეებში ამ გარემოებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და მეფემ ბრძანება გასცა ეროვნული კრების დარბაზი დაეკეტათ. მაგრამ მესამე წოდების დეპუტატები მახლობელი შენობის ბურთის სათამაშო დარბაზში (salle du jeu de paume) შეიკრიბენ და აქ ერთმანეთს ფიცი მისცეს არ დაშლილიყვენ მანამდი, სანამ საფრანგეთს ახალ წესწყობილებას არ მისცემდენ.

ლუდოვიკო XVI-ემ 23 ივნისისთვის დანიშნა „სამეფო სხდომა", რომ ურჩ დეპუტატებზე პირადათ მოეხდინა გავლენა. მეფემ თავის სიტყვაში ბრძანებით მიმართა დეპუტატებს, რათა ამიერიდან ისინი ცალცალკე შეკრებილიყვენ. მაგრამ მეფის ბრძანებამ საქმეს არ უშველა და მესამე წოდების დეპუტატები ადგილიდან არ იძროდენ, ხოლო როდესაც მეფის გასვლის შემდეგ, კარის კაცმა მეფის ბრძანება გაიმეორა, მესამე წოდების შესანიშნავმა დეპუტატმა **გრაფმა მირაბომ** მას შემდეგი სიტყვებით მიმართა: „წადით და მოახსენეთ თქვენს ბატონს, რომ ჩვენ აქ შევიკრიბეთ თანახმად ხალხის სურვილისა და ჩვენი გარეკა მხოლოდ ხიშტებით შეიძლებაო". რამდენიმე დღის შემდეგ მეფე დათმობის გზას დაადგა და უმაღლეს წოდების დეპუტატებს უბრძანა მესამე წოდებას შეერთებოდენ. ამგვარათ გაიმარჯვა მესამე წოდებამ და ამას შემდეგ ეროვნული კრება შეუდგა სახელმწიფო წესწყობილების-კონსტიტუციის

შემუშავებას, რის გამოც მან **დამფუძნებელი კრების** (assemblée constituante) სახელწოდება მიიღო.

**4. რევოლიუცია პარიზსა და სოფლებში.** სასახლის წრეებში ეროვნული კრების გამარჯვებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია; მათ სახელმწიფოებრივი გადატრიალების მოხდენა და ვერსალის ეროვნული კრების გარეკა გადასწყვიტეს. მეფემ პარიზისა და ვერსალის გარშემო ჯარების მოგროვების შესახებ ბრძანება გასცა. მაშინ პარიზში აჯანყებამ იფეთქა და ხალხი აღდგა ეროვნული კრების დასაცავათ. 14 ივლისს აჯანყებულმა ხალხმა ხელში ჩაიგდო იარაღის საწყობი, შეიარაღდა და შტურმით აიღო გამაგრებული სახელმწიფო საპყრობილე ბასტილია, რომელშიც წარსულის ბოროტებისა და უსამართლობის სიმბოლოს ხედავდენ. მეფემ ქედი მოიხარა და შეურიგდა იმას რაც მოხდა. მან ეროვნული კრება საბოლოოთ იცნო. მალე პარიზსაც ესტუმრა და აქ **ეროვნული გვარდიის** (მოქალაქეთაგან შემდგარი მილიციის) უფროსათ **ლაფაიეტი** დაამტკიცა დ̃ ხალხთან ერთობის ნიშნათ სამფეროვანი კაკარდა (წითელი დ̃ ლურჯი — პარიზის ფერები, თეთრი — სამეფო დინასტიის) მიიღო. სასახლის თავად-აზნაურობამ იგრძნო, რომ რევოლიუციის ქარიშხალი წალეკას უქადდა ძველ საფრანგეთს და მასთან ერთად მათ ბატონობასაც და ბევრმა მათგანმა საფრანგეთი მიატოვა. ასე დაიწყო ივლისის რევოლიუციის შემდეგი **ემიგრაცია**. (პირველ ემიგრანტთა შორის იყო აგრეთვე მეფის ძმა გრაფი დ'არტუა).

14 ივლისის აჯანყებამ დიდი გავლენა იქონია მთელ საფრანგეთზე. აჯანყებამ პროვინციებშიც იფეთქა. აქ განსაკუთრებით გლეხები ღელავდენ და ფეოდალური უღლიდან გათავისუფლებას მოითხოვდენ. ეროვნულმა კრებამ ამას ანგარიში გაუწია და თავის **4 აგვისტოს სხდომაზე** დადგენილება გამოიტანა ფეოდალურ უფლებათა გაუქმების შესახებ. ამგვარათ 4 აგვისტოს დადგენილებით საფრანგეთში ფეოდალური წესწყობილების ნაშთები მოისპო.

შიმშილითა და უმუშევრობით შევიწროებულ და უკმაყოფილო პარიზის მასაში მალე მეორე აჯანყება მოხდა. 5 ოქტომბერს პარიზის უკმაყოფილო მასა, რომელიც თითქმის ასი ათასი კაცისაგან შესდგებოდა და რომელშიც ქალები სჭარბობდენ, ვერსალისაკენ გაეშურა, იქ სასახლეში შეიჭრა და მეფის პარიზს გადასვლა მოითხოვა. ლაფაიეტის რჩევით, რომელიც ეროვნულ გვარდიით აჯანყებულ მასას თან გაყვა, მე-

ამ მესამი ლ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფე პარიზში გადასახლდა: ცოტა ხნის შემდეგ მას თან ეროვნული კრებაც გადაყვა. ამ დროიდან ეროვნული კრების მუშაობაზე განსაკუთრებულ გავლენას პარიზის რევოლიუციონური მასა ახდენდა.

* **5. პრესა, კლუბები და პარტიები.** პარიზში რევოლიუციის დაწყებიდანვე შემდეგი გაზეთები გამოდიოდა: **ლუსტალოს**—„პარიზის რევოლიუცია“, **დემულენის** - „საფრანგეთისა და **ბრაბანტის** რევოლიუცია“, **მარატის**—„**ხალხის** მეგობარი“ და სხვ. ამ გაზეთების გამოსვლას ის დიდი მნიშვნელობა ქონდა, რომ ისინი არამც თუ მარტო ეროვნული კრების სხდომათა მიმდინარეობისა და პროვინციების მოძრაობის შესახებ აწვდიდენ მცხოვრებლებს ცნობებს, არამედ იმ ყოველდღიურ საჭირბოროტო საკითხების შესახებ მსჯელობდენ, რომლებიც გადაჭრას მოითხოვდენ.

ერთი და იგივე შეხედულების ადამიანთა გასაერთიანებლათ, ხალხში პოლიტიკური იდეების გასავრცელებლათ **პოლიტიკური საზოგადოებანი** ანუ „**კლუბები**“ დაარსდა. კლუბების დამაარსებელნი და მათი მთავარი ხელმძღვანელნი დეპუტატები იყვნენ. განსაკუთრებული მნიშვნელობა „კონსტიტუციის მეგობართა კლუბმა“ მოიპოვა, რომელიც გაუქმებულ იაკობინელთა მონასტერში იყო მოთავსებული, საიდანაც წარმოსდგა ამ პოლიტიკური საზოგადოების შემოკლებული სახელწოდება **იაკობინელები**. იაკობინელთა პარიზის კლუბმა პროვინციებში მრავალი განყოფილება დააარსა, რომლებთანაც მჭიდრო კავშირი ქონდა. **დამფუძნებელ** კრებაში მალე პარტიები გაჩნდენ. მცირე ჯგუფს წარმოადგენდა კონსტიტუციის მოწინააღმდეგე **ფეოდალური ანუ არისტოკრატული პარტია**, რომელიც უმთავრესათ თავად-აზნაურებისა და უმაღლესი სამღვდელოებისგან შესდგებოდა და რომელიც მეფის განუსაზღვრელ ძალა-უფლებასთან ერთად ძველ წოდებრივ პრივილეგიებსაც იცავდა. უკიდურეს „მემარცხენე“ ფრთას წარმოადგენდენ დემოკრატები, რომელნიც იზიარებდენ რუსოს თეორიას ხალხის უფლებამოსილებიანობის შესახებ. მათ შორის ახალგაზდა ადვოკატი **რობესპიერი** გამოირჩეოდა. უმთავრეს მასას წარმოადგენდენ **კონსტიტუციონალისტები**, რომლებიც თავის მხრით ზომიერებათ და უკიდურეს მოაზრეებათ გაიყოფებოდენ; მეორენი მეფის ძალა-უფლების შეზღუდვისაკენ მიისწრაფოდენ.

ზომიერთა შორის განსაკუთრებული ადგილი ეჭირა და თავის სახელმწიფო ნიჭით გამოირჩეოდა დეპუტატი **მირაბო**. მირაბო ინგლისისებურ პარლამენტის სამი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისტრის შემოღებაზე ფიქრობდა. იგი თვით ოცნებობდა განახლებული კონსტიტუციული მონარქიის მინისტრი გამხდარიყო. ამ მიზნებით გატაცებული მირაბო საიდუმლოთ დაუახლოვდა სასახლეს. იგი სხვადასხვა რჩევას აძლევდა მეფეს, რისთვისაც სასახლიდან სუბსიდიებს იღებდა. სასახლესთან საიდუმლო დაახლოებამ მირაბო ტრაგიულ მდგომარეობაში ჩააგდო. ერთის მხრით სასახლე უნდობლობით ეპყრობოდა თავის ადრინდელ მოწინააღმდეგეს; ხოლო მეორეს მხრით საზოგადოებაში და დამფუძნებელ კრებაში მირაბომ თავის წინანდლური გავლენა დაკარგა და ამ შესანიშნავმა სახალხო ტრიბუნმა მოღალატის სახელი დაიმსახურა. ასე ჩამოშორდა რევოლიუციას ერთი უდიდესი, სახელმწიფო ნიჭით აღვსილი პიროვნება და რევოლიუციის ტალღებით გარიყული 1791 წლის გაზაფხულზე გარდაიცვალა.

**6. 1791 წლის კონსტიტუცია.** დამფუძნებელი კრება თითქმის ორ წელიწადზე მეტს მუშაობდა ახალი სახელმწიფო წესწყობილების-კონსტიტუციის შესაქმნელათ. 1791 წლის შემოდგომაზე კონსტიტუცია უკვე მზათ იყო.

კონსტიტუცია იწყებოდა **„ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციით“** (აღიარებით) (La Déclaration des droits de l' homme et du citoyen.), რომელიც უმთავრესად თანასწორობისა და პიროვნების თავისუფლების აღიარებაში გამოიხატებოდა.

## „უფლებათა დეკლარაციის“ უმთავრესი მუხლები:

ადამიანები იბადებიან და რჩებიან თავისუფალნი და უფლებებით თანასწორნი.

უფლებები ნიშნავენ თავისუფლებას და დაჩაგვრის წინააღმდეგობას.

მხოლოდ ერი წარმოადგენს თვითმპყრობელ ძალას.

კანონი არის საზოგადო სურვილის გამოხატულება. თითოეული მოქალაქე ვალდებულია პირადათ ან თავისი წარმომადგენელის საშვალებით კანონის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღოს. კანონი ყველასათვის ერთია. არავისი დაჭერა, დატყვევება და გასამართლება არ შეიძლება, თუ კანონით წინდაწინვე გარკვეული და ნაბადრთული არ არის.

თითოეულ მოქალაქეს შეუძლია თავისუფლათ ლაპარაკი, წერა და ბეჭდვა.

გადასახადი უნდა განაწილდეს ყველა მოქალაქეს შორის შეძლებისა და მდგომარეობის მიხედვით და სხვ.

კონსტიტუციაში, თანახმათ მონტესკიეს მოძღვრებისა, აღიარებულ იქნა ძალა-უფლების განაწილების პრინციპი. მეფესა და მის მინისტრებს **აღმასრულებელი ძალა-უფლება** მიენიჭათ; **საკანონმდებლო უფლება** კი ხალხის წარმომადგენლებს **(საკანონმდებლო კრებას)** გადაეცა. საკანონმდებლო მოღვაწეობის სფეროში მეფეს შედარებითი ვეტოს

(veto—ვკრძალავ) უფლება მიენიჭა, ე. ი. მას შეეძლო ვეტოს დადება საკანონმდებლო კრების დადგენილებისთვის, შეეჩერებია იგი, მაგრამ თუ დადგენილება-კანონი კრების მიერ სამჯერ ზედი-ზედ მიღებული იქნებოდა, მაშინ მეფის ვეტო მნიშვნელობას კარგავდა. დამფუძნებელმა კრებამ სახელმწიფოს პროვინციებათ დანაწილება მოსპო და მთელი საფრანგეთი 83 დეპარტამენტათ გაყო. დეპარტამენტებში სრული თვიმართველობა იქნა შემოღებული; ყველა თანამდებობის პირს მცხოვრებლები ირჩევდენ. წინააღმდეგ „უფლებათა დეკლარაციაში“ წამოყენებული დებულებისა: „ყველა მოქალაქეს უფლება აქვს პირადათ ან თავის წარმომადგენლების საშვალებით კანონების გამოცემაში მიიღოს მონაწილეობა“,—დამფუძნებელმა კრებამ საფრანგეთის მოქალაქეები, ქონებრივი ცენზის მიხედვით, **აქტიურ და პასიურ** მოქალაქეებათ გაყო. აქტიურ მოქალაქეებათ ითვლებოდენ ის მოქალაქეები, რომლებიც იხდიდენ სახელმწიფო პირდაპირ გადასახადს არა ნაკლებ სამი დღის ხელფასის რაოდენობისა. მხოლოდ აქტიური მოქალაქეებს ეკუთნოდათ პოლიტიკური უფლებები, ე. ი. არჩევნებში მონაწილეობის უფლება. დანარჩენი მოქალაქეები და უმთავრესათ კი ქალაქის პროლეტარიატი პასიურ მოქალაქეთა სახელით პოლიტიკურ ცხოვრებასა და ადგილობრივ თვითმართველობაში მონაწილეობიდან გამორიცხულ იქნენ. ამგვარად 1791 წლის კონსტიტუცია ბურჟუაზიის ინტერესების გამომხატველი იყო. დამფუძნებელმა კრებამ სამღვდელოებას მთელი უძრავი ქონება ჩამოართვა და იგი ეროვნულ ქონებათ გამოაცხადა. აგრეთვე შემუშავებულ იქნა „სამღვდელოების სამოქალაქო დებულება“. ეპისკოპოსები და ღვდლები თვით მცხოვრებლებს უნდა აერჩიათ, ისე როგორც დანარჩენი თანამდებობის პირნი. არჩეული სასულიერო პირი პაპის მიერ დამტკიცებას აღარ საჭიროებდა. (საერთოთ გამოცხადებულ იქნა საფრანგეთის ეკლესიის დამოუკიდებლობა რომის პაპისაგან). სასულიერო პირები ვალდებული იყვენ ფიცი მიეღოთ კონსტიტუციის ერთგულებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ყოველგვარი უფლების ჩამორთმევა და სასტიკი დევნა მოელოდათ. ახალ წესებს მხოლოდ სამღვდელოების უმკირესობა დამორჩილდა; უმრავლესობამ კი ფიცის მიღებაზე უარი გააცხადა და რევოლიუციის მტერი შეიქნა. რაც შეეხება საგლეხო რეფორმებს აქ დამფუძნებელმა კრებამ მემამულეთა მხარე დაიჭირა და გლეხებს ძლიერ მძიმე პირობებში უხდებოდათ ფეოდალურ ვალდებულებათაგან, გამოსყიდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის საშვალებით, განთავისუფლება. ამ ნიადაგზე 1790 წელს გლეხთა უკმაყოფილებამ ხელახლათ იჩინა თავი.

7. **მონარქიის დამხობა**. მეფე დამფუძნებელი კრების მოქმედებას მტრულათ უყურებდა, მას საიდუმლო მიწერ-მოწერა ქონდა ემიგრანტებთან, რომელნიც უცხოეთში რევოლიუციონური **საფრანგეთის** გასანადგურებლათ მუშაობდენ. **ჯერ** კიდევ, სანამ დამფუძნებელი კრება კონსტიტუციის შემუშავებას დაასრულებდა, 1791 წლის გაზაფხულზე, მეფემ გადასწყვიტა **საფრანგეთიდან** გაპარვა, შემდეგ უცხოელების დახმარებით **საფრანგეთში** შემოსვლა და ძველი წესწყობილების აღდგენა. **მა**გრამ მეფემ თავის განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა: გაპარული მეფე-დედოფალი **ბელგიის** საზღვრის ახლოს იცნეს, დაიჭირეს, **პარიზს** დააბრუნეს და კონსტიტუციის დასრულებამდი სამეფო უფლებები ჩამოართვეს. ყველასათვის აშკარა შეიქნა, რომ მეფე მოღალატე იყო. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო მონარქიის მოწინააღმდეგე და რესპუბლიკის მომხრე პარტიის წარმოშობა—გაძლიერებას. 1791 წლის სექტემბერში დამფუძნებელმა კრებამ თავისი მუშაობა დაასრულა და ამას შემდეგ მან კონსტიტუციის თანახმათ არჩეულ ახალ **საკანონმდებლო კრებას** დაუთმო ადგილი.

**სა**კანონმდებლო კრება სრულიად ახალი და დემოკრატიულათ განწყობილი დეპუტატებისაგან შესდგა. **სა**კანონმდებლო კრებაში კონსტიტუციური მონარქიის მომხრეებმა კონსერვატიული მერჯვენა მხარე დაიჭირეს. **მათ შორის** უმრავლესობას წარმოადგენდა ის პარტია, რომელსაც შემდეგში **ჟირონდისტები** ეწოდათ, რადგან ამ პარტიის შესანიშნავი ორატორები უმთავრესათ დეპარტამენტ **ჟირონდიდან** იყვენ. **ამ** პარტიას მეთაურობდენ: **ვერნიო, ბრისო, კონდორსე**. მეორე უკიდურეს პარტიას საკანონმდებლო კრებაში **მონტანიარები** წარმოადგენდენ. (ამ პარტიის დეპუტატებს დარბაზში მაღლობი ადგილი, მთა—montagne, ეჭირათ და აქედან წარმოსდგა პარტიის სახელწოდება). **წ**ვრილი ბურჟუაზია, ხელოსნები, ღარიბი ინტელიგენცია, მუშები მხარს უჭერდენ მონტანიარების მეთაურებს: აღფრთოვანებულ ორატორს **დანტონს**, იკობინელთა კლუბის გავლენიან **რობესპიერს** და რევოლიუციის ფარული მტრების დაუღალავ მამხილებელს ჟურნალისტს **მარატს**. **სა**კანონმდებლო კრებამ ემიგრანტების წინააღმდეგ განსაკუთრებული დეკრეტი გამოსცა, რომლითაც ქონების კონფისკაციასა და სიკვდილით დასჯას ემუ-

ქრებოდა იმ ემიგრანტებს, რომელნიც განსაზღვრულ ვადაში სამშობლოში არ დაბრუნდებოდენ. სასტიკი დეკრეტი მიიღო აგრეთვე კრებამ ფიცმიუღებელი სამღვდელოების წინააღმდეგ.

მეფემ ამ დეკრეტებს ვეტო დაადვა, რამაც ხალხში და საკანონმდებლო კრებაში დიდი აღშფოთება გამოიწვია. მეფემ შეადგინა სამინისტრო ჟირონდისტებისაგან და ახალმა სამინისტრომ ავსტრიასა და პრუსიას ომი გამოუცხადა. ამ ომმა საფრანგეთის ხალხში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია და მოხალისეები მრავლათ ეწერებოდენ ჯარში. მოკავშირეთა მთავარსარდალმა ბრაუნშვეიგის ჰერცოგმა გამოსცა მანიფესტი, რომელშიც პარიზელებს ის სრულ განადგურებას ემუქრებოდა. მოკავშირეთა ჯარები საფრანგეთის საზღვრებში შეიჭრენ. პარიზელების შეგულისწყრომას საზღვარი არ ქონდა, მით უმეტეს რომ ღალატი შიგნით, თვით სასახლეში ბუდობდა. მონარქიის მტრები უკიდურესი იაკობინელები-მონტანიარები გაცხოველებულის ენერგიით ამოქმედდენ მათ შეაიარაღეს პარიზის პროლეტარიატი, ქალაქის საბჭო-კომუნა ხელში ჩაიგდეს და 10 აგვისტოს აჯანყებულნი ტიულრის სასახლისკენ გაემართენ. მეფე თავის ოჯახობით სასახლიდან გაიქცა და საკანონმდებლო კრებას შეაფარა თავი. საკანონმდებლო კრებამ მეფე საპყრობილეში გაისტუმრა. ხელახლა შესდგა ჟირონდისტების სამინისტრო, რომელმაც თავის შემადგენლობაში იუსტიციის მინისტრათ 10 აგვისტოს აჯანყების მეთაური დანტონი მიიღო. დანტონმა ბრძანება გასცა გადამალული იარაღის აღმოსაჩენათ და საეჭვო პირების დასატუსაღებლათ მთელ პარიზში სასტიკი ჩხრეკა მოეხდინათ. დატუსაღებულებით მთელი საპყრობილეები აივსო. შურის ძიებით აღვსილნი 10 აგვისტოს მებრძოლნი საპყრობილეებში შეცვივდენ და სექტემბრის პირველ რიცხვებში პარიზში საშინელი ხოცვა-ჟლეტა გაიმართა. ამ მომენტს დიდი რევოლიუციის ისტორიაში „სექტემბრის დღეები“ ეწოდება.

ამგვარათ 10 აგვისტოს აჯანყებამ მონარქია დაამხო საფრანგეთში. მონარქიის დამხობასთან ერთად დაირღვა 1791 წლის კონსტიტუცია. საკანონმდებლო კრებამ გადასწყვიტა დაშლილიყო და სახელმწიფოს ახალი წესწყობილების შესაქმნელათ ხალხის წარმომადგენელთა არაჩვეულებრივი კრება—**ეროვნული კონვენტი** მოეწვია.

8. **ეროვნული კონვენტი და იაკობინელთა რესპუბლიკა.** საყოველთაო ხმის მიცემით არჩეული ეროვნული კონვენტი 1792 წ. სექტემბერში შეიკრიბა. კონვენტის პირველი დადგენილება საფრანგეთში

მონარქიის გაუქმება და რესპუბლიკის გამოცხადება იყო. რესპუბლიკის გამოცხადება ახალი ხანის დაწყებათ ჩასთვალეს და ამიტომ კონვენტმა ქრისტიანული კალენდარი გააუქმა და ახალი, რევოლიუციონური კალენდარი შემოიღო. წელთაღრიცხვა საფრანგეთში რესპუბლიკის გამოცხადების მეორე წლიდან (1793) დაიწყო. შესცვალეს აგრეთვე თვეების სახელებიც. ეროვნული კონვენტის გახსნის წინადღით ახალმა მთავარსარდალმა დიუმურიემ ვალმისთან პრუსიელები დაამარცხა, თავდასხმაზე გადავიდა და მალე ფრანგებმა ბელგია, რეინის მარცხენა მხარე და სავოია და ნიცა დაიჭირეს. ჟირონდისტებს კონვენტში უკვე მარჯვენა ადგილი ეჭირათ; ხოლო უკიდურეს იაკობინელებს-მონტანიარებს მარცხენა მხარე. შუა ადგილი უპარტიო დეპუტატებს ეჭირათ. ისინი უმრავლესობას წარმოადგენდენ და ხან ჟირონდისტებს უჭერდენ მხარს და ხან მონტანიარებს. (მათ „ჭაობი“ უწოდეს).

შინაური და გარეშე მტრები საფრანგეთს დიდ საფრთხეს უმზადებდენ და აი სწორეთ ასეთ მომენტში მონტანიარები აუცილებლათ სთვლიდენ შეტევითი ომის წარმოებას და რევოლიუციის შინაური მტრების დაშინებას (ტერორს). კონვენტმა ლუდოვიკო XVI-ს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, რაიცა 1793 წლის იანვარში სისრულეში მოიყვანა. ამას შემდეგ საგარეო საშიშროება კიდევ უფრო გაიზარდა. მეფის სიკვდილით დასჯის შემდეგ საფრანგეთის მტრებს ინგლისიც მიემატა. შიგნითაც ამ დროს რესპუბლიკის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო. აჯანყებამ განსაკუთრებული ხასიათი ვანდეაში (საფრანგეთის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი) მიიღო, სადაც გლეხებმა უარი სთქვეს ჯარში წასვლაზე და ფიცმიუღებელი სამღვდელოების მეთაურობითა და აზნაურების დახმარებით მონარქიის აღსადგენათ დაიწყეს ბრძოლა. მონტანიარები მოითხოვდენ ტერორის უფრო მეტათ გაძლიერებას და დანტონის წინადადებით კონვენტმა რესპუბლიკის მტრების გასასამართლებლათ და დასასჯელათ **რევოლიუციონური ტრიბუნალი** დააარსა. მთელ პროვინციებში კონვენტმა განსაკუთრებულის მინდობილობით აღჭურვილი პირები, ანუ **კომისარები** დაგზავნა, რომლებიც განსაკუთრებულ ზომებს იღებდენ დი ენერგიულათ სდევნიდენ რევოლიუციის მტრებს. ახალი ადმინისტრაციის უმაღლესი მეთვალყურეობა და სამხედრო თავდაცვის მოწყობა კონვენტმა განსაკუთრებულ ორგანოს — **საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტს** მიანდო. ამ განსაკუთრებულ ზომებს, რომლებსაც

კონვენტი იაკობინელთა ზეგავლენით რესპუბლიკის გადასარჩენათ შინაური მტრების წინააღმდეგ იღებდა, ჟირონდისტები უარყოფით უყურებდენ. „სეკტემბრის დღეებიდან“ დაწყებული მათ ზიზღს ყველაზე უფრო ტერორი იწვევდა. განსაკუთრებით ჟირონდისტებმა პარიზის კომუნა გადაიკიდეს, სადაც იაკობინელები იყვენ გაბატონებული. კომუნამ აამხედრა ჟირონდისტების წინააღმდეგ პარიზის პროლეტარიატი. მუშები ორჯერ შეცვინდენ კონვენტის დარბაზში და ჟირონდისტების 29 დეპუტატი გამოარიცხვიეს და დაატუსაღებიეს (1793 წლის ივნისის პირველ რიცხვებში). ისინი სხვებთან ერთად შემდეგ რევოლიუციონური ტრიბუნალის მიერ დასჯილ იქნენ. მაგრამ რამდენათ უფრო მდგომარეობა რთულდებოდა, იმდენათ იაკობინელები ენერგიულათ მოქმედებდენ. შესანიშნავმა სამხედრო ორგანიზატორმა **კარნომ**, როგორც საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტის წევრმა, საუკეთესო ჯარები გამოიყვანა მტრების წინააღმდეგ. შინაური მტრების წინააღმდეგ ტერორი კიდევ უფრო გააძლიერეს. პარიზში მრავალ საეჭვო პირს და მათ შორის დედოფალ მარიამ-ანტუანეტას, შესანიშნავ ქიმიკოს ლავუაზიეს და პოეტ შენიეს გილიოტინაზე თავი მოკვეთეს. 1793 წ. კონვენტმა ახალი კონსტიტუცია შეიმუშავა. კონსტიტუციაში აღიარებული იყო პოლიტიკური თანასწორობა. მაგრამ კონვენტმა გადასწყვიტა ამ კონსტიტუციის ცხოვრებაში გატარება შინაური არეულობისა და ომების გათავებამდი გადაედვა. 1793 წლის გასულს საფრანგეთის საგარეო მდგომარეობა შეიცვალა. ახალგაზდა ოფიცრების მეთაურობით კონვენტის ჯარებს ბრწყინვალე გამარჯვება ხვდათ წილათ. 1794 წელს საფრანგეთის ჯარები ბელგიაში, რეინზე და სავოიაში შეტევაზე გადავიდენ. ამ ბრწყინვალე გამარჯვების დროს თვით იაკობინელებ-მონტანიარებში მოხდა განხეთქილება. დანტონი და დემოკრატიული პრესის შემქნელი დემულენი უკვე საჭიროთ სთვლიდენ ტერორის შეწყვეტას. რობესპიერი კი, რომელსაც დიდი გავლენა ქონდა ყოვლად ძლიერ საზოგადოებრივ ხსნის კომიტეტში, ტერორის გაგრძელებას მოითხოვდა. დანტონი, დემულენი და სხვ. რობესპიერმა სიკვდილით დასაჯა და ამას შემდეგ მან უკვე განუსაზღვრელი ბატონობის წერტილს მიაწია. რობესპიერმა ისარგებლა თავის მდგომარეობით და, როგორც რუსოს რელიგიის მომხრემ, პარიზში ახალი რელიგია—**უმაღლესი არსების** თაყვანისცემა შემოიღო. მაგრამ არც რობესპიერის ბატონობა გამოდგა ხანგრძლივი. მისმა სისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტიკემ თვით ტერორის მომხრეებში გამოიწვია დიდი შიში და უკმა-ყოფილება. მის წინააღმდეგ მოხდა შეთქმულება. რობესპიერი დაიჭირეს და მის მომხრეებთან ერთად სიკვდილით დასაჯეს (II-წლის 9 ტერმიდორს, ე. ი. 1794 წლის 27 ივლისს).

**9. რეაქციონური რესპუბლიკა.** 9 ტერმიდორიდან იწყება იაკობინელთა ძლიერი პარტიის და მათ მიერ შექმნილი რესპუბლიკის დაცემა და რეაქციის გაძლიერება. ამ დრომდი ტერორის შიშში მყოფმა „ჭაობის“ დეპუტატებმა თავი წამოყვეს და ამოქმედდენ. კონვენტმა დააბრუნა განდევნილი დეპუტატები, რომელთა შორის გარდა ჟირონდისტებისა აგრეთვე როიალისტებიც (მონარქისტებიც) იყვენ. დაიწყო იაკობინელთა დევნა. მალე კონვენტმა იაკობინელთა კლუბში კრებებიც კი აკრძალა. იაკობინელთა დიკტატურა ეს პარიზის პროლეტარიატის დიკტატურა იყო. პირველის დამარცხება მეორეს განადგურებას მოასწავებდა და იაკობინელთა მოწინააღმდეგე ძალების გამარჯვება ბურჟუაზიის გამარჯვება იყო. ამგვარათ თითქმის ორი წლის ბატონობის შემდეგ პროლეტარიატი დამარცხდა. გამარჯვებულმა ბურჟუაზიამ არა ნაკლებ ტერორს მიმართა რევოლიუციონერების წინააღმდეგ. რესპუბლიკის მოწინააღმდეგე ელემენტების გაძლიერებას კონვენტმა იმდენათ შეუწყო ხელი, რომ ისინი ერთხელ თავზეც კი დაესხენ კონვენტს, მაგრამ კონვენტი ამ დროს ახალგაზდა გენერალმა ბონაპარტემ გადაარჩინა. მალე კონვენტმა ახალი კონსტიტუცია შეიმუშავა. ეს კონსტიტუცია, რომელიც მე-III წლის კონსტიტუციის სახელით არის ცნობილი, ბურჟუაზიული იყო. ამ კონსტიტუციით გაუქმებულ იქნა საყოველთაო საარჩევნო უფლება და შემოღებულ იქნა ქონებრივი ცენზი. საკანონმდებლო ძალა-უფლება გადაეცა ორ პალატას: **უხუცესთა და ხუთასის საბჭოს.** რომ მომავალ პალატებში რესპუბლიკის მოწინააღმდეგეებს არ მოეყარათ თავი, კონვენტმა გადასწყვიტა $^2/_3$ მომავალი პალატებისა თავისი შემადგენლობიდან შეევსო; ხოლო $^1/_3$ კი აერჩიათ. აღმასრულებელი ძალა უფლება გადაეცა არა ერთ პრეზიდენტს, როგორც ეს ამერიკაში იყო, არამედ 5 დირექტორის კოლეგიას. დირექტორია ნიშნავდა მინისტრებს, მაგრამ ისინი პალატის წევრები არ უნდა ყოფილიყვენ. ამგვარათ კონვენტმა თავისი მოვალეობა შესრულებულათ სცნო, 1795 წლის გასულს დაიშალა და ხუთასისა და უხუცესთა საბჭოებსა და

ბიბლიოთეკა

დირექტორიის დაუთმო ადგილი. აქედან იწყება დირექტორიის ეპოქა, რომელიც 1799 წლამდი გაგრძელდა.

## რევოლიუციონური ომები. ნაპოლეონის იმპერია.

1. **საფრანგეთის რევოლიუცია და ევროპა.** საფრანგეთის რევოლიუციას მარტო ადგილობრივი, ეროვნული მნიშვნელობა არ ქონია. იგი ევროპიული მნიშვნელობის მოვლენა იყო დ მან ევროპის სახელმწიფოებზე დიდი გავლენა მოახდინა. საფრანგეთის რევოლიუციის ასეთი ევროპიული მნიშვნელობა იმით აიხსნება, რომ ცხოვრების ის უარყოფითი მხარეები, რომლის წინაამდეგაც დიდი რევოლიუციის დროს ფრანგები იბრძოდენ, მცირე თუ დიდი მაშტაბით, თითქმის ყველა ევროპის სახელმწიფოს ახასიათებდა. ამიტომ ევროპის ყოველ კუთხეში საფრანგეთის რევოლიუციას საზოგადოების მოწინავე წრეები მიეგებენ, როგორც კაცობრიობის განთავისუფლების დასაწყისს. განსაკუთრებით საშვალო კლასში, რომელიც თავისი მდგომარეობით და ინტერესებით საფრანგეთის ბურჟუაზიას უახლოვდებოდა, ამ დიდმა გადატრიალებამ დემოკრატიისადმი და პოლიტიკური თავისუფლებისადმი დიდი თანაგრძნობა გამოიწვია. მაგრამ თუ დემოკრატიული ევროპა თანაგრძნობით შეხვდა საფრანგეთის რევოლიუციას, სამაგიეროთ მას ფეოდალურ მონარქიული ევროპა დიდის უარყოფით შეხვდა და მთელი თავისი ძალღონე იქით მიმართა, რომ საფრანგეთში შექმნილი ახალი წესწყობილება დაემხო დ თავისი საკუთარი თავი მოსპობისაგან გადაერჩინა. აქედან წარმოსდგება ფეოდალურ-მონარქიული ევროპის ხანგრძლივი ომი საფრანგეთის წინააღმდეგ. თავის მხრით რევოლიუციონური საფრანგეთი საგარეო პოლიტიკაში მიზნათ ფეოდალურ-მონარქიულ ევროპის დამხობას და ხალხების განთავისუფლებას ისახავდა.

1893 წლის საფრანგეთის საწინააღმდეგო კოალიციის მოქმედება დამარცხებით დასრულდა. ახალი რესპუბლიკის ძლევამოსილმა ჯარებმა მალე ბელგია და ჰოლანდია დაიპყრეს; მათ აგრეთვე გერმანიის კუთხეები (რეინზე მდებარე) და პრუსიის სამფლობელოები დაიკავეს; სამხრეთისაკენ მათ სავოია და ნიცა აიღეს, ხოლო იტალიის საზღვრებში კი გენუის სანაპიროები დაიპყრეს. 1795 წლის დასაწყისს პრუსია კოალიციიდან გამოვიდა, საფრანგეთის რესპუბლიკა იცნო და მას ზოგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი თავის საკუთარი სამფლობელოებიც კი დაუთმო. 1795 წელს დირექტორიამ ავსტრიის განადგურება გადასწყვიტა. იმ სამხედრო ოპერაციების დროს იტალიაში, რომელიც ავსტრიის წინააღმდეგ იყო მიმართული, განსაკუთრებით ახალგაზდა ნაპოლეონ ბონაპარტემ ისახელა თავი.

ნაპოლეონ ბონაპარტე დაიბადა 1769 წ. კუნძულ კორსიკაზე, რომელიც 1768 წლიდან საფრანგეთს ეკუთნოდა. ათი წლის ნაპოლეონი მშობლებმა ბრიენის სამხედრო შკოლაში მისცეს, სადაც მან არტილერიის პორუჩიკის ჩინით დაასრულა კურსი. როდესაც რევოლუცია დაიწყო, იგი 16 წლის იყო; ის მაშინვე ახალ მოძრაობას მიემხრო და ტერორის დროს რობესპიერის პარტიასთან ძალიან ახლოს იდგა, რისთვისაც 9 ტერმიდორის გადატრიალების შემდეგ, ის კინაღამ დევნილთა



შორის მოხვდა. თავის შესანიშნავი სამხედრო ნიჭი მან პირველათ კონვენტის წინააღმდეგ აჯანყებული ტულონის აღების დროს გამოიჩინა. 1796 წ. 27 წლის გენერალი დირექტორიამ დანიშნა იმ ჯარების მთავარსარდლათ, რომლებსაც იტალიაში უნდა ემოქმედნათ.

ბონაპარტემ ავსტრიელები ლომბარდიიდან განდევნა. ის მალე ტიროლის ალპებზე გადავიდა და ვენას მიუახლოვდა. მაგრამ აქ ავსტრია დასთანხმდა ზავზე და იტალიაზე უარი გააცხადა. ამას შემდეგ ბონაპარტემ იტალიაში რამდენიმე ახალი რესპუბლიკა დააარსა. საბოლოო ზავის შეკვრის დროს (1797 წ., კამპოფორმიოში) ავსტრიამ ბელგიაზე და მილანზე უარი სთქვა და სამაგიეროთ ადრიატიკის ზღვის დალმაციის სანაპირო მიიღო. ამას შემდეგ საფრანგეთის მხოლოდ ერთი მოწინააღმდეგე — ინგლისი დარჩა დაუმარცხებელი. ნაპოლეონმა წინადადება მისცა დირექტორიას გაეგზავნათ იგი დიდი ექსპედიციით ეგვიპტეს, ინგლისის წინააღმდეგ სამოქმედოთ. მართლაც ეს ექსპედიცია ეგვიპტისკენ გაემგზავრა (1798), მაგრამ გზაში ინგლისის ადმირალი ნელსონი დაეწია და საფრანგეთის ფლოტი მთლათ ერთიანათ გაანადგურა. სამაგიეროთ ევროპის კონტინენტზე საფრანგეთი გამარჯვებული დარჩა. აქ საფრანგეთმა თავის მოსაზღვრე და მეგობარი რესპუბლიკები დააარსა: ჰოლანდიაში — ბოტავიის რესპუბლიკა; შვეიცარიაში — ჰელვეციის რესპუბლიკა; იტალიაში ლომბარდიისა და პაპის სამფლობელოების ნახევრიდან ციზალპინის რესპუბლიკა შესდგა; პაპის სამფლობელოს დანარჩენი ნაწილის რომთან შეერთებით — რომის რესპუბლიკა. გენუასა და ვენეციაში დემოკრატიული გადატრიალება მოხდა. ნეაპოლიც რესპუბლიკათ გადაიქცა. ამგვარათ საფრანგეთის რესპუბლიკამ, ვით დედამ თავის პირმშო შვილები, ახალგაზდა რესპუბლიკები შემოისხა თავის გარშემო. ასე დასრულდა რევოლიუციონური საფრანგეთის საგარეო პოლიტიკა. მან არამც თუ თავის არსებობა დაიცვა, არამედ ძალზე შეარყია ფეოდალურ-მონარქიული ევროპა და თავის გვერდით რამდენიმე ახალი რესპუბლიკა შექმნა.

2. 18 **ბრიუმერას გადატრიალება. კონსულობის დრო.** დირექტორიის დროს რეაქცია თანდათან იზრდებოდა. საზოგადოება დიდ მოლოდინობას გრძნობდა. რევოლიუციის ცხოველმყოფლობაში იმედ დაკარგული, იგი მტკიცე ძალა-უფლების ფრთებ ქვეშ მყუდრო და მშვიდობიან ცხოვრებას ეძებდა. ასეთი სულისკვეთების გამომხატველი უმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავრესათ ბურჟუაზია იყო, რომელიც ტერორის დროს ზიზღით [illegible]-ნებდა და სიცოცხლისა და ქონების შერჩენისათვის თრთოდა. (ნასში დიდი შიში გამოიწვია ქონების განსაზოგადოების მომხრე **გრაკხ ბაბეფის** შეთქმულებამ, რომელიც 1796 წ. აღმოაჩინეს და რომლის მონაწილენიც სიკვდილით დასაჯეს). საერთო სულისკვეთება რესპუბლიკის საწინააღმდეგო სახელმწიფოებრივ გადატრიალების მოხდენას უწყობდა ხელს. ასეთი გადატრიალება 1799 წლის 9 ნოემბერს (რესპუბლიკური კალენდრით, მე-VIII წლის 18 ბრიუმერს), ორ დირექტორთან შეთანხმებით, **ნაპოლეონ ბონაპარტემ** მოახდინა. მან გარეკა ხალხის წარმომადგენლები (უხუცესთა და ხუთასის საბჭო) და მე-III წლის კონსტიტუცია გააუქმა. მის ნაცვლათ კი შედგენილ იქნა ახალი, ე. წ. **მე-VIII წლის კონსტიტუცია**, რომელიც თუმცა გარეგნულათ საფრანგეთში რესპუბლიკას სტოვებდა, მაგრამ არსებითად ბიუროკრატიულ მონარქიას ამტკიცებდა. სახელმწიფოს მეთაურათ გამოცხადებულ იქნა **პირველი კონსული**—„მოქალაქე ბონაპარტე“, (რომელსაც ათი წლის ვადით ირჩევდენ), და თუმცა მას ამხანაგებათ ორი კონსული ჰყავდა, მაგრამ მართველობის მთელი ძალა-უფლება პირველი კონსულის ხელში იყო. საკანონმდებლო უფლება განაწილებული იყო შემდეგ ოთხი დაწესებულების შორის: **სახელმწიფო საბჭოსა, საკანონმდებლო კორპუსისა, ტრიბუნატისა და სენატის** შორის. ამ დაწესებულებათა საკანონმდებლო უფლება ძლიერ სუსტი, შეზღუდული იყო და ისინი სავსებით პირველი კონსულისგან იყვენ დამოკიდებული. მე-VIII წლის კონსტიტუცია **პლებისციტით**, ანუ საყოველთაო კენჭის ყრით ხალხს დაადასტურებიეს. ეს დრო (1799—1804) ცნობილია **კონსულობის** სახელით. **პირველმა** კონსულმა **საფრანგეთის** საგარეო ძლიერება, რომელიც მისი **ეგვიპტეში** ყოფნის დროს შეირყა, ჩქარა აღადგინა. მან მალე **ავსტრია** დაამარცხა და ამავე დროს **ინგლისთან** საზავო მოლაპარაკება დაიწყო.

1801—2 წ. წ. საზავო ხელშეკრულებებით (**ლუნევილში** და **ამიენში**) **საფრანგეთის** დაპყრობანი კონტინენტზე, და აგრეთვე მის მიერ დაარსებული რესპუბლიკები, იცვნეს.

3. **იმპერიის წარმოშობა**. ხანგრძლივი ომის **საფრანგეთის** სასარგებლოთ დასრულებამ **ბონაპარტეს** ძალა-უფლება კიდევ უფრო მეტათ განამტკიცა. 1802 წ. მან თავისი თავი მუდმივ კონსულათ გამოაცხადა,

ხოლო ორი წლის შემდეგ კი—იმპერატორათ (1804) და ნაპოლეონ I-ის სახელწოდება მიიღო. ნაპოლეონ I-მა ყოველგვარი ზომები მიიღო თავისი უზენაესი ძალა-უფლების გასაძლიერებლათ. მან ან გააუქმა და ან საგრძნობლათ დაასუსტა ის საკანონმდებლო დაწესებულებანი, რომლებსაც მისი განუსაზღვრელი ძალა უფლება ოდნავათ შეეძლოთ შეეზღუდათ. ამასთან ერთად ნაპოლეონმა ძველი მონარქიის ბევრი დაწესებულება აღადგინა, აღადგინა სავსებით ბიუროკრატიული ცენტრალიზაცია. დეპარტამენტებში მთავრობის მორჩილი **პრეფექტები** იქნენ დანიშნული; ხოლო თითოეულ თემში, ქალაქში და სოფელში კი—**მერი**. პარიზში ფრთხილი და მრავალრიცხოვანი პოლიცია მოეწყო. ერთ დროს დემოკრატიული იდეების მატარებელი ნაპოლეონი „იდეოლოგებს", ე. ი. რესპუბლიკური და კონსტიტუციური პრინციპების მატარებელ ადამიანებს ზიზღით უყურებდა. რაც შეეხება რევოლიუციის მიერ მოხდენილ საზოგადოებრივ ცვლილებებს, ისინი უმეტეს ნაწილათ ძალაში დარჩენ და თუმცა ემიგრანტებს სამშობლოში დაბრუნება შეეძლოთ, მაგრამ ჩამორთმეული და რევოლიუციის დროს გაყიდული ქონება ისევ ახალი მესაკუთრეების ხელში დარჩა. დარჩა აგრეთვე დამფუძნებელი კრების მიერ გატარებული სამოქალაქო თანასწორობა. 1804 წელს ნაპოლეონმა სამოქალაქო კოდექსი ანუ კანონების კრებული გამოაქვეყნა, რომელმაც **ნაპოლეონის კოდექსის** სახელწოდება მიიღო. მას საფუძვლათ კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორუფლებიანობა დაედვა. ნაპოლეონი, ჯერ კიდევ კონსულობის დროს, საეკლესიო საქმეების შესახებ შეუთანხმდა რომის პაპს და მასთან კონკორდატი დასდვა (1801). ამ კონკორდატის ძალით კათოლიციზმი საფრანგეთში უმრავლესობის (და არა სახელმწიფო) რელიგიათ იქნა აღიარებული. ეპისკოპოსებს და არქიეპისკოპოსებს ნიშნავდა მთავრობა და პაპი კი ამტკიცებდა.

ნაპოლეონმა სავსებით აღადგინა საფრანგეთში აბსოლუტიზმი. იგი ვერ ურიგდებოდა ვერავითარ დამოუკიდებელ ძალას საზოგადოებაში. გაძლიერებულმა ცენზურამ და სახელმწიფო პოლიციამ პერიოდული პრესა, კაზმული ლიტერატურა, მეცნიერება, ერთის სიტყვით საზოგადოების მთელი კულტურული შემოქმედება, ძალზე შეზღუდა და თავის მაგარ სალტეებში მოამწყვდია. ნაპოლეონმა აღადგინა სასახლის წინანდლური ბრწყინვალებაც და ამით თავის ძალა-უფლებას შესაფერი კარეგნული სახეც მისცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. **ნაპოლეონის საგარეო პოლიტიკა.** იმპერატორის ტიტულის მიღებას ნაპოლეონი მსოფლიო ბატონობის იდეას უკავშირებდა და მისი ხანგრძლივი ომების, მისი საგარეო პოლიტიკის მთავარი მიზანი **ევროპაში** გაბატონება შეიქნა. ნაპოლეონმა საფრანგეთის დაუმარცხებელი მტრის — **ინგლისის** განადგურების პლანი შეიმუშავა და ინგლისში ფლოტის გადასასხმელათ ემზადებოდა. სწორეთ ამ დროს ინგლისისა, ავსტრიისა და რუსეთისაგან საფრანგეთის წინააღმდეგ ახალი კოალიცია შესდგა. სამხრეთ გერმანიის მთავრების დახმარებით ნაპოლეონმა **აუსტერლიცთან** (1805) ავსტრიისა და რუსეთის ჯარები გაანადგურა (სამი იმპერატორის ბრძოლა). მაგრამ ამავე დროს ნაპოლეონის ფლოტი ინგლისმა სასტიკათ დაამარცხა. 1806 წ. ნაპოლეონის მოქმედებით უკმაყოფილო პრუსიამ საფრანგეთს ომი გამოუცხადა. ნაპოლეონმა ჩვეულებრივის სისწრაფით გაიარა სამხრეთი გერმანია, პრუსიის ჯარები **იენასთან** სასტიკათ დაამარცხა და ძლევამოსილი იმპერატორი პრუსიის სატახტო ქალაქში **ბერლინში**, შევიდა. ამას შემდეგ ნაპოლეონმა პოლონეთის ტერიტორია აღადგინა და მისგან **ვარშავის საჰერცოგო** შექმნა.

პოლონეთის დამოუკიდებლობა მე-XVIII საუკუნის გასულს მოისპო. თუმცა საფრანგეთის რევოლიუციის ძლიერ გავლენაში მყოფმა პოლონეთის პატრიოტულმა პარტიამ 1791 წლის 3 მაისს ახალი კონსტიტუცია შეადგინა და სიკვდილის კარზე მიმდგარ პოლონეთის აღდგენას შეეცადა, მაგრამ შლიახტის კონსერვატიული ნაწილისა და სამღვდელოებისაგან შემდგარმა კონფედერაციამ (ტორგოვიცის) რუსეთისა და პრუსიის დახმარებით 3 მაისის კონსტიტუცია დაასამარა. 1793 წ. რუსეთმა და პრუსიამ პოლონეთის **მეორე გაყოფა** მოახდინეს. თუმცა პოლონეთის პატრიოტები, **კოსტიუშკოს** მეთაურობით, კიდევ შეეცადენ ქვეყნის გადარჩენას, მაგრამ ვარშავაში გამაგრებულ კოსტიუშკოს რუსეთისა და პრუსიის ჯარები გარს შემოერტყენ; პოლონეთის პიტრიოტები დამარცხდენ და ამას შემდეგ ავსტრიამ, პრუსიამ და რუსეთმა პოლონეთის მესამე და უკანასკნელი გაყოფა მოახდინეს. (1795) რუსეთმა **ლიტვა** (ვილნოთი) და კურლიანდია მიიღო; პრუსიამ—დიდი პოლონეთის ნაწილი და **მაზოვია** (ვარშავით); ავსტრიამ—მცირე პოლონეთი (კრაკოვით.

1807 წ. ნაპოლეონი და რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე I **ტილზიტში** შეხვდენ ერთმანეთს და ურთიერთ შორის ზავის პირობები დასდვეს. რუსეთმა თავისუფალი მოქმედების უფლება მიიღო აღმოსავლეთ **ევროპაში** (განსაკუთრებით შვეციისა და ოსმალეთის მიმართ); ხოლო ნაპოლეონმა—დასავლეთ ევროპაში. გერმანიის მდგომარეობა ნაპოლეონმა სავსებით შესცვალა. რომის საღვთო იმპერია მოისპო და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრანც II-მ ფრანც I-ის სახელით ავსტრიის იმპერატორის სახელწოდება მიიღო (1806). საეკლესიო მიწებს ნაპოლეონმა სეკულიარიზაცია უყო, წვრილი სამფლობელოები მოსპო და გერმანიის 350 სახელმწიფოდან მხოლოდ 22 დასტოვა. ჩრდილო-დასავლეთ გერმანიაში ნაპოლეონმა **ვესტფალის სახელმწიფო** დააარსა, რომლის მართველათ თავისი ძმა იერონიმე დანიშნა. გერმანიის წვრილი სახელმწიფოებიდან ნაპოლეონმა **რეინის კავშირი** შეადგინა, რომელიც სავსებით მას დაემორჩილა. ამგვარათ გერმანიის ტერიტორიის ქარტა ნაპოლეონმა სავსებით გარდაქმნა.

ნაპოლეონმა დაიმორჩილა აგრეთვე პორტუგალია და ისპანია. უკანასკნელის მეფეთ მან თავისი ძმა, ნეაპოლის მეფე, იოსები, დანიშნა; ნეაპოლში კი თავისი სიძე იოახიმ მიურატი გადაიყვანა. ამავე დროს ნაპოლეონის ჯარებმა რომიც დაიჭირეს (1808). ამ სახით ნაპოლეონმა თითქმის მთელი დასავლეთი ევროპა (გარდა ინგლისისა) რაღაც 4—5 წლის განმავლობაში დაიმორჩილა და დამორჩილებულ ქვეყნებში თავის ნათესავები გაამეფა (ნაპოლეონიდები). ინგლისის წინააღმდეგ ნაპოლეონმა ჯერ კიდევ 1806 წელს განსაკუთრებული ზომა შეიმუშავა—ეს **კონტინენტალური ბლოკადა** იყო. მან ევროპის ნავთსადგურები ჩაკეტა და სასტიკათ აკრძალა ინგლისის გემების მიღება ამ ნავთსადგურებში. ამით მას სურდა ინგლისის ვაჭრობა-მრეწველობისათვის სასიკვდილო მახვილი ჩაეცა. ბლოკადის შესრულება ნაპოლეონს ალექსანდრე I-მაც აღუთქვა, მაგრამ ვერც რუსეთი და ვერც დანარჩენი სახელმწიფოები მას სავსებით ვერ ასრულებდენ.

1809—10 წ. წ. ნაპოლეონი თავისი ძლიერების სიმაღლეზე იმყოფებოდა. ნიშნათ ძლიერებისა ის ამ დროს ევროპის ძველ მონარქიულ გვარეულობას დაუნათესავდა და ავსტრიის იმპერატორის ქალი მარიამ-ლუიზა შეირთო (თავის პირველ მეუღლეს ჟოზეფინას ის ამ დროს გაეყარა). მაგრამ ნაპოლეონის ბატონობა ხანგრძლივი არ აღმოჩნდა. დამორჩილებულ ერებში თავისუფლების წყურვილმა და უცხოელთა ბატონობისადმი ზიზღმა გაიღვიძა. ისპანიაში აჯანყებამ იფეთქა; ავსტრიამაც ნაპოლეონის წინააღმდეგ ომი დაიწყო. განსაკუთრებით პრუსიაში სწარმოებდა ამ დროს ეროვნული აღორძინება. იქ შესანიშნავი სახელმწიფო მოღვაწეები (შტეინი, ჰარდენბერგი, შარნჰორსტი) სხვადასხვაგვარ რეფორმებით სახელმწიფოს აღორძინება-გაძლიერებას შეეცადენ;

ეროვნული
ბიბლიოთეკა



დას. ევროპა ნაპოლეონის ბატონობის დროს.

ხოლოდ გამოჩენილი პატრიოტები (ფიხტე) ხალხს უცხოელთა ბატონობის მოსპობისა და სამშობლოს განთავისუფლებისაკენ მოუწოდებდნენ.

5. **ნაპოლეონის ბატონობის დამხობა.** ნაპოლეონის სამხედრო ძლიერება პირველად 1812 წელს შეირყა. ის ამ წელს მრავალრიცხოვანი (600,000) ჯარით რუსეთში გაილაშქრა. რუსის ხალხში ქვეყნის დაცვის სურვილმა ძლიერად იფეთქა და ნაპოლეონის წინააღმდეგ ომმა

„სამამულიშვილო ომის“ ხასიათი მიიღო. ბოროდინოსთან (მოსკოვთან ახლოს) სასტიკი ბრძოლის შემდეგ ნაპოლეონი მოსკოვში შევიდა; მაგრამ რუსეთის ძველი სატახტო ქალაქი მას გადამწვარი დახვდა. მალე დიდი ზამთარი დადგა და სასტიკმა ყინვებმა და სურსათის უქონლობამ აიძულა ნაპოლეონი უკან გაბრუნებულიყო. სიცივით, შიმშილით და იმ პარტიზანული ბრძოლით, რომელსაც რუსები ნაპოლეონის უკან გაბრუნებულ ჯარებს უმართავდენ, ნაპოლეონის დიდი არმია დაიღუპა. ახალი ძალების შესადგენათ ნაპოლეონი საჩქაროთ პარიზისკენ გაეშურა, რადგან მან იცოდა, რომ რუსეთში დამარცხება მას კარგს არას უქადდა. ალექსანდრე I ნაპოლეონს უკან დაედევნა და 1813 წ. ის პრუსიაში გადავიდა, სადაც ნაპოლეონის ბატონობის სიმძულვარე და ეროვნული აღტკინება ამ დროს დიდი იყო. ნაპოლეონის წინააღმდეგ შესდგა ახალი კოალიცია: რუსეთისა, ინგლისისა, პრუსიისა და ავსტრიისაგან. გერმანიის ზოგიერთი მთავრები, რომლებიც ნაპოლეონში თავის ძლიერების საფუძველს ხედავდენ, თავიდანვე კოალიციას არ მიემხრენ, მაგრამ როდესაც სამი დღის დიდი ბრძოლის შემდეგ ლეიპციგთან ნაპოლეონი იძულებული შეიქნა უკან დაეხია, რეინის კავშირის მეფეები კოალიციის მხარეზე გადავიდენ. 1814 წლის დასაწყისს მოკავშირეები საფრანგეთის საზღვრებში შეიჭრენ და ომის ასპარეზათ საფრანგეთი გადაიქცა. ნაპოლეონმა ამ დროს მთელი თავისი გენიოსური სამხედრო ნიჭი აამუშავა, მაგრამ მისი ბატონობის დღეები დათვლილი იყო. ქვეყანა ხანგრძლივი ომებისაგან საშინლათ დასუსტებული იყო და თავდაცვისთვის ღონე არ შესწევდა. მალე მოკავშირეები პარიზში შევიდენ; ნაპოლეონი იძულებული შეიქნა ტახტზე უარი ეთქვა. მოკავშირეებმა ნაპოლეონი იტალიის კუნძულზე, ელბაზე, გაგზავნეს. საფრანგეთში ძველი გვარეულობის, ბურბონების, რესტავრაცია მოხდა და ტახტზე ლუდოვიკო XVI-ის ძმა ლუდოვიკო XVIII ავიდა. (ლუდოვიკო XVII ეს ლუდოვიკო XVI-ის შვილს ეძახდენ, რომელიც რევოლიუციის დროს გარდაიცვალა). ნაპოლეონის იმპერიის დამხობის შემდეგ მოკავშირეები სხვადასხვა საკითხის გადასაწყვეტათ ვენის კონგრესზე შეიკრიბენ (1814). მაგრამ თავისი რთული მუშაობა კონგრესს დასრულებული არ ქონდა, რომ ნაპოლეონი საფრანგეთს დაბრუნდა. ლუდოვიკო XVIII-ისა და ემიგრანტების მოქმედებით უკმაყოფილო ხალხი დიდის აღფრთოვანებით შეხვდა თავის გმირ იმპერატორს (1815). მაგრამ

ტახტს **ნაპოლეონი** მხოლოდ „**ასი დღით**“ დაუბრუნდა. პრუსია-ინგლისის ჯარებმა, **ბლიუხერისა** დ **ველინგტონის** მეთაურობით, **ნაპოლეონს ვატერლოოსთან** საბოლოოთ დაამარცხეს და მოკავშირეთა ჯარები ხელ მეორეთ **პარიზში** შევიდენ. **ნაპოლეონი**, რომელიც **ამერიკაში** გაქცევას აპირებდა, მოკავშირეებმა დაიჭირეს და **წმ. ელენეს კუნძულზე** (ატლანტის ოკეანეზე) გაგზავნეს, სადაც ის 1821 წელს გარდაიცვალა. **საფრანგეთი** მოკავშირეებმა 1790 წლის საზღვრებს დაუბრუნეს, მას დიდი კონტრიბუცია დაადვეს და დაავალეს, რომ მოკავშირეთა დიდძალი ჯარი (150.000) ხუთი წლით შეენახა.

## ევროპის რეაქცია. სამხრეთ ევროპის რევოლიუციები.

1. **ვენის კონგრესი.** ვენის კონგრესზე ევროპის დიპლომატების მთავარი მიზანი **საფრანგეთის** რევოლიუციისა და **ნაპოლეონის** მიერ ევროპაში შექმნილი მდგომარეობის მოსპობა იყო. ამ მხრით **ვენის** კონგრესმა **ევროპაში** ღრმა ტერიტორიული და პოლიტიკური ცვლილებები მოახდინა. **ვენის** კონგრესის მთავარმა ხელმძღვანელებმა, **ევროპის** ხუთმა დიდმა სახელმწიფომ: **რუსეთმა**, **ინგლისმა**, **პრუსიამ**, **ავსტრიამ** და **საფრანგეთმა**, **ევროპის** ქარტა შემდეგნაირათ გარდაქმნეს: **რუსეთმა ვარშავის** საჰერცოგოს უმთავრესი ნაწილი მიიღო; **პრუსიამ** მხოლოდ **საქსონიის** ნაწილი მიიღო და დაიბრუნა **პოზნანი**, დასავლეთი **პომერანია** დ **რეინის** ორივე სანაპიროებზე მდებარე დიდი სამფლობელოები; **ავსტრიამ** ჩრდილო **იტალიის** საუკეთესო კუთხეები: **ლომბარდია მილანითა** და **ვენეცია** შეიძინა; **ინგლისმა ევროპასა** და მის გარეთ შეძენილი ადგილები შეირჩინა; **საფრანგეთი**, როგორც მიზეზი იმ ცვლილებებისა, რომლის გასაუქმებლათაც **ვენის** კონგრესს უხდებოდა მუშაობა, 1789 წლის საზღვრებს დაუბრუნდა და ტერიტორიულათ ვერაფერი შეიძინა. **დანარჩენი** ტერიტორიული ცვლილებებიდან აღსანიშნავია: **ბელგიისა** და **ჰოლანდიის**, **შვეციისა** და **ნორვეგიის**, **გენუისა** და **პიემონტის** შეერთებანი. **გერმანია** 38 სახელმწიფოთ გაყვეს; ამ სახელმწიფოებმა **გერმანიის კავშირი** შეადგინეს. (**ავსტრიის** თავმჯდომარეობით მათ **ფრანკფურტში** კავშირის სეიმი ქონდათ მოწყობილი). **იტალიაში**, გარდა იმ კუთხეებისა, რომლებიც **ავსტრიას** გადაეცა, საქმე ასე მოეწყო: **სარდინიის** მეფე თავის უფლებებში აღადგინეს; შუა იტალია-

მი ტოსკანის დიდი საჰერცოგო ავსტრიის იმპერატორის ძმას [illegible] პაპს თავის სამფლობელო დაუბრუნდა, ხოლო ნეაპოლში ისევ წინანდელი დინასტია გამეფდა. შვეიცარია ნეიტრალურ სახელმწიფოთ გამოაცხადეს, (ე. ი. არც მას შეეძლო ვისმესთვის ომის გამოცხადება და არც სხვა სახელმწიფოს შეეძლო მისთვის ომის გამოცხადება). დასასრულ, პორტუგალიისა და ისპანიის მეფეებს თავისი სამფლობელოები დაუბრუნეს. ასეთი ტერიტორიული ცვლილებები მოახდინა ვენის კონგრესმა.

ვენის კონგრესი სხვადასხვა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა. უპირველეს ყოვლისა მან რევოლიუციისა და ნაპოლეონის მიერ დართვეული კანონიერი უფლებების აღდგენა (ლეგიტიმიზმი) დაისახა მიზნათ; თუმცა უნდა ითქვას, რომ **ლეგიტიმიზმის** პრინციპი კონგრესმა სავსებით ვერ გაატარა და ზოგიერთ წინანდელ მფლობელს თავისი უფლებები ვერ დაუბრუნა. ამას გარდა ევროპის ქარტის გარდაქმნის დროს კონგრესი უმთავრესათ **პოლიტიკური წონასწორობის** დაცვის აზრით ხელმძღვანელობდა და ეროვნულ მომენტს სრულიად ანგარიშს არ უწევდა: იგი პოლიტიკურათ ყოფდა იმ ეროვნებებს, რომელნიც ეროვნულათ მთლიან ორგანიზმს წარმოადგენდენ (პოლონეთი, იტალია და სხვ.) და სრულიად უცხო ეროვნებებს კი აერთებდა (შვეცია და ნორვეგია, ბელგია და ჰოლანდია).

ვენის კონგრესზე სავსებით გაიმარჯვა რეაქციამ. ევროპის დიპლომატებმა მძიმე ლოდი დაადვეს საფრანგეთის რევოლიუციის მიერ წამოყენებულ პრინციპებს და აბსოლუტიზმის აღდგენისა და გამტკიცებისთვის ენერგიული ზომები მიიღეს. ამ რეაქციონური სულისკვეთების საუკეთესო გამომხატველი, ვენის კონგრესზე, რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე I და ავსტრიის პირველი მინისტრი, თავადი **მეტერნიხი** იყო. ისინი რამდენიმე წლის განმავლობაში ევროპის რეაქციის სათავეში უდგენ დ ყოველგვარ რევოლიუციონურ დ ეროვნულ მოძრაობას წარმოშობისთანავე ახჩობდენ. მათ ამისთვის შესაფერი ორგანოც შექმნეს—ეს **საღვთო კავშირი** იყო. საღვთო კავშირის აქტი ალექსანდრე I-მა შეადგინა. ალექსანდრე I-ს სურდა ვენის კონგრესზე შექმნილი წესწყობილებისთვის მტკიცე საფუძველი ჩაეყარა და მომავალში საერთაშორისო ომები თავიდან აეცილებია. საღვთო კავშირის აქტში ის მთავარი აზრი იყო გატარებული, რომ პოლიტიკა ქრისტიანული რელიგიის საფუძვლებზე უნდა იყოს აგებულიო; იგი ავალებდა მეფეებს ქვეშევრ-

დომებთან მამაშვილურ განწყობილებაში ყოფილიყვენ და ერთმანეთს ძმურათ დახმარებოდენ. ამას შემდეგ თუმცა 30 წლის განმავლობაში ევროპის სახელმწიფოთა შორის ომი აღარ მომხდარა, მაგრამ მეფეები ერთმანეთს ეხმარებოდენ იმ ხალხთა მოძრაობის ჩაქრობაში, რომელნიც თავისუფლებისაკენ მიისწრაფოდენ. ასე რომ საღვთო კავშირი, რომელშიც გარდა არაქრისტიანული ოსმალეთისა, პაპისა და კონსტიტუციური ინგლისისა, თითქმის ყველა სახელმწიფო შევიდა, რეაქციის უმთავრეს იარაღათ გადაიქცა. მეტერნიხმა, რომელიც თავიდან ირონიულათ შეხვდა ალექსანდრე I-ის მიერ საღვთო კავშირის აქტში გამოთქმულ მაღალ პრინციპებს, საღვთო კავშირი, ევროპაში ყოველგვარი ლიბერალური და ნაციონალური მოძრაობის ჩასაქრობათ, საუკეთესოთ გამოიყენა. მშვიდობიანობისა და წონასწორობის დამცველ მეფეებს მალე რევოლიუციონური მოძრაობის ჩასაქრობათ სამხრეთ ევროპის სამი ნახევარკუნძულის სახელმწიფოების საქმეებში მოუხდათ ჩარევა.

* 2. **რეაქციის მწერლები. ლიბერალიზმი.** ვენის კონგრესის რეაქციონერებს ლიტერატურაშიც ბევრი დამცველი—იდეოლოგი ყავდათ. ლიტერატურაში ამ დროს განსაკუთრებული რეაქციონური მიმართულება არსებობდა, რომელიც მე-XVIII საუკ. „განათლებას“ და საფრანგეთის რევოლიუციას ბრძოლას უცხადებდა. რევოლიუციის პირველ მოწინააღმდეგეთა შორის **ედმუნდ ბორკი** გამოიყოფება. თავის თხზულებაში, „რევოლიუციის შესახებ მსჯელობაში“ (1790), იგი პიროვნების თავისუფლებისა და თავისუფალი კვლევა-ძიების წინააღმდეგ ილაშქრებს. ცოტა უფრო გვიან ნიჭიერი მწერალი-რეაქციონერი **ჟოზეფ დემესტრი** ფრანგების მიერ „შეთხზულ“ კონსტიტუციას საშინელის ირონიით დასცინის. („აზრები საფრანგეთის რევოლიუციის შესახებ“). ჟოზეფ-დე-მესტრი რევოლიუციაში ღვთის საშინელ სამსჯავროს ხედავს ამ ქვეყნათ. ჟოზეფ-დე-მესტრი თანამედროვე საზოგადოებას საშვალო საუკუნეთა ცხოვრებისაკენ მოუწოდებს. იგი პაპის ავტორიტეტის თაყვანისმცემელია და მისი უცოდველობის აღიარებას მოითხოვს. საფრანგეთის მწერალმა **შატობრიანმა** თავის „ქრისტიანობის სულში“ კათოლიციზმის ესტეტიურ მხარეს პირველათ მიაქცია ყურადღება. რევოლიუციით აღტკინებული სულის დასამშვიდებლათ რეაქციის მწერლები ეკლესიისა და რელიგიისაკენ მიუთითებდენ. საშვალო საუკუნეები —

კათოლიციზმისა და პაპის ბატონობის ხანა, მათი იდეალი შეიქმნა კათოლიკური ეკლესია, რომელიც მე-XVIII საუკუნეში თავის დაცემის ხანას განიცდიდა, აღორძინების გზას დაადგა. პაპმა პიუს VII-მ 40 წლის წინათ გაუქმებული იეზუიტთა ორდენი აღადგინა (1814) და იეზუიტები თავის წინანდლურ მოქმედებას ისევ ენერგიულად შეუდგენ.

წინააღმდეგ რეაქციონერებისა, ახალ საზოგადოების ფართო წრეებში, რომელთაც რევოლიუციის შემწეობით ერთგვარი უფლებები მოიპოვეს, ბურჟუაზიული წრეები და აგრეთვე თავისუფალი პროფესიის ხალხი: ექიმები, ადვოკატები, ლიტერატორები, მეცნიერები და სხვ. 1789 წლის პრინციპებს იცავდენ. ამ მეორე მიმართულებამ **ლიბერალიზმის** სახელწოდება მიიღო. მისი საუკეთესო თეორეტიკოსი **ბენჟამენ კონსტანი** იყო. ლიბერალიზმის უკიდურეს ფრთას **რადიკალები** შეადგენდენ, რომელთა შორის ბევრი რევოლიუციის გაგრძელებას აუცილებლად სთვლიდა.

3. **სამხრეთ ევროპის რევოლიუციები.** პირინეისა და აპენინის ნახევარკუნძულებზე 1814 წლის შემდეგ საშინელი რეაქცია გამეფდა. **ისპანიაში** მეფე **ფერდინანდ VII**-მ გააუქმა 1812 წლის კონსტიტუცია (ეს კონსტიტუცია, რომელიც კორტესების კრებამ შეადგინა კადიკსში, ძლიერ უახლოვდებოდა **საფრანგეთის** 1791 წლის კონსტიტუციას), რითაც განსაკუთრებით ჯარში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. 1820 წ. **ისპანიაში** ჯარის ერთი მცირე რაზმის უფროსის **რიეგოს** მეთაურობით სამხედრო რევოლიუცია მოხდა; შეშინებული მეფე ყველაფერზე დასთანხმდა: აღადგინა 1812 წლის კონსტიტუცია და მთავრობაში ლიბერალებს მოუხმო. ასეთივე რევოლიუციები, ნახევარი წლის შემდეგ, **ნეაპოლში** და **სიცილიაშიც** მოხდა, სადაც მეფე **ფერდინანდ V** იძულებული შეიქნა კონსტიტუცია შემოეღო. სამხედრო აჯანყებამ **პორტუგალიაშიც** იფეთქა, რომლის მეფეც ამ დროს **ბრაზილიაში** ცხოვრობდა. 1821 წელს რევოლიუციონური მოძრაობა **სარდინიაშიც** დაიწყო, სადაც ჯარმა მთავრობა აიძულა კონსტიტუცია შემოეღო. ყველა ამ რევოლიუციაში უმთავრეს როლს ჯარი ასრულებდა, რადგან ჯარში უფრო მეტად იყო ფეხმოკიდებული **საფრანგეთის** პოლიტიკური იდეები. **იტალიელი** პატრიოტები **იტალიის**, **ავსტრიის** ბატონობისაგან განთავისუფლებისა და გაერთიანებისაკენ მისწრაფოდენ. ამ აზრით განსაკუთრებით საიდუმლო საზოგადოებანი (**კარბონარიები**) იყვენ გამსჭვალული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხრეთ ევროპის რევოლიუციებმა საღვთო კავშირი ძალზე შეაშფოთეს. ტროპაუს, ლაიბახის და ვერონის კონგრესებზე (1820—21—22), ავსტრიას იტალიის მოძრაობის ჩაქრობა მიენდო, საფრანგეთს კი ისპანიის—მოძრაობის. ორივე ნახევარკუნძულზე რევოლიუციის მიერ შექმნილი წესწყობილება გაუქმებულ იქნა, აღდგენილ იქნა აბსოლუტიზმი და ისევ რეაქცია დამკვიდრდა.

**4. საბერძნეთის აჯანყება.** მე-20 წლების გასულს საღვთო კავშირის საფუძვლები შეირყა. მის კრიზისს განსაკუთრებით საბერძნეთის აჯანყებამ შეუწყო ხელი.

საუკუნეების განმავლობაში ბარბაროსი ოსმალების მონობაში მყოფ სლავიანთა ხალხებსა და ბერძნებში მონობიდან განთავისუფლების წყურვილმა გაიღვიძა. მათ, მე-XVIII საუკუნიდან, ერთმორწმუნე რუსეთისაკენ ეჭირათ თვალი და მისგან შველას მოელოდენ. მე-XIX საუკუნის დასაწყისში სერბიელები აჯანყდენ და მათ ერთგვარი ავტონომიაც მოიპოვეს. რუსეთის დახმარებით რუმინელებმა, მოლდავიასა და ვალახიაში, თვითმართველობა მიიღეს. მაგრამ ყველაზე უფრო ძლიერი მოძრაობა მე-20 წლებში საბერძნეთში დაიწყო. ბერძნები სამკვდრო სასიცოცხლოთ ეკვეთენ ოსმალებს და დაიწყო საშინელი ჟლეტა. ოსმალების წინააღმდეგ აჯანყებული ბერძნები ევროპაში დიდ თანაგრძნობას პოულობდენ. დასავლეთ ევროპაში ამ დროს ე. წ. **ფილელინიზმი** წარმოიშვა: ბერძნების სასარგებლოთ კრებდენ ფულს, სურსათს; მათ დასახმარებლათ მიდიოდენ მოხალისეები (მათ შორის უდიდესი პოეტი ბაირონი). მაგრამ ევროპის რეაქციონური მთავრობები ბერძნების აჯანყებას სხვანაირათ უყურებდენ. მეტერნიხი, რომელსაც საბერძნეთის აჯანყება ძლიერ აშინებდა, ალექსანდრე I-ს არწმუნებდა არავითარი დახმარება ბერძნებისთვის არ აღმოეჩინა. მალე ინგლისმა გადასწყვიტა საბერძნეთის აჯანყებაში ჩარეულიყო; იმ მოსაზრებით რომ ოსმალეთი იძულებული გაეხადა ბერძნებისთვის ერთგვარი თვითმართველობა მიეცა. ალექსანდრე I-ის მემკვიდრე, ნიკოლოზ I, რომელსაც არ სურდა ინგლისისთვის ბალკანეთის საქმეებში უპირატესობა მიენიჭებია, თვით ჩაერია ბალკანეთის საქმეებში; მათ საფრანგეთიც მიემატა და სამი სახელმწიფოს შეერთებულმა ფლოტმა **ნავარინთან** (სამხ.-დას. საბერძნეთში) ოსმალეთის ფლოტი გაანადგურა და აიძულა იგი სამხრეთ ბერძნების დამოუკიდებლობა ეცნო (1827). სამი სახელმწიფოს ბალკანეთის საქმეებში, აჯან-

ყებული ბერძნების სასარგებლოთ ჩარევამ, საღვთო კავშირს საფუძველი გამოუთხარა.

ნავარინის ბრძოლის შემდეგ რუსეთმა ოსმალეთს ომი გამოუცხადა. ეს ომი ადრიანოპოლის ზავით გათავდა (1829). ოსმალეთმა იცნო საბერძნეთის დამოუკიდებლობა და რუსეთის პროტექტორატი დუნაის სამთავროებზე—მოლდავიასა და ვალახიაზე.

**5. რეაქცია გერმანიაში.** ნაპოლეონის ბატონობიდან განთავისუფლებისთვის ბრძოლის დროს, გერმანიაში ძლიერ გავრცელებული იყო გერმანიის **ეროვნული მთლიანობისა** და სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წესწყობილების გარდაქმნის აზრი. მაგრამ ვენის კონგრესმა გერმანიის პატრიოტ-რეფორმატორების ოცნებას ფრთები შეაკვეცა. კონგრესმა ყოფილი გერმანელი ნაციის საღვთო რომის იმპერიიდან გერმანიის კავშირი შექმნა, რომელიც ქვეყნის დანაწილების ფორმით საღვთო რომის იმპერიას ბევრით არაფრით ჩამოუვარდებოდა. მხოლოდ სამხრეთ გერმანიაში (ბავარიასა, ვიურტემბერგსა, ბადენსა, ჰესენ-დარმშტატში) დარჩა ნაპოლეონის დროს მოხდენილი ცვლილება და აგრეთვე შემოღებულ იქნა ახალი კონსტიტუციები. დანარჩენ სახელმწიფოებში კი რეაქცია მძინვარებდა. თვით პრუსიის მეფემ ფრიდრიხ ვილჰელმ III-მ არ შეასრულა, ნაპოლეონთან ომის დროს, ხალხისთვის მიცემული დაპირება და კონსტიტუცია არ შემოიღო. ერთი სიტყვით გერმანია პოლიციური სახელმწიფოს ფორმებს დაუბრუნდა. რეაქცია გერმანიაში განსაკუთრებით რეფორმაციის 300 წლის იუბილეს შემდეგ გაძლიერდა, რომელიც სტუდენტებმა და პროფესორებმა მოაწყვეს და სადაც რამდენიმე რეაქციონური თხზულება კოცონზე დასწვეს (1817). მალე ამას შემდეგ ერთმა სტუდენტმა ზანდმა მოკლა მწერალი **კოცებუ,** რომელიც გერმანიაში რუსეთის აგენტათ ითვლებოდა. მეტერნიხმა ისარგებლა ვარტბურგის დღესასწაულითა და ზანდის მკვლელობით და გერმანიის მთავრობები დაითანხმა, რომ მათ პრესის, უნივერსიტეტების წინააღმდეგ სასტიკი ზომები მიეღოთ და ისინი მკაცრი ცენზურის ქვეშ დაეყენებიათ. ამგვარათ მეტერნიხის რეაქციონური ხელი ყველგან სწვდებოდა და ყოველგვარ რადიკალურ მოძრაობას წარმოშობისთანავე სპობდა.

## ინგლისი მე-XIX საუკუნის პირველ ნახევარში.

**1. ეკონომიური გადატრიალება და რეაქცია ინგლისში.** მე-XVIII საუკუნის გასულს და მე-XIX საუკუნის დასაწყისს ინგლისის ეკონო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიურ ცხოვრებაში დიდი ცვლილება მოხდა. ინგლისი ამ დროს [illegible] მრეწველობის ქვეყნათ გადაიქცა. წარმოების სხვადასხვა დარგში მანქანები შემოიღეს, რამაც მრეწველობა საგრძნობლათ გააფართოვა. მანქანების გამოგონება ინგლისში მე-XVIII საუკ. მე-70 წლებში დაიწყეს. (ჯემს უატი, ბარგრივსი, არკრაიტი და სხვ.). ჯემს უატმა, თავის ორთქლის მანქანის გამოგონებით, მრეწველობაში მთელი რევოლიუცია მოახდინა. ეს ორთქლის მანქანა თანდათან მრეწველობის ყოველ დარგში შეიჭრა და იქიდან ხელით შრომა განდევნა. ასე რომ მანქანა დამამუშავებელ მრეწველობაში სავსებით გაბატონდა; აქ ერთი მანქანა იმდენს აკეთებდა, რამდენსაც წინათ რამდენიმე ათასი მუშა. ეს კი სხვილი მრეწველობის დიდი გამარჯვება იყო.

შინა წარმოება მანქანურ წარმოებას უკვე მეტოქობას ველარ გაუწევდა დ̃ იგი სულ მალე მოისპო. წინანდლური სახელოსნოები დაიხურა და ხელოსნები დიდ საწარმოებში უბრალო მუშებათ შევიდენ. ასე რომ დარჩა მცირე რიცხვი სხვილ წარმოებათა და მდიდარ კაპიტალისტ-მწარმოებელთა ერთის მხრით, და მეორე მხრით, მრავალი მუშა, რომელნიც მხოლოდ თავის სამუშაო ძალის გაქირავებით ცხოვრობდენ. სოფლიდან მრავალი გლეხი წავიდა ქალაქს, რადგან სწორეთ ამავე დროს ინგლისში სხვადასხვა მიზეზით წვრილ მესაკუთრეთა კლასი თანდათან ისპობოდა. ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი ამის გამო ძლიერ გაიზარდა და ისეთი ქალაქები, რომლებსაც წინათ არავითარი მნიშვნელობა არ ქონდათ, დიდ სამრეწველო ცენტრებათ გადაიქცენ.

მანქანური წარმოების დამკვიდრებით და კაპიტალიზმის სწრაფი განვითარებით ინგლისში პროლეტართა კლასი დიდათ გაიზარდა. მანქანურ წარმოებამდი სხვადასხვა კუთხის წვრილ სახელოსნოებში გაბნეულ მუშა-პროლეტარებს სხვილმა ფაბრიკა-ქარხნებმა თავი მოუყარეს დ̃ ერთ მთლიან, შეკავშირებულ კლასათ აქციეს იგი. ასე, რომ მე-XVIII საუკუნის გასულს ზოგიერთი ფაბრიკული ცენტრი რამდენიმე ასი ათას მუშას უყრიდა თავს. ამ შეკავშირებამ თანდათან გაზარდა მათში კლასობრივი თვითშეგნება და საფუძველი ჩაუყარა იმ რთულ სოციალურ მოძრაობას, რომელიც დღეს, როგორც ინგლისში, აგრეთვე სხვა ევროპის ქვეყანაში, უდიდეს მოვლენას წარმოადგენს.

სწორეთ ამ ხანებში ეკონომიურ მეცნიერებაში ახალი მიმართულება წარმოიშვა. ამ ახალი მიმართულების საუკეთესო გამომხატველი, პოლიტიკური ეკონო-

მის მამათმთავარი, **ადამ სმიტი**, იყო. იგი ვაჭრობისა, აღებ-მიცემობის თავისუფლებას ქადაგებდა, საიდანაც **ადამ სმიტის** მიერ გამოთქმული აზრები შემდეგში **ფრიტრედის** (free trade—თავისუფალი აღებ-მიცემობა) სახელწოდებით, შეიქნა ინგლისში ცნობილი. იგი სრული უარყოფა იყო იმ **პროტექციონიზმისა** (მფარველობის), რომელიც მერკანტილიზმის დროს გამტკიცდა.

იმ დროს, როდესაც ინგლისში ეკონომიური ცხოვრება დიდის სისწრაფით ვითარდებოდა, ინგლისი ჯერ საფრანგეთის რევოლიუციისა და შემდეგ **ნაპოლეონის** ბატონობის წინააღმდეგ ომს აწარმოებდა. ინგლისის მთავრობას ამ დროს ცნობილი **ვილიამ პიტი** (უნცროსი) უდგა სათავეში. საფრანგეთის რევოლიუციას ინგლისის საზოგადოების ზოგიერთი წრე დიდის თანაგრძნობით შეხვდა და ინგლისის მონობაში მყოფმა ირლანდიამ, ფრანგების დახმარებით გათავისუფლებასაც კი შეეცადა (1798). ამან ინგლისის უმაღლესი, მართველი კლასები ძლიერ დააშინა; იგინი განმათავისუფლებელ მოძრაობას დიდის უარყოფით შეხვდენ და სასტიკი რეაქციის გზას დაადგენ. ირლანდიაში პარლამენტი გააუქმეს, ხოლო ინგლისის პარლამენტში ირლანდიელებს, რომელთა შორის უმრავლესობა კათოლიკურ სარწმუნოებას აღიარებდა, ტესტ-აქტის ძალით, მონაწილეობის მიღება არ შეეძლოთ.

განსაკუთრებით მუშათა მოძრაობის აღორძინება აფრთხობდათ უმაღლეს კლასებს და პარლამენტი, სადაც ეს უმაღლესი არისტოკრატული კლასები იყვენ გაბატონებული, მუშათა შეკავშირების წინააღმდეგ განსაკუთრებულ კანონებს სცემდა (1800 წ. კანონი კავშირების შესახებ) და მათ მოძრაობას ძირშივე სპობდა. გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი მუშები ღელავდენ და ხშირათ მანქანებს ამტვრევდენ, რადგან ამ მანქანებში ხედავდენ ისინი თავის გაუბედურების მიზეზს.

**2. პურის კანონები.** რევოლიუციონური საფრანგეთისა და ნაპოლეონის წინააღმდეგ ომის წარმოება ინგლისს ძვირათ უჯდებოდა. მიწისმფლობელი არისტოკრატია, რომელიც იმ დროს პარლამენტში გაბატონებული იყო, შეეცადა ომით გამოწვეული ხარჯების ანაზღაურებაში სხვა კლასებიც ჩაეთრია. პარლამენტმა პირველი მოთხოვნილების საგნებზე არაპირდაპირი გადასახადი შემოიღო და ამით მან დაბალი კლასებიც დაბეგრა. ამ მხრით განსაკუთრებით საყურადღებოა, ომის გათავებისთანავე გამოცემული, ე. წ. **პურის კანონები**.

ომისა და განსაკუთრებით კონტინენტალური ბლოკადის გამო პურის შეტანა ინგლისში გაძნელდა და მისმა ფასმა ძლიერ აიწია. ამი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტომ ინგლისის მიწისმფლობელებმა დიდი ხარჯები გასწიეს, რომ სახნავ-სათესი მიწების რაოდენობა გაედიდებიათ და სოფლის მეურნეობა გაეუმჯობესებიათ. როდესაც ომი გათავდა და პურის შეტანა, იაფათ, უცხოეთიდან შესაძლებელი გახდა, მიწისმფლობელებმა, პარლამენტს, სადაც ისინი უმრავლესობას წარმოადგენდენ, პურის კანონები გამოაცემიეს (1815), რომლის მიხედვითაც უცხოეთიდან შემოტანილ პურს დიდი ბაჟი დაადვეს; ასე რომ რაც უფრო იაფათ ღირდა უცხოეთის პური იმდენათ მეტი ბაჟი ედებოდა მას. ეს საშვალებას აძლევდა მიწისმფლობელ არისტოკრატიას უცხოეთის პურისთვის კონკურენცია გაეწია და პური მაღალ ფასებში გაეყიდა. მაგრამ პურის კანონები სავსებით ეწინააღმდეგებოდა ვაჭარ–მრეწველთა ინტერესებს, რადგან ეს კანონები უცხოეთთან ვაჭრობას აფერხებდა. განსაკუთრებით უფრო უკმაყოფილო იყვენ პურის კანონებით მუშები, რადგან მით გამოწვეული სიძვირე მუშებს აუტანელ მდგომარეობაში აგდებდა. ამიტომ მუშათა მოძრაობა ამ ხანებში თანდათან გაძლიერდა. თუმცა ამ მოძრაობას უფრო სტიქიური ხასიათი ქონდა.

ამ საშინელი კრიზისისა და მუშათა აუტანელ მდგომარეობის დროს ინგლისში განსაზღვრული სოციალური მოძღვრება წარმოიშვა. ეს მოძღვრება **რობერტ ოუენს** ეკუთნის. რობერტ ოუენი არსებული სამრეწველო სისტემის წინააღმდეგ ილაშქრებდა. მისი აზრით მუშა რომ სავსებით განთავისუფლდეს კაპიტალისტის ექსპლოატაციისაგან საჭიროა მუშათა საწარმოვო კავშირების, ანუ მუშათა საწარმოვო კოოპერაციების დაარსება. იმის მაგივრათ, რომ მუშებმა სხვისი სიმდიდრე შექმნან, უნდა შეერთდენ და საკუთარი, საერთო სიმდიდრე შექმნანო. ოუენი ბევრს ცთილობდა თავისი პროექტის განხორციელებას, მაგრამ თანამედროვე საზოგადოებაში მისი პროექტი განუხორციელებელი გამოდგა. შემდეგში მის სოციალურ მოძღვრებას **უტოპიური** (განუხორციელებელი) **სოციალიზმი** უწოდეს,

**3. კათოლიკეთა ემანსიპაცია.** მე-XIX საუკუნის მე-20 წლების გასულს ინგლისში რეაქციის ხანა დასრულდა და სახელმწიფო სინაგანი რეფორმების გზას დაადგა. ამ ხანებში ინგლისში განსაკუთრებით საარჩევნო უფლებისათვის ბრძოლა გაძლიერდა. ამ მხრით ყველაზე უფრო საყურადღებო რეფორმა—**კათოლიკეთა ემანსიპაცია** იყო. ტესტ-აქტის ძალით ინგლისში სახელმწიფო თანამდებობის დაჭერა, არაანგლიკანური ეკლესიის მიმდევარს, არ შეეძლო. ამ კანონით განსაკუთრებით კათოლიკეები იყვენ შეზღუდული და კათოლიკური ირლანდია სრულიად ჩამოცილებული იყო სახელმწიფო ცხოვრებას. თავის თანა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მემამულეთა ასეთი მდგომარეობის წინააღმდეგ ენერგიულად ილაშქრა ირლანდიის შესანიშნავი პატრიოტი **ოკონელი**. იგი სათავეში ჩაუდგა „**კათოლიკურ ასოციაციას**“ და მთელი თავისი მჭევრ-მეტყველებით ირლანდიელთა უფლებების დასაცავათ აღიმართა. ოკონელი ირლანდიაში პარლამენტის წევრათ აირჩიეს, მაგრამ მას ამ ადგილის დაჭერა, როგორც კათოლიკეს, არ შეეძლო. ინგლისის მთავრობამ ირლანდიელთა კანონიერ მოთხოვნილებას ანგარიში გაუწია; იგი დარწმუნდა, რომ მათი ისეთ მდგომარეობაში დატოვება აღარ შეიძლებოდა და 1829 წელს კონსერვატიული კაბინეტის მეთაურმა ჰერცოგმა **ველინგტონმა** პარლამენტში გაატარა ბილი კათოლიკეთა ემანსიპაციის (განთავისუფლების) შესახებ.

4. **პარლამენტის რეფორმა**. კათოლიკეთა ემანსიპაციის შემდეგ ინგლისში მალე პარლამენტის რეფორმაც გატარდა (1832). ინგლისში ძველი საარჩევნო სისტემა არსებობდა (იხ. 120 გვ.). ეს საარჩევნო სისტემა გამარჯვებას უმთავრესათ მიწისმფლობელ კლასებს ანიჭებდა, ბურჟუაზია კი, რომელიც ინგლისში მე XVIII საუკუნეში დიდათ გაძლიერდა, პარლამენტში სათანადოთ წარმოდგენილი არ იყო და სახელმწიფოს მართველობაზე შესაფერი გავლენით ვერ სარგებლობდა. ასე რომ ბრძოლას პარლამენტის რეფორმისთვის ამ ხანებში განსაკუთრებით მრეწველთა კლასები აწარმოებდენ, მათ მუშებიც უჭერდენ მხარს; ეს უკანასკნელნი საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღებას მოითხოვდენ.

1831 წლის არჩევნებმა გამარჯვება ვიგთა პარტიას არგუნა. ამ გამარჯვების შემდეგ მეფე ვილჰელმ IV-მ (1830—37) სამინისტროს შედგენა ვიგს, ლორდ **ბრეის**, მიანდო, რომელიც ჯერ კიდევ 40 წლის წინათ პარლამენტის რეფორმას, საარჩევნო სისტემის შეცვლას, მოითხოვდა. **ლორდ ბრეისა** და მის მომხრეებს რეფორმის გატარებისათვის დიდი ბრძოლა დასჭირდათ, მაგრამ ბოლოს ბილი, პარლამენტის რეფორმის შესახებ, გატარებულ იქნა. ეს რეფორმა არ იყო სრული; იგი შორს იყო საყოველთაო საარჩევნო უფლების აღიარებიდან, რომელსაც მუშები მოითხოვდენ, და საარჩევნო უფლებას შეძლებულ კლასებს ანიჭებდა. ამ რეფორმის ძალით „დამპალ დაბებს“ დეპუტატების არჩევის უფლება ჩამოერთვათ. დეპუტატის არჩევის უფლება მხოლოდ ისეთ დაბას მიენიჭა, რომლის მცხოვრებთა რიცხვიც 2.000-ს აღემატებოდა. სამაგიეროთ საარჩევნო უფლება მიეცათ იმ დიდ სამრეწველო ქალაქებს,

რომელნიც ამ დრომდი დეპუტატების არჩევის უფლებას მოკლებულნი იყვენ (მათ შორის **მანჩესტერს**, **ბერინგამს**, **ლიდსს**). ამას გარდა საარჩევნო უფლება მიენიჭათ იმ მესაკუთრეებს, რომელთა წლიური შემოსავალი იყო არა ნაკლებ 10 სტერლინგისა და იმ მოიჯარადრეებს, რომელნიც წლიურათ 10 გირვანქა სტერლინგზე ნაკლებს არ იხდიდენ. ასეთი იყო 1832 წლის რეფორმით შემოღებული საარჩევნო ცენზი. ამ რეფორმამ ორჯერ გაადიდა ამრჩეველთა რიცხვი, მაგრამ მან მუშებს არაფერი არ არგუნა, რადგანაც არჩევნებისთვის დიდი ცენზი იყო დანიშნული.

1832 წლის რეფორმით უმთავრესათ ბურჟუაზიამ მოიგო; მან ქვედა პალატაში ბევრი ახალი ადგილი მიიღო და ამ დროიდან პარლამენტში უმთავრესათ ბრძოლა მიწისმფლობელთა და მრეწველთა კლასების წარმომადგენლებს შორის სწარმოებდა.

**5. ჩარტიზმი. პურის კანონების გაუქმება.** როგორც დავინახეთ 1832 წლის რეფორმამ დაბალი კლასები სრულიად ვერ დააკმაყოფილა. ისინი მიუთითებდენ იმ გარემოებაზე, რომ პარლამენტში მხოლოდ შეძლებული კლასები იყვენ წარმოდგენილი და დაბალ კლასებს თავის ინტერესების დამცველი იქ არ ყავდათ; ამიტომ ისინი საარჩევნო სისტემის გადასინჯვას აუცილებლათ სთვლიდენ. ამ ნიადაგზე ინგლისში დიდი მოძრაობა წარმოიშვა; ამ მოძრაობას **ჩარტიზმი** ეწოდა. არსებული საარჩევნო სისტემით უკმაყოფილოებმა შეადგინეს „**სახალხო ქარტია**“ (ქარტია ინგლისურათ გამოითქმის charter=ჩარტერ, საიდანაც წარმოსდგა მთელი მოძრაობის სახელწოდება—ჩარტიზმი), სადაც ისინი მოითხოვდენ: 1) საყოველთაო საარჩევნო უფლებას, 2) პარლამენტის ყოველწლიურათ განახლებას, 3) არჩევნების დროს საიდუმლოთ ხმის მიცემას; 4) საარჩევნო ცენზის მოსპობას, 5) დეპუტატებისთვის ჯამაგირის დანიშვნას და სხვ. თუმცა ქარტიაზე მილიონ კაცზე მეტი აწერდა ხელს, მაგრამ პარლამენტმა იგი დიდი ხმის უმრავლესობით უარყო. მალე ჩარტისტული მოძრაობა მინელდა და მან პურის კანონების საწინააღმდეგო აგიტაციას დაუთმო ადგილი. პურის კანონების საწინააღმდეგო აგიტაციისთვის დაარსდა მთელი ლიგა, რომელსაც მეფაბრიკე **კობდენი** ჩაუდგა სათავეში. საერთოთ პურის კანონების გაუქმებას უმთავრესათ მეფაბრიკენი და ვაჭრები მოითხოვდენ. ლიგის მოთხოვნილებას ტორების პირველმა მინისტრმა **რობერტ პილმაც** დაუჭირა მხარი

და 1846 წელს პარლამენტმა პურის კანონები გაუქმებულათ გამოაცხა-
და. ამავე დროს ინგლისში თავისუფალი ვაჭრობის-**ფრიტრედის** იდეამაც, რომელსაც ვაჭარ-მრეწველნი უჭერდენ მხარს, გაიმარჯვა.

## საფრანგეთი მე-XIX საუკუნის პირველ ნახევარში.

1. **რესტავრაციის ეპოქა. ივლისის რევოლიუცია.** ნაპოლეონის ბატონობის დამხობის შემდეგ საფრანგეთში **ბურბონები** დაბრუნდენ. **უკანასკნელი ბურბონები** (**ლუდოვიკო** მე-XVIII და **კარლოს** მე-X — **ლუდოვიკო XVI**-ის ძმები) საფრანგეთში 1830 წლამდი მეფობდენ. ეს დრო (1814—30) **რესტავრაციის ეპოქის** სახელით არის ცნობილი. ბურბონებთან ერთად საფრანგეთს დაბრუნდენ ემიგრანტები, რომელნიც ძველი საფრანგეთის აღდგენაზე ოცნებობდენ და ამასთან ერთად წინანდლური პრივილეგიებისა და ჩამორთმეული მამულების დაბრუნებას მოელოდენ. ძველი წესწყობილების აღდგენას აგრეთვე სამღვდელოებაც უჭერდა მხარს. საფრანგეთის ერის უმრავლესობა კი ემიგრანტებსა და სამღვდელოებას სასტიკ ბრძოლას უცხადებდი და ძველი წესწყობილების აღდგენისაკენ გადადგმულ ნაბიჯებს ენერგიულათ ეწინააღმდეგებოდა. ამგვარათ რესტავრაციის დროს საფრანგეთის საზოგადოება ორ ბანაკათ იყო გაყოფილი; ერთი იცავდა ძველ საფრანგეთს; მეორე—ახალ საფრანგეთს. რესტავრაციის ეპოქა ამ ორ ბანაკს შორის გაუწყვეტელი ბრძოლით ხასიათდება.

**ლუდოვიკო XVIII**-მ (1814—24) საფრანგეთში კონსტიტუციური მართვა-გამგეობა შემოიღო. მისი 1814 წლის ქარტია ინგლისის კონსტიტუციის მიხედვით იყო შედგენილი. საკანონმდებლო ორგანო, ინგლისისებურ პარლამენტის მსგავსათ, ორი პალატისაგან შესდგებოდა; არსებობდა პასუხისმგებელი სამინისტრო და სხვ. მაგრამ დიდი საარჩევნო ცენზის გამო პალატებში საფრანგეთის ხალხის მხოლოდ შეძლებული ნაწილი იყო გაბატონებული.

რეაქციამ საფრანგეთში უკიდურესი ხასიათი მიიღო მას შემდეგ, რაც ტახტზე **ლუდოვიკო XVIII**-ის ძმა **კარლოს X** (1824—30) ავიდა. ეს მეფე, რომელსაც „ემიგრანტთა მეფეს“ უწოდებდენ, თავის რეაქციონერობას არ ფარავდა და ულტრა-როიალისტებთან და რეაქციონურ სამღვდელოებასთან აშკარა კავშირი ქონდა. მან ემიგრანტებს თუმ-

ბიბლიოთეკა

ცა ჩამორთმეული მიწები ველარ დაუბრუნა, მაგრამ სამაგიეროთ ემიგრანტების ფულით დასაჯილდოებლათ პალატებში კანონი გაატარეს. მთავრობის აშკარა რეაქციონური პოლიტიკა საზოგადოებაში დიდ აღელვებას იწვევდა. თავის მეფობის უკანასკნელ ხანებში მეფემ მართველობა უკიდურეს რეაქციონერს, თავადს **პოლინიაკს**, ჩააბარა. 1830 წლის არჩევნებმა გამარჯვება ლიბერალებს არგუნა; ასე რომ პალატის უმრავლესობა **პოლინიაკის** სამინისტროს წინააღმდეგი იყო. მაშინ მეფემ სახელმწიფოებრივი გადატრიალების მოხდენა განიზრახა. მან გამოსცა **ხუთი განკარგულება**, რომლის ძალითაკ ახლათ შეკრებილ პალატას დათხოვნილათ აცხადებდა, საარჩევნო ცენზს თავის საკუთარი უფლებით სხვილი მიწისმფლობელების სასარგებლოთ სცვლიდა, სასტიკ ცენზურას აწესებდა და სხვ.

პარიზის საზოგადოების უკმაყოფილებას საზღვარი არ ქონდა. დაიწყო რევოლიუცია. ბურჟუაზიის დეპუტატები და წინამძღოლნი თუმცა მთავრობის საწინააღმდეგოთ მოუწოდებდენ, მაგრამ გადაჭრილი მოქმედებისათვის მათ არავითარი საშვალება არ ქონდათ. ამ დროს მუშებიც ამოძრავდენ და ქუჩები ბარიკადებით მოიფინა (27, 28, 29 ივლისს). ორი დღის ბრძოლამ გამოააშკარავა, რომ გამარჯვება რევოლიუციონერების მხარეზე იყო· კარლოს X თავისი ოჯახობით ინგლისს გაიქცა.

ბურჟუაზიამ ისარგებლა იმ გამარჯვებით, რომელიც პარიზის მუშებმა და სტუდენტებმა მოიპოვეს, მან რესპუბლიკის შემოღებას მხარი არ დაუჭირა და ორლეანელი ჰერცოგის, **ლუდოვიკო ფილიპეს**, ტახტზე მოწვევით ისევ მონარქია დასტოვა **საფრანგეთში**. 1830 წლის რევოლიუციამ სხვილ ბურჟუაზიას სრული გამარჯვება მიანიჭა და ივლისის მონარქიის არსებობის დრო, სხვილი ბურჟუაზიის ბატონობის დრო იყო.

ივლისის რევოლიუციის გავლენა **ბელგიის** აჯანყებასა და მისი **დამოუკიდებელ სახელმწიფოთ** გამოცხადებაში გამოიხატა.

**2. სხვილი ბურჟუაზიის ბატონობის დრო და თებერვლის რევოლიუცია.** ამგვარათ მართვა-გამგეობის სადავეები ივლისის რევოლიუციით გამარჯვებულმა სხვილმა ბურჟუაზიამ ჩაიგდო ხელში. ივლისის მონარქიამ **საფრანგეთში** მტკიცე ნიადაგი ვერ მოიპოვა და იგი მხოლოდ 18 წლის განმავლობაში არსებობდა. **საზოგადოებაში**, არსებული წესწყობილებით გამოწვეული უკმაყოფილება დ სახელმწიფოებრივი წესწყობილების ცვლილებებისადმი მისწრაფება თანდათან იზრდებოდა. ივლისის მო-

ნარქის არსებობის დროს საფრანგეთში განწყობილება ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის დიდათ გამწვავდა და, ივლისის მონარქიის არსებობის პირველი ათი წლის განმავლობაში, მუშათა აჯანყებებს სხვადასხვა კუთხეში ხშირად ქონდა ადგილი. საერთოთ უკმაყოფილო მუშები პირველ ხანებში რესპუბლიკელებს უჭერდენ მხარს, მე-40 წლებში კი მათში სხვადასხვა სოციალური მოძღვრება გავრცელდა.

მე-30 წლებში საფრანგეთში ძლიერ გავრცელებული იყო **სენ-სიმონისა** და **ფურიეს** უტოპიურ-სოციალისტური (ოუენისებური) მოძღვრებანი. მე-40 წლებში კი მუშათა წრეებში დიდათ მოიკიდა ფეხი **ლუი-ბლანის** მოძღვრებამ. ლუი-ბლანმა სოციალისტურ მოძღვრებას რევოლიუციონური ხასიათი მისცა. მან პირველათ წამოაყენა ის აზრი, რომ სახელმწიფო ძალა-უფლება მუშებმა უნდა ჩაიგდონ ხელში და შემდეგ სახელმწიფომ თვით უნდა მოაწყოს შრომის საქმეო. სახელმწიფო თვით უნდა შეიქნეს მწარმოებელი და დააარსოს **„ნაციონალური სახელოსნოებიო“**. ამგვარათ მოისპობა, ლუი-ბლანის აზრით, შრომის ექსპლოატაცია. ამავე დროს ეკუთნის **პ. პრუდონის** თხზულება **„რა არის საკუთრება?“** დასმულ კითხვაზე პრუდონი უპასუხებდა: **„საკუთრება ქურდობა არისო“**.

მთავრობამ, რომელიც ბურჟუაზიულ პალატებზე ეყრდნობოდა, სასტიკის ზომებით შეებრძოლა აჯანყებებს. მალე მთავრობამ აჯანყებები ჩააქრო, სახელმწიფოში გარეგნული მშვიდობიანობა დამყარდა და მე-40 წლებში **გიზოს სამინისტრო** უკვე მტკიცეთ გრძნობდა თავს. მაგრამ ივლისის მონარქია არ გამოდგა მტკიცე საფუძვლებზე დაყრდნობილი; იგი **თებერვლის რევოლიუციამ** (1848) დაამხო.

თებერვლის რევოლიუციის საბაბათ არსებული საარჩევნო სისტემის (რომელიც პალატებში ბატონობას შეძლებულ კლასებს ანიჭებდა) საწინააღმდეგო აგიტაცია შეიქნა. საარჩევნო სისტემის შეცვლის მომხრე საშუალო ბურჟუაზიაც იყო. საარჩევნო რეფორმის მომხრეებმა თავისი აგიტაცია განსაკუთრებით 1847—8 წლებში გააძლიერეს.

ისინი თავის აგიტაციას ბანკეტებზე შესაფერი სიტყვების წარმოთქმით აწარმოებდენ. ერთი ამგვარი ბანკეტი პარიზში 1848 წლის 22 თებერვლისთვის იყო დანიშნული. ეს ბანკეტი გიზომ აკრძალა. საზოგადოებაში რევოლიუციის სუნი დატრიალდა. აჯანყებულმა მუშებმა და სტუდენტებმა გიზოს სამინისტროს გადადგომა მოითხოვეს. მეფე ამაზე დასთანხმდა, მაგრამ უკვე გვიან იყო: რესპუბლიკელებმა ქუჩები ბარიკადებით მოფინეს. ივლისის მონარქია დაემხო, მეფე გაიქცა და საფრანგეთში დროებითი რესპუბლიკური მთავრობა შესდგა, რომლის შე-

შემადგენლობაშიც მუშებმა თავისი ინტერესების დასაცავათ **ლუი-ბლანი** და მუშა **ალბერი** გაგზავნეს. 24 თებერვალს დროებითმა მთავრობამ საფრანგეთში რესპუბლიკა გამოაცხადა (მეორე რესპუბლიკა).

**3. მეორე რესპუბლიკა და 1852 წლის გადატრიალება.** მალე ბურჟუაზიასა და მუშათა კლასს შორის, რომლებიც თებერვლის რევოლიუციის მოხდენაში იღებდენ მონაწილეობას, კლასობრივმა წინააღმდეგობამ იჩინა თავი. მუშათა კლასი რესპუბლიკის გამოცხადებას სოციალური რეფორმების გატარებას, თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებას უკავშირებდა; იგი საზოგადოებრივი წესწყობილების, იმ დროს გავრცელებული, სოციალისტური პრინციპების საფუძვლებზე გარდაქმნას მოითხოვდა. **დროებითმა** მთავრობამ მუშათა მოთხოვნილება იმით დააკმაყოფილა, რომ **პარიზში** ე. წ. **ნაციონალური სახელოსნოები** დააარსა, სადაც მრავალმა მუშამ (100.000-ზე მეტმა) მოიყარა თავი.

**დამფუძნებელი** კრება, რომელიც მაისის პირველ რიცხვებში შეიკრიბა უმთავრესათ სოციალური რეფორმების მოწინააღმდეგე ელემენტებისაგან შესდგებოდა. **მან** გადასწყვიტა ნაციონალური სახელოსნოების დაკეტა და მუშების დათხოვა. **ამან პარიზში** მუშათა აჯანყება გამოიწვია. 4 დღის განმავლობაში (22—26 ივნისამდი) ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის **პარიზის** ქუჩებში საშინელი ბრძოლა სწარმოებდა. **დამფუძნებელი** კრების მიერ დიქტატორათ დანიშნულმა გენერალმა **კავენიაკმა პარიზის** პროლეტარიატი სისხლში ჩაახრჩო და აჯანყება ჩააქრო. **პარიზში** ბურჟუაზიული რეაქცია დამკვიდრდა. **აჯანყებულთა** მეთაურებს სასტიკათ სჯიდენ და დევნიდენ.

1848 წ. გასულს დამფუძნებელმა კრებამ რესპუბლიკური კონსტიტუცია შეიმუშავა, რომლის ძალითაც საკანონმდებლო ძალა-უფლება **საკანონმდებლო კრებას** გადაეცა; ხოლო აღმასრულებელი ძალა-უფლება—**პრეზიდენტს,** რომელსაც 4 წლით ირჩევდენ. **პრეზიდენტათ** დიდი ხმის უმრავლესობით (ხუთ მილიონ ნახევარი ხმით) **ლუდოვიკო ნაპოლეონი** (**ნაპოლეონ** I-ის ძმისწული) იქნა არჩეული. **მეორე** რესპუბლიკის არსებობა **საფრანგეთში** ხანგრძლივი არ გამოდგა. 1851—52 წ. პრეზიდენტმა მთელი ძალა-უფლება ჩაიგდო ხელში და საკანონმდებლო ორგანოებს თითქმის ყოველგვარი უფლება ჩამოართვა. 1852 წლის გასულს **ლუდოვიკო ნაპოლეონმა** თავისი თავი იმპერატორათ გამოაცხადა, რაიცა **პლებისციტმა** დაადასტურა (7.800.000 ხმით). **ახალგაზდა** იმპერა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორმა **ნაპოლეონ III-ის** სახელწოდება მიიღო (ნაპოლეონ II-ად ნაპოლეონ I-ის შვილს უწოდებდენ). აქედან დაიწყო **მეორე იმპერიის** ეპოქა საფრანგეთში, რომელიც 1870 წლამდი გაგრძელდა.

## 1848 – 49 წლების რევოლიუციები გერმანიასა, ავსტრიასა და იტალიაში.

**1. რევოლიუცია და რეაქცია გერმანულ ქვეყნებში.** საფრანგეთის თებერვლის რევოლიუციამ სხვა ქვეყნებშიც გამოიწვია რევოლიუციები. რევოლიუციის ალი განსაკუთრებით გერმანულ ქვეყნებსა და იტალიას მოედვა.

გერმანული ქვეყნები ამ ხანებში ყველაზე უფრო ჩამორჩენილი იყვენ. მე-XIX საუკუნის პირველ ნახევარში გერმანულ სახელმწიფოებში ძირითადი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი რეფორმები არ გატარებულა და იქ მონარქიულ-ფეოდალური წესწყობილება თითქმის ხელუხლებლათ დარჩა. განათლებული **ბიურგერები** (ისე როგორც საფრანგეთში ბურჟუაზია რევოლიუციის წინ) რადიკალური რეფორმების გატარებას, კონსტიტუციის შემოღებას, გერმანიის გაერთიანებას, ბატონყმობის მოსპობას, ბეჭდვისა და კრებების თავისუფლებას, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებას და სხვ. მოითხოვდენ. სოფლებში გლეხები ღელავდენ და ბატონ-ყმური უღლისა და ფეოდალურ ვალდებულებათაგან განთავისუფლება სურდათ. თავისი მდგომარეობით აგრეთვე ქალაქის მუშებიც უკმაყოფილო იყვენ. საფრანგეთის რევოლიუციამ ეს უკმაყოფილო ელემენტები აამოძრავა და მარტში თითქმის ყველა გერმანულ სახელმწიფოში რევოლიუცია მოხდა. რევოლიუციამ არამც თუ მარტო წვრილ სახელმწიფოებში, არამედ დიდ მონარქიებშიც—ავსტრიასა და პრუსიაშიც, იფეთქა. ავსტრიაში სოციალურ უკმაყოფილებას, ეროვნული უკმაყოფილებაც მიემატა. (ავსტრია უკანასკნელ ხანებამდი მრავალი სხვადასხვა ერისაგან შეკოწიწებულ მონარქიას წარმოადგენდა). ასე რომ ბიურგერებთან, ღარიბ-ღატაკ მუშებთან და ბატონყმობის უღელ ქვეშ მყოფ გლეხებთან ერთად ავსტრიის მონარქიის ქვეშევრდომი ერებიც აღდგენ ეროვნული თავისუფლების მოსაპოებლათ. 1848 წლის მარტში ვენაში დიდი აჯანყება მოხდა. მეტერნიხი ინგლისს გაიქცა, ხოლო იმპერატორი ფერდინანდ I დათმობის გზას დაადგა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვენაში დამფუძნებელი კრების მოწვევაზე დასთანხმდა. თითქმის ამავე დროს აჯანყება პრუსიის სატახტო ქალაქ **ბერლინშიც** მოხდა (18 მარტს). იქაც მეფე ფრიდრიხ-ვილჰელმ IV-მ ნამდვილი კონსტიტუციის შესამუშავებლად აჯანყებულებს დამფუძნებელი კრების მოწვევა აღუთქვა, რომელიც (2 მაისს), ეროვნული კრების სახელით, მოწვეულ იქნა.

1848 წლის მარტის გასულს გერმანიის სხვადასხვა სახელმწიფოების ლიბერალური პარტიების გამოჩენილი წევრები **ფრანკფურტში** შეიკრიბენ, წინასწარი პარლამენტი (**ფორპარლამენტი**) შეადგინეს და გერმანიის მთავრობებს მიმართეს წინადადებით, რათა მათ საყოველთაო ხმის მიცემით არჩეული დეპუტატები გაეგზავნათ მთელი **გერმანიის ეროვნულ კრებაში**, რომელიც გერმანიის სახელმწიფოებრივ წესწყობილებას შეიმუშავებდა. **მთავრობები** აქაც დათმობის გზას დაადგენ და ასეთი კრება, ფრანკფურტის პარლამენტი, მალე შეიკრიბა.

1748 წლის გასულს ავსტრიაში რეაქცია დაიწყო. გენერალმა **ვინდიშგრეცმა** დიდის სისწრაფით ჩააქრო აჯანყება **ჩეხიაში**, ვენაც აიღო და ამას შემდეგ დამფუძნებელი კრება, რომელმაც ფეოდალური ვალდებულებათა გაუქმების შესახებ რამდენიმე დადგენილების გამოტანა მოასწრო, დათხოვნილ იქნა. ამ ხანებში ფერდინანდ I-მა ტახტი თავის ძმისწულს, ფრანც-იოსებს, დაუთმო; ახალმა მთავრობამ კონსტიტუცია გამოსცა, რომელიც მალე ისევ გააუქმა. ავსტრიამ რევოლიუცია უნგრეთშიც ჩააქრო. უნგრეთში ამ დროს რესპუბლიკა იყო გამოცხადებული და დიკტატორის უფლებებით გაბედული პატრიოტი **კოშუტი** იყო აღჭურვილი. უნგრეთის რევოლიუციის ჩაქრობაში ავსტრიას დიდი დახმარება **რუსეთის** იმპერატორმა **ნიკოლოზ** I-მა აღმოუჩინა, რომელსაც უნგრეთის რევოლიუცია დიდად აფრთხობდა. ავსტრია-რუსეთის ჯარებმა უნგრეთის რევოლიუცია ჩააქვრეს და უნგრეთი ისევ ჰაბსბურგების იმპერიის უბრალო პროვინციად გადაიქცა. ავსტრიაში რეაქციის გამარჯვებამ პრუსიის რევოლიუციაზეც ცუდად იმოქმედა. იქაც ეროვნული კრება მალე დათხოვნილ იქნა და 1850 წ. შემოღებულ იქნა ის კონსტიტუცია, რომელიც პრუსიაში უკანასკნელ ხანებამდი არსებობდა. ფრანკფურტის პარლამენტსაც ავსტრია-პრუსიის რეაქციამ ნიადაგი გამოაცალა ფეხქვეშ და გერმანიის გაერთიანების იდეა არ შესრულდა; მისი შესრულება კიდევ რამდენიმე წლით გადაიდვა. გერმანულ ქვეყნებში რევოლიუციის დამარცხებისა და რეაქციის გამარჯვების მთავარი მიზეზი ის

უთანხმოება იყო, რომელმაც საზოგადოებრივ კლასებსა და ეროვნებებს (ავსტრიაში) შორის იჩინა თავი.

**2. რევოლიუცია და რეაქცია იტალიაში.** თებერვლის რევოლიუციამ იტალიელ პატრიოტებსაც ფრთები შეასხა და იტალიის განთავისუფლებისა და გაერთიანების იმედი აღუძრათ. მოძრაობის ცენტრში მოექცა **მაძინი**, რომელმაც „**ახალგაზდა იტალიის**“ საიდუმლო საზოგადოება დააარსა და დემოკრატიული რესპუბლიკის სახით, იტალიის გაერთიანება დაისახა მიზნათ. მეორე მხრით, ბევრი იტალიელი დიდ იმედს ამყარებდა **სარდინიასა** და მის მეფეზე, **კარლოს-ალბერტზე**, რომელიც **ავსტრიის** წინააღმდეგ დიდ სამხედრო მზადებაში იყო. ამას გარდა 1546 წ. პაპის ტახტი პიუს IX-მ დაიკავა, რომელსაც იტალიის გაერთიანებისა და განთავისუფლების მომხრეთ სთვლიდენ.

ივლისის მონარქიის დამხობა საერთო აჯანყების ნიშანი შეიქნა იტალიაში. ბევრმა იტალიის მეფემ ტახტი მიატოვა და გაიქცა. კარლოს-ალბერტმა ავსტრიის წინააღმდეგ ომი დაიწყო და ლომბარდიაში გადავიდა. ამავე დროს დემოკრატიულმა პარტიამ რომსა და ვენეციაში რესპუბლიკა გამოაცხადა, მაგრამ კარლოს-ალბერტს ავსტრიის წინააღმდეგ დახმარება ვერ აღმოუჩინა. საერთოთ პარტიები ვერ შეთანხმდენ და ერთმანეთს შესაფერი დახმარება ვერ აღმოუჩინეს. ამის გამო იტალიის რევოლიუცია მალე დამარცხდა და ამ ქვეყნის გაერთიანების საქმეც კიდევ რამდენიმე ხნით გადაიდვა. ავსტრიის ჯარებმა, **რადეცკის** მეთაურობით, კარლოს-ალბერტი დაამარცხეს (კოსტოცთან და ნოვარასთან). ამას შემდეგ კარლოს-ალბერტი ტახტიდან გადადგა და ტახტი თავის შვილს ვიკტორ-ემანუელს (1848—78) დაუთმო. ახალმა მეფემ ავსტრიასთან ზავი შეკრა და მას ლომბარდია დაუბრუნა. მალე რადეცკიმ ვენეციაც აიღო და იგი ავსტრიას დაუმორჩილა. იტალიის რევოლიუციის ჩაქრობაში საფრანგეთის პრეზიდენტი ლუდოვიკო ნაპოლეონიც ჩაერია და შესანიშნავი პატრიოტი **გარიბალდი**, რომელიც რომს თავგანწირულათ იცავდა, საფრანგეთის ჯარებმა დაამარცხეს და რომი პაპს დაუბრუნეს. მთელ იტალიაში, გარდა სარდინიისა, საშინელი რეაქცია დაიწყო.

## იტალიისა და გერმანიის გაერთიანება.

**1. ეროვნული ომები ევროპაში და საფრანგეთის საგარეო პოლიტიკა.** დასავლეთ ევროპის საერთაშორისო მდგომარეობა მე-XIX სა-

უკუნის მე-60 და მე-70 წლებში იტალიისა და გერმანიის გაერთიანების გარშემო წარმოებული ომებით ხასიათდება. ამ ხანებში იტალიისა და გერმანიის გაერთიანების საქმე, რომელიც 1848 წლის რევოლიუციის დროს არ შესრულდა, ჩქარის ტემპით ვითარდებოდა. ახალი, დიდი პოლიტიკური სხეულების — ეროვნული სახელმწიფოების წარმოშობა დიდ შიშს იწვევდა ევროპაში: ერთი მხრით საფრანგეთისთვის გაერთიანებული გერმანია დიდ საფრთხეს წარმოადგენდა; ხოლო, მეორე მხრით, ავსტრიისთვის იტალიისა და გერმანიის გაერთიანება ნიშნავდა მისი ამ ორივე ქვეყნიდან განდევნას. გაერთიანების გზით მიმავალი ერები ამ მხრით დიდ დაბრკოლებას შეხვდენ და სწორეთ ამ ნიადაგზე 16 წლის განმავლობაში (1854—70), შუა ევროპაში, ექვს დიდ ეროვნული ხასიათის ომს ქონდა ადგილი.

ეროვნული ომების წარმოშობას ევროპაში განსაკუთრებით თავის საგარეო პოლიტიკის მიზნებით საფრანგეთის იმპერატორმა ნაპოლეონ III-მ შეუწყო ხელი. როგორც დიდი ნაპოლეონის მემკვიდრე, ნაპოლეონ III საფრანგეთისთვის წინანდლური სამხედრო ჰეგემონიის დაბრუნებას აუცილებლათ სთვლიდა. ამას გარდა ფრანგები რომ შინაური რეაქციისთვის შეერიგებია და მათი ყურადღება საგარეო საქმეებისთვის მიექცია, მან თავის საგარეო პოლიტიკას, გარეგნულათ, ერების განთავისუფლების ბრწყინვალე მიზანი დაუდვა საფუძვლათ. ამგვარათ ნაპოლეონ III-მ თუმცა ძველ პოლიტიკურ წონასწორობისა და ლეგიტიმიზმის პრინციპებს, ევროპის საერთაშორისო ცხოვრებაში, ეროვნული პრინციპი დაუპირდაპირა, მაგრამ ის ამ პრინციპს ყოველთვის გულწრფელათ ვერ ემსახურებოდა, რადგან საფრანგეთისთვის არც იტალიისა და არც გერმანიის სრული გაერთიანება ხელსაყრელი არ იყო.

უპირველეს ყოვლისა ნაპოლეონ III-მ, ინგლისთან ერთად, ევროპის რეაქციის სალი კლდის — რუსეთის დასუსტება გადასწყვიტა. საფრანგეთმა და ინგლისმა მხარი დაუჭირეს ოსმალეთს, როდესაც ამ უკანასკნელს რუსეთთან მოუხდა შეტაკება და შეერთებული ფლოტი შავი ზღვის შესავალთან გაგზავნეს; ხოლო შემდეგ კი ყირიმში ხმელეთის ჯარიც გადასხეს. მოკავშირეებს სარდინელებიც შეუერთდენ, რადგან მათ დიდი სახელმწიფოების ყურადღება და თანაგრძნობა სურდათ დაემსახურებიათ. მთელი თერთმეტი თვის განმავლობაში სევასტოპოლი მოკავშირეების მიერ ალყა შემორტყმული იყო და მის გარშემო სასტიკი

ბრძოლა სწარმოებდა. ამ დროს რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ I გარდაიცვალა და მისმა მემკვიდრემ ალექსანდრე II მ, სევასტოპოლის დაცემის შემდეგ, მოკავშირეებთან საზავო მოლაპარაკება დაიწყო. **ყირიმის ომი** (1853—56) **პარიზის კონგრესით** გათავდა. მოკავშირეების მთავარი მიზანი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე რუსეთის გავლენის მოსპობა იყო. მათ ამ მიზანს კიდეც მიაღწიეს. პარიზის ტრაკტატის ძალით, რუსეთმა დუნაის შესართავთან მდებარე თავის სამფლობელოები მოლდავიას დაუთმო. რუსეთს აეკრძალა შავ ზღვაზე სამხედრო ფლოტის ყოლა. შავი ზღვა ნეიტრალურათ იქნა გამოცხადებული და სრუტეები—ბოსფორი და დარდანელი დაიკეტა ყველა სახელმწიფოს სამხედრო გემებისათვის. დასასრულ, რუსეთმა დაკარგა ოსმალეთის ქრისტიან ქვეშევრდომთა მფარველობის უფლება და ეს უკანასკნელნი დიდი სახელმწიფოების მფარველობაში გადავიდენ.

ამას შემდეგ ნაპოლეონ III-მ გადასწყვიტა იტალიის ეროვნული მოძრაობისთვის დაეჭირა მხარი. 1858 წელს გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის, სარდინიის პირველი მინისტრის, კავურის, მეცადინეობით საფრანგეთსა და სარდინის შორის ხელშეკრულება დაიდვა, რომლითაც ნაპოლეონ III-მ სარდინიის მეფეს, ვიქტორ-ემანუელს, ავსტრიის წინააღმდეგ დახმარება აღუთქვა და ჩრდილო იტალიის ადრიატიკამდი დაპყრობაში დახმარებისთვის, სარდინიის მეფიდან სავოიისა და ნიცის დათმობის აღთქმა მიიღო. როდესაც ავსტრიამ სარდინელების განიარაღება მოითხოვა, ნაპოლეონ III-მ თავისი ჯარები ჩრდილო იტალისაკენ გაგზავნა. ორი დიდი ბრძოლის შემდეგ ავსტრიელები ლომბარდიიდან განდევნეს (1859). ამ დროს სარდინიის ჯარებთან ერთად თავისი მოხალისეებით რესპუბლიკელი ღარიბალდიც იბრძოდა. ნაპოლეონ III-მ ხელშეკრულება არ შეასრულა და ავსტრიელებთან დამოუკიდებლათ დაიწყო საზავო მოლაპარაკება; მან სარდინიიდან სავოია და ნიცა მიიღო, ხოლო სარდინიას ავსტრიიდან მიღებული ლომბარდია გადასცა. ვენეცია ისევ ავსტრიის ხელში დარჩა. ნაპოლეონ III-მ თავის მოქმედებით იტალიის ეროვნული პარტია აიმხედრა. ამიტომ იტალიის გაერთიანების საქმე 1859 წლიდან დამოუკიდებელი გზით წავიდა.

**2. იტალიის გაერთიანება.** შუა იტალიის ყველა კუთხეში: ტოსკანაში, მოდენაში, პარმაში, რომანიაში, მცხოვრებლები თავის მართველებს გადაუდგენ და სარდინიის სამეფოსთან შეერთების სურვილი გა-

მოსთქვეს. **სამხრეთ იტალიამაც**, რომელიც იმ დროს თავის მოხალისეებით ჰარიბალდიმ დაიკავა, მცხოვრებლებმა, პლებისციტით, **სარდინიასთან** შეერთებას დაუჭირეს მხარი.

1860 წლის გაზაფხულზე **ტურინში**, იტალიის ყველა კუთხის წარმომადგენლებისაგან, პარლამენტი შეიკრიბა, რომელმაც ვიქტორ-ემანუელი **იტალიის მეფეთ** გამოაცხადა. (კავური, რომელსაც იტალიის გაერთიანების საქმეში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღოდა, ამ გამარჯვების დროს უეცრათ გარდაიცვალა). ამას შემდეგ ავსტრიელების ხელში მხოლოდ ვენეცია რჩებოდა და **რომი** კი — პაპის ხელში, რომელსაც მფარველობას **საფრანგეთი** უწევდა. იტალიელები რომის სატახტო ქალაქათ გამოცხადებასა და პაპის საერო უფლების გაუქმებას მოითხოვდენ. **მაძნი** და ჰარიბალდი ამ მხრით სამხედრო მოქმედების წარმოების მომხრე




იტალიის გაერთიანება.

იყვენ დ პაპის ქვეშევრდომთა „ღვდლების ტირანიისგან“ განთავისუფლე-ბას მოითხოვდენ. პაპი პიუს IX უკიდურეს რეაქციონურ გზას ადგა, მან რამდენჯერმე წყევლა კრულვას მისცა სოციალისტები და საერთოთ ახალი ცივილიზაცია და 1870 წ. ვატიკანის მსოფლიო კრებაზე **პაპის უცოდველობა**, საშვალო საუკუნეების მოცულობით, აღიარა.

ჰარიბალდი რამდენჯერმე შეიჭრა თავის მოხალისეებით პაპის სამ-ფლობელოში, მაგრამ მისი თავდასხმა მოიგერიეს ფრანგებმა, რომლებიც პაპის საერო უფლებას აქ დარაჯათ უდგენ. თვით სარდინიაც რომის შე-ერთების საკითხს უჯროვოთ სთვლიდა და ჰარიბალდის ეწინააღმდე-გებოდა. 1866 წელს, ავსტრია-პრუსიის ომის დროს, იტალიელებმა ვე-ნეციის შეერთება მოახერხეს; ხოლო 1870 წელს, საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს, რომის ბედიც გადაწყდა. ამ ომის დაწყებისთანავე საფრან-გეთმა რომიდან თავის ჯარები გაიყვანა. მალე პრუსიასთან ბრძოლაში საფრანგეთის იმპერია დაემხო და ამ დროს იტალიის ჯარებმა რომი და-იკავეს (1870 წლის სეკტემბერში). პაპი მხოლოდ ვატიკანის მფლობე-ლათ იცვნეს. ასე დასრულდა იტალიის განთავისუფლება და მისი **პო-ლიტიკური გაერთიანება**.

3. **პრუსიის გაძლიერება**. მე 60 წლებში შუა ევროპა-ში დიდათ გაძლიერდა და გერმანიის საქმეებში ჰეგემონია მოიპოვა პრუ-სიის სამეფომ. მისი ასეთი გაძლიერება და გერმანიის პოლიტიკური გა-ერთიანების მეთაურის როლში გამოსვლა, ავსტრიისა და საფრანგეთის-თვის დიდ საფრთხეს წარმოადგენდა და მათ მოსვენებას არ აძლევდა. აქედან წარმოსდგა ორი დიდი ომი შუა ევროპაში, ჯერ პრუსიასა და ავსტრიას შორის (1866) და შემდეგ პრუსიასა და საფრანგეთს შორის (1870). ორივე ეს ომი პრუსის ბრწყინვალე გამარჯვებით და გერმა-ნიის პოლიტიკური გაერთიანებით დასრულდა.

1861 წელს პრუსიის ტახტზე ვილჰელმ I ავიდა. პრუსიის ახალი მეფე და მისი ახლობელი თანამშრომლები, სამხედრო მინისტრი **როონი** და გენერალური შტაბის უფროსი **მოლტკე**, გერმანიაში სრული ჰეგე-მონიის მოსაპოებლათ პრუსიის სამხედრო გაძლიერებას აუცილებლათ სთვლიდენ. მაგრამ ჯარის გადიდება და სხვა სამხედრო რეფორმები დიდ ახალ ხარჯებს მოითხოვდა, რაზედაც პრუსიის დეპუტატთა პალატის უმრავლესობა მეფეს დასტურს არ აძლევდა. ამავე დროს პრუსიაში **პრო-გრესისტების პარტია** გაჩნდა, რომელიც პრუსიის „უფლებრივ სახელ-

მწიფოთ“ გადაქცევას, ე. ი. პრუსიაში სრული პარლამენტალური წყობილების განხორციელებას და გერმანიის, პრუსიის ჰეგემონიის ქვეშ, გაერთიანებას მოითხოვდა, მაგრამ მთავრობის მილიტარისტული მიზნების წინააღმდეგი იყო. ამ პარტიამ მალე დეპუტატთა პალატაში უმრავლესობა შეადგინა და ამას შემდეგ მთავრობასა და პალატას შორის უთანხმოება — **„კონფლიკტი“**, ჩამოვარდა, რომელიც რამდენიმე წელს გაგრძელდა. მთავრობა, მიუხედავათ პალატის წინააღმდეგობისა, ხარჯებს კრებდა და სამხედრო რეფორმას ატარებდა. ამ კონფლიკტის დროს ვილჰელმ I-მა პირველი მინისტრის თანამდებობაზე **ოტო ფონ-ბისმარკი** მოიწვია (1862), რომელმაც თავისი კონსერვატიული შეხედულებით ადრევე გაითქვა სახელი. ბისმარკი თავის პროგრამას შემდეგი სიტყვებით გამოსთქვამდა: „გერმანიის მთლიანობა განხორციელდება არა საპარლამენტო სიტყვებითა და კენჭის ყრით, არამედ **რკინითა და სისხლით**“. მან მართლაც მალე შეასრულა ეს რკინაზე და სისხლზე აგებული პოლიტიკური პროგრამა.

კონფლიკტის დროს გერმანიაში პირველათ გამოვიდა პოლიტიკურ ასპარეზზე **მუშათა პარტია**. იგი დიდ საინდუსტრიო კუთხეებში: რეინის მხარეში, საქსონიასა და სილეზიაში შესდგა. ამ ხანებში მათი ხელმძღვანელობა გამოჩენილმა ადვოკატმა და ჟურნალისტმა **ფერდინანდ ლასალმა** (1824—64) იკისრა. ლასალი მიუთითებდა მუშებს იმ გარემოებაზე, რომ ისინი პოლიტიკას არ უნდა გაურბოდენ, არამედ, პირიქით, მათ თავის დროშაზე **საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლებისთვის** ბრძოლა უნდა დააწერონ. ამ უფლების მოპოება კი მუშებს სახელმწიფო ცხოვრებაზე დიდ გავლენას მიანიჭებსო. 1863 წელს რეინისა და საქსონიის მუშათა ცენტრებიდან ლეიპციგში მუშათა დეპუტატები შეიკრიბენ, რომელთაც ლასალი 5 წლის ვადით მუშათა კავშირის პრეზიდენტათ აირჩიეს. ამ დროს ლასალმა ბისმარკთან მოლაპარაკება გამართა და მუშათა დახმარება აღუთქვა საერთო მტრის, ბურჟუაზიის წინააღმდეგ; მაგრამ ლასალი მალე დუელში მოკლეს (1864) და ეს კავშირი არ მოეწყო. ნაწილი მუშებისა ლასალს არ მიემხრო და დამოუკიდებელი პარტია შეადგინა, რომელიც სახელმწიფო ძალა-უფლებასთან რაიმე კავშირის დამყარების წინააღმდეგი იყო. მათ წრეში განსაკუთრებული გავლენა 1865 წლიდან საქსონელმა **ავგუსტ ბებელმა** მოიპოვა.

1864 წელს პრუსიამ ავსტრიასთან ერთად დანიის მფლობელობაში მყოფი კუთხეები: **შლეზვიგი და ჰოლშტეინი** დაიკავა (დანიის ომი). ამ კუთხეების დაჭერის შემდეგ პრუსიასა და ავსტრიას შორის უთანხმოება ჩამოვარდა, რადგან პრუსიას აშკარათ სურდა ამ კუთხეების შეერთება. ამავე დროს პრუსიამ ძველი გერმანიის კავშირი დაშლილათ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოაცხადა და „გერმანიის ერის მთლიანობის“ განსახორციელებლათ გერმანიის წესწყობილების ახალი პროექტი შეადგინა. ამ ცვლილების წინაალმდეგი, არამც თუ ავსტრია, არამედ მთელი სამხრეთი გერმანია და კიდევ სხვა სახელმწიფოებიც (ბავარია, ვიურტემბერგი, ბადენი, საქსონია, ჰანოვერი) იყვენ. ამგვარათ პრუსიასა და ავსტრიას შორის სამხედრო მოქმედების დაწყებისთვის საკმაოდ მომზადდა ნიადაგი. ბისმარკის სურვილსაც ეს შეადგენდა. 1866 წელს პრუსიასა და ავსტრიას (რომელსაც პრუსიის მოწინაალმდეგე გერმანიის სახელმწიფოები უმაგრებდენ მხარს) შორის ომი დაიწყო. ბისმარკმა იტალიასთან კავშირი შეკრა, ხოლო ნაპოლეონ III სხვადასხვა დაპირებით მიიმხრო და ამ მხრით პრუსია უზრუნველყო. შესანიშნავმა სტრატეგმა მოლტკემ, კარგათ შეიარაღებული და გაწრთვნილი ჯარით, ომი სულ მოკლე ხანში გაათავა. პრუსიის მთავარი ძალები საქსონიიდან ბოჰემიაში გადავიდენ და აქ ერთ დიდ ბრძოლაში (**სადოვასთან**) სასტიკი დამარცხებით ავსტრიელები აიძულეს ზავი ეთხოვათ. პრაგის ზავით (1866) ავსტრიამ ვენეციის ოლქი დაკარგა (იგი იტალიის გადასაცემათ ნაპოლეონ III-ს დაუთმო) და გამორიცხულ იქნა **გერმანიის კავშირიდან**, რომელიც ამავე დროს გაუქმებულათ გამოაცხადეს.

1866 წლის ომმა პრუსიას გერმანიის საქმეებში სრული ჰეგემონია მიანიჭა. რამდენიმე კუთხის შემოერთებით მან თავისი ტერიტორია გააერთიანა და შლეზვიგ-ჰოლშტეინიც ხელში ჩაიგდო. ამას გარდა მაინიცის ხაზიდან ჩრდილოეთით მდებარე გერმანიის სახელმწიფოებმა, პრუსიის მეთაურობით, **ჩრდილო-გერმანიის კავშირი** შეადგინეს. ახალი კავშირის სეიმს, რომელსაც **რეიხსტაგი** ეწოდა, საყოველთაო ხმის მიცემით ირჩევდენ. ბისმარკი ამ კავშირის კანცლერი და მთავარი ხელმძღვანელი შეიქნა. მან აგრეთვე სამხრეთ გერმანიის სახელმწიფოებთანაც, რომლებიც კავშირში არ შედიოდენ, საიდუმლო კავშირი შეკრა, რომლის ძალითაც მათ მთელი თავის სამხედრო ძალები ომის დროს პრუსიის განკარგულებაში უნდა გადაეცათ (მხედველობაში ქონდათ საფრანგეთთან ომი). ასე გაძლიერდა პრუსია გერმანიაში 1866 წლის ომის შემდეგ. სამაგიეროთ ავსტრია საგრძნობლათ დასუსტდა. იგი შინაგანი რეფორმების გზას დაადგა, რადგან ეს ჰაბსბურგების მონარქიის ასალორძინებლათ აუცილებელი იყო.

ავსტრიის პოლიტიკურ წესწყობილებას საფუძვლათ **დუალიზმი** დაედვა, ე. ი.

მონარქია ორ ნაწილათ გაიყო: გერმანული ოლქები ერთ ნაწილს შეადგენდნენ, ხო-ლო უნგრეთი, ტრანსილვანია, ხორვატია და დალმაცია—მეორე ნაწილს. თითოე-ულ ნაწილს თავისი პარლამენტი, თავისი მინისტრები, თავისი კანონები და მართ-ველობა, თავის ეროვნული ენა მიენიჭათ. ამ ორი სახელმწიფოს კავშირს ავსტრო-უნგრეთი ეწოდა. ამ ორ სახელმწიფოს ერთი მართველი უდგა სათავეში, რომელიც ერთ ნაწილში იმპერატორის ტიტულს ატარებდა, ხოლო მეორე ნაწილში—მეფი-სას. საგარეო საქმეებს ეს ორი სახელმწიფო ერთად აწესრიგებდა.

**4. გერმანიის იმპერიის დაარსება.** პრუსიის ბრწყინვალე გამარჯ-ვება და მისი მეთაურობით ჩრდილო-გერმანიის გაერთიანება ნაპოლე-ონ III ს მოსვენებას არ აძლევდა. მეორეს მხრით ბისმარკიც საფრან-



გერმანიის გაერთიანება.

გეთის გასანადგურებლათ ემზადებოდა, რის შემდეგაც ბერმანიის სრული გაერთიანება მას შესაძლებლათ მიაჩნდა. 1870 წელს სულ მცირე საბაბი საკმარისი შეიქნა, რომ პრუსიასა და საფრანგეთს შორის ომი დაწყებულიყო. კარგათ გაწვრთნილი და შეიარაღებული ჯარით მოლტკემ მოკლე ხანში გაანადგურა ნაჩქარევათ შემდგარი საფრანგეთის ჯარები და **სედანთან** (ბელგიის საზღვართან) თვით **ნაპოლეონ III** ც ტყვეთ ჩაიგდო ხელში. 1871 წლის იანვარში გერმანელებმა თვით პარიზს შემოარტყეს ალყა. საფრანგეთი იძულებული შეიქნა ბისმარკის მიერ წარდგენილი ზავის მძიმე პირობები, რომელიც ელზასის, ლორენის ნაწილის (ქალაქი მეცით) დათმობაში და ხუთი მილიარდი კონტრიბუციის გადახდაში გამოიხატებოდა, მიიღო.

საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს ბერმანიის სრული გაერთიანება მოხდა. 1871 წლის დასაწყისში ვერსალში შეკრებილმა ბერმანიის მეფეებმა და მთავრებმა **ვილჰელმ I ბერმანიის იმპერატორათ** გამოაცხადეს (ბისმარკი იმპერიის პირველი კანცლერი შეიქნა). საიმპერიო კონსტიტუციის ძალით, გაერთიანებულ ბერმანიას, იმპერატორი (პრუსიის მეფე), ცალკე სახელმწიფოების წარმომადგენლებისაგან შემდგარი საკავშირო საბჭო და საყოველთაო საარჩევნო ხმის მიცემით არჩეული რეიხსტაგი უნდა ჩადგომოდა სათავეში. თითოეულ სახელმწიფოს კი დამოუკიდებელი მართველობის უფლება მიენიჭა.

**4. პარიზის კომუნა. რესპუბლიკური წესწყობილების დამყარება საფრანგეთში.** სედანის საშინელმა დამარცხებამ პარიზში რევოლუცია გამოიწვია (4 სეკტემბერს), რომელიც იმპერიის დამხობითა და რესპუბლიკის გამოცხადებით დასრულდა. ამას შემდეგ მალე გერმანელებმა პარიზს ალყა შემოარტყეს. ქალაქის დასაცავათ 300.000 მოქალაქისაგან ეროვნული გვარდია შესდგა. ამ ეროვნულ გვარდიაში უმთავრესათ მუშები და წვრილი ხელოსნები შედიოდენ; ისინი პატრიოტული გრძნობით იყვენ ანთებული და ძლევამოსილი მტრის წინაშე ქედის მოხრას არ აპირებდენ. მაგრამ პარიზის დამცველთა გაკვირვებასა და აღშფოთებას საზღვარი არ ქონდა, როდესაც მათ გაიგეს, რომ დროებითი მთავრობა და ეროვნული კრება, რომელიც უმთავრესათ გლეხების, მიწისმფლობელების, სხვილი ბურჟუაზიის მიერ გაგზავნილი, ომის მოწინააღმდეგე, კონსერვატიული მიმართულების დეპუტატებისაგან შესდგებოდა, ბისმარკის მიერ ნაკარნახევ სამარცხვინო ზავის პირობებს

დასთანხმდენ. პარიზის მცხოვრებთა ამ უკმაყოფილებას ისიც დაერთო, რომ მთავრობამ ღარიბი მუშა ხალხის მოთხოვნილება, ბინის ქირის გადახდისა და სხვა ვალდებულებათა ვადის გაგრძელების შესახებ არ, დააკმაყოფილა და გვარდიელებს დღიური ქირა (ფრანკ ნახევარი) მოუსპა. ამ დაგუბებულმა უკმაყოფილებამ რევოლიუციაში გადმოხეთქა. მუშებმა პარიზი ხელში ჩაიგდეს და იქ **კომუნა** გამოაცხადეს, რომელსაც სოციალური მოთხოვნილებანი უნდა განეხორციელებია და ქონებრივი უთანასწორება მოესპო. პარიზის კომუნალურ-რევოლიუციონური მთავრობის სახით ბურჟუაზიის წინაშე საშინელი საფრთხე აღიმართა. ვერსალის დროებითმა მთავრობამ კომუნის წინააღმდეგ ომი დაიწყო და პარიზს ალყა შემოარტყა (21 მაისს). თავგანწირულებამდი მისულმა კომუნარებმა პარიზში დარჩენილი ბურჟუაზიის წარმომადგენლები ამოხოცეს, საუკეთესო შენობებს, რომელიც გამარჯვებულ ბურჟუაზიას უნდა დარჩენოდა, ცეცხლი წაუკიდეს. მაგრამ ვერსალის ჯარებმა, რამდენიმე დღის ბრძოლის შემდეგ, პარიზი აიღეს, დატყვევებული რევოლიუციონერები ათასობით დახვრიტეს. პარიზის ქუჩები 1848 წლის ივნისის დღეებზე უარესი სურათის მოწმენი გახდნენ. ასე ხანმოკლე გამოდგა პარიზის რევოლიუციონური კომუნის არსებობა.

მეორე იმპერიის დამსხვრევის შემდეგ საფრანგეთში რესპუბლიკა გამოცხადდა. ეს რესპუბლიკა, რომელიც მე-III რესპუბლიკის სახელით არის ცნობილი და რომელიც საფრანგეთში დღემდი არსებობს, საბოლოოთ 1875 წლიდან გამტკიცდა. 1775 წელს ეროვნულმა კრებამ საფრანგეთი რესპუბლიკათ გამოაცხადა და შეიმუშავა ის რესპუბლიკური კონსტიტუცია, რომელიც, ზოგიერთი ცვლილებით, საფრანგეთში უკანასკნელ ხანებამდი დარჩა. (ამ დროს ეკუთნის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის, რესპუბლიკელი გამბეტას მოღვაწეობა). ამ კონსტიტუციის ძალით საკანონმდებლო ძალა-უფლება **დეპუტატთა პალატასა** და **სენატს** გადაეცა. ისინი მხოლოდ კონსტიტუციის გადასასინჯათ და პრეზიდენტის ასარჩევათ შეერთდებიან და **ეროვნულ კრებას** ადგენენ, დანარჩენ შემთხვევაში პალატები ცალცალკე, თუმცა ერთსა და იმავე დროს, მოქმედებენ. დეპუტატთა პალატას, პირდაპირი და საყოველთაო ხმის მიცემით, ოთხი წლით ირჩევენ; სენატს კი 9 წლით ირჩევენ; მის წევრებს დეპარტამენტები განსაკუთრებულ კრებებზე ნიშნავენ. აღმასრულებელი ძალა-უფლება პრეზიდენტს გადაეცა, რომელსაც ორივე პალა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტის კრება—ეროვნული კრება, შვიდი წლით ირჩევს. პალატების მიერ მიღებული კანონები პრეზიდენტის დამტკიცებას—სანქციას არ საჭიროებენ და იგინი ამ უკანასკნელის მიერ, ერთი თვის განმავლობაში, გამოქვეყნებულ უნდა იქნენ (თუ სასწრაფო კანონია—სამი დღის შემდეგ). მაგრამ პრეზიდენტს საკანონმდებლო სფეროში ერთგვარი უფლება მაინც ეკუთნის: მას შეუძლია პალატების მიერ ახლათ მიღებული კანონი, ხელახლა გადასასინჯათ, გადასცეს მათ და მეორე განხილვის დროსაც თუ კანონი პალატების მიერ მიღებული იქნება, იგი ძალაში შედის. აჲ ეთია ის რესპუბლიკური კონსტიტუცია, რომელიც საფრანგეთში დღემდი არსებობს.

* 6. **მეცნიერული სოციალიზმი და მუშათა ინტერნაციონალის დაარსება**. **ჯერ** კიდევ მე-XIX საუკუნის პირველ ნახევარში, **ევროპის** დიდ სამრეწველო ქვეყნებში (**ინგლისში**, **საფრანგეთში**), სხვადასხვა სოციალური მოძღვრება წარმოიშვა. **ეს** მოძღვრებანი (**ოუენის**, **სენ-სიმონის**, **ფურიესი**) თანამედროვე სოციალურ წესწყობილებას—კაპიტალისტურ წესწყობილებას უარყოფით უყურებდენ და კაცობრიობას მომავლის სამეფოსკენ, შრომის განთავისუფლებისა და სოციალური სამართლიანობის სამეფოსკენ მიუთითებდენ. **მაგრამ** მათ ვერ აღმოაჩინეს ის გზა, რომლითაც თანამედროვე საზოგადოება სოციალისტურ სამეფომდი მივიდოდა. **ოუენი**, **სენ-სიმონი**, **ფურიე** მომავალ სამეფოზე მხოლოდ ოცნებობდენ, ნატრობდენ მას. **ამგვარათ**, თავის განვითარების პირველ საფეხურზე სოციალისტური აზროვნება ოცნებაზე, ნატვრაზე იყო დამყარებული; იგი უტოპიურ, არამეცნიერულ ბურუსში იყო გახვეული. **ამ** არამეცნიერული მდგომარეობიდან სოციალისტური აზროვნება მე-XIX საუკუნის უდიდესმა სოციალისტებმა, **კარლ მარქსმა** და **ფრიდრიხ ენგელსმა**, გამოიყვანეს დ მას მეცნიერული ხასიათი მისცეს. **მარქსმა** მეცნიერული დასაბუთებით აღმოაჩინა ის ისტორიული გზა, რომლითაც თანამედროვე კაპიტალისტური წესწყობილება განვითარდება და ბოლოს იგი სოციალისტური წესწყობილებით შეიცვლება.

**თავისი** სოციალისტური მოძღვრება **მარქსმა** მტკიცე ისტორიულ და ეკონომიურ საფუძველზე ააშენა. **მისი** სოციალიზმი მეცნიერულია; იგი არა ნატვრაზე, არამედ ისტორიის ბუნებრივ და აუცილებელ მსვლელობაზეა დამყარებული.

**ცხოვრება** მუდამ განვითარების, ევოლიუციის პროცესშია. ერთი ფორმა სა-

ზოგადოებრივი ცხოვრებისა იცვლება მეორე ფორმით, ერთი მეორისაგან გამომდინარეობს. მატერიალური საწარმოვო ძალები წარმოადგენენ საფუძველს, ყველა დანარჩენი მათი ზედნაშენია. საზოგადოებაში არსებობს ორი, ერთი მეორის მოწინაალმდეგე ძალა—კლასების სახით; მათ შორის შეუწყვეტელი ბრძოლაა, წინაალმდეგობაა. მთელი ისტორიული გზის სიგრძეზე ეს ბრძოლა არსებობდა ეს ბრძოლა არღვევს საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ ფორმას და ამყარებს მეორეს. დღევანდელ საზოგადოებაში არსებობს ბრძოლა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის. როდესაც პროლეტარიატის თვითშეგნება უმწვერვალესათ განვითარდება და ამასთან ერთად დღევანდელი კაპიტალისტური საწარმოვო ძალებიც უმწვერვალესათ განვითარდებიან და უმაღლეს წერტილს მიაღწევენ დღევანდელ კაპიტალისტურ საზოგადოებაში დაბუდებული უკუღმართობანი და წინაალმდეგობანი, მაშინ დაკრავს სოციალისტური რევოლიუციის წამი: პროლეტარიატი დასცემს ბურჟუაზიას, მას ხელიდან გამოსტაცებს უფლებას, ჩამოართმევს საწარმოვო საშვალებებს და ამ საშვალებებს საზოგადო საკუთრებათ აქცევს. ასეთია მარქსის ისტორიული და ეკონომიური მოძღვრების მთავარი დებულებანი, რომელნიც მან თავის შესანიშნავ თხზულებაში, „**კაპიტალში**", სავსებით განავითარა.

მარქსის სახელთან დაკავშირებულია აგრეთვე პირველი „**ინტერნაციონალის**", ანუ „მუშათა საერთაშორისო საზოგადოების" დაარსება. 1864 წელს ლონდონში ერთერთ მიტინგზე საფუძველი ჩაეყარა ამ მუშათა მსოფლიო ორგანიზაციას. ეს იყო პირველი ორგანიზაცია, რომელმაც მიზნათ ყველა ქვეყნის მუშათა მოძრაობის გაერთიანება დაისახა. ამ საერთაშორისო მუშათა მოძრაობას წინუძღოდა კაპიტალიზმის სწრაფი განვითარება ევროპის ყველა ქვეყანაში და მუშათა მოძრაობის აღდგენა მე-50 წლების რეაქციის შემდეგ. პირველი ინტერნაციონალი 1876 წლამდი არსებობდა.

## ინგლისი მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარში.

**1. გლადსტონის რეფორმების ეპოქა ინგლისში.** პურის კანონების გაუქმების შემდეგ ინგლისში კონსერვატიულმა პარტიებმა დიდი ხნით დაკარგეს თავისი გავლენა და მთელი ოცი წლის გამავლობაში (1846 - 66) ინგლისს სათავეში ლიბერალური სამინისტროები უდგენ, რომელნიც უმთავრესათ ვიგებზე ეყრდნობოდენ. მაშინდელი მინისტრი, ლიბერალი პალმერსტონი მეტ ყურადღებას საგარეო პოლიტიკას აქცევდა: მან ხელი შეუწყო ლუდოვიკო-ფილიპეს დამხობას საფრანგეთში და ყირიმის ომში, ნაპოლეონ III-სთან ერთად, რუსეთის წინაალმდეგ მოქმედებდა. პალმერსტონის სიკვდილის შემდეგ (1865) მართველობის სათავეში ვიგი, როსელი, მოექცა; ხოლო ყველაზე უფრო გავლენიან მი-

ნისტრათ **ვილიამ გლადსტონი** შეიქნა. ვილიამ გლადსტონის [illegible] ინგლისში დემოკრატიული რეფორმების გატარებისაკენ იყო მიმართული. მაგრამ გლადსტონის დემოკრატიული პოლიტიკა მე-70 და მე-80 წლებში კონსერვატიული პარტიის მეთაურის, **დიზრაელის** (შემდეგში ლორდის ბიკონსფილდის), მხრით დიდ წინააღმდეგობას ხვდებოდა. 1866 წელს გლადსტონმა პარლამენტში პროექტი შეიტანა, რომელსაც მიზნათ საარჩევნო ცენზის შემცირება ქონდა. ამ პროექტს პარლამენტის არისტოკრატული ჯგუფი დიდის უარყოფით შეხვდა. სამინისტრომ პარლამენტში უმრავლესობა დაკარგა. იგი გადადგა და დიზრაელის კონსერვატიულ კაბინეტს დაუთმო ადგილი. ხალხში რეფორმისტული მოძრაობა დაიწყო. დიზრაელის სამინისტრომ ამას ანგარიში გაუწია და 1866 წელს საარჩევნო რეფორმა გაატარა, რომლითაც საარჩევნო ცენზი შემცირდა და ამრჩეველთა რიცხვი საგრძნობლათ გაიზარდა. მალე დიზრაელმა ახალი არჩევნები დანიშნა. ამ არჩევნებმა ლიბერალებს ბრწყინვალე გამარჯვება მიანიჭათ და ამას შემდეგ გლადსტონის ახალი სამინისტრო შესდგა (1868—74).

გლადსტონმა ამ ხანებში მთავარი ყურადღება ირლანდიის საკითხს მიაქცია და ირლანდიელთა პოლიტიკური და სარწმუნოებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ რამდენიმე რეფორმა გაატარა. მაგრამ ირლანდიის საკითხის საბოლოოთ გადაჭრა გლადსტონმა ვერ შესძლო (ირლანდიაში ამ დროს ძლიერი პოლიტიკური პარტიები — ფენიებისა და ჰომრულის პარტიები — გაჩნდენ) დ ირლანდიის საკითხი უკანასკნელ ხანებამდი ინგლისში მწვავეთ სდგას. გლადსტონმა ამ დროს სხვა დემოკრატიული რეფორმებიც გაატარა, რითაც მან უმაღლესი არისტოკრატული წრეები დიდათ აიმხედრა და მისი სამინისტროს ექვსი წლის არსებობის შემდეგ ისევ დიზრაელის სამინისტრო შესდგა (1874—80). გლადსტონის მიერ გატარებულ რეფორმებს დიზრაელი არ შეხებია და ზოგიერთი მისი რეფორმა მან კიდეც დაასრულა. მაგრამ კონსერვატორებმა სავსებით შესცვალეს საგარეო პოლიტიკა და პირველათ დიზრაელმა საფუძველი ჩაუყარა **იმპერიალიზმს**. იგი ინგლისის მსოფლიო ბატონობის, მისი მსოფლიო ინტერესებისა და ამ ინტერესების შეიარაღებულ ძალით დაცვის აზრს ატარებდა საგარეო პოლიტიკაში. დიზრაელმა ამ მხრით გამარჯვებასაც მიაღწია და ინგლისის იმპერიალისტური მიზნები ფართოთ გამოამჟღავნა. მე-80 წლებში ისევ გლადსტონის სამინისტრო

(მეორე) შესდგა (1880 85). გლადსტონი ამ დროს უკიდურესი რადი-კალური რეფორმების გზას დაადგა. მან 1884 წელს პარლამენტში საარჩევნო რეფორმა გაატარა, რომელიც საყოველთაო საარჩევნო უფ-



დასავლეთი ევროპა მე-XX საუკუნის დასაწყისს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებას უახლოვდებოდა. ირლანდიის საკითხშიც გლადსტონი [illegible] უკიდურეს გზას დაადგა. 1886 წ. მან ჰომრული წამოაყენა, რომლითაც ირლანდიის დამოუკიდებელი მართველობა და საკუთარი პარლამენტი უნდა მინიჭებოდა. მაგრამ გლადსტონი დამარცხდა და მართველობას ისევ კონსერვატორები მოექცენ სათავეში. 1892 წელს გლადსტონი უკანასკნელათ დაუბრუნდა მართველობას და ჰომრულის პროექტი ხელმეორეთ შეიტანა, მაგრამ იგი ისევ უარყოფილი იქნა.

## ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები.

**1. ომი ჩრდილო და სამხრეთ შტატებს შორის.** მე-XIX საუკუნის მე-60 წლებში **ჩრდილო**-ამერიკის რესპუბლიკაშიც ღრმა მნიშვნელობის მოვლენებს ქონდა ადგილი. აქ ჩრდილო და სამხრეთ შტატებს შორის უთანხმოება ჩამოვარდა. უთანხმოებას მათ შორის, განსაკუთრებით, **მონა ნეგრების** საკითხი იწვევდა.

**ი**მ თავითვე სამხრეთ **შ**ტატებში სხვილი მიწისმფლობელობა გაჩნდა; პლანტაციური მეურნეობა დამკვიდრდა და შაქრის, თუთუნის ბრინჯისა და ბამბის პლანტაციების დასამუშავებლათ სხვილი მიწისმფლობელებიპლანტატორები მონა-ნეგრების შრომით სარგებლობდენ. (კონსტიტუციის ძალით თითოეულ შტატს დამოუკიდებლობა ქონდა მინიჭებული და სამხრეთ **შ**ტატებსაც მონებით შეეძლოთ ესარგებლათ). **ჩრდილო**ეთის შტატებში კი სხვილმა მიწისმფლობელობამ ფეხი ვერ მოიკიდა და იქ არც მონობას ქონია ადგილი. იქ უფრო ევროპიული მრეწველობა განვითარდა. **სამხრეთი შ**ტატები ყოველ ღონისძიებას მიმართავდენ, რომ მონობა შეერჩინათ და ჩრდილო **შ**ტატებს ამ მხრით მათთვის რაიმე საფრთხე არ შეექმნათ. **ა**მიტომ ისინი ცდილობდენ საკანონმდებლო ორგანოებში და განსაკუთრებით სენატში, სადაც ეს უფრო მოსახერხებელი იყო, იმდენივე ხმა ქონოდათ, რამდენიც ჩრდილო **შ**ტატებს. **მ**აგრამ საქმემ სხვა მიმართულება მიიღო, როდესაც პრეზიდენტათ 1860 წელს **აბრამ ლინკოლნი** აირჩიეს. ახალი პრეზიდენტი სამხრეთის მონობის წინააღმდეგი იყო და ამ მხრით სამხრეთ **შ**ტატებთან რაიმე კომპრომისს შეუწყნარებლათ სთვლიდა. **ს**ამხრეთი **შ**ტატები ამის გამო ჩრდილო **შ**ტატებს ჩამოშორდენ, კონფედერაცია შეადგინეს, ცალკე კონგრესი და პრეზიდენტი აირჩიეს. **მ**ალე საქმე ომამდი მივიდა. **მ**აგრამ მიუხედავათ იმისა, რომ ძველი კავშირის მხარეზე რიცხვით ორჯერ მეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცხოვრები იყო, გამარჯვება პირველ ხანებში სამხრეთელი მდიდარ მიწისმფლობელ-პლანტატორების ხელში იყო. სამხრეთელების მხრით განსაკუთრებით გენერალმა **ლიმ** გაითქვა სახელი. 1864—65 წლებში გამარჯვება ჩრდილო შტატების მხარეზე გადავიდა. სამხრეთ შტატების კონფედერაცია დამარცხდა, იგი ხელახლა ძველ კავშირს დაუბრუნდა დ̃ იქ მონობა მოისპო.

პრეზიდენტი აბრამ **ლინკოლნი**, რომელიც მონობის შეურიგებელი მტერი იყო, ომის დროს ერთმა ფანატიკოსმა სიცოცხლეს გამოასალმა. ასე გათავდა ჩრდილო და სამხრეთ შტატების ომი.

## რუსეთი მე-XIX საუკუნეში.

**1. რუსეთი დიდ რეფორმებამდი.** მე-XIX საუკუნის მე-60 წლებამდი რუსეთის ცხოვრებაში არავითარ ძირითად რეფორმას, ცვლილებას ადგილი არ ქონია. დასავლეთის რევოლიუციებმა ამ მხრით რუსეთისთვის სრულიად უნაყოფოთ ჩაიარეს და რუსეთში ბატონყმური წესწყობილება ხელუხლებლათ დარჩა.. ალექსანდრე I-მა (1801—25) და ნიკოლოზ I-მა (1.825—55) ყოველგვარი ზომა მიიღეს, რომ დასავლეთის რევოლიუციების ტალღა რუსეთშიც არ გადასროლილიყო; ისინი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ევროპის რეაქციას სათავეში უდგენ და თვით ევროპაში რევოლიუციონური მოძრაობის ჩაქრობას ხელს უწყობდენ (საღვთო კავშირი, უნგრეთის რევოლიუციის ჩაქრობა).

ლიბერალურ და რესპუბლიკურ იდეებზე აღზრდილი ალექსანდრე I თავის მეფობის პირველ ხანებში სახელმწიფოს ძირითად რეფორმებზე ოცნებობდა. მან თანამოაზრეებისა დ̃ პირადი მეგობრებისაგან „საიდუმლო კომიტეტი“ შეადგინა და ამ კომიტეტის ზეგავლენით სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში რამდენიმე ცვლილება მოახდინა. პეტრე დიდის მიერ დაარსებული და უკვე მოძველებული კოლეგიების ნაცვლათ ალექსანდრე I-მა **სამინისტროები** (8) დააარსა. თითოეული მინისტრი თავის უწყებას კანცელარიისა და მისგან დაქვემდებარებულ დაწესებულებათა საშუალებით განაგებდა და თავის სამინისტროში ყოველგვარ ნაკლულევანებაზე პასუხს პირადათ თვით აგებდა. ალექსანდრემ სენატის წინანდელური მნიშვნელობა, როგორც უმაღლესი ადმინისტრატიული და სასამართლო დაწესებულებისა, ისევ აღადგინა. დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმეებისა და კანონების შესახებ სჯისათვის, მან 12 წევრისაგან შემდგარი,

მუდმივი „საბჭო“ დააარსა. ამგვარათ, ცენტრალური სამართველო ორგანოები ალექსანდრე I-მა შესაფერ დონეზე დააყენა.

ახალგაზდა მეფე პირველ ხანებში გლეხების განთავისუფლებაზე ოცნებობდა, მაგრამ ამ მხრით მან გაბედული ნაბიჯი ვერ გადადგა და ამ რეფორმამ რუსეთში კიდევ რამდენიმე ათეულ წელს დაიგვიანა. 1806 წლიდან ალექსანდრე I-ს დაუახლოვდა და სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეებში დიდი მნიშვნელობა მოიპოვა, სახელმწიფო ნიჭით ალჭურვილმა პიროვნებამ, **სპერანსკიმ**. სპერანსკიმ სახელმწიფოებრივი რეფორმის მთელი პროექტი შეადგინა, მაგრამ მან ჭალე ალექსანდრე I-ის ნდობა დაკარგა, სახელმწიფო საქმეებს სრულიად ჩამოშორდა და მისი პროექტიც განუხორციელებელი დარჩა.

ალექსანდრე I-ის საგარეო პოლიტიკა, ევროპის სახელმწიფოებთან ერთად, ნაპოლეონ I-ის წინააღმდეგ ბრძოლით ამოიწურება (იხ. 163-9 გვ.).

1812—15 წლების შემდეგ, ალექსანდრეს მეფობის მეორე ნახევარში, რუსეთში რეაქცია დადგა. ნაპოლეონის ბატონობისაგან განთავისუფლება ალექსანდრე I-მა ღვთის განგებათ ჩასთვალა; იგი მისტიურმა სულიერმა განწყობილებამ შეიპყრო და „საღვთო კავშირის“ აქტის ავტორი სახელმწიფოს ცხოვრებაში ყოველგვარ ლიბერალურ მიმდინარეობას წინაღუდგა. სახელმწიფოს მართველობას ამ დროს სათავეში უხეში და მკაცრი ადამიანი, გრაფი **არაკჩეევი** მოექცა (არაკჩეევშინა).

სამაგიეროთ 1813—14 წლების ომებმა დიდი გავლენა იქონიეს რუსეთის საზოგადოებაზე. საზღვარ-გარეთ რუსებს ამ დროს საშვალება ქონდათ გასცნობოდენ ევროპის კულტურას, იქაურ სახელმწიფოებრივ წესწყობილებას და განსაკუთრებით საფრანგეთის განმათავისუფლებელ იდეებს. სწორეთ ამის გავლენით სამხედრო წრეებში რამდენიმე საიდუმლო პოლიტიკური საზოგადოება დაარსდა. რუსეთის მომავალი წესწყობილების ყველაზე უფრო შესანიშნავი პროექტი ე. წ. „სამხრეთის კავშირის“ მეთაურს, პოლკოვნიკ **პესტელს**, ეკუთნოდა. იგი რუსეთში რესპუბლიკურ წესწყობილების შემოღებაზე ფიქრობდა. ამ საიდუმლო პოლიტიკურმა საზოგადოებებმა 1825 წლის 14 დეკემბერს (როდესაც ალექსანდრე I ის გარდაცვალების შემდეგ ნიკოლოზ I უნდა ასულიყო ტახტზე) სახელმწიფოებრივი გადატრიალების მოხდენა სცადეს, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს და შეთქმულთა მეთაურები ზოგი დახვრიტეს (პესტელი, რილეევი და სხვ.) და ზოგიც ციმბირს გაგზავნეს. ამ აჯანყების მეთაურებსა და მონაწილეებს **დეკემბრისტები** ეწოდათ.

ამგვარათ, ნიკოლოზ I-ის მეფობა დეკემბრისტთა აჯანყების სისხლში ჩახრჩობით დაიწყო და თითქმის მთელი მისი მეფობა სასტიკი რეაქციის დრო იყო. გაძლიერებული ცენზურა და სახელმწიფო პოლიცია მის დროს თავისუფალ აზრს დევნიდა და ყოველგვარ საზოგადოებრივ მოძრაობას ჩასახვისთანავე სპობდა. ნიკოლოზ I-ის რეაქციონური ხელი თვით ევროპასაც სწვდებოდა და რუსეთმა ამ დროს საერთაშორისო ჟანდარმის სახელწოდებაც კი დაიმსახურა. დასავლეთის პოლიტიკური და ფილოსოფიური იდეები მე-40 და მე-50 წლებში მხოლოდ ვიწრო ლიტერატურულ წრეებში იყო გავრცელებული.

ნიკოლოზ I-ის მთავარი ყურადღება საგარეო პოლიტიკაში ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ჰეგემონიის მოპოებისაკენ იყო მიპყრობილი. დასავლეთის სახელმწიფოები რუსეთის ბალკანეთზე გაბატონებას თავიდანვე შეებრძოლენ და ნიკოლოზ I-ის ბალკანეთის პოლიტიკა ყირიმის ომის (1853—56) კატასტროფით დასრულდა (იხ. 185—6 გვ.).

2. **დიდი რეფორმების ეპოქა რუსეთში.** ყირიმის ომმა ნათლათ დაანახა რუსეთის მთავრობასა დ საზოგადოებას, რომ რუსეთი დასავლეთის სახელმწიფოებთან შედარებით ჩამორჩენილი იყო, რომ მისთვის შინაგანი რეფორმები აუცილებლობას წარმოადგენდა. ასეთი რეფორმების გზას, მე-60 წლებში რუსეთში, ალექსანდრე II-ის (1855—81) მთავრობა დაადგა. ამ დროის ყველაზე უფრო დიდმნიშვნელოვან რეფორმათ **ბატონ-ყმობის გაუქმება** (1861) ჩაითვლება. საგლეხო რეფორმას თან საერობო, საქალაქო, სასამართლო და სამხედრო რეფორმებიც მოყვა. რუსეთში შემოღებულ იქნა **ადგილობრივი თვითმართველობა.** ევროპის რუსეთის 36 გუბერნიაში მემამულეები და სხვა შეძლებული მცხოვრებლები, და აგრეთვე გლეხთა რწმუნებულნიც საგუბერნიო და სამაზრო ერობათა ხმოსნებს ირჩევდენ, რომელთაც ადგილობრივ საქმეებზე უნდა ეზრუნათ. ამგვარივე თვითმართველობები ქალაქებშიც შემოიღეს. გაუმჯობესდა აგრეთვე სასამართლო და რუსეთში პირველათ ნაფიცმსაჯულთა ინსტიტუტი დაარსდა. 1874 წელს რუსეთში საყოველთაო სამხედრო ბეგარა შემოიღეს, რომელიც ყველა წოდებაზე ვრცელდებოდა.

მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთმა შუა აზიაში დიდი სამფლობელოები (თურქესტანი, ხივა, ბუხარა და სხვ.) შეიძინა. ამავე დროს რუსეთმა მთიულეთიც დაიპყრო და კავკასიის დამოუკიდებლო-

ზისთვის მებრძოლი, **შამილი**, დაატყვევეს (1859). კავკასიისა და ყირიმის ომების შემდეგ რუსეთს ოსმალეთთან მოუხდა ომი (რუსეთ-ოსმალეთის ომი 1877—78). ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ზოგიერთი სლავიანები—ჰერცოგოვინელები, ბოსნიელები და ბოლგარები, ოსმალების წინააღმდეგ აჯანყდენ. ალექსანდრე II-მა ოსმალეთის წინააღმდეგ თავისი ჯარები გაგზავნა. დიდი ბრძოლის შემდეგ რუსები თვით კონსტანტინოპოლს მიუახლოვდენ. ოსმალეთმა ზავზე დაიწყო ლაპარაკი. ზავი **სან-სტეფანოში** შეიკრა. რუსეთმა აზიაში ბათუმი და ყარსი მიიღო, ევროპაში კი—დობრუჯა, რომელიც მან რუმინიას გადაუცვალა ბესარაბიის იმ ნაწილში, რომელიც 1856 წლის პარიზის ზავით დაკარგა. რუმინია, სერბია და ჩერნოგორია დამოუკიდებელ სახელმწიფოებათ იქნენ გამოცხადებული. ევროპის ოსმალეთის ტერიტორიას დანაწილება მოელოდა და კონსტანტინოპოლი, მცირე ოლქით, ოსმალეთის დანარჩენ სამფლობელოებს სწყდებოდა.

ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა საჭიროთ დაინახეს **სან-სტეფანოს** ხელშეკრულების გადასინჯვა და **ბერლინის კონგრესზე** შეკრებილმა დიპლომატებმა, რომელთაც ბისმარკი თავმჯდომარეობდა (1878), ბოლგარიის ტერიტორია დაანაწილეს; ბოსნია და ჰერცოგოვინა, განუსაზღვრელი ვადით, ავსტრიას გადასცეს, რომელსაც ამ კუთხეების „ოკუპაცია“ უნდა მოეხდინა. (ამავე დროს ინგლისმა კუნძული კიპროსი დაიჭირა და მალე ეგვიპტეც დაიპყრო).

1863 წლიდან, როდესაც პოლონეთის აჯანყება მოხდა, რუსეთის საშინაო პოლიტიკაში რეაქცია დაიწყო. ეს რეაქცია განსაკუთრებით რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს გაძლიერდა, რაც რუსეთის მოწინავე საზოგადოებაში დიდ უკმაყოფილებას იწვევდა და მე-70 წლებში რუსეთში სხვადასხვა საიდუმლო სოციალისტური და რევოლიუციონური საზოგადოება დაარსდა („Земля и Воля“—1876 წ., „Народная Воля“—1879 წ., „Черный Передѣлъ“—1880 წ.). ალექსანდრე II რევოლიუციონერებმა მოკლეს (1881 წ. 1 მარტს).

რუსეთი 1905 წლამდი თვითმპყრობელ მონარქიათ ითვლებოდა. 1904—5 წლებში, იაპონიასთან ომის დროს, რუსეთი სასტიკათ დამარცხდა, რასაც რუსეთში რევოლიუცია მოჰყვა. ამ რევოლიუციამ თვითმპყრობელობის საფუძვლები რუსეთში ძალზე შეარყია. 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტით მთავრობამ ხალხს სხვადასხვა სამოქალაქო თავი-

სუფლება (პიროვნების ხელშეუხლებლობა, სინიდისის, სიტყვის, კრებისა და კავშირების თავისუფლება) აღუთქვა. ამავე მანიფესტით, 1905 წლის 6 აგვისტოს დაწესებულ, სახელმწიფო სათათბიროს საკანონმდებლო ფუნქციებიც მიენიჭა, რომელიც იმით გამოიხატებოდა, რომ სახალხო წარმომადგენლობის დაუდასტურებლათ ვერც ერთი კანონი ძალაში ვერ შევიდოდა. რუსეთის ცხოვრებაში სახელმწიფო სათათბიროს დიდი მნიშვნელობა მიეცა და 1917 წლის დიდი რევოლიუციის დროს მან, რომანოვების მონარქიის დამხობაში, განსაკუთრებული როლი შეასრულა.

## ევროპის სახელმწიფოთა იმპერიალიზმი და მსოფლიო ომი.

1. **აფრიკის, ოკეანიისა და აზიის გაყოფა ევროპიელთა და ამერიკელთა შორის.** მე-XIX საუკუნის მე-70 წლებიდან ევროპის სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკაში ახალშენების შეძენისა და მსოფლიო ბატონობის მიღწევის სურვილი პირველ ადგილს იჭერს. ამ მხრით ყველაზე წინ მიდის ინგლისი, რომელსაც იმ დროს უკვე უდიდესი ახალშენები ეკუთნოდა: ჩრდილო ამერიკასა, სამხრეთ აფრიკასა, ინდოეთსა და ავსტრალიაში. ასე რომ ინგლისის საახალშენო იმპერია, აფრიკასა და აზიაში ახალი შენაძენებით, კიდევ უფრო ფართოვდება. ახალშენების ძიებაში ინგლისს საფრანგეთიც უკან მისდევდა და მე-XIX საუკუნის მე-80 წლებში საახალშენო მოძრაობის ასპარეზზე გერმანიაც გამოვიდა. ევროპიელების მიერ ამ ხანებში დაარსებული ახალშენები წინანდელი ახალშენებისაგან განსხვავდებიან. ახალშენების დაარსების მიზეზათ უმთავრესათ იმ გარემოებას ასახელებდენ, რომ გაფართოებულ ეროვნულ ინდუსტრიის ნაწარმოებს გასაღება, ბაზარი ესაჭიროებოდა და ნედლი მასალის შეტანას მოითხოვდა. ამას გარდა იმ საჭიროებაზედაც მიუთითებდენ, რომ ევროპის ზედმეტი მცხოვრებლებისთვის თავისუფალი მიწები და სამუშაო ეშოვათ. მაგრამ უცხო ქვეყნებში ახალი ტერიტორიების ხელში ჩაგდება ევროპის ხალხების შინაგან მოთხოვნილებაზე უფრო ევროპის სახელმწიფოთა მართველი წრეების ფულის შეძენისა და გამდიდრების სურვილს აკმაყოფილებდა. ბანკირები, საფინანსო კაპიტალის მფლობელნი დიდ სარგებლობას ნახულობდენ იმაში, რომ მთავრობას საახალშენო ექსპედიციის მოსაწყობათ სესხს აძლევდენ; ამას გარდა, როდესაც ახალშენებში ადგილობრივ მცხოვრებთა აჯანყება მოხდებოდა, ჯარისთვის სურსათ-სანოვაგისა და სამხედრო მასალის მიმწო-

დებლებს დიდი მოგება ქონდათ. აი, სწორეთ ამ უმნიშვნელო [illegible]ბის მიერ ხელოვნურათ გაღვივებული ინტერესებიდან იქმნებოდა ევროპის სახელმწიფოებში **იმპერიალიზმის** პოლიტიკა, მსოფლიო ბატონობისადმი მისწრაფება.

აფრიკაში ევროპიელებს მე-XIX საუკ. ნახევრამდი მხოლოდ მატერიკის სანაპიროებზე ქონდათ პატარა ახალშენები. აფრიკის ევროპიელების მიერ დაპყრობა მე-70 წლებიდან იწყება. ინგლისელები იპყრობენ ეგვიპტეს, ნუბიას, ფეხს იდგამენ აფრიკის აღმ ასავლეთ სანაპიროებზე და თავის სამხრეთ აფრიკის სამფლობელოებს ბურების რესპუბლიკების შემოერთებით აფართოებენ. ფრანგები იპყრობენ ტუნისს, მდინარე კონგოს ქვედა სანაპიროებს, დიდ კუნძულს—მადაგასკარს და სხვ. აფრიკის გაყოფაში მალე გერმანიაც და იტალიაც ჩაერიენ. პირველმა აფრიკის სამხრეთ ნაწილში, სხვადასხვა ადგილას, რამდენიმე ტერიტორია ჩაიგდო ხელში; ხოლო მეორემ არაბეთის უბის სანაპიროები დაიკავა და 1912 წელს, ოსმალეთთან ომის დროს, ტრიპოლი და ბარკა შეიძინა. დასასრულ, ბელგიის კერძო კომპანიამ ცენტრალურ აფრიკაში, მდ. კონგოს აუზში, დიდი კუთხე შეიძინა და იგი ბელგიის მეფის პროტექტორატის ქვეშ გამოაცხადა. ამგვარათვე გაინაწილეს ევროპიელებმა დიდი ოკეანის კუნძულთა ჯგუფი—ოკეანია. მაგრამ აქ ევროპიელებს ამერიკელების მონაწილეთ მიღება მოუხდათ. რაც შეეხება აზიას, აქ ინგლისელებმა, მე-XVIII საუკ. მეორე ნახევრიდან დაწყებული, მთელი ინდოსტანი და ინდო-ჩინეთის დასავლეთი ნაწილი დაიკავეს; ფრანგებმა კი ინდო-ჩინეთის აღმოსავლეთი ნაწილი ჩაიგდეს ხელში. ამავე დროს რუსეთი დასავლეთიდან, შუა აზიის გზებით, შორეულ აღმოსავლეთისკენ მიიწევდა. ასე რომ ევროპიელები აზიასაც იმასვე უპირებდენ, რაც აფრიკას უყვეს. მაგრამ აზიის ხალხები უფრო ენერგიული აღმოჩნდენ ევროპიელების წინააღმდეგ ბრძოლაში და ევროპიელებს აზიის სავსებით დაპყრობისა და განაწილების საშვალება არ მისცეს. ამ დროს აზიის ზოგიერთი ხალხის გამოღვიძება და აღორძინება მოხდა. ამ მხრით განსაკუთრებით იაპონიამ მიიქცია ყურადღება. 1867 წლიდან იაპონიის ეკონომიური და პოლიტიკური გაძლიერება დიდის სისწრაფით სწარმოებდა. 1889 წ. იაპონიაში კონსტიტუცია შემოიღეს და 1890 წელს იქ პირველათ შეიკრიბა პარლამენტი. ევროპიელებისებურმა იმპერიალისტურმა მისწრაფებებმა მალე იაპონიაშიც გაიღვიძა. მან მეზობელი კუნ-




ევროპიელთა და ამერიკელთა სახალშენო სამფლობელოები მე-XX საუკ. დასაწყისს.

ძლიერებისა და აზიის აღმოსავლეთ სანაპიროების დაპყრობის შემდეგ ჩინეთთან ომით (1865), მანჯურიის შესავალთან მდებარე სიმაგრე და ნავთსადგური პორტ-არტური ჩაიგდო ხელში. ევროპის სახელმწიფოები იაპონიის ასეთმა გაძლიერებამ დიდათ შეაშფოთა და მალე, გერმანიასა და საფრანგეთთან შეთანხმებით, რუსეთმა იაპონიას პორტ-არტურის ჩინეთისთვის უკანვე გადაცემა მოსთხოვა. რამდენიმე ხნის შემდეგ კი რუსეთმა ჩინეთიდან არენდით, 99 წლის ვადით, პორტ-არტური მიიღო და იმავე დროს მანჯურიაც დაიკავა (1900). მთელი ოთხი წლის განმავლობაში იაპონელები რუსეთთან ომისთვის ემზადებოდენ და 1904 წელს მათ პორტ არტური ხელმეორეთ ჩაიგდეს ხელში და რუსები სამხრეთ მანჯურიიდან განდევნეს პორტსმუტის ზავით (1905), რომლითაც რუსეთ-იაპონიის ომი გათავდა, იაპონიამ კორეა, სამხრეთ მანჯურია, პორტ-არტური და ნახევარი სახალინი მიიღო.

**2. მსოფლიო ომის წარმოშობა და მისი საერთო მსვლელობა.** მოსალოდნელი იყო, რომ ევროპის სახელმწიფოების მიერ, ევროპის გარეთ, ახალი ტერიტორიების ძიება-შეძენის სურვილი, შიგნით, ევროპაში, ევროპის სახელმწიფოთა შორის ომის დაწყების აუცილებლობას და მათ მიერ სამხედრო მოქმედებისათვის მზადებას შეასუსტებდა. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ევროპის სახელმწიფოთა შორის ინტერესთა წინააღმდეგობა თანდათან ღვივდებოდა, ჰაერში ომის აუცილებლობის სუნი ტრიალებდა; საფრანგეთი გერმანიასთან რევანშისთვის (სამაგიეროს გადახდისა და ელზას-ლორენის დაბრუნებისთვას) ემზადებოდა. მეორე მხრით გერმანიაც დიდ მზადებაში იყო: მომქმედი არმიის რიცხვს ათი და ასი ათასობით ადიდებდა და სამხედრო გაძლიერების საქმეზე მილიარდობით ხარჯავდა (კრუპის ქარხნები აუარებელ სამხედრო მასალას ამზადებდენ). ფლოტის გაძლიერებით იგი მიისწრაფოდა „ზღვების მფლობელს“, ინგლისს, გვერდში ამოდგომოდა. მე-XIX საუკუნის გასულს საზღვაო შეიარაღებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია, ზღვებში გამოჩნდენ მთელი მცურავი სიმაგრეები—ბრონენოსცები და კრეისერები. სამხედრო გაძლიერებისაკენ მეორეხარისხოვანი სახელმწიფოებიც მიისწრაფოდენ. მილიტარიზმის გაძლიერება ისეთ მძიმე პირობებს ქმნიდა ევროპაში, რომ კულტურული კაცობრიობის მომავალ ომში დაღუპვისაგან გადასარჩენათ, ბევრმა ევროპის განიარაღების აუცილებლობაზე დაიწყო ლაპარაკი. თვით სახელმწიფოებმაც იგრძნეს მილიტარიზმის საშინელება და ჰააგის კონფერენციაზე (1899) ზოგიერთმა სახელმწიფომ ევროპის განიარაღების საკითხი წამოაყენა. მუშათა ინტერნაციონალური კონგრესებიც ევროპის განიარაღებას ენერგიულათ მოითხოვდენ. მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. სახელმწიფოთა შორის ურთიერთ უნდობლობა თანდათან იზრდებოდა. 1882 წელს ავსტრია-გერმანიის კავშირს იტალიაც შეუერთდა და ამგვარათ „სამთა კავშირი“ გაჩნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა




მსოფლიო ომი.

„**სამთა კავშირის**" საპასუხოთ **საფრანგეთ-რუსეთის** დაახლოებ[illegible]. მათ მალე ინგლისიც შეუერთდა და ამგვარათ **სამთა** (რუსეთის, საფრანგეთისა და ინგლისის) **შეთანხმება** შესდგა. „სამთა კავშირი" განსაკუთრებით მას შემდეგ გაძლიერდა, რაც მას ოსმალეთიც შეუერთდა. ოსმალეთისა და გერმანიის დაახლოების შემდეგ ახლო აღმოსავლეთის, ბალკანეთის საკითხი, გერმანული იმპერიალიზმის დიდ გეგმათ გადაიქცა. გერმანიაში დაიწყეს ოცნებობა წინა აზიაში გასვლასა და იქაური სიმდიდრის ხელში ჩაგდების შესახებ. ამასთან ერთად გერმანიის პოლიტიკოსებმა **ცენტრალური ევროპის** კავშირის შექმნის პროგრამა წამოაყენეს. ცენტრალური ევროპა, რომელსაც აზიის ქვეყნებისკენ ოსმალეთიდან პირდაპირი გასავალი ექნებოდა, ეკონომიურათ ძლიერი სახელმწიფოების ჯგუფი უნდა შეედგინა და კონტინენტის დანარჩენი სახელმწიფოები, უმთავრესათ საფრანგეთი და რუსეთი, დაემორჩილებია. ასე დარაზმული იყვენ ევროპის სახელმწიფოები მსოფლიო ომის დაწყების წინ. 1914 წლის ივლისში მსოფლიო ომმაც იფეთქა. ომის საბაბი ავსტრიის ერცჰერცოგის ფრანც-ფერდინანდის, ბოსნიის ქალაქში, სარაევოში, მოკვლა შეიქნა. ავსტრიის მიერ ამის გამო სერბიისადმი სხვადასხვა მოთხოვნილების წაყენებამ, სერბიელების დასაცავათ რუსეთში მზადება-მობილიზაცია გამოიწვია. მაშინ გერმანიამ რუსეთს ომი გამოუცხადა და საფრანგეთის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედება დაიწყო. გერმანიამ გადასწყვიტა ჯერ საფრანგეთი გაენადგურებია და შემდეგ კი — რუსეთი. ომის დაწყებისთანავე მან ბელგიის ნეიტრალიტეტი დაარღვია და მისი ტერიტორია დაიკავა. ამან ინგლისის მიერ გერმანიისთვის ომის გამოცხადება გამოიწვია. ასე რომ, თავიდანვე ომი სწარმოებდა ერთის მხრით გერმანიასა და ავსტრო-უნგრეთს, ხოლო მეორეს მხრით, რუსეთსა, საფრანგეთსა, ინგლისსა, ბელგიასა და სერბიას შორის. ომის დროს **სამთა შეთანხმებას (ანტანტას)** პორტუგალია, იაპონია, ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატები, იტალია და რუმინია შეუერთდენ (იტალია ომის დროს სამთა კავშირს ჩამოშორდა). **ცენტრალურ სახელმწიფოთა კოალიციას** კი ოსმალეთი და ბოლგარია მიემატენ. ცენტრალურ სახელმწიფოთა კოალიცია და განსაკუთრებით მისი მეთაური გერმანია ომისთვის დიდათ მომზადებული აღმოჩნდა. მას პირველ ხანებში ბრწყინვალე გამარჯვება ხვდა წილათ: საფრანგეთი დაამარცხა და რუსეთი გაანადგურა, რამაც ამ უკანასკნელ სახელმწიფოში რევოლიუცია და საიმპერატორო მთავრობის დამხობა გამოიწვია (1917). მაგრამ ცენტრალურმა კოალიციამ ვერ გაუძლო ანტანტის კოალიციის საშინელ ბლოკადას. გერმანია შუა ევროპაში გარს შემორტყმული და მთელ მსოფლიოზე მოწყვეტილი აღმოჩნდა. 1918 წლის გასულს გამარჯვება ანტანტის კოალიციას დარჩა. ცენტრალური კოალიციის დამარცხებამ, გერმანიასა და ავსტრო-უნგრეთშიც, ისე როგორც რუსეთში, რევო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიუცია და არსებული მთავრობის დამხობა გამოიწვია. ძლევამოსილმა ანტანტის სახელმწიფოთა კოალიციამ **ვერსალის კონფერენციაზე**, რომელსაც ანტანტის პოლიტიკის მეთაურნი, **ლოიდ-ჯორჯი**, **კლემანსო და ვილსონი**, ხელმძღვანელობდენ, დამარცხებული გერმანიისათვის მძიმე საზავო პირობები შეიმუშავეს, რომელზედაც გერმანია იძულებული შეიქნა დათანხმებულიყო.

3. **რუსეთის რევოლიუცია და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება.** ომმა სავსებით გამოაშკარავა რუსეთის საიმპერატორო მართველობისა და არსებული წესწყობილების უვარგისობა. სახელმწიფო აპარატის მოშლითა და სასტიკი დამარცხებით გამოწვეულმა უკმაყოფილებამ 1917 წლის თებერვლის რევოლიუციაში გადმოხეთქა. ამ სახელმწიფოებრივმა გადატრიალებამ რომანოვების მონარქია დაამხო რუსეთში. **სახელმწიფო** მართველობის სადავეები პირველ ხანებში სახელმწიფო სათათბირომ აიღო ხელში და თავადი **ლვოვის** თავმჯდომარეობით პირველი დროებითი მთავრობა შეადგინა. მაგრამ როდესაც პირველი დროებითი მთავრობის იმპერიალისტური მიზნები გამომჟღავნდა (მილიუკოვის ნოტა) **კერენსკის** თავმჯდომარეობით ახალი დროებითი, ე. წ. კოალიციონური მთავრობა შესდგა (ამ მთავრობაში ბურჟუაზიის წარმომადგენლების გვერდით სოციალისტები, **კერენსკი**, **წერეთელი** ისხდენ). ამავე დროს პეტერბურგში დეპუტატის, **ნ. ჩხეიძის**, თავმჯდომარეობით მუშათა და ჯარის კაცთა საბჭო მოქმედებდა, რომელიც სახელმწიფო პოლიტიკას მიმართულებას აძლევდა. 1917 წლის ივლისიდან რუსეთში ბოლშევიზმი გაძლიერდა და იმავე წლის ოკტომბერში იქ სახელმწიფოებრივი გადატრიალება მოხდა, რომელმაც გამარჯვება ბოლშევიკებს მიანიჭა. მთელი სახელმწიფო ძალაუფლება მუშათა, ჯარის-კაცთა და გლეხთა საბჭოების ხელში გადავიდა. რუსეთში **პროლეტარიატის დიქტატურა** გამოცხადდა და 1918 წლის 5 იანვარს საყოველთაო არჩევნებით მოწვეული და პეტერბურგში შეკრებილი სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრება საბჭოთა მთავრობამ გარეკა. რუსეთში საბჭოთა მთავრობის გამოცხადებამ, ამ მთავრობის განსაკუთრებულმა პოლიტიკამ და აგრეთვე კავკასიის ფრონტიდან გაბოლშევიკებული რუსის ჯარების წასვლამ ხელი შეუწყო ამიერ-კავკასიის რუსეთიდან ჩამოცილებას და 1918 წ. 10 თებერვალს ტფილისში მოწვეულ იქნა ამიერ კავკასიის სეიმი, რომელიც რუსეთის დამფუძნებელი კრებისთვის არჩეული დეპუტატებისაგან შესდგა. ოსმალეთთან ომმა და ბათუმის დაცემამ ამიერ კავკასიის მთლიანობას საფუძველი გამოუთხარა. ამიერ-კავკასიის სეიმი დაიშალა და 1918 წ. 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ **საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა** გამოაცხადა და დღეს საქართველოში საყოველთაო არჩევნების პრინციპით **მოწვეული** დამფუძნებელი კრება კონსტიტუციას იმუშავებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ს ა რ ჩ ე ვ ი.

წინასიტყვაობა. **I. დასავლეთი ევროპა საშვალო საუკუნეთა გასულს და ახალი დროის დასწყისს.** სამეურნეო გადატრიალება. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები და მისი შედეგები—2—11 გვ. ახალი კულტურა და ახალი განათლება—12—26.

II. **რეფორმაციის ეპოქა.** რევოლიუცია და რეფორმაცია გერმანიაში—26—46. რეფორმაცია გერმანიის გარეთ—47—53. კათოლიკური რეაქცია და კალვინიზმი. რელიგიური ომები საფრანგეთში. პოლონეთი—53—62. ისპანია, ჰოლანდია და ინგლისი—63—69. ოცდაათწლიანი ომი გერმანიაში—69—72. ინგლისი მე-XVII საუკუნეში—73—82. საფრანგეთის ჰეგემონია ევროპაში—82—93. ახალი სახელმწიფოების წარმოშობა-განვითარება აღმოსავლეთ ევროპაში—93—101.

III. **ძველი წესწყობილების უკანასკნელი საუკუნე ევროპაში.** ს ფრანგეთი დიდ რევოლიუციამდი—104—116. ინგლისი მე-XVIII საუკუნეში—116—121. პრუსია და ავსტრია—121—128. რუსეთი მე-XVIII საუკ.—128—137. ჩრდილო ამერიკის რევოლიუცია—137—141.

IV. **უახლესი ხანა.** საფრანგეთის დიდი რევოლიუცია—142—158. რევოლიუციონური ომები. ნაპოლეონის იმპერია—158—167. ევროპის რეაქცია. სამხრეთ ევროპის რევოლიუციები—167—172. ინგლისი მე-XIX საუკ. პირველ ნახევარში—172—178. საფრანგეთი მე-XIX საუკ. პირველ ნახევარში—178—182. 1848—49 წლების რევოლიუციები გერმანიასა, ავსტრიასა და იტალიაში—182—184. იტალიისა და გერმანიის გაერთიანება—184—195. ინგლისი მე-XIX საუკ. მეორე ნახევარში—195—198. ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები—198—199. რუსეთი მე-XIX საუკუნეში—199—203. ევროპის სახელმწიფოთა იმპერიალიზმი და მსოფლიო ომი—203—209.

4060

6— 20-324
198

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქუთაისი.

# გამომცემლობა „მომავალი.“

## დაიბეჭდა:

1. კ. კანდელაკი. „ალგებრულ ამოცანათა კრებული ნაწ. II. 50 მ.
2. პროფ. გ. ჩელპანოვი. „ფსიხოლოგიის სახელმძღვანელო“ თარგმანი თ. ჭუმბურიძისა . . . 150 მ.
3. А. С. Пушкинъ. „Кавказскій плѣнникъ“ . . 10 მ.
4. თ. ჭუმბურიძე. „პირველყოფილი კულტურა“ . . 50 მ.
5. Т. Мамаладзе. „Этимологія русскаго языка“ . . 50 მ.
6. ე. ლესგაფტი. „ფიზიკური გეოგრაფია“ თარგ. ფ. ბეთანელისა 100 მ.
7. ა. კისელიოვი. „სტერეომეტრია“. თარგმანი კ. კანდელაკისა 100 მ.
8. მელ. კელენჯერიძე. „ქართული სიტყვიერების ისტორია ნაწ. I 100 მ.
9. კ. კანდელაკი. „პრაქტიკული გეომეტრია“ 100 მ.
10. თ. ჭუმბურიძე. „ახალი ისტორია“ . . . 150 მ.